

აღმოსავლეთმცოდნეობა

Oriental Studies

№9 2020

ეძღვნება  
პროფესორ მზია ანდრონიკაშვილის  
ხსოვნას  
(1920 – 2006)

*Dedicated to the Memory of*  
*Prof. Mzia Andronikashvili*  
*(1920 – 2006)*

Institute of Oriental Studies  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities

## **Oriental Studies**

**9 2020**

Edited by Gotcha Djaparidze

Tbilisi 2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

## აღმოსავლეთმცოდნეობა

**9 2020**

გორგა ჯაფარიძის რედაქტორობით



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**სარედაქციო საბჭო:** ზაზა ალექსიძე (არმენოლოგის კათედრა), ნანი გელოვანი (აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა, პასუხისმგებელი მდივანი), ნინო ეჯიბაძე (არაბისტიკის კათედრა, პასუხისმგებელი მდივანი), ირინე ტატიშვილი (ასირიოლოგის კათედრა), თეა შურდაია (ირანისტიკა), მარიამ ჩაჩიბაია (ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრა), გოჩა ჯაფარიძე (აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა, რედაქტორი), მარიკა ჯიქია (თურქოლოგიის კათედრა).

**სარედაქციო საბჭოს უცხოელი წევრები:** ჯორჯ გრიგორე (ბუქარესტის უნივერსიტეტი, რუმინეთი), აპმეთ უნალი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, გერმანია).

**Editorial Board:** Zaza Alekisdze (Chair of Armenian Studies), Mariam Chachibaia (Chair of Hebrew-Aramaic Studies), Gotcha Djaparidze (Chair of Oriental History, Editor), Nino Ejibadze (Chair of Arabic Studies, Executive Secretary), Nani Gelovani (Chair of Oriental History, Executive Secretary), Marika Jikia (Chair of Turkish Studies), Tea Shurghaia (Iranian Studies), Irine Tatishvili (Chair of Assyriology).

**Foreign members of the editorial board:** George Grigore (University of Bucharest, Romania), Ahmet Ünal (Ludwig Maximilian University of Munich).

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020

ISSN 2298-0377





**შინაარსი**  
**Table of Contents**

<b>მზია ანდრონიკაშვილი</b>	
<b>ფატმან ანთაძე-მალაშხია</b>	11
<b>მაია სახოკია</b>	15
<b>Mzia Andronikashvili</b>	
<b>Patman Antadze-Malashkhia</b>	
<b>Maia Sakhokia</b>	
<b>რ ე პ რ ი ნ ტ ი</b> <b>R e p r i n t</b>	
<b>მზია ანდრონიკაშვილი</b>	
<b>არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ</b>	31
<b>ქართულში</b>	
<b>Mzia Andronikashvili</b>	
<b>On Arabic Words Entered into Georgian through Persian</b>	
<b>ენა და ლიტერატურა</b> <b>Language and Literature</b>	
<b>ფატმან ანთაძე- მალაშხია</b>	
<b>სპარსულიდან ქართულში შემოსული ზოგიერთი ციკლური</b>	67
<b>ნასესხობის შესახებ</b>	
<b>Patman Antadze-Malashkhia</b>	
<b>On Some Cyclical Persian Loan-words in Georgian</b>	
<b>მზისა ბუსკივაძე</b>	
<b>„დედე ქორქუთის წიგნის“ ახლადაღმოჩენილი</b>	83
<b>ხელნაწერის შესახებ</b>	
<b>Mzisa Buskivadze</b>	
<b>Newly Discovered Manuscript of the Book of Dede Korkut</b>	
<b>Tamar Demetrašvili</b>	
<b>Ambivalent Iranian Root *fr i-: fr - : Semantic Analysis</b>	94
<b>თამარ დემეტრაშვილი</b>	
<b>ამბივალუნტური ირანული ძირი *fr i-: fr - : სემანტიკური</b>	
<b>ანალიზი</b>	
<b>მანანა კვაჭაძე</b>	
<b>ენობრივი დინამიკის შესახებ გომბორელ ლაიჯთა</b>	
<b>მეტყველებაში (ფონეტიკის საკითხები)</b>	101

*Manana Kvatchadze*

The Dynamics of Linguistic Development of the Speech  
of Gomborian Layiji (Phonetic Issues)

ლუიზა რუხაძე, ნანული კაჭარავა  
რამდენიმე აღმოსავლური ნასესხობა ქართულ ენაში 117

*Luiza Rukhadze, Nanuli Katcharava*  
Several Oriental Borrowings in Georgian Language

*Maia Sakhokia*

The Dynamics of Persian Compound Verbs Starts at Old Persian:

CV OP Paradigms in Charts 124

მაია სახოკია

სპარსულის რთულ ზმნათა დინამიკა იწყება  
ძველსპარსულიდან: ძველსპარსული რთული ზმნები  
ტაბულებად

მარიკა ჯიქია

გრამატიკული კონცეპტების გადააზრება თურქული ენის  
მაგალითზე 156

*Marika Jikia*

Re-interpretation of Grammatical Concepts on the Example  
of Turkish Language

ისტორია  
History

ნანი გელოვანი  
თბილისის სპარსული სკოლა – „ეთეფაყ-ე ირანიან“ 167

*Nani Gelovani*

Persian School in Tbilisi — „Ettefaq-e Iraniyan“

ემზარ მაკარაძე  
დემოკრატიზაციის პრობლემები თანამედროვე თურქეთში 181  
Emzar Makaradze

The Issues of Democratization in Modern Turkey

მირიან მახარაძე  
უფლისწულ ბაიაზითის აჯანყება და საქართველოს საკითხი  
მუჰიმე დავთრების მიხედვით 188

*Mirian Makharadze*

The Uprising of Prince Bayazet and the Issues about Georgia  
According to the Defter of Muhime

მარინე ფუთურიძე  
შუმერის გავლენის ამსახველი არტეფაქტების შესახებ  
თრიალეთის კულტურაში 194

*Marina Puturidze*

For the Artifacts Depicting Sumer's Influence in the Trialeti Culture

ევგენი ჭანიშვილი

ახალი სახესხვაობა რუსულან მეფის სპილენძის ემისიაში 210

*Evgeni Tchanishvili*

A New Variety in the Copper Emission of Queen Rusudan

თ ა რ გ მ ა ნ ი  
T r a n s l a t i o n

მაჰშიდ ამირშაჲი, ლოცვის სათქმელად ენა აღარ მიბრუნდება

თარგმანი სპარსულიდან მზია ბურჯანაძისა 217

*Mahshid Amirhsah, Tongue Doesn't Turn to Pray*

*Translated from Persian by Mzia Burjanadze*

ჰუსნა ა. გიოქსელი, სუედა

თარგმანი თურქულიდან ნინო შენგელიასი

224

*Husnua A. Gyoksel, Sueda*

*Translated from Turkish by Nino Shengelia*

მემდუჭ შევქეთ ესენდალი, ბედის ფრინველი

თარგმანი თურქულიდან ასმათ ჯაფარიძისა

244

*Memduh Shewket Esendali, Bird of Fate*

*Translated from Turkish by Asmat Japaridze*

რ ე ც ე ნ ზ ი ა

R e v i e w

ნომადი ბართაია

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი ირანში“,

შემდგენლები: ჯემშიდ და ელენე გიუნაშვილები.

თბილისი, 2016(2017), 288 გვ.

253

*Nomadi Bartiaia*

"The Man in the Panther's Skin" by Shota Rustaveli in Iran, comp.

Jemshid and Elene Giunashvili. Tbilisi, 2016(2017), 288 p.

ნინო სამსონია

ოთარ გაბუნია, შუამდინარული წარლვნის მითი, თბილისი,

2019, 357 გვ.

257

*Nino Samsonia*

Otar Gabunia, The Mesopotamian Myth of the Global Flood, Tbilisi,

2019, 357 p.



## მზია ანდრონიკაშვილი

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის პრეზინგალე წარმომადგენელს, გამოჩენილ ენათმეცნიერს აკადემიკოს მზია ანდრონიკაშვილს 2020 წლის 14 ოქტომბერს 100 წელი შეუსრულდებოდა.

დაბადების მონმობის თანახმად, მზია ანდრონიკაშვილი ახმეტაში დაიბადა. როგორც ჩანს, იმ დროისთვის მისი მშობლები ახმეტის სიახლოეს მდებარე ანდრონიკაშვილების მამულ ოუიოში იმყოფებოდნენ.

დედას – ელენე გაბაშვილს, ცნობილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილისა (ქალიშვილობისას თარხან-მოურავის) და ალექსანდრე გაბაშვილის უმცროსი ქალიშვილს, განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული. შემდგომ ის წლების განმავლობაში თბილისის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში მუშაობდა. მამა – კონსტანტინე (კონო) ანდრონიკაშვილი, სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ცნობილი თეატრალური რეჟისორი და თეატრალური მხატვარი იყო. საქართველოში ჩამოსვლამდე მას პარიზის ოდეონში დაუდგამს სპექტაკლები. გადაღებულია ასევე ადრეულ ქართულ ფილმებში. 1937 წელს საბჭოთა რეპრესიების ფონზე მოუნია რუსეთში გადასახლებამ, სადაც იქაურ პროვინციულ თეატრებში არაერთი სპექტაკლი დადგა. სამშობლოში დაბრუნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მხატვარი იყო ასევე მზია ანდრონიკაშვილის უფროსი ძმა ოთარი, ქართველ აბსტრაქციონისტთა პირველი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი და ცნობილი მულტიპლიკატორი.

მზია ანდრონიკაშვილი 18 წლამდე ბებიასთან – ეკატერინე გაბაშვილთან იზრდებოდა. ქალბატონი მზიას თქმით, ამ გარემოებამ დიდი გავლენა მოახდინა მისი ლიტერატურული გემოვნების, ფილოლოგიური ინტერესებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ოჯახის, უახლოესი სანათესაოსა და საახლობლოს ატმოსფერო თავისუფლება-დაკარგულ სამშობლოზე სევდით იყო გამსჭვალული. 19 წლის დეიდაშვილი მარო მაყაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა, ბიძას, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეულ მოღვაწეს რეზო გაბაშვილს საფრანგეთში ემიგრირებამ და ბრძოლის იქიდან გაგრძელებამ მოუწია. ამ ფონზე გაირა ქალბატონი მზიას ბავშვობამ.

1936 წელს მზია ანდრონიკაშვილი ამთავრებს თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლას (ყოფილი თბილისის პირველი გიმნაზია, ამჟამად პირველი კლასიკური გიმნაზია) და შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც მეორე კურსი-დან ეუფლება კავკასიურ და აღმოსავლეურ ენებს. მის კურსზე კონსტანტინე წერეთელი და ალექსი ლეკიაშვილი სწავლობდნენ, შემდგომში ცნობილი სემიტოლოგები. ამ სამი უნიჭიერესი ახალგაზრდის ლექტორები იყვნენ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების კორიფეები: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა,

გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, ლეონ მელიქშეთ-ბეგი. ქალბატონი მზიას ერთ-ერთი მასწავლებელი გამოჩენილი ირანისტი ვასილ აბავიცი იყო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს თბილისში ცხოვრობდა. სწორედ მან დაახელოვნა ახალგაზრდა ასპირანტი ავესტის კითხვასა და მის ენობრივ ანალიზში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მზია ანდრონიკაშვილმა ჩა-აბარა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში და გიორგი ახ-ვლედიანის ხელმძღვანელობით 25 წლის ასაკში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ირანული ნარმომავლობის სიტყვები ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში“. ქალბატონი მზიას თაობის ენათმეცნიერთა მონათხრობით, ამ ნაშრომს ძალიან მაღალი შეფასება მისცა ფილოლოგიურმა საზოგადოებამ. არნოლდ ჩიქობავამ დისერტაციის დაცვაზე გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ნაშრომი არის ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ტარდებოდეს ეტიმოლოგიური კვლევები. ამ დისერტაციით ჩაეყარა საფუძველი ქართული ირანისტის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას – ირანულ-ქართველურ ენობრივ ურთიერთობათა სისტემურ კვლევას.

1966 წელს გამოიცა მზია ანდრონიკაშვილის ფუნდამენტური მონოგრაფია „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I“, ირანისტთა და ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნი. ეს ნაშრომი ეხება ქართულის ურთიერთობას ძველი და საშუალო პერიოდის ირანულ ენებთან. 1968 წელს შედგა ქალბატონი მზიას მიერ უკვე დიდი ხნის წინ მომზადებული სადოქტორო დისერტაციის დაცვა. 1978 წელს მზია ანდრონიკაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1996 წელს გამოიცა მისი სადოქტორო დისერტაციის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი – „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან II“, სადაც განხილულია ქართველურ ენათა კონტაქტები ახალ სპარსულთან.

მზია ანდრონიკაშვილის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული სტატიების<sup>1</sup> თემატიკა ირანულ და ქართველურ ენათა ურთიერთობის საკვანძო საკითხებს ეხება. ეს სტატიები არაერთ პრობლემას ჰქონიან შუქს.

ქალბატონი მზიას სამეცნიერო მემკვიდრეობაში რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი გამოუქვეყნებელი ნაშრომია: „სპარსული გზით შემოსული არაბული სიტყვები ქართულში“, „სპარსულ-არაბული პირის სახელები“, „ირანული ონომასტიკური და ლექსიკური ელემენტები ხევსურულ, მოხეურ და ფშაურ დალექტებში“, „ირანული ონომასტიკური და ლექსიკური ელემენტები სკანურში“, „სკვითურ-ალანური ტოპონიმები და ეთნონიმები“, „შენიშვნები ქართველური ენებიდან ოსურში შესუ-

<sup>1</sup> მზია ანდრონიკაშვილის სამეცნიერო შრომების სრული სია იხილეთ: ენათმეცნიერების საკითხები(თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტი), თბილისი, 1999,

4 დაპერსპექტივა XXI (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), თბილისი, 2004.

ლი ლექსიკის ფონეტიკური ადაპტაციის შესახებ“. ქართველური და ირანული ენათმეცნიერება აუცილებლად საჭიროებს ამ ნაშრომთა გამოქვეყნებას. ისინი უსათუოდ გასათვალისწინებელია ირანულ-ქართველურ ეტიმოლოგიურ ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში.

ქართულ ენათმეცნიერებაში მზია ანდრონი კაშვილის ნაშრომებით დაწესდა ეტიმოლოგიურ კვლევათა მაღალი სტანდარტი, რაც გამსესხებელ დამსესხებელ ენათა მონაცემების მიმართ სისტემურ შიდგომას გულისხმობს. მ. ანდრონი კაშვილის ეტიმოლოგიურ ძიებათა ამოსავალი წერტილი პირველ რიგში, ეტიმონებსა და ნასესხობებს შორის არსებულ სისტემურ ფონეტიკურ შესატყვევისობათა გამოვლენა იყო, რაც ცხადია, ასევე გულისხმობდა ეტიმონისა და ნასესხობის სემანტიკურ სიახლოვეს. მ. ანდრონი კაშვილის ნაშრომებში სწორედ რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვევისობათა გათვალისწინებით იკვეთება შუამავალი ენის როლი ირანულ-ქართველურ ენობრივ ურთიერთობებში. საშუალო სპარსულ და ქართულ ენობრივ ურთიერთობებისას ეს როლი გარკვეული ინდილად სომხურს ეკისრებოდა. ქალბატონი მზიას კვლევებში გაიმიჯნა ქართულში უშუალოდ საშუალო სპარსული და სომხურის მეშვეობით შემოსული საშუალო სპარსული სიტყვები. მე-11 საუკუნის შემდეგ კი ძირითადად ახალი სპარსული იქცა შუამავალ ენად ქართულში ნასესხებ არაბიზმთათვის. აქაც კვლავ მ. ანდრონი კაშვილის მიერ გამოვლენილი ფონეტიკური კახონზომიერებების მიხედვით იმიჯნება თავად არაბულიდან ნასესხები სიტყვები სპარსულის გზით შემოსულ არაბიზმთაგან.

უდიდესია მ. ანდრონი კაშვილის წვლილი სკვითურ-სარმატულ/ოსურ და ქართველურ ენათა ურთიერთობების შესწავლაში. ის, თავისი მასწავლებლის ვასილ აბაევის კვალდაკვალ, ყოველთვის ხაზს უსვამდა ამ ურთიერთობათა კვლევის მნიშვნელობას, რადგან არსებული მონაცემებით მხოლოდ ამ ირანულ ენებს ჰქონდათ სიმეტრიული ურთიერთობა ქართულთან, რასაც ადასტურებს როგორც ოსურიდან ქართულში შემოსულ, ასევე ქართულიდან ოსურში შესულ ნასესხობათა არსებობა.

ქალბატონი მზია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენობრივი ურთიერთობის ისტორიულ-კულტურული ფონის გათვალისწინებას. ეს მიდგომა კარგად ჩანს მისი წიგნის ორივე ტომში. ზეპირი საუბრისას მას ხშირად უთქვამს, რომ ჰერსპექტივულად ესახებოდა ირანულ-ქართველურ ურთიერთობათა ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები. ის ასევე დიდ ყურადღებას ამახვილებდა სამომავლოდ სემანტიკური ასპექტების უფრო ფართო განხილვაზე ენობრივ ურთიერთობათა კვლევისას.

მზია ანდრონი კაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას ჯეროვნად აფასებდნენ უცხოელი კოლეგები. ის ერთ-ერთი დიდი ავტორიტეტია ირანულ-ქართველურ ენათმეცნიერებაში. ამის მიუხედავად, აუცილებელია მისი ფუნდამენტური წიგნის ინგლისურ ენაზე თარგმნა, რათა ეს ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომი უფრო ფართო აკადემიურმა საზოგადოებამ გაიცნოს.

ქალბატონი მზიას ღვაწლი მხოლოდ სამეცნიერო კვლევით არ იფარგლება. ის ათწლეულების განმავლობაში კითხულობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ძველი და საშუალო სპარსულის, სანსკრიტის, ინდოირანულ ენათა შედარებითი გრამატიკისა და ინდოევროპული ენათმეცნიერების კურსებს. მისი ხელმძღვა-

ნელობით დაიწერა არაერთი დისერტაცია. თავისი ღრმად ანალიზური გონებისა და დიდი საენათმეცნიერო განათლების წყალობით, იყო გამორჩეულად კარგი ოპონენტი, რეცენზენტი და რედაქტორი. ყოველთვის დიდ პატივს სცემდა სხვის აზრს, დიდ შემოქმედებით თავისუფლებას აძლევდა თავის მონაფეებს, რომელთაც ნამდვილად დედობრივი სიყვარული ეპყრობოდა. მონაფეების ყოფაზეც კი ზრუნავდა, მუდამ სურვილი ჰქონდა მათ ფინანსურად წაშველებოდა. ამ კეთილშობით და ძალზე თავმდაბალ ადამიანს გულწრფელად უნდოდა დაეჯერებინა, რომ მისი მონაფეები მასზე მეტს შეძლებდნენ. „აი, ეხლა ეს შენ ჩემზე უკეთ მოიფიქრე“, ეს იყო ქალბატონი მზიას საყვარელი ფრაზა მონაფეებთან ურთიერთობისას. ასე ხომ მხოლოდ დედას უნდა შეილში თავის-ზე უკეთესი შესაძლებლობები დაინახოს!

მზია ანდრონიკაშვილსა და მის მეულლეს, გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსს, აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილს დარჩათ შესანიშნავი შთამომავლობა – ორი შვილი, სამი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი. უფროსი ვაჟი პროფესორი არჩილ ჭოლოშვილი ბიოფიზიკოსია, ის ნლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მისსავე დაარსებულ ლაბორატორიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უმცროსი ვაჟი ლევან ჭოლოშვილი თანამედროვე ქართული მხატვრობის საუკეთესო ნარმომადგენელია. შვილიშვილი ნინო სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიისა და რესტავრაციის ფაკულტეტის დეკანია, ის დედის, შესანიშნავი ხელოვნებათმცოდნის, მაია ციციშვილის კვალს გაჰყვა. ირინე კლასიკური ფილოლოგის განყოფილების კურსდამთავრებულია, დღეს ის დიდი ნარმატებით იღწვის ქართული ლიტერატურის უცხოეთში პოპულარიზაციის მიმართულებით. უმცროსი ელენე ჯერ კიდევ სკოლის მონაფეა. იმედია, მზია ანდრონიკაშვილისა და გიორგი ჭოლოშვილის შთამომავლები და მონაფეები საბოლოოდ ბედნიერ საქართველოში იცხოვრებენ. სამშობლო ამ ორი გამორჩეული ადამიანის დიდი სატკივარი იყო.

ქართული აღმოსავლეთმციდნეობა კი მოვალეა გააგრძელოს ის გზა, რომელიც თავის მასწავლებლებთან და კოლეგებთან ერთად დასახა აკადემიკოსმა მზია ანდრონიკაშვილმა.

### ფატმან ანთაძე-მალაშვილი

მზია ანდრონიკაშვილის მეცნიერული თუ პედაგოგიური მოღვაწეობა და შემოქმედებითი აქტივობა უბრალოდ საქმე და საქმიანობა, პროფესია და პროფესიული მუშაობა კი არ იყო, ეს იყო ცით მოვლენილი, მადლით გასხივოსნებული ნიჭისა და უნარის ნათება, ბუნებრივი სულიერი და ინტელექტუალური მდგომარეობა, ოქტომბრის საზიმო მზის დღესასწაული და ბაჯალლო ოქროს ბრნყინვა. დიდი ადამიანის ცნობიერებისა და სულიერების მუდმივი ბუნებრივი მდგომარეობა. ცნობიერის უწყვეტი აზროვნება და კრეაცია < რეკრეაცია. სულისა და გონების ზეობა და გამოსხივება, უზარმაზარი ცოდნის მშვიდი მდინარება.

ქ. მზია მოღვაწეობდა მრავალ დარგსა და სფეროში. სამუშაოდ იყენებდა უამრავ მკვდარ და ცოცხალ ენას. ცხადია, ყელასთვის ცნობილია, რომ ძირითადი წამყვანი სფერო მისთვის იყო ღრმა ეტიმოლოგია და შესაბამისად ღრმა ეტიმოლოგიური რეკონსტრუქცია. მასალობრივად წამყვანი იყო ირანული ენები და ირანული დიალექტები. ჩინებულად ფლობდა ირანულ დიალექტოლოგიას. მასალიდან გამომდინარე, ფართოდ იყენებდა ზოგადად ინდოევროპულ ენებსა და ქართველურ ენებს. მისი მოღვაწეობის ყველაზე აქტიური წლები დაემთხვა მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, დათბობის ახალი ეპოქის გათვალისწინებით – საბჭოთა კავშირშიც, ლინგვისტიკის არნახულ აღზევებას, ახალი მიმდინარეობების შემოქრას, ახალი სფეროების გაჩენას. ასეთი იყო ღრმა რეკონსტრუქციათა და ენების გენეზისის სფერო, რომელშიც ქ. მზია თავისი ღრმა ეტიმოლოგიური კვლევებით ბუნებრივად მიუერთდა. ფართოდ იყო გაშლილი იმ ეპოქაში ენათა ოჯახებისა და მაკონფიდენციალური მონოების, ენობრივი ხეების გარშემო დისკუსიები. წარმოიშვა ნოსტრატული თეორია, ცნობილი გახდა ნოსტრატიკის მიღწევები, გასაჯაროვდა თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ნოვატორული კვლევები ქართველურ ენათა სფეროში, გამოვლინდა ტიპოლოგიური პარალელები ქართველურ და ინდოევროპულ ენათა შორის და მრ. სხვა. შემდეგ გამოქვეყნდა თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ცნობილი მონოგრაფია ინდოევროპელთა და ინდოევროპულ ენათა შესახებ. მიმდინარეობდა ცხარე კამათები, დისკუსიები ინდოევროპელთა სამშობლოსა და ქართველებთან მათი მიმართების შესახებ. წარმოჩინდა ჰიპოთეზები ინდოევროპელთა უძველესი მიგრაციების შესახებ კავკასიის გავლით და მრ. სხვა. ყველას ვინ მოთვლის აქ! შედარებითი ენათმეცნიერებისა და კომპარატივისტიკის მეორედ დაბადებისა და გაფურჩქვნის ეპოქაში ვცხოვრობდით. ქ. მზიას კვლევები კი ყოველთვის ამ აქტუალური პრობლემების ცენტრში ტრიალებდა.

აქ დაწვრილებით არ ვაპირებ ქ. მზიას ნაშრომების აღწერას. მისი ეტიმოლოგიური ძიებებიდან პოპულარულად მიყვარს და ყოველთვის ვასახელებ მაგალითისთვის ორ ლექსებას, რომელსაც ქართულ ენაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ესაა: ა) ფუძე „ართ/ართა“, ირანული არტა (სიმართლის ღვთაების სახელი, სიმართლე, სამართალი, ქეშმარიტება, სინაძღვილე), რომელზედაც აგებულია დღეს ჩვენში ესოდენ აქტუალური მგრძნობიარე ცნებები: მართალი, სამართალი, სიმართლე, სამართლიანი, სასამართლო, მოსამართლე, გასამართლება. ბ) ერი – ირანული ერ „მართლმორჩმუნე“, ქართ. ერ-ი. გასაოცარია ამ ნასესხობებში ერთის მხრივ სემანტიკური არჩევანი, მეორეს მხრივ – სემანტიკური გადააზრება. ასეთ არეალურ მოვლენებს ბრწყინვალედ ავლენდა მზია ანდრონიკაშვილი, მათ შორის ურთულესი ძიების ლექსიკურ ერთეულებშიც. დიდი ეტიმოლოგი და კომპარატივისტი იყო; გამჭრიახე გონებითა და უტყუარი სამეცნიერო აღლოთი, რასაც უკიდეგანო ცოდნა აგვირგვინებდა.

იმავდროულად, დიდი ინტერესით ეკიდებოდა წმინდა ტიპოლოგიურ კვლევას. მე სწორედ ტიპოლოგიის გზაზე დამაყენა. ჩემი პირველადი და შემდგომი მოღვაწეობა მორფოსინტაქსურ და მორფონოლოგიურ კვლევებს მიეძღვნა. თუმცა სტუდენტობისდროინდელი ნაშრომები (საკურსოები, მოხსენებები) და დიპლომი ეძღვნებოდა სულხან-საბა

ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „ახალსპარსულ ფონემათა გადმოცემას ქართულში“. მეორე კურსიდანვე მხელმძღვანელობდა ქ. მზია. ხოლო საკანდიდატო დისერტაციის თემატიკა იმ გაქანებისა მომანდო, რომ დაცვის დროს ლვანლმოსილ მეცნიერთა გაოცებაც გამოიწვია: თუ როგორი სითამამით ჩამაბარა ქ. მზიამ ესოდენ „რთული“ საკითხები! თუმცა ითვა, „დისერტაციმა ნარმატებით თავი გაართვაო“. მე არ მომჩენებია ის პრობლემატიკა ჩემთვის რთულად! დიახ, ესეც ქ. მზიას თვისება იყო: სითამამე და ნდობა, მომანდო იმ დროისთვის ერთობ „მოდური“, შეიძლება ითვას, „ყბადალებული“ ანუ ძალიან გავრცელებული ერგატიული კონსტრუქციისა და საერთოდ ერგატიულობის (ცნების თემა! მე როგორც გადავწყვიტე ეს თემატიკა, ამის გაგება ყველას ჩემი შრომებიდან შეუძლია, მაგრამ ერთ-ორს ვიტყვი: ა) არც გამჭირვებია და არც მიღალატია ქ. მზიას დიდი ნდობისთვის; ბ) ჩემ მიერ შემუშავებულმა კონცეფციამ, რაშიც ქ. მზიამ ჯერ სრული თავისუფლება მომანიჭა, შემდეგ კი სრული შხარდაჭერა აღმომჩინა, ასევე სრული დადასტურება პოვა თითქმის იმავე დროს, თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის შრომებშიც და შემდგომ მათ ცნობილ მონოგრაფიაშიც. მოკლედ რომ მოვჭრა: ერგატიულობა არის წმინდა მორფოსინტაქსური ანუ გრამატიკული კატეგორიების წნება (და არა სემანტიკური არგუმენტაციის მოვლენა); აქედან გამომდინარე, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები არგუმენტებისა და ფაქტორების სიბრტყეზე (დონეზე) თანაბარია (ერგატიული მორფოსინტაქსურად ირიბია, ნომინატივი კი პირდაპირია, წრფელობითი). აქვე განვმარტავ, რომ არსებობს ენები, სადაც სხვადასხვა მორფოსინტაქსური ერგატიული ვარიანტები უკავშირდება სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებს (ჯგუფები ჩამოკიდებულია ვარიანტებზე), მაგრამ ეს არ ცვლის მათ მორფოსინტაქსურ არსს, ვრინციპს. საქმე ისაა, ეს წამყვანი დებულებები შეადგენდა ქ. მზიას ლრმა რწმენას და ჩემი ტიპკვლევების შედეგად მან მართლაც მიიღო ამის მეცნიერული დასტური, თანაც თავის მხრივ განმტკიცებული სხვათა კელევებითაც. მე ვთვლი, რომ ერგატიულობაზე დიდი კამათები და დისეუსიები იმხანად ამით დასრულდა ძირითადად, პასუხი გაეცა ბევრ კითხვას და გამოდის, მე ჩემი ხელმძღვანელის წყალობით, ამაში წვლილი მიმიდღვის.

აქ გავიხსნებ ერთ ეპიზოდს: მოსკოვში ვარ ხანგრძლივად, ვმუშაობ ერთგულად. ჩამოვიდა ქ. მზია თავისი შვილის არჩილის სანახავად, რომელიც იქ სტუდენტობდა. დამირეკა ქ. მზიამ, შეხვედრა დამინიშნა არჩილის საცხოვრებელში. მივირბინე. ქ. მზიამ აიღო ფურცელი, კალამი, მყითხა, რა დასკვნებამდე ვარ მისული. მერე დახაზა ტაბულა: ქართული ენისა და სპარსული ენის (ქართველური/ძველი სპარსული და ა. შ.) გარკვეული მონაცემები უცებ პარალელურად ჩაწერა, რითაც ნათლად მაჩვენა ჩემი მთავარი ამოცანები, და მოკლედ მითხრა: აი შენ უნდა დაამტკიცო ეს ტიპოლოგიური მსგავსება, უზრდა გაარკვიო, რა არის ქართველური ირბობიერტური პირის ნიშნების არსი, დვრიტა ფესვი და ძირი ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით. დღემდე არ ვლალატობ ამ ტიპოლოგიურ გზას.

ერთხელ ვკითხე ქ. მზიას -რ- ძირის ჩემეულ კვლევასთან დაკავშირებით: დავდგე აქ შესაძლო არეალური თუ გენეტიკური დებულებების პოზიციებზე თუ არა-მეთქი? მიპასუხა: ჯობს დარჩე ტიპოლოგიური

დასკვნების პოზიციებზე. ტიპოლოგია არასდროს გილალატებს. ტიპოლოგია ხომ ყველაფერს მოიცავს თავის თავში: წმინდა ტიპოლოგიას, არეალურ ფაქტებს, გენეზისა და ენობრივ სტრუქტურულ უნივერსალიებსაცო. აი ასეთი გზა მიმითითა.

მეცნიერობის გარდა საყოველთაოდ ცნობილია, რომ მზია ანდრონიკაშვილი იყო ჩინებული მზრუნველი მასწავლებელი და ნამდვილი მოძღვარი. ჩემს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა სამეცნიერო დარგი და სფერო, რომელსაც იყენებდა ქ. მზია, ჩართული იყო ჩემს სწავლა-აღზრდაში. ასპირანტურის წლებში ჩვენი სისტემატური გაკვეთილები ერთდროულად და პარალელურად მოიცავდა შემდეგ საგნებს: ძველი სპარსული, ფალაური, ავესტა, სანსკრიტი. ქ. მზიას მითითებით იმავდროულად თსუ-ში ვესანრებოდი შესაბამის ლექციებს-გაკვეთილებს შემდეგი ენების შესასწავლად: ძველი სომხური, ახალი სომხური, ლათინური, ძველი ბერძნული. განსაკუთრებით ღრმად შევისწავლე ძველი სომხური (მასხ. ელექტ დოჩანაშვილი), რაც სწორედაც ქ. მზიას დამოძღვრის შედეგი იყო.

პირველად პირველი კურსის ასპირანტი და ახალბედა ირანისტი, ჩამრთო წარმომადგენლობით საერთაშორისო (მაშინდელ საკავშირო) სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც თბილისში ჩატარდა 1970 წელს. მონანილეთა შორის ყველაზე ხორჩი ვიყავი, მაგრამ ქ. მზია (საორგანიზაციო კომიტეტის წევრი) თვლიდა, რომ საკონფერენციო მოღვაწეობა ადრე უნდა დამეწყო. დებიუტმა წარმატებით ჩაიარა და აქტიური საკონფერენციო ცხოვრება თან მდევს მთელი ჩემი არსებობის მანძილზე მას მერე.

ქ. მზია მომხრე იყო ჩემი ხშირი მივლინებებისა მაშინდელ ჩვენთვის მისაწვდომ სამეცნიერო ცენტრებსა და სამეცნიერო ბიბლიოთეკებში, სადაც ვეუფლებოდი ახალ-ახალ მეცნიერულ მოცემულობებს, სიახლეებს, დარგებსა და სფეროებს, ვეცნობოდი დიდძალ ლიტერატურას და ვეშურებოდი ხელმისაწვდომ ცოდნა-განათლებას. ამაშიც ვლინდებოდა ქ. მზიას ფართო აზროვნება. საინტერესოა, რომ არ მიაჩნდა საჭიროდ, ვთქვათ, ბიბლიოგრაფიის გამზადებული სახით მოწოდება. თვლიდა, რომ თავად უნდა მეძებნა. მხოლოდ გეზს და მიმართულებას იძლეოდა უტყუარად. წყაროების მოძიება და ბიბლიოთეკების კატალოგებში ქვექვა კი ჩემს პირად ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობად აქცია.

მოგვიანებით, ქ. მზიასთან ერთად ვმონანილეობდი უამრავ სამეცნიერო ფორუმში. დიდი სკოლა იყო მასთან ერთად მოგზაურობა და სამეცნიერო შეკრებებში ჩართვა. ეს გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე. ამ დროს მქონდა საშუალება მენახა, თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქ. მზია კოლეგების ფართო წრეებში, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მეცნიერთა შორის. ჯერ თავიდანვე, ასპირანტის სახით როცა პირველად გავემგზავრე რუსეთში, ქ. მზიას სახელი ყველა კარს მიხსნიდა უდიდესი კეთილგანწყობით, სითბოთი და პატივისცემით. კოლეგების შეფასება (ი. რუბინჩიკი, ჯ. ედელმანი, ვ. რასტორგუევა, ვ. აბაევი, ვ. ლიფშიცი, ლ. პერცენბერგი, ი. ავალიანი, მ. ბოგოლიუბოვი, ი. ავჩინიკოვა და ა. შ. მრ. სხვა) უბალლესი იყო მის მიმართ. ერთ-ერთი საერთაშორისო კონფერენციის დროს, ქ. მზიას მოხსენების შემდეგ, მახსოვს, სხვადასხვა წარმომადგენლები წარმოთქვამ-

დნენ: „გამაოგნებელია, საოცარია, ბრწყინვალეა, ალსაფრთოვანებელია“ და ა. შ. კ. ჰ. შმიდტს ჩემთვის ნათქვამი აქვს: „ანდრონიკაშვილის ნიგნი უმნიშვნელოვანესია და მრავლისმომცველი“. ქ. მზია ურთიერთობდა კოლეგების მრავალრიცხვან დასეპთან მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. მისი სახლი და ოჯახი ნამდვილი მარადმოქმედი სამეცნიერო სალონი იყო. რა თემებს არ განიხილავდნენ იქ ხშირი მრავალრიცხოვანი სტუმრები, კონფერენციის მონაწილენი, დისერტაციები, მოწაფები; რა სამეცნიერო საკითხები თითქმის წყდებოდა იქ იმ საუბრების დოროს! ამ შეკრებებზე ითქმის სწორედ: „ვაჟ დრონი დრონი ნაგები მტკბარად“. თუმცა ჩვენი ცნობიერებიდან არ უნდა „ნაწილტვენ“ ეს დრონი, არ უნდა გაქრენენ სიზმრებრივ ჩქარად“. მისი მოწაფეებისთვის არ ქრება და ახლაც ასაზრდოებს მათ შემოქმედებას.

კითხვა-პასუხი, რჩევის მიღება და კონსულტაცია ქ. მზიასთან უადვილესი იყო და სასიამოვნო. სირთულეს არ შეადგენდა. იმდენად დიდი და ბუხებრივი ცოდნა-გამოცდილება ჰქონდა, იმდენად ფართო განათლება და ერუდიცია, რომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მისთვის მყისიერი, მოკლე და ნათელი პასუხი გაეცა. ყველაფერი უმაღვე გასაგები ხდებოდა, კვლევისა და შემოქმედების გზა ნათდებოდა და იკვეთებოდა, გარკვეული ხდებოდა. ამიტომ იოლად შემეძლო ერთი-ორი წუთით დავკავშირებოდი ტელეფონით და სიტყვის გაგრძელების გარეშე მინათდებოდა გონება. განსაკუთრებით მიყვარდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან ქ. მზიას სახლამდე მიცილება და გზაში ყველა სამეცნიერო კითხვაზე მშვიდი უმტკივნეულო პასუხების მოპოვება. ეს საოცარი რამ იყო.

როდესაც საფუძვლიანად შევუდექი ახალსპარსული სინტაქსისა და მორფოსინტაქსის ძირიესვიან დამუშავება-აღნერას, როგორც ყოველთვის, ვკითხე რჩევა. დაფიქრდა და მოკლედ მითხრა: დეტალური სინტაქსი და მორფოსინტაქსი სპარსულისა არ არსებობს სწორედ იმიტომ, რომ მრავალვარიაციულია და რთულია ალსაწერად. შენ ამას შეძლებ და დეტალურად აღნერ. საბოლოოდ განვმტკიცდი მაშინ ჩემს კვლევებში და კიდეც დავაგვირგვინე. ამ შემთხვევაშიც უამრავი ტიპოლოგიური პარალელი წარმოჩნდა და დადასტურდა ქართულ ენასთან. აშკარაა, რომ მასწავლებლის დამოძღვრა მდევს თან.

თავად ქ. მზია შრომებს მოკლედ და ნათლად წერდა, მოხსენებებიც ლაკონური ჰქონდა და არსებითი. მე არ მიშლიდა დებულებათა განზოგადოებას. ისეთ თემატიკაზე ვმუშაობდი, ზოგადი იდეებიც მებადებოდა და ზომიერების ფარგლებში განზოგადოებულ ლინგვისტურ დასკვნებსაც არ ვერიდებოდი. ჩემი პირველი წიგნი რომ მზადდებოდა და-საბეჭდად, ქ. მზია ძალიან ცოტა რამეს თუ შეასწორებდა ხოლმე, ძირითადად არ მზღვდავდა და ბოლოთქმის წაკითხვის შედეგად მითხრა: „შენ მაინც ფილოსოფიური აზროვნება გაქვს. ეს უკვე ლინგვისტური ფილოსოფიაა“. მოიწონა. ზოგადად კი ცარიელი ფილოსოფოსობა არ მონონდა. იმ ეპოქაში „მოდაში“ იყო ენათმეცნიერებაში განზოგადებული მსჯელობა, ახლადნაზიარები ვიყავით სტრუქტურულ ლინგვისტიკას, სტრუქტურალიზმს, ტრანსფორმატორულ და გენერატიულ ენათმეცნიერებას, დესკრიპტიულ (აღწერით) ლინგვისტიკას, ფორმალურ თუ ფორმალისტურ ანალიზს; ძალას იკრებდა მათლინგვისტიკაც და ა. შ. უამრავი მიმდინარეობა მოედინებოდა ნაკადებად. შრომები, მოხსე-

ნებები და თეზისები აჭრელდა ფორმულებით, სქემებითა და გრაფიკული გამოსახულებებით. ბუნებრივია, ამ სფეროებში ახალგაზრდები განსაკუთრებით აქტიურობდნენ. ქ. მზია, ცხადია, გათვითცნობიერებული იყო ყველაფერში თავისი ბრწყინვალე აზროვნებით. ბ. თამაზ გამყრელიძე გვიკითხავდა სტრუქტურული ლინგვისტიკის აკადემიურ კურსს და ჩვენ ვიცოდით სტრუქტურალიზმის ჭეშმარიტი ფასი. მე პირადად ხარბად ვეცნობოდი ყველა მიმდინარეობას და სხვადასხვა ელემენტებს ვიყენებდი ჩემს კვლევებში. გაჩნდა ჩემს შრომებშიც ფორმულები, ტაბულები, სქემები, გრაფიკული ნახატები თუ ნახატები. ქ. მზია ყოველთვის მაფრთხილებდა, რომ ეს ელემენტები უნდა იყოს მხოლოდ საშუალება და არა თვითმიზანი. ანალიზის გასაუმჯობესებლად კარგია სტატისტიკაც, მაგრამ მხოლოდ როგორც ხერხი და მეთოდი. მთავარი კი ლინგვისტისთვის და ნამდვილი მეცნიერისთვის ყოველთვის უნდა იყოს ენობრივი ფაქტები, კონკრეტული ენობრივი მასალა და სასურველია ეს მასალა იყოს რაც შეიძლება დიდი, მდიდარი. მსჯელიბა იყოს დასაბუთებული, სარწმუნო და არა ერთ-ორ მაგალითზე დაყრდნობილი ფუყე საუბარი. მასალისა და კონკრეტული მაგალითების გარეშე არავითარ განზოგადოებას აზრი არა აქვსო. გიყვარდეს მასალა, მასალა და კიდევ ერთხელ მასალა. ასეთია დამოძღვრა. ასეთია მოძღვრება. ცხადია, მასალას ლოგიკური ანალიზი უნდა მართავდეს. ასეთივე აზრი პირადად მომისმენია ქ. მზიას ძირფასი მასწავლებლისგან, ბ. გ. ახვლედიანისგან: ზოგადი დებულებები კონკრეტული ნიმუშების გარეშე არაფრის მაქნისიაო. განყენებული „ფილოსოფოსობა“ ფუჭია და ცარიელიო.

არ უყვარდა განყენებული ფორმალიზმი, ფორმალისტური აზრები. გრამატიკული (მორფოლოგიური, მირფოსინტაქსური) ნაშრომებიდან აღსანიშნავია რთული ზმნები. ეს ჩვენი ერთ თემაზე საკონფერენციო თანამშრომლობის ნიმუშიცაა. ჩემი გამორჩეული შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია რთული ზმნების მორფოსინტაქსური ანალიზისადმი სპარსული ენის ჭრილი, პირველ რიგში ძეგლსპარსული რთული ზმნებისადმი. ეს ერთეულები ძველ სპარსულში ჩართულია ერგატივისებური კონსტრუქციების სისტემაშიც. ამ თემატიკის ნამოწვაც დიდწილად უკავშირდება ქ. მზიას ზეგავლენას. 1971 წელს სამარყანდში მოეწყო გრანდიოზული ტიპოლოგიური საერთაშორისო (მაშინდელი საკავშირო) სიმპოზიუმი ფრაზეოლოგიის თემაზე. ქ. მზიამ დამავალა მის ასპირანტს ძეგლსპარსული რთული ზმნების შესახებ საფუძვლიანი შრომის მომზადება, რომლითაც ნარვდექი კიდეც საოცრად მრავალრიცხოვანი სიმპოზიუმის ნინაშე. მაშინ ერთად გავემგზავრეთ სამარყანდში, მთლიანობაში ეს მთელი აკადემია იყო ჩემთვის. იქ იმყოფებოდა ახალსპარსული ფრაზეოლოგიისა და ზმნური ფრაზეოლოგიის (რთული ზმნების) ნოვატორული და ინოვაციური კონცეფციის ავტორი ი. რიბინჩიკი, რომელიც ქ. მზიას დიდი პატივისმცემელი და მეგობარი კოლეგა გახლდათ. სწორედ იქ შედგა ჩვენი პირველი თანამშრომლობა ქ. მზიას დახმარებით. ჩემი ანალიზის შედეგები და დასკვნები სავსებით ეთანხმებოდა უ. რუბინჩიკის მოდელირებულ სტრუქტურულ-სემანტიკურ სქემებს და ასევე გაგრძელდა შეძდგომ ჩვენი თანამშრომლობა. ჩემი შემდგომი შრომები დიდწილად ეყრდნობა ი. რუბინჩიკის მოდელებს, რომელიც ასახულია მისივე სპარსულ-რუსულ საუკეთესო ლექ-

სიკონში და ამ მიმართულებით შედეგიანია. ამ შემთხვევაშიც ჩანს ქ. მზიას მიერ მოცემული გეზი.

თვით ქ. მზიამ სამარყანდის სიმპოზიუმისთვის მოამზადა მისთვის შედარებით ახალი თემატიკა: „რთული ზმნების სტრუქტურა ძველ ქართულში“. მისი ლექსიკოლოგიური ძიებების შედეგად იგი უთუოდ კარგად იცნობდა ამ დიდალ მასალას. მაშინ აღმოჩნდა, რომ სპეციალური ამგვარი კვლევა მოცემულ საკითხზე ქართულ ენაში არ არსებობდა (სიმპოზიუმში აგრეთვე სვანური ენის მასალით მონაწილეობდა ალ. ონიანი). ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც უნდა აღინიშნოს ქ. მზიას ნაშრომის მნიშვნელობა, რომელიც მაშინაც და შემდგომშიც გამოქვეყნდა (იხ. მზია აზდრონიკაშვილის შრომების სია პერსპექტივა 21-ში): ესაა სტატია:

2. 219, , 1972, 47-51.

ბოლო წლების ჩემს ერთ-ერთ ნაშრომში რთული ზმნების შესახებ ჩავწერ შემდეგი:

„შედარებისთვის, ქართული ენის რთული ზმნებიც ძალიან საყურადღებოა და იმავდროულად ნაკლებად შესწავლილი. წლების წინ მ. ანდრონიკაშვილმა მიუძღვნა სპეციალური წერილი ძველქართულ რთულ ზმნებს. შესაძლოა ცალკეული საკითხები იყოს ნარმოდგენილი სხვადასხვა ნაშრომებშიც, მაგრამ თუნდაც ახალქართული რთული ზმნების სისტემატური ნიშნები ამომნურავად არ ქცეულა შესწავლის ობიექტად. კერძოდ, ზოგადი მაგალითისთვის, დღევანდელი ქართული იტევს უამრავ რთულ ზმნას ანუ აღნერით (ანალიზურ) ერთეულებს ფლექსის ფონზე. თანაც აღინიშნება ახალ-ახალ ერთეულთა აღმოცენებისა და აქტუალური გამოყენების საკმაოდ მძლავრი დინამიკა სამეტყველო ნაკადში (დისკურსში). უმეტესად, ყველა ძველ ანუ ლიტერატურულ ენაში ადრევე არსებულ რთულ ზმნას თუ ახალ/უახლეს (დღევანდელ) ნეოლოგიზმსაც აქვს ალტერნატიული მარტივი ზმნის ფორმა ან ფორმები (რომ არაფერი ვთქვათ სინონიმებზე), მაგრამ მოლაპარაკე უფრო ხშირად ირჩევს რთულზმნურ შესიტყვებას, მაგ.: იგნორს (იგნორირებას) უკეთებს, ციტირებას უკეთებს/აკეთებს/ახდენს, ამინდი გაკეთდა (რაც უდი ამინდი გაკეთდა), კონტროლირებას კურევდი/ვახდენდი, ხელმძღვანელობა გაუნია, პასუხს იძლევა, პასუხი მომეცი (შდრ.: სინონიმური მარტივი ზმნები) და მრ. მისთ. სხვა. განსაკუთრებით ხაზგასმულად დღევანდელი დისკურსების ავტორები ირჩევენ სწორედ ნეოლოგიურ, იზრვაციურ (ანუ ენაში ახლადნარმობულ) რთულ ზმნებს (ნეოლოგიზმებს)“. ჩემი ტექსტის ეს ფრაგმენტი ატარებს ქ. მზიასგან შეძენილი ცოდნისა და გათვითცნობიერების ნიშნებს. აღვნიშნავ, რომ ბოლო წლებში გაჩნდა ახალგაზრდა სპეციალისტთა სპეციალური კვლევებიც ახალქართულ რთულზმნურ სისტემასთან დაკავშირებით (შაგ., იხ., ირ. ლობჟანიძე და სხვა). ფაქტი კი ისაა, რომ ქ. მზიას შემოქმედების შეუზღუდავი დიაპაზონი ქართველობის შემთხვევაშიც ისევე მოქმედებდა, როგორც ირანოლოგიასა და ინდოლოგიაში თუ არმენოლოგიაში და ა.შ. სხვა. საკითხთა წრეს საზღვრები არ ჰქონდა.

ქ. მზიას ცნობილი „ნარკვევების“ პირველი ტომი, სადოქტორო დისერტაციად ნარდგენილი, მრავალ ენათა შესატყვის რთულ ტრან-

სკრიფციულ მასალას შეიცავდნენ. ბუნებრივია, გაიპარა სტამბურად ტექნიკური უსწორობანიც. არადა, აქ სისწორეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქ. მზია სულიერად არ დაცემულა, ჯერ პირადად ხელით ჩაასწორა რამდენიმე ეგზემპლარი. შემდეგ კი დახმარება გვთხოვა და ჩვენ ყველანი,- მისი გარემოცვა, გარკვეული საათები ვისხედით მის სახლში ყოველდღე და სრულ ტირაჟს ასე ხელით ვასწორებდითხალისით, მხიარულად. თითქოს რუტინული საქმიანობა ქ. მზიას აურით, სასარგებლო ინტელექტუალურ პოზიტივად იქცეოდა.

უამრავი მოწაფე აღზარდა, მრავალი დისერტაციი გამოვიდა გზაზე მისა ხელმძღვანელობით, ბევრი კოლეგა ეხვია გარს, მრავალიცხოვანი სტუმარი ტრიალებდა მუდამ მის ოჯახში, მრავალი დისერტაციის ოპონენტი თუ რეცეზზენტიც ყოფილა; სტუდენტების საკურსოები, დიპლომანტები, ასპირანტები, დისერტაციები, ხშირი სტუმრების სახით კოლეგები (როგორც თ. ჩხეიძე, ნ. ქუთელია, ე. ალექსიძე, მ. მოდებაძე, ფ. ანთაძე და მრავალი სხვა) და ა.შ. უნცვეტი ნაკადების კორიანტელი ქ. მზიას გარშემო. და ეს ყველაფერი აღტეჭდილია ადამიანურობის, მხიარულების, ცხოვრების სიხარულის ბეჭდით. საზოგადოებაში ყოფნა და ქმედება რასაც ჰქვია, ეს იყო დიდებული ეპოქა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა. გასახსენებლად ლირებული ეპოქალური მოვლენებით. აი ამაზე ნამდვილად ითქმის: „როგორ ვცხოვრობდით და ვმოღვანეობდით ძველად“.

სალონური თუ საქმიანი შეკრებებისა და სტუმრობების დროსაც მომაჯადოებელი და შთამბეჭდავი სიმსუბუქით წყვეტდა მეცნიერულ საკითხებს. რამდენი რამ მომისმენია და შემიძენია ამგვარ ვითარებებში! აი მაგალითად, მაგონდება ერთი დისერტაციის სტუმრობა შუა აზიიდან (ასეთი ბევრი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებიდან) და საამისოდ გამართული სუფრა (რაც ჩვეულებრივი ხშირი მოვლენა იყო ქ. მზიასთვის). მოედინება ლინგვისტურ საკითხთა გარჩევის ნაკადი, დისკურსი ძალაშია. უცებ განიხილება იმპერატივის თემა. ქ. მზია აღნიშნავს: „იმპერატივი მარტო მორფოლოგიური კი არა, ლექსიკური საშუალებებითაც გადმოიცემა (არის ინტონაციური ხერხებიც). მაგ., ქართულში გვაქვს ზმინისნიერი და სრული ზმნებიც, რომელიც იმპერატიული ნაწილაკების როლს ასრულებს: ჩა წამო, მო, მოდი, იცი რა, გამო, შემო, აიღე, მიდი, გაჩე, გაჩერდი, გაუშვი, და სხვა მისთ. სია შეიძლება გაგრძელდეს“. ჩემთვის ახალი აზრია. ჯერ არ გამართულა ლენინგრადში საერთაშორისო ტიპოლოგიური სიმპოზიუმი იმპერატივის თემაზე, რომელიც სწორედ ამგვარ მოვლენებს მიეძღვნება სხვადასხვა ენებში. მე მივიღებ მასში მონაწილეობას, კრებულში დაიბეჭდება ჩემი სტატია სპარსული ენის იმპერატივის შესახებ (შემდეგ ეს ჩემი კვლევები კიდევ უფრო გაღრმავდება დიაქტორიულად, რეტროსპექტულად და ტიპოლოგიურად) და ამაში მწვანე შუქს მომცემს ის ორიოდე წინადადებაც, რომელიც ისე „გზადაგზა და სხვათა შორის“ მოვისმინე ჩემი ხელმძღვანელისგან. ასეთი იყო ქ. მზიას სკოლა და მისი ბუნება-ხასიათი, ნიშნები და შედეგები.

საგანგებოდ ვრცლად აღსანიშნავია მზია ანდრონიკაშვილის შეხედულებანი ძველსპარსული აქემენიდური წარწერების უანრობრივ-ტექ-

სტოლოგიურ, სტილისტურ-სემანტიკურ საკითხებზე. ეს საკითხები ძალიან საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, რადგან მოცემული მასალა ნომინირები ნიადაგია ძველი მსოფლიოს წერილობითი ძეგლების ტექსტურათა და სტრუქტურულ-რიტორიკულ მახსიათებელთა საკვლევად.

ძველ სპარსულზე ქ. მზიას ჩემთვის უთქვამს: რა გულუბრყვილო წარწერებია. ამ ცოტა ხნის წინ, როცა რიტორიკის საკითხებით დავინტერესდი, ჯეროვნად დავაფასე და შევაფასე ეს ნათქვამი. ძველი მსოფლიოს ტექსტური რიტორიკა ბევრად უფრო გულნრფელია, ვიდრე ჩვენი დროის სიყალითა და სიცრუით, პიარტექნოლოგიებითა და ათასგვარი მანიპულაციებით გაჯერებული არასწორი ლინგვისტური ტექსტები და მათი ნეგატიური ნარატივი თუ რიტორიკა. ამას უკვე მრავალი სტეციალისტი საჯაროდ გამოთქვამს. მე არ შევმცდარვაარ, როცა ძველსპარსული აქემენიდური წარწერების რიტორიკა შევადარე უდიდესი ეპიკური თხზულების, „შაპნამეს“ რიტორიკას და ვთქვი, რომ ეს კარგი რიტორიკაა, რადგან ემსახურება დიდწილად სიმართლეს და გულნრფელობას. მისი ემოციური მუხტი ნაღდია.

დავიწყოთ იმით, რომ აქემენიდურ წარწერათა ტექსტებში აღინიშნება მხატვრულობისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა რიტორიკული ხერხები, როგორიცაა, მაგ., თანმიმდევრულად განმეორებად პარადიგმათა მწკრივები, ლექსიკოლოგიური პარადიგმები, ფუნქციური სიტყვათშენაერთები, ლექსიკური კოდები, პრაგმატულ-სემანტიკურად, კონტესტურად კოდირებული და მარკირებული მორფოსინტაქსემები, სინტაქმები და სხვ. ამის საფუძველზე შევგიძლია ვილაპარაკოთ სპეციალური რიტორიკული კოდების, რიტორიკული წესების შესახებ, რაც ადასტურებს ძველსპარსულ ძეგლთა სტილისტურ მსგავსებას მომდევნო ეპოქების მხატვრულ ლიტერატურასთან, პირველ რიგში ეპოსთან და ეპიკურ თხზულებებთან. თავისითავად ასეთი კოდებისა და წესების არსებობა არის ბაზა ლიტერატურული, მხატვრული, პოეტური თარგმანებისთვის, რადგან რიტორიკის, როგორც დარგის ნიშები, უკვე იძლევა ამგვარი წაკითხვის საშუალებას. აქტიურად გამოყენებადი რიტორიკული მასალა თავის მხრივ მხატვრული ლიტერატურული, მათ შორის პოეტური თარგმანების სახურძველიცაა.

და თავის დროზე სწორედ ასეთი იდეები ჰქონდა მზია ანდრონიკაშვილს. მისი თქმით, რიგი თანამედროვე მკვლევარი აგრეთვე (ი. ფრიდრიხი, ვ. კენიგი, მ. მოინი) შესაძლებლად თვლის ძველ სპარსულ წარწერებში რითმისა და მეტრის არსებობას. ეს იყო მ. ანდრონიკაშვილის ორმა მეცნიერული რწმენა. ამ მოსაზრებაში მეც დარწმუნებული ვარ (იხ. ქვემოთ: ანდრონიკაშვილი 1990).

ორიგინალთა ტექსტური სტრუქტურები იძლევა თარგმანული მრავალფეროვნების ლიტერატურულ საფუძველსა და შესაძლებლობებს. გასაგები და შემეცნებადი იქნებოდა ქართველი მკითხველისთვის აქემენიდური ეპოქის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ორიგინალების გადმოცემა გადმოქართულებული ავტორიზებული მხატვრული თარგმანების სახით, რომელიც იმავდროულად ზედმინევნით გადმოცემდა ორიგინალის შინაარსსა და, რაც მთავარია, – შთამბეჭდავ დამუხტულ სულისკვეთებას იმგვარად, რომ იმავდროულად

წარწერათა ტექსტსტრუქტურაც დაცული იქნებოდა მაქსიმალურად. სწორედ ასეთი თარგმანის მომხრე იყო მზია ანდრონიკაშვილი, რომელმაც მე, თავის მონაფესაც, დაუსახა ამგვარი გეზი.

თავად ორიგინალის ტექსტის მეტრულ-რიტმული სტრუქტურა და სხვადასხვა მხატვრული მახასიათებლები (როგორიცაა: პარონომაზია, განმეორება, ტავტოლოგიური ხერხები, ფიქსირებული გამოთქმებისა და ფორმულების სისტემა და სხვა მისთ.), იძლევა ქართულში გალექსვის საფუძველსაც. ქართული სამწერლობო ტრადიცია არა თუ ხელს უწყობს ამ პროცესს, არამედ თითქოს მოითხოვს კიდეც გალექსილ ფორმებს. სტრიქონები თავისით ლაგდება მწყობრში, თავისით ქმნის რიგებს, რითმებს. მეტრებსა და რიტმებს.

სწორედ ამიტომ, ქართველი მთარგმნელები ძველსპარსული ტექსტების გადმოცემისას ბუნებრივად და უნებლივად მიიღოვიან ლექსთწყობისაკენ, თუმცალა ტექსტები ორგვარად შეიძლება ითარგმნოს: პოეტურადაც და პროზაულადაც. ყველა შემთხვევაში, ძველსპარსული წარწერების შინაგანი მეტრიკა და რიტმული დამუხტულობა, დინამიკა, ქვეშეცნეულად ბადებს მთარგმნელის ცნობიერებაში შინაგან მუსიკას, ტექსტურ მუსიკალობას. ეს კი ზოგჯერ ვერლიბრის, თეთრი (თავისუფალი) ლექსის სახესაც იძენს.

გალექსილმა ძველსპარსულმა ქართულმა თარგმანმა პირველად გაიყლერა დაახლოებით ოთხმოციანი წლების დასაწყისში ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ერთ-ერთ სამეცნიერო სხდომაზე (ასეთი სხდომები თსუ ყველა კათედრაზე იმ ეპოქაში სისტემურ ხასიათს ატარებდა). სხვა მიმდინარე საკითხთა შემდგომ ქ. მზიამ სურვილი გამოთქვა წარმოედგინა საკუთარი თარგმანი ძველსპარსულიდან. მან ბრძანა: ლექსად მომინდა უცებ ერთი ფრაგმენტის გადმოთარგმნა და აბა როგორ მოგენონებათო. რა თქმა უნდა, მოსაწონი იყო. განსაკუთრებით ჩემთვის, რომელიც ორიგინალს ზეპირად ვიცნობდი, შემეძლო სიზუსტეც დამედასტურებინა და მეღიარებინა ქართული ლექსის საოცარი ადეკვატურობა ძველსპარსული ტექსტურის მეტრთან და რიტმთან. არ გამკვირვებია გალექსვის სურვილი და სრულიად ბუნებრივად მივიჩნიე. ეს იყო გაუმატა მოგვის ეპიზოდი დარიოს პირველის დიდი ბეჭისტუნის წარწერიდან. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს გალექსილი ფრაგმენტი დღემდე გამოუქვეყნებელია. თუკი მოინახება ქ. მზიას პირად არქივში, სასურველია დაიბეჭდოს. აი სწორედ აქედან აქამანიანთა მემკვიდრეობის მხატვრულ-ლიტერატურული, მათ შორის პოეტური თარგმანის ისტორია. ახლაც გუშინდელივით ვხედავ იმ სხდომას, მესმის ქ. მზიას დამუხტული რიტმული სტრიქონების ჟღერადობა. ჩემთვის ეს აღმოჩნდა ჩემი შემდგომი შემოქმედებითი თარგმანების შესავალი. ამის მერე მალევე ბ.-მა მაგალი თოდეუამ მოუწოდა კოლეგებს „არმალანის“ მორიგი კრებულისთვის მოემზადებინათ მასალები. ქ. მზიამ დამავალა დარიოსის დიდი ბეჭისტუნის წარწერის სრული თარგმანის მომზადება. იცოდა, რომ კალამი მიქრიდა და მხატვრული წერა მეხერხებოდა. შევთანხმდით, რომ მიუხედავად უკვე არსებული გალექსილი ფრაგმენტისა, წარწერის ხუთივე სვეტი პროზად მეთარგმნა. დიდი სიამით შევასრულე ეს დავალება და ბ. მაგალის დიდი მონონებაც დავიმსა-

ხურე. „არმალანის“ გარდა, ეს თარგმანი შემდგომ ძველი მსოფლიოს ძეგლთა თსუ ქრესტომათიაშიც დაიბეჭდა გრ. გიორგაძის რედაქტორობით 1990 წელს. „არმალანის“ შემდეგი კრებულისთვის ბ. მაგალიმ უკვე თავად მთხოვა თარგმანის ნიმუში და მაშინ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით წარვადგინე ვერლიბრად განცობილი „ქსერქსესგან ცრულმერთა გმობა“. ბ. მაგალი აღფრთოვანებული დარჩა. იმავდროულად აღმოჩნდა, რომ ქ. მზიასაც პქონოდა ნათარგმნი ეს წარწერა რიტმულ პროზად, რაც ფაქტობრივად ლექსს უდრის. როცა შევადარეთ ჩვენი თარგმანები, სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. სწორედ ეს იყო ამ შემთხვევაში საინტერესო და ყურადსალები: ორიგინალის შინაარსის მიმართ სიზუსტის დაცვით შესაძლებელია ძველსპარსულ წარწერათა ტექსტურის სხვადასხვაგვარი გადმოქართულება. ქ. მზია ძალიან გატაცებული იყო ამ მონაცემებით.

სამეცნიერო მუშაობით დაკავებულს, დიდხანს არ მეცალა თარგმანისთვის. სამწუხაროდ მოხდა ისე, რომ აქემენიდური ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის სრული კორპუსი ქართულად ჩემი თარგმანით ქ. მზიას გარდაცვალების შემდეგ გამოვეყენდა. ამ შემოქმედებაში ჩავდე ქ. მზიასგან შეძენილი სრული ცოდნა და გათვითცნობიერება, მათ შორის პოეტური თარგმანის შესაძლებლობები. ეს უკანასკნელი საკითხი, ქ. მზიას შეხედულებათა გათვალისწინებითაც, ჩემთვის მხატვრულ-ლიტერატურული კონცეფციის რანგში გაფორმდა. ამ კონცეფციამ არსებითად საყოველთაო აღიარება პოვა კოლეგებში.

პირველ რიგში, ხაზგასასასმელია, რომ არც ერთი ქართველი მთარგმნელი ავტორის თარგმანი არაა ლინგვისტური თარგმანი, არამედ მხატვრული თარგმანია. ყველა ენაზე ძველსპარსულ წარწერათა თარგმანები წარმოადგენს მეცნიერულ-აკადემიურ თარგმანებს. არსებობს დიდწილად ლინგვისტური თარგმანიც, რომელიც ზოგადად კიდევ უფრო ზუსტია, – გრამატიკულ ფორმათა გადმოცემის სიზუსტით ხასიათდება. მეაცრად ლინგვისტური თარგმანი პწკარედზე უფრო ზუსტია: იგი მიზნად ისახავს ყველა გრამატიკულო ფორმის ფორმალურ კატეგორიათა ასახვასა და მითითებას. სწორედ ამით ქართული ლიტერალური თარგმანები განსხვავდება სხვა ენებზე თარგმანებისგან. ქართული თარგმანები სამეცნიერო აკადემიური მიზნებისთვისაცაა გამოსაყენებელი, მაგრამ, პირველ რიგში, ლიტერატურის კუთვნილებაა. იმავდროულად, მხატვრულობის ფარგლებში ეს თარგმანები ზედმიწევნით სრულად გადმოცემს ორიგინალთა ძირითად შინაარსს. შინაარსის გარდა, მთარგმნელებმა მიზნად დაისახეს ორიგინალურ ტექსტთა განწყობისა და სულისკვეთების ასახვა. სწორედ ამ ფაქტორმა განსაზღვრა დიდწილად თარგმანთა შემოქმედებითი მხატვრულობაც. ამდენად, ქართული თარგმანები უანრით განეცუთვნება, ერთი მხრივ, მხატვრულ-ლიტერატურულ, მეორე მხრივ, სამეცნიერო-პოპულარულ სფეროს, თუმცა იმავდროულად სამეცნიერო აკადემიური მიზნების სამსახურშიცაა ჩაყენებული.

საგანგებო დაკვირვება ცხადყოფს, რომ ძველსპარსული აქემენიდური წარწერები მხატვრული ლირებულებებით ხასიათდება. შინაარსობრივად არსებითად ეს სამეცო ქრონიკებია, მაგრამ წარწერათა შთა-

გონებული პათოსი, ამაღლებული ანუ მაღლალი სტილი შინაგანი ემოციური დამუხტულობა, სტილისტურ თავისებურებათა ნიშნები და რიგ პოეტიკურ მახასიათებელთა ერთობლიობა, – როგორიცაა მეტრი და რიტმი, სხვადასხვა მხატვრული ხერხების გამოყენება (მაგ., ეტიმოლოგიური ფიგურები, საკრალური ფორმულები, გამეორება, პარონომაზიები, ტავტოლოგია, და სხვა მისთ.), – მხატვრული ნაწარმოებების ტოლფარდ ლიტერატურულ მოვლენად აქცევს მათ. უანრობრივად ეს სამეფო ქრონიკებია, პოეტიკურად კი, – პოეტიზირებული მუხტის მატარებელი რიტმული პროზა.

შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ენაზე ძველსპარსული წარწერების ორივე მთარგმნელს ჯამში ყველა ზემოთ დასახელებული მთარგმნელობითი ფორმა გვაქვს ნაცადი: აქემენიდური ქრონიკები ითარგმნება რითმულ ლექსად, გალექსილ პროზად, ვერლიბრად (თეთრი, თავისუფალი ლექსი), რიტმულ პროზად, უბრალო პროზად, შერეული სახით და მისთ.

არსებულ თარგმანთა ავტორთა აზრით, ქართული ლექსის მუსიკალობა სწორებ იმ შთაბჭყდილებას და განწყობას ქმნის, რასაც ძველ სპარსულში აქამანიანთა ლურსმულ წარწერათა ტექსტების შინაგანი დინამიკა და მიღებულ ფორმულათა სისტემა განაპირობებს; ხოლო ქართული ლექსთონყობის განსხვავებული ტიპების შერჩევა მთარგმნელთაგან, ჩვენი გამოცდილებით, ორიგინალთა ტექსტურების ლინგვისტურ სტრუქტურას, აგრეთვე ორიგინალის სტრიქონთა და პასაჟთა სიგრძესაც უკავშირდება; მაგრამ წამყვანი მაინც პრაგმატული ტექსტური სემანტიკაა. ჯამში, ნახსენები კონცეფცია უამრავ დამახასიათებელ მდგრენელს გულისხმობს და მოიცავს.

მაგ.: ძველსპარსულ წარწერათა ტრადიციული, ხშირად და უცვლელად ხმარებული განმეორებადი ფორმულები ქართულში სხვადასხვა ეკვივალენტებით ითარგმნება ანუ გამრავალფეროვნებულია. იმავდროულად მთარგმნელის გემოვნების მიხედვით, უპრიანადაა გამოყენებული ქართული ტრადიციული სიტყვაკაზმული მწერლობის მდიდარი გამოცდილება. ასე ხერხდება ორიგინალის დასაშვები ხარისხით გაქართულება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯამურად უმეტესი აქემენიდური ნიმუში ქართულში გალექსილია, დავასკვნით, რომ ძველი სპარსულის რიტმული პროზის მელოდიკა ქართულში სხვადასხვა სახის ტრადიციულ ქართულ ლექსადაა გადმოღებული: გარითმულით თუ ვერლიბრით.

ისმის კითხვა: რა განაპირობებს აქემენიდურ წარწერათა ლიტერატურულ მუხტსა და ეფექტს, მით უფრო, – გალექსვის მუზას?

აირას წერს ამ მიმართულებით მზია ანდრონიკაშვილი:

„რიგი თანამედროვე მკვლევარი (ი. ფრიდრიხი, ვ. კეხიგი, მ. მოინი) შესაძლებლად თვლის ძველ სპარსულ წარწერებში რითმისა და მეტრის არსებობას, რასაც ყველა არ იზიარებს, მაგრამ „ურნმუნოებს“, როგორც ჩანს, ავინყდებათ ის გარემოება, რომ პოეზიისათვის მთავარია არა მარტო ლიტერატურული, არამედ ფოლკლორული ტრადიციაც, რომელიც ძველ ირანელებს, და მათ შორის სპარსელებსაც, საკმაოდ მდიდარი ჰქონდათ. მეორეც, ის გამეორებანი, რაც პროზაულ ტექსტში

მომაბეზრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, ლექსში შესაძლებელია მხატვრულ სამუალებად იქნეს გაგებული, და რაც მთავარია, ლექსს, განსაკუთრებით რელიგიური დანიშნულებისას, უმწერლობო ენებში დიდი პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა, როგორც ადვილად დასამახსოვრებელ სამუალებას. რიგვედისა და ავესტის თაობიდან თაობაში გადაცემის ხანგრძლივი ტრადიცია ამას აშკარად გვიჩვენებს. ჩვენი აზრით, ამის თვალსაჩინო საბუთი უნდა იყოს აგრეთვე ქართულად ლექსად გადმოღების სიადვილე ორიგინალის ტექსტთან სიახლოვის დაურღვევლად“ (ანდრონიკაშვილი, სახოკია 1990: მ. ანდრონიკაშვილი, მ. სახოკია, აქემენიდების ძველი სპარსული ლურსმული წარწერები, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, თსუ გამოც., რედ. გრ. გიორგაძე, 1990, 296-316 (ანდრ. 311-316, 296-297: 297).

აი რა ნათლადაა წარმოჩენილი ეს ნოვატორული მიდგომა, ინოვაციური კონცეფციია, რომლის ერთ-ერთ საბუთად თუ მტკიცებულებად თავად ქართულ ლექსად გადმოღების სიადვილეცაა მოტანილი. მე პირადად ამ მიდგომისა და კონცეფციის იდეის გამგრძელებლად და მიმდევრად მიმაჩინა თავი. ამის დასტურია ჩემი თარგმანული მონოგრაფია (2012, 2015).

ამ კონცეფციამ საქართველოშიც და ირანშიც სპეციალისტთა აღიარება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. აქ ამის დასტურად შეგვიძლია დავასახელოთ ნ. ბართაიას სპეციალური ნაშრომი (აქემენიდთა ძველ-სპარსული წარწერები ქართულად, რეცენზია მაია სახოკიას მონოგრაფიაზე, თბილისი, 2013) და გ. ლობუანიძის საეთერო რეცენზია („გოროზი აქემენიდები“, რადიო თავისუფლება, 2014, გადაცემა „ბიბლიოთეკა“, 19.01, მაია სახოკიას თარგმანის შესახებ). კოლეგებმა გაიზიარეს ძველსპარსულ ტექსტთა ქართულად პოეტიზირების კონცეფცია. ასევე მოიქცნენ ირანელი სპეციალისტები: „ავილოთ ქსერქსეს ვანის წარწერა, აქ ალიტერაცია გვაქვს და გარკვეული გამოთქმები სისტემურად მეორდება, რაც ქმნის ბუსიკას, მელოდიკას, მელოდიურ რიტმულ ჰანგებს. სწორედ ამიტომ მაია სახოკია ლექსად თარგმნის ამ წარწერებს ქართულად, რაც სავსებით მართებულია“, – ამბობს თავის მოხსენებაში მ. ბაღერი (Masoumeh Bagheri, Abbas Azarandaz. A Glance through Inscriptions of Xerxes in the Citadel of Van. 101, 14, The Seventh Biennial Convention, Association for the Study of Persianate Societies (ASPS), Istanbul, Turkey Ninar Sinan Fine Arts University, Fındıklı Campus, Orient Institut Istanbul, Program and Abstracts, 2015, Sept. 8-11. Istanbul. 14, 101 (Ingl. pers.).

ასე გაიზიარეს სხვადასხვა სპეციალისტებმა ეს ორიგინალური კონცეფცია, რომლის მოთავე მზია ანდრონიკაშვილია თავისი იდეებით და შეხედულებებით.

ქ. მზიას ნათარგმნი აქვს რითმულ-რიტმულ პროზად (რაც ფაქტობრივად გალექსვას ნიშნავს) ხუთი წარწერა (გარდა ზემოაღნერილი გაუმატას ფრაგმენტისა). ჩემი წარაგმნია ძირითადად გალექსილად სრული კორპუსი. ამ ხუთი წარწერის შედარების შედეგად ერთმანეთთან, ირკვევა, რომ მათ შორის საერთო თითქმის არაფერია (გარდა ორიგინალის შინაარსისა). ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ორივე ავტორის თარგმანები სრულიად დამოუკიდებელია დროსა და სივ-

რცეში ანუ არავითარ შეხებას არ გულსხმობენ. აქ საინტერესოა თარ-გმანულ ვარიანტთა ფართო შესაძლებლობანი აღწერილი კონცეფციების თანახმად. ქ. მზიას ხუთივე თარგმანი დაბეჭდილია ერთიანად შესავალთან და კომენტარებთან ერთად, ზემოხსენებულ ქრესტომათიაში (ძველი აღმოსავლეთის ისტორიულ ძეგლთა ქრესტომათია, თსუ, თბილისი, 1990, რედ. გრ. გიორგაძე).

ქ. მზიას მთარგმნელობითი შემოქმედება განსაკუთრებით გაი-ფურჩენა ძველი ინდური ძეგლების გადმოლებისას ქართულად (სან-სკრიტიდან). ეს ძეგლები თავისითავადაც ლექსებადა შექმნილი, ასე რომ რა გასაკვირია, ქართული თარგმანებიც ბრწყინვალედა გალექსილი. ამ შემთხვევაში ქართული ლექსის სხვადასხვა ზომებია გამოყენებული, ორიგინალის ლექსტრწყობიდან გამომდინარე. ესაა, მაგ., რიგვედის მთელი რიგი ჰიმნი, დაბეჭდილი იმავე ქრესტომათიაში (1990) და „არმალანის“ ერთ-ერთ კრებულში (1988). ჰიმნების გამოთქმით წაკითხვა ქ. მზიას ხსალისებოდა და სიამოვნებით, საუკეთესო, ჩინებული ქართული მხატვრული გამოთქმით გვიკითხავდა ხოლმე პირადად თუ ოფიციალურ ღონისძიებებზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ ქ. მზიას ინდოეთი და ინდური კულტურა გამორჩეულად ხიბლავდა, ნამყოფიც იყო ინდოეთში. სანსკრიტულ სტრიქონებსაც მიმზიდველი გამოთქმით (სკანდირებით) მიკითხავდა სწავლების პროცესში.

ავესტაც იყო პოეტური თარგმანის ობიექტი, ამ შემთხვევაშიც ორიგინალი გამოკვეთილად იძლევა ვერსიფიკაციის ვარიაციულობის შესაძლებლობებს, რაც ისეთი ოსტატის კალმით აგრეთვე მომნუსხველ ქართულ ლექსად იღვრებოდა (იხ.: არმალანი 1988; ირანული პოეზია, თბილისი, 1977, შემდგ. ვ. კოტეტიშვილი).

სხვათა შორის, სხვა ენებიდანაც თარგმნიდა სახალისოდ. მაგ., ჰერონდა ტუტჩევის მშვენიერი თარგმანები. მომინდა უცებ და ვთარგმნეო, ნამიკითხა. სხვა რუს კლასიკოსთა ნიმუშებიც თარგმნა.

ნაძირალები) = میستان ”დებოშების ადგილი, ტავერნა“, ხოლო  
აქედან ნაწარმოების ქ სუფიქსით ნიშნავს ”ლოთი, მემ-  
თვრალეს, სირაჯხანების მუდმივ სტუმარს“.

<sup>1</sup> გ. წერეთე ლი, არაბ. ქართ. ლექსიკ., გვ. 110; Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ.  
510–11.

<sup>2</sup> Михеев, დასახ. ლექსიკ., გვ. 312; Zenker, დასახ. ლექსიკ., გვ. 545.

<sup>3</sup> Belot, გვ. 893.

<sup>4</sup> იბ. ვისრამიანის ლექსიკონი (ა. გვახარისა და მ. თოლუს გამოცემა), გვ. 755.

<sup>5</sup> Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ. 404.

26. ხ ა ს ი ა თ ი — „ძირითადი თვისება, ზნე, ნიშანდობლივი თვისება, გული, სიცოცხლე, ხალისი“ (ვ. ტყ. ლექს., გვ. 395).

„ყმა სოფლისა ხ ა ს ი ა თ ი, ჯავარ-სრული, მრავალ-წყალი“ (ვ. ტყ., 693).

არაბული და ხაصიات. მრ. „ხაصის და ხაზის მასაბასიათებელი ნიშანი, თვისება, თვისებურება“ (Б а р а н о в, დასახ. ლექსიკ., გვ. 280).

ა. სპარსული ხაზის და ხაზის — „თვისება, ბუნებრივი ნიშანი“ (М и х а е р, დასახ. ლექსიკ., გვ. 184).

შაგრამ „ვეფხისტრუასნის“ ზემოაღნიშნულ კონტექსტში სიტყვა ხასიათის სხვა მნიშვნელობით იხმარება — „გული, სიცოცხლე, ხალისი“, მისთვის ამოსავალია მეორე არაბული სიტყვა ხსიათ — „გრძნობა, განწყობილება, ხალის, გუნება“ ძირიდან ჴ — „გრძნობა, შეგრძნება“ (Б а р а н о в, დასახ. ლექსიკ., გვ. 214). ა. სპარსული ხსიათ — „გრძნობები, განწყობილებანი“ (М и х а е р, დასახ. ლექსიკ., გვ. 176). შეადარეთ ა. ქართ. გამოთქმა „ხასიათზე არა ვარ“ ან „ცუდ ხასიათზე ვარ“ და შისთანანი.

ორმა სხვადასხვა არაბულმა სიტყვამ გ ა ხ ა ზ ე ბ ა დ ა გ ა რ თ უ ლ შ ი ნ ე რ ი კ უ რ ი ს ა ხ ე მ ი ი ლ კ ა რ თ უ ლ შ ი ნ .

სპარსულში განიჩევა თავისილური, კ და ჭ რომელიც ქართულში ერთგვარად გადმოვიდა. გრძელი შ და მოკლე ა, ი, პირველ მარცვალში აგრეთვე ა-თია გადმოცემული, არ არის განსხვავება ქართულში (ისე როგორც სპარსულში) ს-სა და ც-ს შორის, ამიტომ ქართულში მიღილეთ ერთი სიტყვა, რასაც, ალბათ ხელს უწყობდა ერთგვარი სემანტიკური სიახლოვეც. თვისება, ზნე — გუნება, განწყობილება.

27. ხ ა ზ ი (ნახაზობა) ‘მოხაზულობა, სურათის დახატულობა’ (ვ. ტყ. ლექს.).

„რა გიაშბო ქება მისი, რა სიტურთვე, რა ნაზობა!  
ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინმცა ვით ქმნა ნ ა ხ ა ზ ი ბ ა“

(ვ. ტყ., 1136<sub>3</sub>).

შეიძლება ეს იყოს არაბული ტ ხ — „ხ ა ზ ი, ზოლი, კვალი, ტრასა, რიგი, ხელი, დამწერლობა, კალიგრაფია“.

ტ ხ (II) — „ხ ა ზ ის გავლება, ხ ა ზ ი, დახაზვა, წერა, გეგმის დახაზვა“ (Б а р а н о в, დასახ. ლექსიკ., გვ. 284).

ა. სპარსული ტ ხ მრ. ხ ტ რ ი ტ (ხოტუტ); 1. ხ ა ზ ი, შტრიზი, 2. ხ ე ლი, დამწერლობა, 3. დოკუმენტი, გუჯარი, სიგელი და სხვა.

ასახსნელია, რატომ მოგვეცა არაბ. ტ-მ სპარს. (თ) ქრთულში ჭ. ტ ხ . ფორმიდან მიღებულია ხ ა ზ ი, ხ ა ზ ვა.

٦  
— حز حزوز حز حزوز حز حزوز حز حزوز حز حزوز حز حزوز

„метка, зарубка“, ნიშნის დადება, დაწირვა. *ძირიდან* <sup>٧</sup> حز (n) — делатель  
надрез, зарубку — „დაწირვა, წირის, ხაზის გავლება“ (მჭრელი იარალით),  
წერა.

არაბული <sup>٨</sup> ხშირად გაცმოდის ქართულში ორგორუც ხ. შდრ. ხასიათი  
და სხვა.

28. ჯალაბი — „წევეულნი, ჭოჭვეული ხალხი, წვეულება, სახლეული,  
ჯალაბობა, მთელი სახლობა, ოჯახობა“.

„მისგან კიდე არვინ შექვევა, აეთანდილ უჩნს ვითა შეილი  
ჟველავა გაიყრა, ჯალაბი ჩინს არ დაჯრილი“ (ვ. ტყ., 101<sub>3</sub>).

„გაყრა ბრძანეს, გაიყრნეს, ჯალაბობა გაათხელეს (ვ. ტყ., 731<sub>4</sub>).

„რა ჯალაბი გაიყრა, ყმა ვაზირისა ეუბნების“ (ვ. ტყ., 732<sub>1</sub>).

„რა სულად მოვე, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა.

გარე მომრტყმოდეს ჯალაბი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა“

(ვ. ტყ., 348<sub>4</sub>).

„სმა, პურობა, გახარება ქნეს, ჯალაბი გაადიდეს;

ვითარიცუ ქორწილობა ხამს, ეგეთსა გარდიხდიდეს“ (ვ. ტყ., 1640<sub>1</sub>).

„შორს უარებდეს სარანგი, ხელთა აქვს მთა აბჯარია

მოიჯრებოდეს ჯალაბი, სარანგთა დამსაჯარია“ (ვ. ტყ., 1461<sub>3</sub>).

„შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა არ ხალვათი,

იქმო აქეთ დიდებულნი წარიგებით თოჯურ ათი (ვ. ტყ., 1011<sub>1</sub>).

არაბული <sup>٩</sup> სიტყვიდან — جَلْبَ جَلْبَ — „მიზიდვა, მიახლოვება, შემოტანა,  
იმპორტი“ (Баранов, დასახ. ლექსიქ., გვ. 163), جَلْبَ — „შემოტანილი, შე-  
მოყვანილი (საქონელი) მონები“. ახ. სპარსული جَلْبَ جَلْبَ (*jalāb*). — „მიახლო-  
ვება, დაახლოვება, მიზიდვა“ (Михлэр, დასახ. ლექსიქ., გვ. 151). შემო-  
ტანილი, შემოყვანილი > მოწევეული, მოზიდული.

\* \* \*

არაბული წარმოშობის ლექსიკური ელემენტები, რომლებიც საქმაოდ  
დიდი რაოდნობით გახდებიან ქართული ენის ლექსიკურ შემაღელობაში,  
ფეხს იყიდებენ ქართულში დაახლოებით VIII საუკუნიდან; პირველად არაბუ-  
ლი წარმოშობის საქუთარი სახელებისა და სამოხელეო ტერმინების სახით,  
რომელთაც უკვე IX საუკუნიდან დაწყებული მოსდევს რამდენიმე ზოგადი  
სახელი, დამოწმებული ძველი ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგლებში, რო-  
გორიც არის, მაგ., „ბალაგარიანი“, „მამათა სწილინი“ და სხვა. ეს სიტყვები  
თავისი ფონეტიკური სახის მიხედვით ახლოს არიან არაბულ ფორმებთან  
(მუსმარი, სირაჯი, რუბე, მაშფალა, ბარჯი, სახიერი, ტრფიალი და სხვა). მათგან  
უმრავლესობა შემოსულია, როგორუც ჩანს, უშუალოდ არაბულიდან, ნაწილი

კი ას. სპარსულის მეშვეობით, სადაც არაბული წარმოთქმა ზუსტად იყო და-  
ცული და მათი შეგვება სპარსული ენის ფონეტიკასთან დასრულებული არ  
იყო. XI საუკუნიდან იწყება. უკვე ახალი სპარსულის მეშვეობით, არაბული  
სიტყვების მოძალება, განსაკუთრებით მრავლად კი ისინი კლასიკური საერო  
ლიტერატურის ძეგლებში გვხვდებიან.

არაბული, სპარსული და ქართული ფორმების შეპირისპირებას და ფო-  
ნეტიკური შესატყვისობის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენაქება  
არაბული სიტყვების შემოსულის გზების გასარკვევად, თუმცა ამ შესატყვისობათა  
ზუსტი დადგენი მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს სირთულე  
შემდეგში მდგომარეობს: 1. არაბულის, სპარსულის და ქართულის სახთ  
ჩვენ საქმე გვაქმე სამი სხვადასხვა ენობრივი სისტემის წარმომადგენელთან,  
რომელთა ფონეტიკური შედეგენილობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისა-  
გან. სპარსულსა და ქართულს სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ სპეციფიკუ-  
რი არაბული კონსონანტიზის გაღმოსცემად (განსაკუთრებით ემფატიკური  
და ინტერდენგრატალი თანხმოვნებსათვის). სპარსული, რომლის კონსონანტუ-  
რი სისტემა უფრო მარტივია, უფრო მარტივად წყვეტს საკითხს, გადმოს-  
ცემს რა ერთი თანხმოვნით რამდენიმე არაბულ სხვადასხვა ხსიათის თანხმო-  
ვანს, მაგალითად, არაბული ინტერდენტალი ტ. ჯ და ს წარმოთქმაში გად-  
მოიცემა გ-თი, თანხმოვნები პ, ჟ, ჭ, ჸ გაღმოიცემა ჟ-თი, ჲ და ც გად-  
მოიცემულია ყრუ ტ-თი, და სხვა. ერთადერთი საშუალება, რომელიც სპარსულს  
მოებოვება, რათა თავითან აიცდონს დამთხვევა ისეთი არაბული სიტყვებისა,  
რომელებიც ზემოთ აღნიშნული ბეკრებით უპირისპირიდებიან ერთმანეთს, არის  
გრაფიკა, სადაც ნასესხებ არაბულ სიტყვებს შენარჩუნებული აქვთ საკუთარი  
დაწერილობა. 2. ქართულს, რომელსაც უფრო მდიდარი კონსონანტური სის-  
ტემა გააჩნია (ხშულთა საშეულებრივი სისტემა, მკვეთრი აფრიკატემი და  
სხვა), შეტანილი აქვს გადმოსცემს არაბული სპეციფიკური თანხმოვნები,  
თუმცა ქართული დამწერლობის სისტემა, რომელიც წარმოთქმის ზუსტი შე-  
სატყვისია, ვერ დაგვეხმარება სპეციფიკური არაბული თანხმოვნების დაბირის-  
პირებებზე დამყარებული არაბული სიტყვების დამთხვევათ თავითან აცილებაში  
ქართულში. ამის მაგალითად შეიძლება გამოვგადეს ქართული სიტყვა ლაჟა-  
ფი, სადაც ადგილი აქვს კონტაქტინაციას ორი არაბული სიტყვისას: ლა—  
“თავიშექცევა, ხუმრობა გართობა” და ლა— „მეტასხელი ზელწოლება“, „ცულ-  
მოუბარი“ (საბა). ხასიათი, სადაც შეიჩრდია თრი არაბული სიტყვა —  
— خاصیات —

„ნიშანი, თეისება, თავისებურება“ და چასტი — „გრძნობა, განწყობილება, გუ-  
ნება, ხალისი“ და სხვა. ხშირად ერთ არაბულ ბეკრას ქართულში რამდენიმე  
შესატყვისი მოებოვება. მაგალითად, არაბულ ც გადმოცემულია ან ნულით,  
ან და ჟ-თი. ც ს აგრეთვე ან ნულით, ან ხ-თი, ან ჟ-თი და ჲ-თი.  
კ — კ-თი და ქ-თი, ჲ — ჲ-თი და თ-თი და სხვა. ხმოვნები ი-ი და ე-თი,  
ე—უ და ა-თი და სხვ. ეს გარემოება ზოგჯერ საშუალებას იძლევა დავათარილოთ  
ნასესხები ან გავარკვით შემოსვლის გზა. მაგალითად, სიტყვები, რომელთაც

ع-ის ნაცელად ქართ. უ აქვთ, ან ც-ის შესატყვისად ქართ. კ უფრო ადრინ-დელ ძეგლებში გვხდებიან და უნდა ვითიქმიოთ, რომ ისინი გაცილებით ადრე-არიან შეთვისებული და ნაწილობრივ მაინც უშუალოდ, ვიდრე უ დაკარგული ან ც-ს შესაბამისად ქართ. უ- შეონე სიტყვები, რომლებიც უფრო გვიან-დელნი და სპარსულის მეშვეობით არიან შემოსულნი ქართულში. იგივე ითქ-მის ფ-ს შეონე სიტყვების მიმართაც, არაბ. ჟ-ს შესატყვისად თ-ს შეონე სი-ტყვებთან მიმართებით, ისე, როგორც არაბ. ს-ს ნაცელად ე და მ-ს ნაცელად — თ მხოლოდ სპარსული გზით შემოსულ შედარებით გვიანდელ სიტყვებში შეიძლება გვერბდეს. ასეთი სასიათის ფონეტიკური ცვლილებით უძლ გავირჩიოთ ქართულ-ნიადგაზე განვითარებული ფონეტიკური ცვლილებებისაგან (ასიმილაცია, დისი-მილაცია, სიტყვის ბოლოს მეტერთ დაყრუება, ბგერათ შენაცელება. ამოვარდ-ნა და სხვა), რომელსაც იღვილი აქვს არაბული წარმოშობის სიტყვებშიც, რამ-დენადაც ისინი უკვე ქართული ენის განვითარების კანონებს ემორჩილებიან.

იმის გამო, რომ არაბულმა სიტყვებმა გზა გაიკაფეს ქართულში იმ დროს, როდესაც ქართული ლიტერატურული ენა უკვე ჩამოყალიბებული და განვი-თარების მაღალ საფეხურზე მდგომი იყო, მათ (იშვიათი გამონაკლისის გარდა) სიმრავლის მიუხედავად ვერ მოახერხეს ისე „გაქართულება“, რომ ძნელი-იყოს მთაში ნასესხები სიტყვების ამონობა, როგორც ეს ირანული ენებიდან ძალიან ძველი ნასესხებების შემთხვევაში გვაქვს. არაბულ სიტყვათა ფონეტიკური იერი და სტრუქტურა დღვილად გვაგრძნობინებს თავის უცხოურობას, მიუხე-დავად გავრცელებულობისა და მთავ გამოყენებისა ყოველდღიური და ოუცი-ლებელი ხმარების ცრცებათა ალსანიშნავად.

ქართულში შეთვისებულ არაბულ სიტყვებში მეტყველების ნაწილებს შო-

რის უმეტესობას შეადგენენ მიმღებისა და მასდარის ფორმები და ჲ პრე-ფექსით (რომელიც მრავალთანანხოვნიანი ძირებიდან აღვილის, კურტკლისა და

არალის სახელებს აწარმოებს) დაწყებული სიტყვები მულ-ის ტიპისა, ამით აისწერდა განსაკუთრებული სიმრავლე მ-ზე დაწყებული არაბული სიტყვებისა და ქართულში (მუზარადი, მუფარაბი, მუხამარი და სხვა). არის შემთხ-ვევები ზმრადი ფუქების ს სესხებისაც (მაგ. ტრფიალება).

სპარსული გზით შემოსული სიტყვების გამოვლინებაში, ფონეტიკური ფაქ-ტორების გარდა, გვეხმარება მორფოლოგიური ელემენტები, რომლებიც ახ-ლავს ხოლმე არაბული წარმოშობის სიტყვებს სპარსულში (სადაურობის ალ-გნიშენელი უ, სუფიქსი, კნინობითის მაწარმოებელი უ, ე. წ. არაბულ-სპარ-სულ პიბრილული სიტყვები და სხვა).

მიუხედავდ იმისა, რომ XI საუკუნიდან დაწყებული არაბული სიტყვე-ბის შემოსასელელად სპარსული ძირითადი გზაა, არ შეიძლება დაბეჭითებით იმის თქმა, რომ XI საუკუნის შემდგომ არცერთი არაბული სიტყვა ალარ შე-მოდის ქართულში უშუალოდ. გარკვეული რაოდენობა არაბული სიტყვებისა, დადასტურებული „ვისრამიანზ“ „კეფხისტყაოსანზი“ და კლასიკური საერო-ლიტერატურის სხვა ძეგლებში, თავისი ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით უფრო ახლოს დგას ამოსავალ არაბულ ფორმებთან უიდრე სპარსულ ნასეს-ხებებთან. უნდა ვითიქმიოთ, რომ განათლებული ქართველი მწერლები არაბულ

ენას დაუფლებული იყვნენ სპარსელებზე არა ნაკლებად და არაბულ ლიტერატურას ორიგინალში კითხულობდნენ (რუსთველი, მეხოტბები, ვისრამიანის მთარგმნელი და სხვებიც). ამის ერთერთი საბუთია ის გარემოებაც, რომ ოროგორც ქართული „ეისრამიანის“ სპარსულ ორიგინალთან შებირისპირებისას ირკვევა, ქართველი მთარგმნელი ორიგინალის ზოგ სპარსულ ინ არაბულ სიტყვას ცვლის ისეთი ქართულში დაკვიდრებული არაბული სიტყვით, რომელიც სპარსულში ან არ გვხვდება, ან იქ სხვა ფორმით არის წარმოდგენილი (შეღ. ჟაზარი, ხარაბათი, მუხადერი, ასაბადი და სხვა). არაბული წარმოშობის ლექსიების შესწავლას ქართულში დიდ მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ენის ისტორიის და ლექსიკოლოგიისათვის; ქართულში დადასტურებულ არაბულს და ე. წ. არაბულ-სპარსულ სიტყვებს შეუძლიათ გარკვეული უკეში მოპტიმონო არაბული და განსაკუთრებით სპარსული ისტორიული ფონეტიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხებსაც<sup>2</sup>.

ზოგადი ენათმეცნიერების

კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 20/IX—1963 წ.)

## М. АНДРОНИКАШВИЛИ

### АРАБСКИЕ СЛОВА, ПРОНИКШИЕ В ГРУЗИНСКИЙ ЯЗЫК ЧЕРЕЗ ПЕРСИДСКИЙ

#### Резюме

1. Арабские лексические элементы начинают проникать в грузинский язык примерно с VIII в. н. э.; с XI в. число усвоенных грузинским языком арабских слов возрастает, но заимствование осуществляется, главным образом, через посредство персидского языка.

Для выяснения пути проникновения арабских слов в грузинский язык большое значение имеет сопоставление арабских, персидских и грузинских форм заимствованного слова и установление точных фонетических соответствий.

<sup>1</sup> იხ. „ეისრამიანი“, ა. გვარაიას და მ. თოდუას გამოცემა, ლექსიკონი.

<sup>2</sup> ჩვენი სტატია დასაბუქდად გადაცემული იყო 1963 წელს, დაწერილი კი გაცილებით ადრე. ეს კრებული კი დაგვიანებით გამოდის. ამის გამო ჩვენ ვერ გამოვიყენოთ გერმანელი მეცნიერის Heinz Faehnrich-ის ასანტრექსო შრომა *Arabische Lehnwörter in der georgischen Sprache*, გამოქვეყნებული ეურნალში „ბედი ქართლისა“ (Revue de kartvelologie), vol. XVII—XVIII, № 45—46, Paris, 1964. ალნიშვნლი ნაშრომი ეხება ქართულში არაბულიდან ნასხვებს სიტყვებს, ძირითად მასალად გამოცენებულია „ქართულ განმარტებით ლექსიკონში“ და რ. მეგელიანის „ქართულ-გერმანული ლექსიკონში“ მითითებული არაბული სიტყვები და წარმოდგენილი ფონეტიკური ნარკვევა არაბული ბეკრძის ქართულში გადმოცემის შესახებ, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში იმავე საკითხებზე საუბარი, რახდაც ჩვენს შრომაში. ჩვენ დაგვიჩინია მხოლოდ მწუხარება გამოვთქვათ იმის გამო, რომ აღნიშნული ნიშანმი ვერ გავითვალისწინეთ ჩვენგან დამოუკიდებელი მისწყების გამო.

2. Языки грузинский и персидский, обладая различными фонетическими системами, имеют различные возможности для передачи специфических арабских звуков (эмфатические и интердентальные согласные и т. д.). Персидский язык, имея более простую систему консонантов, решает вопрос более просто, передавая одной согласной несколько арабских согласных. Например, арабские ش, ص в персидском произношении не отличаются друг от друга, таким же образом арабские ذ, ض и ظ передаются одним звуком (z), нет разницы и в произношении ش и ط. Но зато персидский язык, сохранив написание заимствованных арабских слов, имеет возможность графически отличить эти звуки друг от друга и избежать омофонии.

Грузинский язык, обладая более богатой и сложной системой консонантов, имеет лучшие возможности для передачи арабских звуков, хотя грузинская система письма, точно соответствующая произношению, не в состоянии избежать совпадения арабских слов, противостоящих друг другу специфическими арабскими согласными. Примером этого могут служить такие грузинские слова, как ფაუფ-ი, ფაუდ-მბ-ი, которые являются контаминацией двух арабских слов لعب и قب, так же как слово ხასიათ, в котором слились арабские حسابات и другие.

3. Часто один арабский звук имеет в грузинском несколько соответствий, например арабский ئ(<sup>1</sup>) передается или нулем или через грузинский յ, арабский ڙ (h) или нулем или через грузинский ბ, арабское ڱ через ڙ и ڻ, ڻ через ڻ и ڻ и т. д. Это обстоятельство, в ряде случаев, дает возможность датировать заимствование или выяснить путь проникновения арабского слова в грузинский язык. Например, слова, имеющие вместо арабского ڦ грузинский ڙ или вместо арабского ڻ грузинский ڻ, встречаются в более ранних памятниках и нужно думать, что они проникли в грузинский язык раньше слов, имеющих нуль вместо ئ и ڻ—вместо ڦ, притом в большинстве случаев непосредственно из арабского. То же самое можно сказать о словах, имеющих ڻ—вместо арабского ڻ по отношению к словам, где ڻ передается через грузинский ڻ, что характерно для поздних заимствований через персидский язык.

4. Арабские слова, засвидетельствованные в грузинском, легко могут быть опознаны по своему фонетическому облику. Они, несмотря на многочисленность, не смогли приспособиться к грузинскому так, как самые древние заимствования из иранского, в которых трудно узнать заимствованные слова. Это объясняется тем, что арабские слова проникли в грузинский язык, когда древнегрузинский литературный язык был уже формирован и стоял на высокой ступени развития.

ენა და ლიტერატურა

**Language and Literature**



**ფატმან ანთაძე-მალაშხია  
სპარსულიდან ქართულში შემოსული ზოგიერთი ციკლური  
ნასესხობის შესახებ<sup>1</sup>**

ქართულ ენას საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა ირანულ ენობრივ სამყაროსთან, პირველ რიგში, სპარსულ ენასთან. სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები მოიცავდა როგორც საშუალო (სავარაუდოდ, ძვ.წ. IV ს.-ახ. წ. VII-VIII საუკუნეები)<sup>2</sup>, ასევე ახალსპარსულ (ახ.წ. X საუკუნიდან დღევანდლამდე, კლასიკური სპარსულის ქვეპერიოდი –X-XV საუკუნეები<sup>3</sup>) პერიოდს.

ეს კონტაქტები XIX საუკუნეებდე ძალზე აქტიურად ხორციელდებოდა როგორც წერილობით, ასევე ზეპირ დონეზე. გარკვეულნილად სპარსულის ზეპირმეტყველებით შეხება ქართულთან XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე გაგრძელდა, სანამ ძველ თბილისში ჯერ კიდევ სახლობდა მცირერიცხოვანი სპარსული თემი<sup>4</sup>.

ხსენებულ გარემოებათა შედეგად, ქართულ ლექსიკაში საშუალო და ახალ სპარსულ ნასესხობათა ბირთვია წარმოდგენილი. ეს ნასესხობები არაერთი მეცნიერის შესასწავლ საგნად იქცა. ამ მიმართულებით ყველაზე ვრცელი და ფუნდამენტური გამოკვლევები აკადემიკოს მზია ანდრონიკაშვილს ეკუთვნის<sup>5</sup>, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ირანულ-ქართველურ ენობრივ ურთიერთობათა მასშტაბურ კვლევას. შედარებით ახლო წარსულში ასევე გამოქვეყნდა ამ ურთიერთობათა კვლევისადმი მიძღვნილი სხვა მონოგრაფიული ნაშრომებიც<sup>6</sup>.

ზემოთქმულის მიუხედავად, ქართულში შემოსულ ირანულ, კერძოდ, სპარსულ ნასესხობათა საკითხი არ შეიძლება ამონურულად ჩაით-

<sup>1</sup> წინამდებარე სტატია წარმოადგენს ჩვენი ადრეული პუბლიკაციის გადამუშავებულ ვერსიას – ფ. ანთაძე-მალაშხია, სხვადასხვა ბერიოდში შემთხული ზოგიერთი სპარსული ნასესხობისათვის ქართულში (ქართველოლობის აქტუალური პრობლემები I, 2012) 51-61. ასევე გამოყენებულია გადამუშავებული ფრაგმენტი სტატიისა – ფ.ანთაძე-მალაშხია, ქართულში შემთხული სამი ორიენტაციონური შესახებ (ენათმეცნიერების საკითხები, 2011) 30-43.

<sup>2</sup> . ( , 1981), 6.

<sup>3</sup> . ( , 1982), 5.

<sup>4</sup> ამ პერიოდის თბილისში სპარსული თემის შესახებ არსებული ცნობები იხილეთ: მ. ალექსიძე, სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში (თბილისი, 2009).

<sup>5</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I (თბილისი, 1966);

მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან II (თბილისი, 1996).

<sup>6</sup> J. Gippert, *Iranica. Armeno-Iberica I-II* (Wien, 1993);

ნ. ბართაძა, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა (თბილისი, 2010).

ვალის, რამდენადაც ის სამომავლოდ გასათვალისწინებელ სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. ერთ-ერთ ასეთ ასპექტად იმ ნასესხობათა შესწავლა გვესახება, რომლებიც ციკლურად, ანუ სპარსული ენის ისტორიის ორ სხვადასხვა – საშუალო და ახალ ეტაპზე შემოვიდნენ ქართულში. ასევე უალრესად მნიშვნელოვანია იმ ნასესხობათა ანალიზი, რომელთა ეტიმონები არ შემონახულა და მათი აღდგენა ნასესხებ ან სხვა ირანულ ენათა ფორმების მიხედვითაა შესაძლებელი<sup>1</sup>. ჩვენ მიერ გასაანალიზებელ ნასესხობათა შემთხვევაში ძირითადად საშუალო სპარსულიდან შემოსულ სიტყვათა ეტიმონების აღდგენა იგულისხმება.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ რამდენიმე ციკლურ ნასესხობას(რემაკ-ი/რემა, ფარდაგ-ი/ფარდა, ჭაბუკ-ი/ჩაუქ-ი, ხანაგა/ხანა, ზირაკ-ი/ზირა/ძირაკ-ი/ძირა, ჭალაკ-ი/ჭალა, სადაგ-ი/სადა), რომელთაგან ზოგიერთი დაუდასტურებელი საშუალო სპარსული ეტიმონის აღდგენის საშუალებას იძლევა. ამავდროულად ვეხებით განსახილველ ნასესხობათა ფონეტიკური და სემანტიკური ადაპტაციის საკითხებს.

ნასესხობასა და ეტიმონს შორის შინაარსობლივი სხვაობის შემთხვევაში ალსანქრად ვიყენებთ მ. ნიკიტინის მიერ შემოთავაზებულ სისტემას, რომელიც პოლისემანტის სიტყვათმნიშვნელობათა შორის არსებულ კავშირთა ტიპებს წარმოგვიდგენს<sup>2</sup>. ეს კავშირები ხსენებული სისტემის მიხედვით ორი ძირითადი სახეობითაა წარმოდგენილი:

1) იმპლიკაციური, რომელიც სახეობებს, თვისებებსა და მიმართებებს შორის კავშირებზეა დამყარებული;

2) კლასიფიკაციური, რომელიც ორ ქვეტიპს გულისხმობს:

ა) ჰიპო-ჰიპერონიმულს. ის მოიცავს როგორც გენერალიზაციის (მნიშვნელობის გაფართოების, ჰიპერონიმიზაციის, ფ. ა-ზ), ასევე სპეციალიზაციის (მნიშვნელობის დავინროების, ჰიპონიმიზაციის, ფ. ა-ზ) კავშირს;

ბ) სიმილაციურს, რომელიც საგანთა და ცნებათა თვისებების მსგავსებითაა განპირობებული.

ჩვენი მხრიდან დავსძენთ, რომ იმპლიკაცია შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ, ასევე რამდენიმე თემატურ ან ლექსიკურ-სემანტიკურ ველს. რაც შეეხება ჰიპო-ჰიპერონიმიზაციის მიმართებას, ის, ცხადია, არასდროს არ სცდება თემატური ან ლექსიკურ-სემანტიკური ველის ფარგლებს, ხოლო სიმილაციური მიმართება, რომელიც ზემოაღნიშვნულის თანახმად, საგანთა და ცნებათა თვისებების მსგავსებას ეფუძნება, ძირითადად არ ხორციელდება ერთი და იმავე სემანტიკური ველის ფარგლებში, რადგან სიმილაციით დაკავშირებულ სიტყვათმნიშვნელებებს არ აერთიანებთ დამაქვემდებარებელი ჰიპერსემა.

<sup>1</sup> ირანულ ენათა ისტორიისათვის ნასესხობათა მნიშვნელობის შესახებ იხილეთ: მ. ანდრონიკაშვილი, ხარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, 6-7.

<sup>2</sup> , 1983), 37-40. ( -

პოლისემანტის სიტყვათმნიშვნელობათა ურთიერთმიმართების ალსანერად გამოყენებული იმპლიკაციის, ჰიპო-ჰიპერონიმიზაციისა და სიმილაციის ცნებები ჩვენ მოვარგეთ ეტიმონსა და ნასესხობას შორის არსებულ შინაარსობლივ კავშირს, რამდენადაც აქაც სიტყვათმნიშვნელობათა მიმართებებია გასაანალიზებელი, ოღონდ არა ერთი ენის, არამედ ორი – გამსესხებელი და მსესხებელი ენის ფარგლებში.

საანალიზო სიტყვათაგან პირველ რიგში განვიხილავთ დადასტურებული საშუალო სპარსული ეტიმონის მქონე ნასესხობებს. ესენია: **რემაკ-ი/რემა, ფარდაგ-ი/ფარდა, ჭაბუკ-ი/ჩაუქ-ი** და, შესაძლოა, **ხანაგა/ხანა**.

საშუალო სპარსული **ramak**-ისა და კლასიკური სპარსული **rama**/თანამედროვე სპარსული **räme**-ს მნიშვნელობა „ჯოგი, ფარა“ სრულად ემთხვევა ერთმანეთს.<sup>1</sup> ახალი სპარსულიდან მომდინარე ქართული **რემა** – „ცხენის ჯოგი“ ჰიპონიმიზებულია, ანუ მასში დავიწროვებულია ეტიმონის ზოგადი მნიშვნელობა. „ჯოგ-ისა“<sup>2</sup> და „ფარ-ის“ პარალელურად ახალი სპარსულის ერთ-ერთ ლექსიკონში დასტურდება **räme**-ს უფრო სპეციალიზებული, თუმცა ქართული პარალელისაგან განსხვავებული მნიშვნელობა „ოთხფეხთა გროვა, განსაკუთრებით ცხვართა და თხათა“<sup>3</sup>.

რაც შეეხება საშუალო სპარსული **ramak**-იდან მომდინარე ქართულ **რემაკ-ს**, აქ დაკარგულია ეტიმონში წარმოდგენილი კრებითობის სემანტიკური კომპონენტი და მისი მნიშვნელობაა „გაუხედნავი ჭაკი ცხენი ან ვირი“<sup>4</sup>. ეს მნიშვნელობა იმპლიკაციურ მიმართებაშია როგორც ეტიმონ **ramak**-თან, ასევე ქართულში დამკვიდრებულ **რემა-სთან**. „ცხენის ჯოგის“ პარალელურად, **რემა** ფორმაშიც დასტურდება სადლეისოდ არქაიზებული და **რემაკ-ის** თითქმის იდენტური მნიშვნელობა „გაუხედნავი ცხენი“<sup>5</sup>, ამავდროულად ხევსურულ დიალექტში **რემა** ნიშნავს „კარგ ცხენს“. მითითებულ მნიშვნელობათა მიმართები ეტიმონ **rama/räme**-სთან იმპლიკაციური ხასიათისაა.

ამრიგად, **რემაკ** ფორმამ სემანტიკური ცვლილების ფონზე შეინარჩუნა ეტიმონის მონოსემიურობა, მაშინ როცა **რემა** პოლისემანტად გვევლინება, თუმცა მისი მნიშვნელობები არ ემთხვევა პოლისემიური ეტიმონის მნიშვნელობებს<sup>6</sup>. აქვე დავსძენთ, რომ ლექსიკური მდგრადობის თვალსაზრისით, ნაკლებგამძლე აღმოჩნდა **რემაკ** ფორმა, თუმცა ასევე მივიწყებულია **რემას** მნიშვნელობები „გაუხედნავი ცხენი“და

<sup>1</sup> H. S. Nyberg, *A Manual of Pahlavi. Glossary* (Wiesbaden, 1974), D. N. MacKenzie, *A Concise Pahlavi Dictionary* (Oxford-New York-Toronto, 1986), ح. انوری، فرهنگ بزرگ سخن (تهران، 2003)

<sup>2</sup> غ. ص. افشار، ن. حکمی، ن. حکمی، فرهنگ معاصر فارسی (تهران، 2004)

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII (თბილისი, 1950-1964).

<sup>4</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>5</sup> **räme**-ს „ჯოგის“ გარდა, აქვს „შეჯავუფებული ხალხის“ მნიშვნელობა. იხილეთ: ج. انوری، فرهنگ بزرگ سخن

„კარგი ცხენი“, რაც სადლეისოდ **რემას** ფაქტობრივ მონოსემიურობაზე მიუთითებს.

**რემაკი**-ის ფონეტიკური ადაპტაცია შეესაბამება საშუალო სპარსულ ბგერათა ქართულში გადმოსვლის წესებს (**r>r**, **a>a/ə**, **m>θ**, **k>აბრუპტი-ვი კ**, განსხვავებით ახალი სპარსული **k-სგან**, რომელიც **ქ-დ გადმოდის**<sup>1</sup>). ეს სიტყვა საშუალო სპარსულის ადრინდელ საფეხურზე ჩანს ნასესხები, ამას ადასტურებს ფუძის ბოლოკიდური ბგერის კ-დ და არა გ-დ გადმოსვლა. **რემაკი**-ი მომდინარეობს **ramak** და არა გვიანდელი **ramag** ფორმიდან (საშუალო სპარსულში **k>g** გადასვლის შესახებ იხ. ქვემოთ).

საშუალო სპარსული **\*pardak/pardag**-იდან მომდინარე ფარდაგ-ი და კლასიკ. სპარს. **parda**/თანამედრ. სპარს. **pärde**-დან მომდინარე ფარდა ფორმებს შორის, **რემაკ** და **რემა** ფორმების მსგავსად, დასტურდება, როგორც ფონეტიკური, ასევე სემანტიკური განსხვავება.

სავარაუდოდ, საშუალო სპარსულის ადრინდელ საფეხურზე უნდა ყოფილიყო ლექსიკონებში დაუდასტურებელი **\*pardak** ფორმა, რადგან თავდაპირველად ინტერვოკალურ და პოსტვოკალურ პოზიციებში ნარმოდგენილი იყო არა მუღერი ხშული **g**, არამედ მისი ყრუ შესატყვისი **k**, რომელიც გვიანდელ ეტაპზე გამუღერდა<sup>2</sup>. შესაბამისად, ფარდაგ-ი გვიანდელი საშუალო სპარსულიდან უნდა იყოს შემოსული ქართულში.

ეს ნასესხობა შინაარსობრივად საკმაოდ ახლო დგას ეტიმონის მნიშვნელობებთან (**pardag** „საფარველი, ფარდა“),<sup>3</sup> თუმცა „საფარველთან“ შედარებით ჰიპონიმიზებულია. ასევე გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან ფარდაგ-ისა და ფარდ-ის შინაარსი, რის საფუძველზეც ამ ორი სიტყვის მნიშვნელობებს შორის მყარდება იმპლიკაციური კავშირი. იხ. **ფარდაგ-ი** „კედლის შესამოსი“.<sup>4</sup> „მსხვილი მატყლის ძაფის უხაო ქსოვილი საფენად ან კედელზე გასაკრავად“.<sup>5</sup> როგორც ჩანს, ფარდაგის თავდაპირველი მნიშვნელობა ფარდის მნიშვნელობის-იხ. ქვემოთ) იდენტური იყო: „ასმათ ფარდაგსა აზიდა, გარე ვდეგ მოფარდაგულსა“ (ვეფხისტყაოსანი)<sup>6</sup>.

ფარდაგი დერივაციულ აქტივობას ავლენს, ანარმოებს რა ნასახელარ ზმნას **ა-ფარდაგ-ებ-ს** (იხ. ასევე ამ ზმნის ზემოთ მოტანილი ნამყოს მიმღეობის ფორმა მო-ფარდაგ-ულ-ი). ფარდაგ-ის ხშირ გამოყენებასთან ერთად მის პაზაზე დერივატების ნარმოებამ ნასესხობის ადაპტაციის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

ქართულში ფარდა მონოსემანტია და აღნიშნავს ფანჯარაზე ან კარზე ჩამოსაფარებელ, ოთახის გადასალობად ან სცენის დასაფარად

<sup>1</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები იოანელ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდანI. 206, 182-184, 210, 195.

<sup>2</sup> , 32-33.

<sup>3</sup> D. N. MacKenzie, *A Concise Pahlavi Dictionary*.

<sup>4</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II (თბილისი, ტ. I-1991, ტ. II – 1993);

<sup>5</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>6</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

გამოყენებულ ქსოვილს.<sup>1</sup> ქართული პარალელისგან განსხვავებით, ახ. სპარსული **pärde** (კლას. სპარს. *parda*) პოლისემიურ სიტყვად გვევლინება და ქართულში წარმოდგენილი მნიშვნელობის გარდა, გულისხმობს ზოგადად საფარველს, სურათს, ფენას, გარსს, აპკს, ასევე კარავს<sup>2</sup>. ნასესხობა ფარდა აქტიურად გამოყენებული ლექსიკური ერთეულია.

შინაარსობრივად იგივეობრივია საშუალო სპარსული **buk** (ადრინდელი ფორმა)/ **bug** (გვიანდელი ფორმა) და ახალი სპარსული **åbok** „სწრაფი, მკვირცხლი“,<sup>3</sup> თუმცა, **åbok** პოლისემიზაციისკენაა მიდრეკილი. ის „სწრაფისა და მკვირცხლის“ გარდა მოიცავს მნიშვნელობებს „ცოცხალი, მარჯვე, ყოჩალი“.<sup>4</sup> ეს სიტყვა იმავდროულად გრამატიკული პოლისემანტიცაა და მას აქვს როგორც ზედსართავული, ასევე ზმინზედური მნიშვნელობა. შესაძლებელია, ამგვარი გრამატიკული პოლისემანტი ყოფილიყო საშუალო სპარსული **buk**-იც, რადგან ზედსართავთა გაზმინზედებას ამ ენობრივ პერიოდშიც ჰქონდა ადგილი.<sup>5</sup>

ნასესხობა ჭაბუკ-ი ქართულში მორფოსემანტიკურად ცვლილია. იგი გვევლინება არსებით სახელად მნიშვნელობით „ახალგაზრდა ვაჟი“, ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს დეტერმინანტული შესიტყვების, სავარაუდოდ, „ჭაბუკი ვაჟის“ ელიფსიზაციასთან. როგორც ჩანს, ამ შესიტყვებაში ახ. სპარს. **åbok**-ში წარმოდგენილი მნიშვნელობები „მკვირცხლი, სწრაფი“ იმპლიკაციური მიმართების საფუძველზე ჩანაცვლებულდა „ყმანვილით, ახალგაზრდით“.

დასტურდება ჭაბუკ-ის მოძველებული მნიშვნელობაც „მოყმე, რაინდი“. სადღეისოდ ეს ნასესხობა მონოსემანტია აღიქმება.

ქართულში ჭაბუკ-ის ადაპტაციის ნიშნული საკმაოდ მაღალია, რასაც ადასტურებს ამ ნასესხობის გამოყენების სიხშირეცა და მისი დერივაციული აქტივობაც. იხილეთ ნასახელარი ზმნები: ჭაბუკ-ობ-ს, ა-ჭაბუკ-ებ-ს, მზეჭაბუკ-ი.

ფონეტიკური ფორმის მიხედვით, ჭაბუკ-ი ადრინდელი საშუალო სპარსულიდანაა ქართულში შემოსული, მისი ეტიმონია **puk**, და არ **buk**, სადაც გვიანდელი საშუალო სპარსულის კანონზომიერების შესაბამისად ინტერვოკალური **p** გამჟღვრდა და **b**-ს სპირანტიზებულ გარიანტი **B**-დ გარდაიქმნა,<sup>7</sup> რომელიც ქართულში ხმოვნებს შორის ბ-დ არ

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>2</sup> انوری، فرنگ بزرگ سخن(تهران، 2003). حکمی، ن. حکمی، فرنگ معاصر . . . (2003).

<sup>3</sup> (فارسی) (تهران، 2004). 1985).

<sup>4</sup> H. S. Nyberg, *A Manual of Pahlavi. Glossary*, Mac Kenzie, *A Concise Pahlavi Dictionary*.

<sup>5</sup> انوری، فرنگ بزرگ سخن . . . (1985).

<sup>6</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>7</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII. , 30.

გადმოდიოდა (იხ. ქვემოთ). რაც შეეხება საშუალო სპარსულ პ-ს ადაპტაციას, ის ქართულში მეტნილად პ-ს, ზოგჯერ ფ-სა და ასევე ბ-ს(იხ.

**puk > ჭაბუკ ფ.ა.-ბ.** სახით იყო შეთვისებული<sup>1</sup>.

საშუალო სპარსული **puk** მიეკუთვნება იმ გამონაკლის სიტყვათა რიგს, სადაც საშუალო სპარსულის გვიანდელ საფეხურზე ბოლოკიდური **k** არ გამუღერებულა. მას არ გააჩნია გამუღერებული პარალელი \* **åbug**-ის სახით. ამგვარ სიტყვათა რაოდენობა არცთუ მცირეა<sup>2</sup>.

არ გამოვრიცხავთ, **ჭაბუკ**-ის სომხური მეშვეობით შემოსვლას ქართულში, რადგან ამ სიტყვის სომხურ პარალელშიც გადმოცემულია **ჭ-**თი. საშუალო სპარსული წარმომავლობის სომხურ-ქართულ პარალელებში **>ჭ** გადასვლა<sup>3</sup> გვათიქრებინებს, რომ ქართულში საშუალო სპარსპარსული -ს ამგვარი შეთვისება სომხური გავლენით უნდა იყოს განპირობებული, რადგან ქართულში საშუალო სპარსული ასევე **ჩ-დ** გარდა-იქმნება.

ქართულისგან განსხვავებით, ეტიმონ **puk**-ის მნიშვნელობა და მორფოლოგიური კატეგორია სომხურში უცვლელია<sup>4</sup>.

საშუალო სპარსული **puk > ახალი სპარსული åbok** ქართულში **ჩაუქ** ფონეტიკური ფორმითა და მორფოსემანტიკურად უცვლელი სახით (**ჩაუქ-ი ზედ**. სახ. „მარდი, შემძლე, მამაცი“) ხელმეორედ შემოდის სხვა ქრონოლოგიურ, კერძოდ, ფარსის, ანუ ახალი სპარსულის ეტაპზე. ამას ადასტურებს **k-ს** **ქ-დ** გადმოსვლა. ამ სიტყვის ხელახალი სესხება უნდა მომხდარიყო ახალი სპარსულის ძალიან ადრეულ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო საშუალო სპარსულის გვიანდელი საფეხურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფონეტიკური ნიშან-თვისება, კერძოდ, **b-ს** სპირანტიზაცია.

**ჩაუქ-ი**-ის ეტიმონად მ.ანდრონიკაშვილის კვალდაკვალ, **åbok**-ის ფონეტიკურ ვარიანტ \* **åbok-ს** მოვიაზრებთ. საშუალო სპარსულის გვიანდელ ეტაპზე ხშული **b** ინტერვოკალურ და პოსტვოკალურ პოზიციაში სპირანტ **ბ-დ** გარდაიქმნა<sup>5</sup>. როგორც ჩანს, ამ სპირანტმა ქართულში **3** მოგვცა, რომელიც ქართულისათვის ბუნებრივი ტენდენციის შესაბამისად, **უ-ს** წინ დაიკარგა<sup>6</sup>.

ამ ნასესხობაში უცვლელადაა გადმოტანილი ეტიმონ **åbok**-ის პირველი და მასთან შინაარსობრივად ახლო მდგომი მეხუთე მნიშვნელობა,,მარდი და შემძლე<sup>7</sup>, რომელთა პოლისემიური არე მცირედაა

<sup>1</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, 191-193.

<sup>2</sup> . , 30.

<sup>3</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I. 320; 406-409.

<sup>4</sup> იქვე, 409.

<sup>5</sup> , 31.

<sup>6</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან II, 171.

<sup>7</sup> انوری، فرهنگ بزرگ سخن

გაფართოებული „მამაცის“ სიტყვათმნიშვნელობით, რომელიც იმპლიკაციურ მიმართებაშია „მარდთან და შემძლესთან. „ახალი სპარსული **åbek** თავისთავად ლექსიკურ-გრამატიკული პოლისემანტია, რომლის სამი მნიშვნელობა არქაიზმადაა კვალიფიცირებული: 1) ზედსართავი – „მარდი, ყოჩალი“; 2) ზმნიზედა – „მარდად, ყოჩალად“; 3) არქაიზმი; ზედსართავი – „ლამაზი, ნატიფი“; 4) არქაიზმი; ზედსართავი – „პირმშვენიერი, თავმომნონე და კადნიერი პირმშვენიერი“; 5) არქაიზმი; ზედსართავი – „მარდი, ყოჩალი“; 6) არქაიზმი; ზედსართავი – „მარჯვე, ყოჩალი“.

ლექსიკური მდგრადობის თვალსაზრისით, აქტიურად ფუნქციონირებადი ჭაბუკისაგან განსხვავებით, ქართული ჩაუქ იშვიათად ხმარებულ ფუძეთა რიცხვს მიეკუთვნება. ამ ორ ციკლურ ნასესხობას შორის არსებული სემანტიკური კავშირი იმპლიკაციას ეფუძნება.

განვიხილავთ ასევე არქაიზებულ ლექსიკურ ერთეულებს **ხანაგასა** და **ხანას**, რამდენადაც არაა გამორიცხული, რომ ისინი ციკლურ ნასესხობებს წარმოადგენდნენ.

ეს სიტყვები სემანტიკურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, იხილეთ: **ხანაგა** 1) „თავშესაფარი სახლი დავრდომილებისა და ობლებისათვის“; 2) „იგივეა, რაც სასტუმრო“. და **ხანა** 1) „სახლი, შენობა“: მათვის დაცალეს ყოველგან ქარვასლები და ხანები“ (თემიურაზი); 2) „როული ფუძის შემადგენელი ნანილი: ზარაფხანა, თოფხანა“.<sup>1</sup> სადღეისოდ **ხანა** იშვიათად და მხოლოდ მეორე მნიშვნელობით გვხვდება. იხილეთ ზემოთ მოტანილ მაგალითთა ანალოგიური ჩაიხანა, ყავახანა.

საშ. სპარს. **x nak**/გვიანდელი **nag** და ახ. სპარს. **xâne** (კლასიკური სპარსული **xână**) მნიშვნელობით ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა **xâne** პოლისემიური სიტყვაა და „სახლის“ გარდა მოიცავს მნიშვნელობებს „შენობა, ნაგებობა“, „უჯრედი“, „კვადრატი“, „უჯრა“, „ქულა“. ის გვეპლინება რთული ფუძის კომპონენტის ფუნქციითაც, რაც გადმოტანილია ქართულ ნასესხობაშიც (იხ. ზემოთ ჩაიხანა, ყავახანა).

გვიანდელი საშუალო სპარსული **x nag**-იდან **ხანაგა-ს** მომდინარეობისთვის არ არსებობს ფონეტიკური და მით უმეტეს, სემანტიკური დაბრკოლება. ბოლოკიდური **ა** თავისუფლად შეიძლებოდა ქართულ ნიადაგზე განვითარებულიყო (შეადარეთ ახ. სპარს. **mägär** „განა, იქნებ“ > მაგრა(მ)<sup>2</sup>), „სახლს“ კი იმპლიკაციის საფუძველზე მიეღო „თავშესაფრისა“ და „სასტუმროს“ მნიშვნელობა. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ **ხანაგა-ს** ეტიმონი იყოს ახალი სპარსული კომპოზიტი **xanegåh** (კლას. სპარს. **x nag h**), რომლის მეორე მნიშვნელობა **x nag**-ისა და **xâna/xâne**-ს ანალოგიურია: 1) „დერვიშთა მონასტერი, დერვიშთა სავანე“; 2) „სახლი, საცხოვრისი“. აქ პირველ და მეორე მნიშვნელობებს შორის დასტურდება იმპლიკაციური მიმართება. ცხადია, თუ **ხანაგა-ს** ეტიმონად **xanegåh**-ს მოვიაზრებთ, **ხანაგა/ხანა** ალარ განიხილება ციკლურ ნასესხობად. თავისთავად **ხანაგასა** და **ხანას** შორის სემანტიკური კავშირი იმპლიკაციითაა განპირობებული.

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>2</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან II (თბილისი, 1996), 116.

წინამდებარე სტატიაში განსახილველ ნასესხობათა მეორე რიგი (**ზირაკ-ი/ზირა/ძირაკ-ი/ძირა**, ჭალაკ-ი/ჭალა, სადაგ-ი/სადა) წარმოდგენილია სამი წყვილით, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტის ფონეტიკური სახე თვალნათლივ მიუთითებს საშუალო სპარსულ წარმომავლობაზე, მაგრამ მათი ეტიმონი დაუდასტურებელია და მისი აღდგენა ქართული ფორმის მიხედვითა შესაძლებელი.

ძირეულ ქართულ ფიტონიშ კვლიავ-ის სინონიმურ ლექსიკურ პარალელებში **ზირაკ-ი/ზირა/ ძირაკ-ი/ძირა** ჩანს წარმომავლობის ორი წყარო – საშუალო სპარსული და ახალი სპარსული. **ზირა/ძირა** სემანტიკურად უცვლელი ნასესხობაა, რომლის ეტიმონია კლას. სპარს. **zir-a/თანამედრ.** სპარს. **zir-e**. ეს სიტყვა **zir-i**<sup>1</sup> ნაწარმოები სუფიქსური დერივატი და მიმართებითი ტიპის ლექსიკური ერთეულია. მწვანილის ამ სახელწოდებაში აქტუალიზებულია „ძირს, დაბლა მყოფობის“ სემანტიკური კომპონენტი.

**zir-a/zir-e-ს წინარე** ფორმა უნდა ყოფილიყოადრეული საშუალო სპარსული **\*zir-ak**, რომელიც აღდგება ქართულში დადასტურებული **ზირაკ-ი/ძირაკ-ის** მიხედვით. ეს წყვილი სემანტიკური მნიშვნელობით სრულად ემთხვევა **ძირაკ-ი/ძირას**, რაც ეტიმოლოგიურ და ფონეტიკურ ფაქტორებთან ერთად ამ ორ წყვილს განგვასაზღვრინებს არა მხოლოდ როგორც სინონიმებს, არამედ როგორც ციკლურად ნასესხები ერთი და იმავე სიტყვის ვარიანტებს.

ისტორიულ-ფონეტიკური კანონზომიერების შესაბამისად, **\*zir-ak** უნდა გარდაქმნილიყო კლას. სპარს. **zir-a/თანამედრ.** სპარს. **zir-e-დ.** ხსენებული კანონზომიერება გულისხმობს ახალ სპარსულში საშუალო სპარსული პოსტვოკალური **k-ს** (გვიანდელი ფორმით **g-ს**) კარგვას სიტყვის ბოლოში.<sup>2</sup> ზემოთ განხილული **ramak** და **pardag** სწორედ ამის შედეგად გარდაიქმნა **rama/räme-დ და parda/pärde-დ**.

ბოლოკიდური **k** დაიკარგა საშუალო სპარსულ სპარსულ მრავალფუნქციურ სუფიქს **-ak/გვიანდ.** **-ag-**შიც, რომელიც გარდაიქმნა კლას. სპარს. **a/თანამედრ.** სპარს. **e-დ.** საშუალო სპარსული **-ak-ისა და მის ტრანსფორმა a/e-ს** ერთ-ერთი ფუნქცია ზედსართავი სახელებისგან არსებითი სახელების წარმოებაა,<sup>3</sup> იხ. საშ. სპარს. ზედ. სახ. **zard** „ყვითელი“ > საშ. სპარს. არს. სახ. **zard-ak** „კვერცხის გული“ ახ. სპარს. ზედ. სახ. **zärd** „ყვითელი“ > ახ. სპარს. არს. სახ. **zärd-e** „კვერცხის გული“. ანალოგიური მოდელით უნდა ყოფილიყო საშ. სპარს. ზედ. სახ. **zir** „ქვედა“ > საშ. სპარს. არს. სახ. **\*zir-ak** „ზირაკი, ძირაკი, კვლიავი“ > კლას. სპარს. **zir-a/თანამედრ.** სპარს. **zir-e.**

**ზირაკ-ი/ზირა/ძირაკ-ი/ძირა** ვარიანტები, როგორც წინა პერიოდების ქართულ ტექსტებსა და ლექსიკონებში,<sup>4</sup> ასევე თანამედროვე

<sup>1</sup> **zir** 1) არს. სახ. ძირი; ქვედა ნაწილი; 2) ზედ. სახ. ქვედა.

<sup>2</sup> , 91.

<sup>3</sup> , 68-69;

, 204.

<sup>4</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II.

ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, რედ. ს. ყაუხჩიშვილი (თბ., 1961).

ნორმატიულ ქართულში<sup>1</sup> წარმოდგენილია პარალელური არააფრიკატიზებული და აფრიკატიზებული ფორმებით. როგორც საშუალო, ასევე ახალი სპარსულიდან შემოსულ სხვა ნასესხობებში ამგვარი პარალელიზმი ან ადრინდელ ძეგლებში დასტურდება (ზაბუნ-ი/ძაბუნ-ი, მანზილ-ი/მანძილი-ი)<sup>2</sup>, ან გულისხმობს თანამედროვე ნორმატიული ენისა და დიალექტის მიმართებას (ბრძენ-ი/ხევსურული ბზენ-ი, ანდერძ-ი/ანდერზ-ი).

ქართულში სპარსულ წინაენისმიერ z-ს ამა თუ იმ სახით შეთვისება ძირითადად ქრონოლოგიური ფაქტორით იხსნება. საშუალო ირანულ ენობრივ პერიოდში სპარსული z გადმოიცემოდა როგორც ზ-თი, ასევე d-თი, ხოლო ახალი სპარსულიდან შემოსული z-ს ერთადერთ შესატყვისად ზ ითვლება.<sup>3</sup> მაგრამ ძირაკ /dირა-ს, მანძილ-ისა და ძაბუნ-ის მაგალითები მოწმობს, რომ ქართულში z-ს აფრიკატიზაცია ხდებოდა არა მხოლოდ საშუალო სპარსულიდან, არამედ ზოგჯერ ახალი სპარსულიდან შემოსულ სიტყვებშიც.

d-სა და ზ-ს პარალელიზმი ზირაკ-ი/ზირა/ძირაკ-ი/ძირა ფორმებში განპირობებულია, ერთი მხრივ, ქართულისთვის გარკვეულწილად დამახასიათებელი ბუნებრივი ტენდენციით, კერძოდ, ზ-ს აფრიკატიზაციით (ზ>d), მეორე მხრივ კი, ზ-ს უცვლელობას განაპირობებდა ძველი თბილისის მრავალეროვან უბნებში ქართულის მტკიდრო შეხება სპარსულთან, რაც ხელს უწყობდა ნასესხობაში ეტიმონის ფონეტიკური ფორმის მაქსიმალურ შენარჩუნებას. ამ უბნების მეტყველების ამსახველი იოსებ გრიშაშვილისეულ ლექსიკონში სწორედ ზირა ფორმაა ნარმოდგენილი რომელიც განმარტებულია როგორც „სუნოვანი თესლი, რომელსაც საჭმელში ხმარობენ“.

სადღეისოდ მეტწილად დამკვიდრებულია ძირა ფორმა, რისი მიზეზი სპარსულ ზეპირმეტყველებასთან დაშორება და ძირ-თან ფონეტიკური ასოციაცია უნდა იყოს<sup>4</sup>.

ანალოგიურად ზირაკ-ი/ზირა/ძირაკ-ი/ძირა-სი, შინაარსობრივად სრულიად იგივეობრივია ჭალაკ-ისა და ჭალა-ს ძირითადი მნიშვნელობა – „წყლის პირი ნაყოფიერი (საბა); ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას“<sup>5</sup>. იმავდროულად, ორივე სიტყვას აქვს ფაქტობრივად, მივიწყებული მეორე მნიშვნელობაც, იხ. ჭალა 1. „კორომი“; ჭალაკ-ი 2. ძვ. „კუნძული“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>2</sup> ქართულში ამ ორი არაბიზმის სპარსული მეტვეობით შემოსვლის თაობაზე იხ. ფ. ანთაძე-მალაშვია, ქართულში შემოსული სამი ორიენტალიზმის შესახებ.

<sup>3</sup> მ. ანდრინიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდანI, 213.

<sup>4</sup> თავისთავად ძირიც საშუალო სპარსულიდან შემოსული ნასესხობაა, რომლის ეტიმონია zir. იხ. მ.ნდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდანI. 404.

<sup>5</sup> ქართულიენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>6</sup> იქვე.

უცნობია, რა სემანტიკური შინაარსი ჰქონდა ჭალაკ-ის ეტიმონ \* lak-ს.<sup>1</sup> ჭალა-ს ეტიმონ კლას. სპარს. la/თანამედრ. სპარს. åle-ს მნიშვნელობა კი არის „ორმო, ჩაღრმავებული, ოლროჩოლრო ადგილი, ღრანტე“, ასევე „თიხა-მიწოვანი წიდით წარმოქმნილი წრიული ფორმის ჩაღრმავებული ადგილი“.<sup>2</sup> სწორედ ამ უკანასკნელს ეფუძნება ქართული ნასესხობის შინაარსი, რომელიც იმპლიკაციურ მიმართებაშია ეტიმონ-თან.

ჰიპოთეტურ ეტიმონ \* lak-ის ფონეტიკური ფორმა (ბოლოკიდური k) ტიპურია ადრინდელი საშუალო სპარსულისთვის. ამის მიუხედავად, ძნელია გადაჭრით ითქვას, საშუალო სპარსულის რომელ ეტაპზეა ჭალაკ-ი ნასესხები. \* lak შესაძლოა ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანი ყოფილიყო, რომელიც არ დაემორჩილა გამუდერების შედეგად k-ს g-დ გადაქცევის ტენდენციის და საშუალო სპარსულის გვიანდელ საფეხურზეც შეინარჩუნა პირვანდელი ფორმა (ამგვარ სიტყვათა შესახებ იხ. ზემოთ: puk).

ახალი (კლასიკური) სპარსულიდან შემოსულ ჭალაში -ს ჭ-დ გადმოსვლა გვაფიქრებინებს, რომ საშუალო სპარსულიდან ნასესხებ სიტყვათათვის დამახასიათებელი ეს ტენდენცია (ამის შესახებ იხ. ზემოთ) ახალი (კლასიკური) სპარსულის ძალიან ადრეულ ეტაპზეც იჩენდა თავს და ახალი სპარსულ პერიოდში მხოლოდ ჩ-ს სახით არ გადმოდიოდა ქართულში.

ციკლური ნასესხობის კიდევ ერთი მაგალითია სადლეისოდ სემანტიკურად განსხვავებული სადაგ-ი/სადა-ს ზედსართავული წყვილი.

ახალ სპარსულ პოლისემიურ ზედსართავ ståde-ს (კლას. სპარს. s da) ძირითადი მნიშვნელობები „უბრალო, მარტივი, რიგითი, უპრეტენზიო, გაუპრანჭავი“<sup>3</sup> გადმოტანილია ქართულ სადა-ში.<sup>4</sup> როგორც ჩანს, თავდაპირველად ანალოგიური მნიშვნელობა ჰქონდა სადაგსაც, იხ. „მიეც ხორცას შეხსა საზრდელი სადაგი და გუამსა შეხსა საძოსელი ადვილი ფასისა (მამათა სწავლანი)“; „მოყვარენი გულსადაგნი (ვეფხისტყაოსანი)“<sup>5</sup>. მოგვიანებით მისი მნიშვნელობა იცვლება. სულხან-საბასთან სადაგი განიმარტება როგორც „ძნელსა და ადვილს საშუალო“<sup>6</sup>. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის საილუსტრაციო მაგალითების მიხედვით, XIX-XX საუკუნეების ტექსტებში სადაგი შეზღუდული ვალენტობის ზედსართავად გვევლინება მნიშვნელობით

<sup>1</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, 407.

<sup>2</sup> انوری، فرهنگ بزرگ سخن.

<sup>3</sup> نوری، فرهنگ بزرگ سخن.

حکمی، ن. حکمی، فرهنگ معاصر، . . . ، . . I-II, (1985).

<sup>4</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>5</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, 368.

<sup>6</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II.

„უქმე, არასამუშაო დღე“, იხ. „**სადაგ** დღეს ჩვენთან იმუშავებდა“ (ვ. ბარნოვი).<sup>1</sup> ამ შინაარსისაა ასევე **სადას** ერთ-ერთი და ამჟამად ხმარებიდან გამოსული მნიშვნელობა, იხ. „პაყლის ბებერს მოჰკონდა ხოლმე დედაჩემთან ყოველ შაბათობით და კვირაობით ერთი კერძი საჭმელი და პური, **სადა** დღეში კი დილით ხილი“.<sup>2</sup> **სადაგს** შეძენილი აქვს ასევე ლექსიკონებში აუსახავი მნიშვნელობა „სარგო, შესაფერი“. ეს შინაარსობრივი ნიუანსი კარგად ჩანს **სადაგით** მოტივირებულ ნასახელარზმნებში **უსადაგებს**, „არგებს“, **ესადაგება** „ერგება, შეეფერება“.

ამრიგად, **სადავ-სა** და **სადა-ს** ქართულში არ შეუცვლიათ მორფოლოგიური კატეგორია, ორივე მათგანი ზედსართავებად გვევლინება (სავარაუდოდ, საშ. სპარს. \*s **dag**-იც ზედსართავი უნდა ყოფილიყო). რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, დროთა განმავლობაში ცვლილებები შეეხო **სადაგ-ს** და მცირედად **სადა-ს**, რომელიც გარკვეულ პერიოდში პოლისემიზებული იყო **სადაგ-ის** სინონიმური მნიშვნელობის („უქმე, არასამუშაო დღე“) ხაჯზე.

სავარაუდოდ, **სადაგ** საშუალო სპარსულის გვიანდელ საფეხურზე უნდა იყოს შემოსული, რასაც ადასტურებს ბოლოკიდური ფუძისეული კ-ს მაგივრად ნარმოდენილი **გ** (სიტყვის ბოლოში **k>g** გადასვლის შესახებ იხილეთ ზემოთ). ამ ნასესხობის მიხედვით აღდგება დაუდასტურებელი **საშუალო** სპარსული ეტიმონი \*s **dak** (ადრინდელი ფორმა \*s **dak**).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ განხილულ ციკლურ ნასესხობათა ანალიზი წარმოაჩენს ქართულში მათი ფონეტიკური და სემანტიკური ადაპტაციის შემდეგ თავისებურებებს:

ფონეტიკური თვალსაზრისით, საშუალო და ახალი სპარსული წარმომავლობის შეპირისპირებული ნასესხობები ადვილად განირჩევა ეტიმონთან მათი მსგავსების საფუძველზე. კერძოდ, საშუალო სპარსულიდან მომდინარე ერთეულთა ბოლოკიდური პოსტვოკალური ხმოვანია **k>z** (გვიანდელი საშუალო სპარსულიდან შემოსულ ნასესხობებში **g>g**). ახალი სპარსულიდან შემოსულ ნასესხობათა ეტიმონებში ადრინდელი **k/გვიანდელი g** დაკარგულია და როგორც ეტიმონი, ასევე შესაბამისი ნასესხობა ხმოვანით ბოლოვდება, იხ. საშ. სპარს. **ramak** > ქართ. **რემაკი** vs. ახ. სპარს. **rama** (კლასიკ.)/ **räme** (თანამედრ.) > **რემა;** საშ. სპარს. **pardag** > ქართ. **ფარდაგი** vs. ახ. სპარს. **parda** (კლასიკ.)/ **pärde** (თანამედრ.) > ქართ. **ფარდა.** ამგვარი მაგალითების გათვალისწინებით, ადვილი აღსადგენია **ზირაკ/ძირაკ-ის**, **ჭალაკ-ისა** და **სადაგ-ის** ეტიმონები \***zir-ak**, სადაც **-ak** სუფიქსია, \* **lak** და \*s **dag** (შეადარეთ ახალი სპარსულიდან მომდინარე ნასესხობები - **ზირა/ძირა, ჭალა** და **სადა** და მათი დადასტურებული ეტიმონები კლას. სპარს. **zir-a/თანამედრ.** სპარს. **zir-e, კლას. სპარს. la/თანამედრ.** სპარს. **åle, კლას.** სპარს. **s da/თანამედრ.** სპარს. **såde).**

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII.

<sup>2</sup> იქვე.

საორქოფონი **ხანაგას** ეტიმოლოგიზაცია. მეტად სავარაუდოა, რომ ის ახალი სპარსული **x nag h/ xānegāh**-იდან მომდინარეობდეს, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ მისი ეტიმონი საშუალო სპარსული **x nag** იყოს.

საშ. სპარს. **puk** > ქართ. **ჭაბუკი**-ი vs. ახ. სპარს. **åbok** > ჩაუქ-ისგან განსხვავებით, საშუალო სპარსულიდან მომდინარე **ჭალაკსა** და ახალი სპარსულიდან მომდინარე **ჭალაში**, როგორც საშუალო, ასევე ახალი სპარსული გადმოიცემა **ჭ-თი**. ეს გვაფიქრებინებს, რომ ახალი სპარსულის ადრეულ ეტაპზე ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი **-ს** შეთვისებას არა მხოლოდ **ჩ-ს**, არამედ **ჭ-ს** სახითაც.

იგივე ითქმის ახალი სპარსული **z-**ს ფონეტიკური ადაპტაციის შესახებაც. **ზირა/ძირა-ს** პარალელიზმი ადასტურებს, რომ საშუალო სპარსულის მსგავსად, **z-**ს გადმოცემა ორგვარად(ზ/ძ-დ) და არა მხოლოდ **ზ-ს** მეშვეობით ხდებოდა.

განხილულ ნასესხობათა ექვსი სუბსტანტიკური (საშ. სპარს. **ramak** > ახ. სპარს. **rama/rāme**, საშ. სპარს. **pardag** > ახ. სპარს. **parda/pärde**, საშ. სპარს. **x nag(?)**/ ახ. სპარს. **x nag h**, საშ. სპარს. \***zir-ak**> ახ. სპარს. **zir-a/zir-e**, საშ. სპარს. **pardag** > ახ. სპარს. **parda/pärde**, საშ. სპარს. \* **lak**> ახ. სპარს. **la/ åle** და ორი ზედსართაული (საშ. სპარს. \***s dag**> ახ. სპარს. **s da/säde**, ახ. სპარს. **åbok**) ეტიმონიდან არცერთ ერთეულს არ ეცვლება სესხებისას მორფოლოგიური კატეგორია. გამონაკლისა ზედსართავი

**puk**, რომელიც ქართულში დეტემინანტული შესიტყვების(**ჭაბუკი ვაჟის**) ელიფსიზაციის შედეგად ჩანს გაარსებითებული.

ორ შემთხვევაში საშუალო სპარსული და ახალი სპარსული წარმომავლობის ციკლური ნასესხობათა პარალელები (საშ. სპარს.\***zir-ak**> **ზირაკ-ი/ძირაკ-ი** და ახ. სპარს. **zir-a/zir-eზირა/ძირა**; საშ. სპარს. \* **lak**> **ჭალაკ-ი** და ახ. სპარს. **la/ åle>ჭალა**) სემანტიკური თვალსაზრისით, სრულიად იგივეობრივია.

დანარჩენ მაგალითებში ციკლურად შემოსულ პარალელთა მნიშვნელობები ერთმანეთს არ ემთხვევა, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს როგორც ეტიმონის შინაარსის გადააზრება, ასევე საშუალო და ახალი სპარსული წარმომავლობის პარალელთა თანდათანობითი სემანტიკური დიფერენცირება საკუთრივ ქართულ ნიადაგზე. ამგვარი დიფერენცირება რომ თანდათან ხდებოდა, ამას მოწმობს **ფარდაგისა** და **სადაგის** მაგალითები, რომელთა ადრინდელ ძეგლებში დადასტურებული მნიშვნელობები **ფარდისა** და **სადას** მნიშვნელობათა იდენტურია, ხოლო შემდგომ პერიოდებში მათგან განსხვავებული.

განსხვავებული შინაარსის ციკლურ ნასესხობათა განხილული წყვილების (**რემაკ-ი/რემა, ფარდაგ-ი/ფარდა, ჭაბუკ-ი/ჩაუქ-ი, სადაგ-ი/სადა, ხანაგა/ხანა**) კომპონენტთა შორის დასტურდება იმპლიკაციური ტიპის სემანტიკური მიმართება.

ციკლურ ნასესხობათა სამი წყვილის (**რემაკ-ი/რემა, ფარდაგ-ი/ფარდა, ჭაბუკ-ი/ჩაუქ-ი**) შემთხვევაში მოიძიება როგორც საშუალო სპარსული, ასევე ახალი სპარსული ეტიმონი. არ გამოვრიცხავთ, რომ იგივე ვითარება იყოს **ხანაგა/ხანა-სთანაც**.

**ზირაკ-ი/ზირა/ძირაკ-ი/ძირა, ჭალაკ-ი/ჭალა, სადაგ-ი/სადა ციკ-ლურ** ნასესხობებში დასტურდება მხოლოდ ახალი სპარსული ეტიმონი, საშუალო სპარსული ეტიმონი კი რეკონსტრუირდება შესაბამისი ახალი სპარსული ფორმისა და ქართულში შემოსული ნასესხობის მიხედვით. რეკონსტრუირებულ საშუალო სპარსულ ეტიმონთაგან მომდინარე ქართული ვარიანტის სემანტიკური კავშირი ახალ სპარსულ ფორმასთან საკმაოდ გამჭვირვალეა, რაც გვავარაუდებინებს ამ უკანასკნელის სემანტიკურ იგივეობას ან სიახლოეს დაუდასტურებელ საშუალო სპარსულ ეტიმონთან.

ნინამდებარე სტატიაში განხილულ ნასესხობებში დასტურდება როგორც ეტიმონის სემანტიკური უცვლელობის, ასევე მისი სემანტიკური ცვლილების შემთხვევები. ეტიმონის მნიშვნელობას თანხვდება ახალი სპარსულიდან მომდინარე ფარდა, ჩაუქ-ი, ხანა, ზირა/ძირა, სადა. სემანტიკური ცვლილების მაგალითებად გვევლინება: რემაკ-ი, რემა, ფარდაგ-ი, ჭაბუკ-ი, ჭალა, ხანაგა. ორ შემთხვევაში (რემა, ფარდაგ-ი) ადგილი აქვს ეტიმონის ჰიპონიმიზაციას და შესაბამისად, ეტიმონსა და ნასესხობას შორის კავშირი ჰიპო-ჰიპერონიმული ხასიათისაა, ხოლო რემაკ-ი, ჭაბუკ-ი, ჭალა და ხანაგა ეტიმონს შინაარსობრივად იმპლიკაციის საფუძველზე უკავშირდება.

განხილული პოლისემიური ეტიმონები ქართულში ფაქტობრივად მონოსემიზდება. თავად საანალიზო ნასესხობათა პოლისემიზაციას ეფემერული ხასიათი აქვს. სიტყვათმნიშვნელობათა რაოდენობა ორს არ აჭარბებს, რომელთაგან რეალურად მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს.

ნასესხობათა ადაპტაციის მაჩვენებლად, პირველ რიგში, მათი გამოყენების სიხშირეს მოვიაზრებთ. სადღეისოდ ფაქტობრივად ხმარებიდანაა გამოსული რემაკ-ი, ჩაუქ-ი, ხანაგა, ასევე აღარ გამოიყენება ხანა „სახლი“, როგორც ცალკეული ლექსიკური ერთეული. ნასესხობის ადაპტაციის ხარისხზე ასევე მიუთითებს მათ მიერ გამოვლენილი დერივაციული აქტივობა მსესხებელ ენაში. ამგვარ აქტივობას განხილულ ნასესხობათაგან სამი ერთეული (ჭაბუკ-ი, ფარდაგ-ი, სადაგ-ი) ავლენს. მათ ბაზაზე ნარმოქმნილია კომპოზიტი და ნასახელარი ზმნები.

## *Patman Antadze-Malashkhia* On Some Cyclical Persian Loan-words in Georgian

The paper analyzes several Persian loan-words in Georgian. These loans are termed cyclical because they were borrowed at two different stages of the history of the Persian language, namely, Middle and New Persian. Analysis of these loans is interesting from the perspective of their phonetic and semantic adaptation as well as from the viewpoint of their role in the reconstruction of etymons not found in texts. In certain cases, such reconstruction is possible only based on loan-words or the forms found in other Iranian languages. In case of loans under analysis, the restoration of etymons refers chiefly to the words borrowed by Georgian from Middle Persian.

The paper analyzes several cyclical borrowings: **rema -i/rema, pardag-i/parda, abu -i/ auk-i, xanaga/xana, zirak-i/ irak-i/zira/ ira, ala -i/ ala, sadag-i/sada**.

With regard to semantic differences between the loan and the etymon, the description is based on the system suggested by M. Nikitin. This system represents the types of connections between the meanings of polysemantic words<sup>1</sup>. According to the given system, the connections are of two types:

1) implicative, which is based on the connections between types, features and correspondences;

2) classifying, which consists of two subtypes:

a) hypo-hyperonymic, which embraces both generalization (expansion of meaning, hyperonymization, (*Patman Antadze-Malashkhia*) and specialization (narrowing of meaning, hyponymization (*P. A.-M.*));

b) similitive, which is conditioned by the similarity between objects and features.

The concepts of implication, hypo-hyperonymization and similarity, used for the description of the relationships between the meanings of a polysemantic word, have been used in this paper with regard to the semantic connection between etymons and loans, because the relationships between word meanings are significant, although, in this case, the connections are identified not within one language but within two languages – the lender and the borrower.

Each analyzed word has a New Persian etymon. As for Middle Persian etymons, they are represented in case of the following loans: Middle Persian **ramak** „herd, flock“ > Georgian **rema -i**<sup>2</sup> „unbroken mare or donkey“, Middle Persian **pardag** „veil, curtain“ > Georgian **pardag-i** „a cloth made of thick woolen thread used as a floor-mat or wall panel“, Middle Persian **puk** „agile, nimble, excellent“ > Georgian **abu -I** „young fellow“ and, probably there is a Middle Persian etymon for **xanaga/xana**, cf. New Persian **rama** (Classical Persian)/**rāme** (Modern Persian) „herd, flock“ > Georgian **rema (herd of horses)**, New Persian **parda**(Classical Persian)/**pärde** (Modern Persian) (veil, curtain) > Georgian **parda (veil, curtain)**, New Persian **åbok** (with possible spirant form \* **åþok**) (agile, nimble, excellent) > Georgian **auk-i (agile, nimble, excellent)**. It is probable that the etymon of **xanaga** 1) „shelter for disabled and orphan people“; 2) „inn“ is Middle Persian **x nag** “house and home, dwelling. In this case, the couple **xanaga/xana** can be viewed as cyclical loan, see: New Persian **xâna** (Classical Persian)/**xâne** (Modern Persian) > archaic Georgian **xana**. However, it is more likely that the etymon of **xanaga** is **xânegâh** “dervish monastery, ashram“; 2) “house, home”, which excludes the cyclicity of **xanaga/xana**.

Another group of loans under analysis is represented by three couples, in which the phonetic form of one component obviously points to Middle Persian origin, but the etymon is not found in the written sources. Therefore, its reconstruction is possible based on the Georgian loan-word: Middle Persian\***zir-**

<sup>1</sup> M. Nikitin. *Lexical Meaning of the Word. Structure and Combinability* (In Russian) (Moscow, 1983), 37-40.

<sup>2</sup> **i** in Georgian is a nominative case marker for nouns with stems ending in consonants

ak>Georgian **zirak-i/ irak-i** “cumin”, Middle Persian \* lak> Georgian **ala -I** “grove”, Middle Persian \*s **dag** > Georgian **sadag-i adj active** “working (about the weekday vs. day off”, cf. New Persian **zir-a** (Classical Persian)/**zir-e** (Modern Persian) > Georgian **zira/ ira** “cumin”, New Persian **la** (Classical Persian)/ **åle** (Modern Persian) 1)‘hole, bumpy place, ravine”; 2) “a circular hole consisting of clay soil” > Georgian **ala** “grove, New Persian **s da** (Classical Persian)/**såde** (Modern Persian) “plain, simple” > Georgian **sada** “plain, simple”.

From the phonetic viewpoint, the loans under analysis have been adapted according to the rules of transformation of Middle and New Persian sounds into Georgian. However, certain peculiarities are evident: namely, in **ala**, borrowed from Middle Persian, and **ala**, Borrowed from New Persian, the New Persian sound is transformed into . This means that at an early stage of New Persian, the sound was transformed into Georgian both as and .

The same can be said about the phonetic adaptation of New Persian **z**. Parallel forms **zira/ ira** prove that, like Middle Persian, **z** was transformed in Georgian in two ways as **z** and , and not only as **z**.

None of the analyzed six substantives (Middle Persian **ramak**>New Persian **rama/räme**, Middle Persian **pardag**>New Persian **pärda/pärde**, Middle Persian **x nag(?)**/New Persian **x nag h**, Middle Persian\***zir-ak**> New Persian **zir-a/zir-e**, Middle Persian **pardag**> New Persian **parda/pärde**, Middle Persian \* **lak**> New Persian **la/ åle**) and two adjectival etymons (Middle Persian \*s **dag**>New Persian **s da/såde**, New Persian **åbok**) have changed their morphological category in the process of borrowing. An exception is the adjective **puk**, which has been substantivized in Georgian as a result of ellipsis of determinant collocation(**Young fellow**).

In two cases, parallel forms of Middle Persian and New Persian cyclical loans (Middle Persian \***zir-ak** > Georgian **zirak-i/ irak-i** and New Persian **zir-a/zir-e**, Georgian **zira/ ira**; Middle Persian \* **lak** > Georgian **ala -i** and New Persian **la/ åle** > Georgian **ala**) are semantically identical.

In other cases, the meanings of parallel forms obtained as cyclical loans are not identical. This can be explained by the transformation of the meaning of the etymon as well as gradual semantic differentiation of Middle Persian and New Persian loans on the Georgian soil. It is obvious that such differentiation was gradual. This can be proved on the examples of **pardag** and **sadag**. In earlier written monuments their meanings were identical to those of **parda** and **sada**. However, in later periods, the meanings are different.

Some of the loans analyzed in the given paper have not undergone semantic alteration, while others have acquired meanings different from their etymons. The meanings of the etymon and the loan coincide in cases of New Persian loans: **parda**, **auk-i**, **xana**, **zira/ ira**, **sada**. Examples of semantic transformation are: **remak-i**, **rema**, **pardag-i**, **abuk-i**, **ala**, **xanaga**. In two cases (**rema**, **pardag-i**) the etymon has undergone hyponymization; hence, the relationships between the etymon and the loan are hypo-hyperonymic. However, **remak-i**, **abuk-i**, **ala** and **xanaga** are related to the etymon on the basis of implication.

Polysemic etymons under analysis are actually transformed into monosemic loan-words. Polysemanitization of the loans is ephemeral. The number of meanings does not exceed two, out of which only one meaning really functions.

The index of adaptation of loans is, above all, the frequency of their use. Currently, **remak-i**, **auk-i**, **xanagaare** no longer used. The word **xana**(house) is no longer used as a separate lexical unit. The degree of adaptation of loan-words is also identified based on their derivational activity in the borrower language. Such activity has been revealed in case of three loans ( **abuk-i**, **pardag-i**, **sadag-i**) which have yielded the following derivatives: a compound word mze **abuk-I** “handsome young man” and nominal verbs *active voice:a- abu -eb-s* “to help to get younger”, *passive voice: abu -d-eb-a*” to become younger); *a-pardag-eb-s* “to furnish with carpets”,*active voice: u-sadag-eb-s* “adjust”, *passive voice: e-sadag-eb-a* “to fit”.

## Թիուսա ծանրեցաց

„დედე ქორქუთის წიგნის“ ახლადაღმოჩენილი ხელნანერის შესახებ

2019 წელს თურქოლოგიური სამეცნიერო სივრცისათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა „დედე ქორქუთის წიგნის“<sup>1</sup> ახალი, მესამე, ხელნანერი. ეს აღმოჩენა დაკავშირებულია ირანის თურქმენ საპრად წოდებულ რეგიონში, ქალაქ გუხბეთში მცხოვრებ ველი მუჰამედ ჰაჯას სახელთან.<sup>2</sup> სამეცნიერო საზოგადოებას კი იგი ცნობილმა ფოლკლორისტმა, ეგეოსის უნივერსიტეტის პროფესორმა მეთინ ექიჯიმ გააცნო.

ჯერჯერობით ახლადაღმოჩენილი ხელნანერის შესახებ წიგნის სახით სამი ნაშრომია გამოცემული. სამივე ნაშრომი 2019 წელს დაიბეჭდა. 1. მეთინ ექიჯის მიერ თანამედროვე თურქულ ენაზე თარგმნილი „Dede Korkut Kitabı Türkistan/Türkmen Sahra Nüshası- Soylamalar ve 13. Boy- Salur Kazan’ın Yedi Ba ı Ejderhayı Öldürmesi“ (დედე ქორქუთის

<sup>1</sup> „დედე ქორქუთის წიგნი“ 1987 წელს ოღუზურიდან ქართულ ენაზე თარგმნეს აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ და პროფესორმა გიორგი შაყულაშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ ფონოლოგიური თვალსაზრისით სახელის „ქორქუთ“ სწორი დანერილობა იქნებოდა „კორქუთ“, ამ ეტაპზე ჩვენ სახელის უკვე არსებული თარგმანით ვიხელმძღვანელთ.

<sup>2</sup> ველი მუჰამედ ჰოჯა თურქმენული ენისა და ლიტერატურის საკითხებით, განსაკუთრებით, თურქულ ენაზე დანერილი ხელნანერების შეგროვებით და დაცვით არის დაკავებული. ახალი ხელნანერის პოვნას კი იგი შემდეგნაირად აღნერს „2018 წლის 12 დეკემბერს თეირანში ვამყოფებოდი. საქმეების მოთავების შემდეგ წიგნის ბაზობაზე წავედი. წიგნის მაღაზია „ჰუნერის“ მეპატრონები ჩემი დიდი ხნის ნაცნობი და მეგობარია. იქ ჩემთვის საინტერესო არაფერ აღმოაჩნდა. მოულოდნელად მაღაზიაში უცნობი კაცი შემოვიდა, ხელში გასაყიდად გამზადებული ხელნანერი ეჭირა. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი რა სახის ძეგლთან მქონდა საქმე, იმის გამო, რომ ძეგლი თურქული იყო გადაგრევიტე მეყიდა. ხელნანერის გამყიდველმა ვინაობის გამხელა არ ისურვა. მხოლოდ ის თქვა, რომ მისი ოჯახი ყაჯართა გვარს ეკუთვნოდა და ეს ხელნანერიც ყაჯართა დინასტიის დამაარსებლის, ალა მუჰამედ ხან ყაჯარის, ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა. უცნობმა ასევე აღნიშნა, რომ ხელნანერი თაობიდან თაობას გადაცემოდა და მის ოჯახსა და ახლობლებს მემკვიდრეობით გადაცემული სხვა წიგნებიც ბევრი ჰქონდა. ხელნანერი თეირანში ერთ-ერთ მკვლევარს ვაჩვენე, თუმცა მან „მინიშნელოვანი ძეგლი არ არისო“ თქვა. გუნდეთში კიდევ ერთ მკვლევარს შევხვდი, მაგრამ ხელნანერით არც ის დაინტერესდა. ამის შემდეგ, ძეგლის დასკანერებული ვარიანტი თურქეთში მცხოვრებსა და ანკარის უნივერსიტეტის დოქტორანტს, თურქმენ მკვლევარს შაპრუზ ათაბაის გაუგზავნება და ძეგლის შესწავლა ვთხოვე „N. Shahgoli, V. Yaghoobi, Sh. Aghatabai, S. Behzad, Dede Korkut Kitabı'nın Günbet Yazması, nceleme, Metin, Dizin ve Tipkibası“ Modern Türkük Ara tırmalari Dergisi Cilt 16. Sayı 2. (Haziran 2019), 4.



უნდა შევეხოთ ტექსტის ჩაწერის თარიღს. ისტორიკოსი ფარუქ სუმერი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დრეზდენისა და ვატიკანის ნუსხებისათვის საერთო წერილობითი წყარო მე-16 საუკუნის მეორე ნახევრამდე ვერ დაიწერებოდა.<sup>1</sup> აღნიშნული შეხედულება ახლადაღმოჩენილი ხელნაწერის პირვანდელ სახეზეც ვრცელდება. ამ აზრს ხელნაწერის ენის თავისებურებები კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდის. ფარუქ სუმერის მიერ ხაზგასმული სიტყვა „ბაში აჩუქ“<sup>2</sup> (ოსმალთა ბატონობის პერიოდში ამ სახელით იხსენიებოდა იმერეთი)<sup>3</sup> გუნდების ხელნაწერშიც გვხვდება<sup>4</sup>. ხელნაწერში მოვლენების განვითარების ცენტრი აზერბაიჯანი და ორანის თურქული არეალია. ადგილადგილ გვხვდება ძველ თურქულ რწმენასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ცისა და მინის კულტი, მგლის კულტი, ტოტემიზმთან დაკავშირებული სხვა საკითხები. გარდა ამისა, გუნდების ხელნაწერი იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ იგი ყიზილბაში თურქების სოციალურ-კულტურულ გარემოშია დაწერილი. ალის, ჰასანის, ჰუსეინის, ფატიმას, წმინდა ილიასის სახელების ხსნება სწორედ ამაზე მიუთითოთებს. რაც შეეხება გადაწერის საკითხის, ამის შესახებ ძალიან კარგ მასალას გვაძლევს აშიები. გადამზერის მიერ 1ა გვერდის მე-5 სტრიქონზე სიტყვის „şızmak“ (ფრენა, სამოთხის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა) და 1ა გვერდის მე-10 სტრიქონზე სიტყვის „sızdırıcı“ (გამოწურვა, სიკეთის, სათნოების მნიშვნელობაც ჰქონდა) განმარტებას და მის მიერვე დასახელებულ წყაროს თუ გვითვალისწინებთ, წყაროდ კი იგი მირზა მეჰდი ჰანის 1759 წლის ლექსიკონს ასახელებს, ადვილი სათქმელია, რომ ხელნაწერი აღნიშნულ თარიღამდე ადრე ვერ გადაიწერებოდა<sup>5</sup>. ტექსტის დასასრულს

<sup>1</sup> N. Shahgoli, V. Yaghoobi, Sh. Aghatabai, S. Behzad, *Dede Korkut Kitabi'nin Günbet Yazması, nceleme, Metin, Dizin ve Tıpkıbasım*” Modern Türkük Ara tırmaları Dergisi Cilt 16. Sayı 2 (Haziran, 2019), 9.

<sup>2</sup> ფარუქ სუმერი ნაშრომში „ოლუზები (თურქმენები) ისტორიები, ტომების ჩამოყალიბება, დესთანები“ ხაზს უსვამს სიტყვა „ბაში აჩუქ“-ს. მისი განმარტებით მე-16 საუკუნის სეფიანთა ირანის ისტორიკოსი, რუმლუ ჰასან ბელი, ამ ზედმეტსახელით ქართველ მეფეს, ბაგრატს, მოიხსენიებდა, რომელიც მისი თანამედოვე იყო. უფრო ძველ წყაროებში სიტყვა „ბაში აჩუქ“ არ გხვდება. Faruk Sümer. *O uzlar (Türkmenler) Tarihleri, Boy Te kilati, Destanları* (Ankara, 1972), 414.

<sup>3</sup> Kılıç Orhan, *Gürcü Prenslıkleriden Gürcü Meliklere: Bati Kafkasya'nın Somanlı Hakimiyeti Öncesi ve Sonrasında Aki dari De i im Süreci* (Gori, 2019), 71.

<sup>4</sup> ჯერჯერობით ხელნაწერის დასათაურებასთან დაკავშირებით ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. მეთინ ექიჯი და იუსიფ აზმუნი მას თურქმენ საპრას ნუსხას უწოდებს, ნასირ შაპგოლის ჯგუფი კი – გუნდების ნუსხას. ჩვენ ამ შემთხვევაში გადავიხარეთ შაპგოლის ჯგუფის დასათაურებისკენ ვინაიდან ახალი ხელნაწერი ქალაქ გუნდების სახელთან არის დაკავშირებული.

<sup>5</sup> N. Shahgoli, V. Yaghoobi, Sh. Aghatabai, S. Behzad, *Dede Korkut Kitabi'nin Günbet Yazması, nceleme, Metin, Dizin ve Tıpkıbasım*” Modern Türkük Ara tırmaları Dergisi Cilt 16. Sayı 2 (Haziran, 2019), 11.

არის შემდეგი მინაწერი „Hacilu'ya Allah rahmet eylesin“ (ალაპმა აცხონოს ჰაჯილუ). სავარაუდოა, რომ ტექსტი ვინმე ჰაჯილუსთვის საჩუქრად გადაუციათ.

ხელნაწერი 61 (1ა-31ა) გვერდს მოიცავს. ძეგლის 1ა -26ბ გვერდებს შორის სხვადასხვა მოცულობის ამბავია გადმოცემული. 26ბ გვერდსა და 31ა გვერდებს შორის კი უსათაური დესთანს ვხვდებით. აღნიშნულ დესთანი, შინაარსიდან გამომდინარე მეთინ ექიჯიმ დაასათაურა როგორც „სალურ ყაზანის მიერ შვიდთავიანი გველეშაპის დამარცხების დესთანი“. ხელნაწერში სულ 24 ამბავი და ერთი საგმირო ეპოსია მოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ დრეზდენისა და ვატიკანის ნუსხებისგან განსხვავებით ოცდაოთხივე ამბავი ლექსად არის მოცემული. საბოლოო ჯამში, ხელნაწერი 25 თავისაგან შედგება. 25 ამბიდან ორი სალურ ყაზანის სახელთან არის დაკავშირებული. მე-17 თავში მოთხოვნილია, როგორ მოიხვეჭა სალურ ყაზანმა სახელი, ხოლო 24-ე თავში კი სალურ ყაზანის ლაშქრობის მოკლე აღნერა მოცემული. 1 და მე-2 თავები სხვა თავებისგან განსხვავებულია. აღნიშნული თავები შესაძლოა ხელნაწერის საწყისი გვერდების გაგრძელებად მივიჩნიოთ. მათში რელიგიურ-მისტიკური საკითხები გაცილებით მეტია. ვხვდებით დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონ მეფის სახელებს, ასევე მოცემულია არაფატის მთაზე აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშენირვის ამბავი. მიუხედავად ამისა, ძეგლის მთავარი თემა მაინც გმირთა ცხოვრება. მხოლოდ მე-18 თავი წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. აღნიშნულ თავს შეიძლება პირობითად „დედე ქორქუთის წინასწარმეტყველება“ უწოდოთ. იკვეთება შემდეგი გარემოება: დროის ცვლილებას ცხოვრების წესისა და ლირებულებების შეცვლაც მოჰყვა. მომთაბარე ცხოვრების წესი მკვიდრი ცხოვრების წესით შეიცვალა. ამას ადასტურებს ღლუზი თურქების საცხოვრებლების აღნერა და თხზულებაში დასახელებული საყოფაცხოვრები ნივთები. çadir - oba , otak-köylü, a aç çanak- ta çanak,

„Çadırlar yıkıla, bir yerde obaola,

Ota lar yıkıla, bir yerde köylü ola;

A aç çanak, ta çanak birbirine kari ik ola,<sup>1</sup>

„დიდი კარვები (Çadırlar ) დაიქცა და მისი ადგილი მცირე ზომის კარავმა (oba) დაიკავა,

მმართველთა კარვები დაიქცა და მისი ადგილი სოფლელის საცხოვრებელმა დაიკავა,

ხისა და ქვის ჭურჭელი ერთმანეთშია არეული“.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქი ხალხის ცხოვრების წესი მათ საცხოვრებელ სახლებზეც ახდენდა გავლენას. კარვით სახელდებული საცხოვრებელი სახლებიერარქიის და სოციალური სტატუსის მაჩვენებელიც იყო. ყველა კარავს სხვადასხვა სახელი ჰქონდა. მაგალითად: მმართველების ან სხვა მაღალი წოდების პირებისთვის განკუთვნილ

<sup>1</sup> Ekici Metin, *Dede Korkut Kitabı Türkistan/Türkmen Sahra Nüshası- Soylamalar ve 13. Boy-Salur Kazan'in Yedi Ba li Ejderhayı Öldürmesi*, Ötüken Ne riyat ( stanbul, Haziran, 2019) 97.

კარვებს, რომლებიც მაღალი და განიერი კალთებით, ზოგჯერ ოთხი, ზოგჯერ კი შეიძი ანძისგან და ოთხი ფენის ქსოვილისგან იგებოდა, ენოდებოდა „Otak“. იმ კარავს, რომელიც მეომრებისთვის იყო განკუთვნილი – „Orda“, სახლის მსგავსს, რამდენიმე ანძისგან აგებულ, მრავალი ნაწილისაგან შემდგარ კარავს კი – „Oba“. მზისგან თავის დასაცავად აგებული კარვები „Günlük“-ის სახელით არის ცნობილი.<sup>1</sup> ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ კარვების მხოლოდ ერთი სახეობადა შემორჩენილი, რომელიც სახლს ჰგავს. ასეთი საცხოვრებელი სახლის არსებობა გარკვეული სახით იმის მანიშნებელია, რომ სოფლის ტიპის დასახლებასთან გვაქვს საქმე. გარდა ამისა, მესაქონლეობისა და მეჯოგეობის ნაცვლად ოღუზი ტომები სასოფლო-სამეურნო საქმიანობით არიან დაკავებულები:

„Dere, Tepe kalmayıp, ekin ile bahçe ola,

Dana buza ı kalmaya, çifte gide

O lan u ak kalmaya, ekinci ola“<sup>2</sup> ...

„ხეობისა და მთების ნაცვლად სახნავ-სათესი და ბალი გაჩნდა,

ხბო და ძრობის ნაცვლად ყანა და მინდორი გაჩნდა,

ჭაბუკების ადგილი მიწის მუშებმა დაიკავეს“

გმირი ბეგების დროც ნასულა და მათი ადგილი ლაჩრებსა და მხდალებს დაუკავებიათ: „Asıl beyler tükene, avam kala“ (ნამდვილი ვაჟკაცები გაქრნენ, ლაჩრებილა დარჩნენ). აქვე ხაზი უნდა გაესვას უცხო ტომის ქალთან ქორწინების საკითხსაც. „დედე ქორქუთის წიგნის“ ახლადაღმოჩენილ ნუსხაში ქალთა სოციალური სტატუსის შესახებ ისევე მახვილდება ყურადღება, როგორც სხვა ნუსხებში. მართალია სელჯან ხათუნის, ბანუ ჩიჩექის, ან ბურლა ხათუნის მსგავსი ქალთა სახეები, როგორც ეს დრეზდენისა და ვატიკანის ნუსხებშია არ გვხვდება, მაგრამ ქალის დანიშნულების შესახებ, რაც ძირითადად ოჯახის შექმნაში გამოიხატება, ცნობებს აღნიშნული ნუსხაც გვაწვდის. პატრიარქალური წყობის მთავარ გამოვლინებას ვაჟების ყოლა, მათით თავის მოწოდება, მათი იმედთან და მომავალთან დაკავშირება ნარმოადგენს: ამ ნუსხაში ქალი პერსონაჟი არ არის.

„Bir ki inin altı ya inda o lu olsa,

Yurdun gelece i, göz aydını, bel kuvveti yürek ya 1,

Yedi ya inda kızı olsa du manadan beter,

ev da iticisi, ev bozguncusu, yabanci gelini“<sup>3</sup>.

„კაცს თუ ექვსი ნლის ვაჟი ჰყავს,

ქვეყნის მომავალი, თვალის სინათლე, ნელის სიმრთელე და გულის მალამოა.

<sup>1</sup> Banarlı Nihad Sami, *Resimli Türk Edebiyatı Tarihi*, Cilt I (stanbul, 1983), 97.

<sup>2</sup> Ekici Metin, *Dede Korkut Kitabı Türkistan/Türkmen Sahra Nüshası-Soylamalar ve 13. Boy-Salur Kazan'ın Yedi Ba li Ejderhayı Öldürmesi*, Ötüken Ne riyat (stanbul-Haziran, 2019), 97.

<sup>3</sup> Ekici Metin, *Dede Korkut Kitabı Türkistan/Türkmen Sahra Nüshası- Soylamalar ve 13. Boy-Salur Kazan'ın Yedi Ba li Ejderhayı Öldürmesi*, Ötüken Ne riyat, (stanbul, Haziran, 2019), 97.

თუ შვიდი წლის ქალი ჰყავს, იგი მტერზე უარესია.

სახლის დამაქცევარი, სახლში განხეთქილების შემომტანი უცხო რძალია“.

სხვა ტომის ქალზე დაქორწინების სავალალო შედეგები ცალკეც კი შეიძლება იყოს განხილული.

„Bilimeyen yabancı ilden, yabancı yerden,

O uz senin içine bir kız gelip gelin ola,

Bir ay geçmeden o gelin ya ma inin altından söylenmeye ba laya,

Bir yıl dolmadan kayınbabası ile kayınanasına laf yeti tire,

„Ba im bahti“, „alp yi idim“, atan yaman, anan yaman,

Benim evce izim ayır“ der;

Evini ayıra, çadıra gücü yetmese,

Çubuk büküp üstüne hasır serip „evim“ diye,

Bir keçisi o lak do ursa malim diye,

Kazan almaya gücü yetmese çömlek ala,

Pirince gücü yetmese yarma koya,

Ak am olunca „Ba im bahti“, „alp yi idim“

Tatlı taamlı bir eyler pi irdim, gel , ye diye

Kayınbabanın ba a kakmasından,

Kaynana eziyetinden kurtuldum, ükür diye... <sup>1</sup>.

„ოღუზო, შენთან უცხო და უცნობი მხარედან

ქალიშვლი მოვა და რძალი გახდება;

ერთი თვეც არ იქნება გასული, რომ ნიქაბის ქვეშიდან ბუზღუნს დაიწყებს.

ერთი წელიც არ გავა, რომ მამათილსა და დედამთილს სიტყვას შეუბრუნებს;

„ჩემო ბედნირებავ“, „ჩემო ვაჟვაცო“ მამაშენი ცუდია, დედაშენიც ცუდია

ცალკე გავიდეთო, იტყვის;

სახლეულს გაჰყოფს და კარვის აგების თავი რომ არ ექნება,

ჯოხებზე ჩალას დააფენს და ჩემი სახლიაო, იტყვის;

თხა რომ თიკანს მოიგებს, ჩემი ქონებაო იტყვის;

ქვაბის შეძენის თავი რომ არ ექნება, თიხის ჭურჭელს იყიდის;

ბრინჯის ნაცვლად ფაფას მოხარშავს;

საღამოსკენ „ჩემო ბედნირებავ“, „ჩემო ვაჟვაცო“,

გემირელი ვახშამი მოგიმზადეო, იტყვის;

მადლობა ღმერთს, რომ მამამთილის დაყვედრებული სიკეთისგან, დედამთილის მარნუებისგან გავთავისუფლდიო, იტყვის.“

უცხო ტომის ქალი ისეა ნაჩვენები, როგორც სახლის დამაქცევარი. მას არ შესწევს უნარი მართოს ოჯახი, სათანადო პატივი სცეს ოჯახის უფროსებს. უცხო ტომის ქალისათვის იმ ტომის, საზოგადოების, ერის, ხალხის ღირებულებები და ტრადიციები, რომელთა შორისაც მას უნევს

<sup>1</sup> Ekici Metin, *Dede Korkut Kitabı Türkistan/Türkmen Sahra Nüshası- Soylamalar ve 13. Boy-Salur Kazan'ın Yedi Ba li Ejderhayı Öldürmesi*, Ötüken Ne riyat ( stanbul, Haziran, 2019), 96.

ცხოვრება, ვერასოდეს გახდება საკუთარივით ახლო და გასაგები. შეგვიძლია მარტივად დავასკვნათ, რომ მე-18 თავში შეინიშნება გარკვეული სახის გულისტკივილი და სინაული, გადეალებულია წარსული, ნაჩვენებია, რომ ღირებულებების, ტრადიციების დადგენილი სოციალური ნორმების უგულებელყოფას შედეგად საზოგადოებრივი გაერთიანების რღვევა მოსდევს.

როგორც აღვნიშნეთ, „დედე ქორქუთის წიგნის“ ახალ ხელნაწერში მხოლოდ ერთ დესთანს ვხვდებით. დესთანში ერთ-ერთი ოღუზი ბეგის, სალურ ყაზანის, მიერ შვიდთავიანი გველეშაპის დამარცხების ამბავია აღნერილი. უნდა ითქვას, რომ დედე ქორქუთის ბეგებს შორის სალურ ყაზანი გამორჩეულ ადგილს იკავებს. დრეზდენის ნუსხაში მას სამჯერ ვხვდებით: 1. Salur Kazanın Evinin ya malandi 1 destan (სალურ ყაზანის სახლეულის დარბევის დესთანი) 2. Kazan Bey o lu Uruzu Beyin esir oldu u destan (ყაზანის ვაჟის, ურუზ ბეგის, დატყვევების დესთანი) 3. Salur Kazan esir olup o lu Uruzun çekardi 1 destan (ურუზის მიერ სალურ ყაზანის ტყეობიდან დახსნის დესთანი) ვატიკანის ნუსხაში მისი სახელი სათაურშიც კი არის გატანილი „Hikayet-i O uzaname-i Kazan Bey ve Gayri“ (ოღუზანმეს ისტორია, ყაზან ბეგი და სხვები). „დედე ქორქუთის წიგნში“ ბეგთაბეგად ბაიდურ ხანია მოხსენიებული, ხოლო მის მარჯვენა ხელად კი – სალურ ყაზანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაიდურ ხანი პასიური პერსონაჟია, რომელიც ბრძოლებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობას არ იღებს. სალურ ყაზანის შესახებ თურქი ფოლკლორისტების მიერ გამოქვეყნებული არაერთი სამეცნიერო კვლევა არსებობს, მაგალითად: ორპან შაიქ გიოქიას ნაშრომში „Dedem Korkudun Kitabi“ (წიგნი პაპაჩემი ქორქუთისა) მას ცალკე თავი აქვს მიძღვნილი; ასევე ძალიან საინტერესოა ალი დუიმაზის ნაშრომი „Bir Destan Kahramani Salur Kazan“ (ეპოსის გმირი სალურ ყაზანი), რომელშიც სალურ ყაზანის როგორც ისტორიული პირის შესახება მსჯელობა. შეგვიძლია დავასახელოთ აპმედ ბიჯან ერჯილასუნის სტატია „Salur Kazan Kimdir“, (ვინ არის სალურ ყაზანი) რომელშიც სალურ ყაზანის ვინაობისა და ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული. ასევე ხაზი უნდა გაესვას ბოლო წლებში (2015-2016) გამოცემულ სამეცნიერო კვლევებს, რომლებიც გურილ ფეხლივანსა და სადეთინ ოზჩელიქს<sup>1</sup> ეკუთვნის. ჩვენი ინტერესი ამჯერად სალურ ყაზანის ვინაობის დადგენას არ ეხება, ამიტომ არ შევუდგებით მის შესახებ არსებული ცნობების დეტალურ ანალიზს. სალურ ყაზანი იმდენად არის ჩვენთვის საინტერესო, რამდენადაც ხელნაწერში როგორც მის შესახებ, ასევე სხვა ოღუზი ბეგების შესახებ ვიგებთ ახალ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია კი დრეზდენისა და ვატიკანის ნუსხებში ან ძალიან მცირე დოზით არის მოცემული, ან საერთოდ არ არის. დრეზდენისა და ვატიკანის ნუსხებში ბეგების ცხოვრებისა და მათი საომარი მოქმედებების აღწერა ყოველთვის იძლეოდა იმის ფიქრის საფუძველს, რომ არსებობდა კიდევ

<sup>1</sup> Ali Duymaz, Bir Destan Kahramani Salur Kazan, Kitapyurdu (İstanbul, 1997); Ahmed Bican Ercilasun, Salur Kazan Kimdir?, Milli Folklor, Sayı 56, Yıl 14.

სხვა დესთანები, რომლებიც უფრო დეტალურად აღწერდნენ ამა თუ იმ ამბავს. ეს დესთანები კი ან ზეპირმეტყველებას შემორჩა, ან სრულიად დაიკარგა. შეიძლება ითქვას, რომ ავშარ ბეგი სრულიად ახალი პერსონაჟია. მისი სახელი დრეზდენის ნუსხაში მხოლოდ ბეგების ჩამონათვალშია მოცემული, ვატიკანის ნუსხაში კი მის შესახებ არაფერს ამბობენ. თუ გავითვალისწინებთ იმ თვისებებს, რომლებითაც ავშარ ბეგია დახასიათებული, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მის შესახებაც იყოს ეპოსი, რომელიც ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. დესთანში დასახელებულია შემდეგი ოღუზი ბეგები: დელი დუნდარი, ყარა ბუდახი, უჩანი ხანის ვაჟი ემენი და ავშარი. ავშარის საომარი თვისებების გარდა, ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზე, რომ ბაინდურ ხანი მას ელჩად გზავნის ფადიშაჲ ბიჩენთან.

დრეზდენის ნუსხის მე-11 დესთანში სალურ ყაზანი საკუთარი საგმირო საქმეების შესახებ ქოფუზის თანხლებით ქებას წარმოთქვამს. სწორედ აღნიშნულ ქებაში გვხვდება სტრიქონები, რომლებშიც იგი შვიდთავიან გველეშაპის დამარცხებას ახსენებს :

„Yedi ba lı ejderhaya yeti ip vardım,

Heybetinden sol gözüm ya ardi.

Hey gözüm, namert gözüm, kalle gözüm,

Bir yıldandan ne var ki korktun dedim.“<sup>1</sup>

„შვიდთავიან გველეშაპს დავედევნე და დავენიე

მისი ძლევამოსილებისგან მარცხენა თვალი მეცრემლებოდა

ჰეი, ორგულო და მშიშარა თვალო

ამ გველმა როგორ შეგაშინაო, ვთქვი“.

ზუსტად ეს ეპიზოდი არის ვრცლად და დეტალურად აღწერილი გუნდეთის ნუსხის მხოლოდ ერთ დესთანში, რომელიც რიგით მე-13, ახალი დესთანია. „Kara Da in ete inde yedi yerde me ale gibi yanan 1 iklar gördü. Yedi yerde koyu koyu tüüp çikan duman gördü. Kazan bu 1 ikları kendi ordusunun me ale 1 ikları sandı. Atının üstünde o 1 iklara do ru, da in tepesinden a a ıya,yola koyuldu..... Bu sırada Kazan 1 ikların oldu u yere yakla inca bir cismi yatar gördü. Yedi yer evreni bir ejderhaya rast geldi... Kazan Ejderha ile dövü meye bal adı, ejderhanın heybetinde Kazan'ın bir gözü bulandı, kan çana ina döndü. Kazan kendi gözüne kızıp söyledi „Sen benim namert gözüm kara çelik kılıçın keskinli inden korkmazdin, on altı batman kafir gürzü ba ıma vuruldu pörtlemedin. Ejderha dedikleri bir yıldır, bunda ne var ki bulanırsın, kanlanırsın? Senin gibi namert göz, benim gibi mert yi itte neyler?“<sup>2</sup> (შავი მთის კალთებზე შვიდ ადგილას ჩირაღდანივით მოელვარე შუქი დაინახა. შვიდ ადგილას მუქად ამომავალი კვამლი დაინახა, ყაზანს ეს შუქი საკუთარი ჯარის ჩირაღდნები ეგონა. ცხენზე შეჯდა და სინათლისკენ გასწია, მთის წვერიდან დაბლა დაეშვა .. ყაზანი მოელვარე

<sup>1</sup> Ergin Muharrem, *Dedem Korkut Kitabı*, Milli Eitim Basımevi, II. baskı (stanbul, 1971), 221.

<sup>2</sup> Ekici Metin, *Dede Korkut Kitabı Türkistan/Türkmen Sahra Nüshası- Soylamalar ve 13. Boy-Salur Kazan'ın Yedi Ba lı Ejderhayı Öldürmesi*, Ötüken Ne riyat (stanbul, Haziran, 2019), 11.

სინათლის ადგილს მიუახლოვდა და მწოლიარე არსება დაინახა, შეკიდთავიან გველეშაპს გადაეყარა. ყაზანი და გველეშაპი ერთმანეთს შეეძნენ. გველეშაპის სიძლიერემ ყაზანს თვალი დაუბრულა და სისხლით აუვსო. ყაზანი საკუთარ თვალს გაუბრაზდა: ჩემო ორგულო თვალო, შავი ფოლადის ალესილი ხმლისაც კი არ შეგძინებია, თავს ურჯულოების თექვაშეტი ბათმანი გურზი მომხვდა და არაფერი დაგგელებია, იმას, რასაც გველეშაპს ეძახიან, გველია და მეტი არაფერი, ასე რამ შეგაშინა რომ იმღვრევი და სისხლით იცსები, შენისთანა ორგული თვალი ჩემისთან ვაჟკაცს არაფერში სჭირდება). ყაზანი შეეცდება კიდეც საკუთარი ხელით თვალის ამოვდებას, მაგარმ იმის შიშით, რომ ხალხი ამას გველეშაპს დააბრალებდა გადაიფიქრებს. გველეშაპის დამარცხებას, რა თქმა უნდა, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გზით ნაჩვენებია, როგორ ებრძოდნენ ოლუზი ტომები ერთი შეხედვით დაუმარცხებელ მტერსა და ბოროტ ძალებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქულ კულტურაში გველეშაპის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. იგი მითოლოგიური არსებაა და უმეტესად სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის თვისებების ნაერთს ნარმოადგენს. პერტევ ნაილი ბორათავი სიტყვის „ejder“, „ejderha“ სპარსულ ნარმომავლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ბორათავის მიხედვით სხვადასხვა გადმოცემაში ეს არსება სხვა სახელითაც – „evren“ – გვხვდება და იგი საკმაოდ დიდი ზომის გველია. ბორათავი მას შეიძლება ურჩხულსაც უნოდებს.<sup>1</sup> ჩვენი მხრივ, გვინდა დაგამატოთ, რომ დესთანში არის ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როცა სალურ ყაზანი გველეშაპის დამარცხების შემდეგ მისი ტყავისგან სამოსელს შეიკერავს. საპრძოლო იარალის ჩასადებებსა და ცხენის ლაგამ-აბჯარ-უნაგირსაც კი გველეშაპის ტყავისგან შეაკერინებს. საჩრდილობელსაც კი დაამზადებინებს. სალურ ყაზანი გველეშაპის ტყავში გახვეული ბრუნდება საკუთარ ხალხთან. ეს ერთი შეხედვით მარტივი ქმედება ღრმა სიმბოლურ ფუნქციას ატარებს. გველეშაპის დამარცხება, მის ტყავში გახვევა გმირის ახალი თვისებებით შემკობას გულისხმობს. ცნობილია, რომ ოლუზი ტომები სახელს იქამდე არ არქმევდნენ შვილებს, სანამ ისინი რაიმე გმირობას არ ჩაიდგნენ. ამისი ნათელი დასტურია დირსე ხანის ვაჟის, ბოლაჩ ხანისათვის, სახელის დარქმევის ეპიზოდი. გველეშაპის დამარცხების მითოლოგება კი გმირის ხელახლა დაბადებას უკავშირდება. ფუნქციონალურად კი ამ უკანასკნელს მეტი დატვირთვა აქვს. გარდა ამისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც რომ გველეშაპის ბრძოლისა და დამარცხების ამბავი რო მნიშვნელოვან კულტურულ დატვირთვას ატარებს. გველეშაპთან შებმამდე სალურ ყაზანი ალაპის მისამართით ლოცვას აღავლენს და დახმარებას სთხოვს. გველეშაპის დამარცხების შემდეგ კი, მის ტყავში ეხვევა. აღნიშნულ ეპიზოდში ისლამური და შამანური ტრადიციის კვალი აშკარაა. თურქულ მითოლოგიაში ცნობლი ფაქტია, რომ შამანები ცხოველის ან ფრინველის

<sup>1</sup> Boratav Pertel Naili, *100 Sorunda Türk Halk Edebiyatı*, Gerçek Yayınevi (stanbul, 1969), 28.

ტყავში ეხვეოდნენ და მათი სამოსელიც და თავსაბურავებიც ცხოველის ან ფრინველის ტყავისა იყო.

„დედე ქორქუთის წიგნის“ მესამე ხელნაწერი მრავალმხრივი კვლევის საგანია. იგი არ შეიძლება განვიხილოთ დრეზდენისა და ვატიკანის ნუსხებისგან დამოუკიდბელად. სამივე ნუსხა ერთი, საერთო „ოღუზნამეს“ შემადგენელი ნაწილია, რომლებიც ოღუზი ტომების შესახებ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის. ახლადაღმოჩენილი ხელნაწერის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში აშკარად იგრძნობა ოღუზი ტომების მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლისა და ისლამური კულტურისა და ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების შერწყმის კვალი. ნუსხაში შემოდის სრულიად ახალი პერსონაჟი – ავშარ ბეგი. იგი შემკობილია როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შესაძლებლობების კუთხით. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ახალი ნუსხა ავსებს წინა ნუსხების დანაკლისს და სხვა ნუსხების აღმოჩენის იმედ-საც ბადებს.

### ***Mzisa Buskivadze***

### **Newly Discovered Manuscript of the Book of Dede Korkut**

Dede Korkut's stories that are, undoubtedly, one of the most important masterpieces of Turkish World's vocal and written literacy tradition, have maintained its value from the past to the present by both transferring the terms of that era to us and as a counsel to society.

Stories of Dede Korkut, have become an essential source to analyze the communal life in different perspectives. Stories of Dede Korkut were a work of experiences which have taken place 10 centuries ago, the stories are a current masterpiece which is enough to arrange social life and people's behavior. The advice of Scholar Dede Korkut is continuing to be passable even though today. Three of them have been compiled by the writers of Dede Korkut's stories, one of the masterpieces which are the Turkish Saga tradition had created and lived along for centuries, get together with the scientific world. These are the manuscripts, which are named as cities' name that they found, in Dresden, Vatican and in 2019 in Turkmen Sahara-Günbet. In these manuscripts, the stories and marks indicate that: "The Book Of Dede Korkut" is not consisting of only 13 tribes found so far.

The scientific article offers discussion of the new, third manuscript of "The Book of Dede Korkut". In 2018, manuscript of the Book of Dede Korkut discovered in Gonbad, and in 2019 it became known to the scientific circles of Turkish studies. It was introduced to the scientific circles by Metin Ekici, Professor at Ege University and folklorist. There are only few works dealing with the new manuscript yet, among them there are only three books: 1. "Dede Korkut Kitabı Türkistan/Türkmen Sahra Nüshası- Soylamalar ve 13. Boy-Salur Kazan'ın Yedi Balı Ejderhayı Öldürmesi" by Metin Ekici, 2. "Dede Korkut

Kitabı'nın Günbet Yazması, nceleme, Metin, Dizin ve Tıpkıbasım” by the group of doctoral students of the Institute of Social Sciences of Ankara University, under leadership of Nasir Shahgoli and 3. “Dede Korkut'un Üçüncü Elyazması ve ki Yeni Boy ile Türkmen Sahra Nüshası/ Metin, Çeviri, Sözlük, Tıpkıbasım” by the orientalist Yusuf Azmun. For analysis of our manuscript we relied on the scientific work published by Metin Ekici but we have thoroughly studied the other works as well.

Gonbad manuscript includes 61 (1A-31A) pages in total. Pages 1A – 26B of the monument contain the stories of different volumes. From page 26B to 31A there is a dastan without title. This dastan, regarding its contents, is the dastan of defeating seven-headed dragon. The manuscript contains 24 stories and one heroic epos, overall the manuscript consists of 25 parts. Two of 25 stories are associated with Salur Kazan's name. Chapter 17 contains the story about how Salur Kazan became famous and Chapter 24 provides brief description of Salur Kazan's expedition. In cultures, animal images have become the subjects of legends, epics and stories with their cosmogonic and mythical features beyond realism. It was born from the necessity of reinforcing this notion twice to emphasize the image or concept of der dragon en, which is an important asset in the Turkish cultural department and which was examined at least. The characterization of the dragon being in the ancient Turkish cultural circle and other cultural circles is one of the points discussed in this paper. The dragon issue is a subject that can be addressed in many respects. In this study I tried to determine in the manuscript “Book of Dede Korkut Tükistan/ Türkmen Sahra, a destan about defeat of the seven-headed dragon by Salur Kazan” the functional value of dragon.

The manuscript clearly demonstrates the tradition of switching from nomad to settled lifestyle, In addition, there are mentioned such Oghuz begs, about whom the Dresden and Vatican manuscripts contain very scarce information. For example, Avshar Beg is absolutely new character in Gonbad manuscript. The manuscript contains a dastan telling about defeat of the seven-headed dragon by Salur Kazan. This episode contains apparent signs of shaman and Moslem traditions. Gonbad manuscript fills the gaps in Dresden and Vatican manuscripts and gives rise to the hopes of discovering of the new ones.

*Tamar Demetrašvili*

## Ambivalent Iranian Root \*fr i:- fr - : Semantic Analysis

The objective of the study is to perform a semantic-etymological analysis of the root \*fr i:- fr - in the diachrony of Iranian languages. I present a summary of the meanings at different chronological levels that the word acquired at various stages of historical development.

The Iranian root \*fr i:- fr - is one of the roots of the vocabulary of Iranian languages. In the historical-comparative dictionaries of Iranian languages, this root is reconstructed on the level of the proto-language.

\*fr i:- fr - ‘to gladden, to please; to grant; to award’ < Aryan \*pr i:- pr -<sup>1</sup>;

Indo-Aryan \*pray- ‘to please, to do somebody a favor, to enjoy, to savor’; ‘pleasing, friendly’, práyas- ‘love, favor, pleasure’, priyá ‘spouse, lover’<sup>2</sup>;

Old Indian pr - ‘to please, delight, cheer; to act kindly to, show grace or favor to anyone; to love’<sup>3</sup>;

Indo-European \*pr i-, pr i:- pr - (pri-) ‘to like, feel well-disposed, friendly’<sup>4</sup>;

Comp. Teut. fr ‘to cherish, spare’, MidHG. vr -ten, Goth. freid-jan ‘to spare’; OHG. fr ten ‘to cherish, love, protect’; OHG. friunt ‘friend, relative’, copm. OSax. friunt ‘friend, relative’; Goth. fri on ‘to love’<sup>5</sup>.

Russian ‘friend’, Proto-Slavic \*prijatel ‘friend’<sup>6</sup>.

### Semantic analysis of the root \*fr i:- fr - in old Iranian Languages:

#### Avestan:

Avestan fr - ‘to rejoice, please, pray, beg’<sup>7</sup>;

Avestan fr y- ‘to satisfy, to wish someone something solemn’; I. fry-, II. a) fr n - : fr n-, II. b) \*fryan-, Participle, perfect, passive \*frita-, fri a-, fr na; Infinitive fr ne<sup>8</sup>;  
With Preverb: -fr - ‘to wish good and evil’: 1) ‘to bless’; 2) ‘to curse’;

<sup>1</sup>

, . 3 (f—h) ( , 2007), 70.

<sup>2</sup> Manfred Mayrhofer, *Etymologisches Wörterbuch des Altindoarischen*, Vol. 2 (Heidelberg, 1996), 181.

<sup>3</sup> Monier Williams, *A Sanskrit-English dictionary, etymologically and philologically arranged, with special reference to Greek, Latin, Gothic, German, Anglo-Saxon, and other cognate Indo-European languages* (Oxford, 1872), 661.

<sup>4</sup> Julius Pokorny, *Indogermanisches etymologisches Wörterbuch*, Band 1, Teil 3 (Bern, Munich, 1959), 844.

<sup>5</sup> Friedrich Kluge, *An etymological dictionary of the German language*, trans. by John Francis Davis (London, 1891), 97-98.

<sup>6</sup> , . 3 ( , 1987), 369.

<sup>7</sup> Christian Bartholomae, *Altiranisches wörterbuch* (Strassburg, 1904), 1025.

<sup>8</sup> Christian Bartholomae, *Altiranisches wörterbuch*, 1016-1017.

Comp. Indo-Aryan a-pr ‘blessing, benediction; curse’<sup>2</sup>; fr n ‘to bless (somebody)’, fr na ‘blessing, benediction’, fr tim, fr ti, fr n mi.<sup>3</sup>

rauuasca. x<sup>v</sup> r mca. fr n mi. v spaii . ašaon . st iš::  
zasca. duž r mca. fr n mi. v spaii . druuat . st iš.: (Y 8, 8; Y 52, 8; Y 11, 15)<sup>4</sup>

‘I bless the splendour and vigour of the whole rightful creation,  
and I curse the distress and wretchedness of the whole wrongful creation’.

For blessing and cursing one and the same word is used, fr n mi. The same peculiarity is to be observed in the old Hebrew word bérék, to give a blessing, and to curse.<sup>5</sup>

Scythian fri- ‘to love’ fli li<sup>6</sup>  
OP, Median \*fr na- ‘nice, pleasant’<sup>7</sup>

Proper Names derived from this root: \*fr n ni-, \*fr niš, fr naz ta- ‘[born to desired]’ liebgeboren.<sup>8</sup>

### Semantic analysis of the root \*fr i-: fr - in Middle Iranian Languages:

#### Choresmian:

fn- ‘to sing’ (< to praise, please with a song) < \*frin -, ry’k ‘honoured, esteemed’; \*upa- : bfn- ‘to create’, bfý- ‘to please’.<sup>9</sup>

#### Sogdian:

BSogd. pry-, CSogd. fry-, MSogd. fry- ‘dear, friend’, SSogd. rywk ‘praise, joy’;

\* - BSogd. ’pryn, CSogd. ’fryñ, MSogd. ’fryñ, MSogd. ’ ryn ‘to praise’;

\*us- CSogd. sfryñ, SSogd. s ryt-, MSogd. sfry - ‘to create’;

\*pati- BSogd. pt r’yn ‘to bless back’, MSogd. p fryñ ‘to send greetings’;

\*ni- BSogd. n ryc, CSogd. nfryty ‘accursed’.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Christian Bartholomae, *Altiranisches wörterbuch*, 330.

<sup>2</sup> Manfred Mayrhofer, *Etymologisches Wörterbuch des Altindoarischen*, 182.

<sup>3</sup> Christian Bartholomae, *Altiranisches wörterbuch*, 330-331, 1017; Manfred Mayrhofer, *Etymologisches Wörterbuch des Altindoarischen*, 182.

<sup>4</sup> Karl F. Geldner, *Avesta, the Sacred Books of the Parsis* (Stuttgart, 1896).

<sup>5</sup> Martin Haug, *Essays on the Sacred Language, Literature, and Religion of the Parsees* (London, 1907), 175.

<sup>6</sup> , , ( , 1979), 289.

<sup>7</sup> , 72.

<sup>8</sup> Walther Hinz, *Altiranisches Sprachgut der Neben Überlieferungen* (Wiesbaden, 1975), 100.

<sup>9</sup> , 71; Johnny Cheung, *Etymological dictionary of the Iranian verb*, Vol. 2 (Leiden, 2007), 87.

Khotanese:

briya- ‘beloved, dear, treasured’;  
\* - vun- ‘to approve’, br yanda ‘beloved’.

Parthian:

’fryny- ‘to invoke blessings on, bless, pray; create’<sup>2</sup>;  
\*ni- nfryd- ‘to curse’<sup>3</sup>.

Pahlavi:

Phl. fr n [’pryn] ‘praise, blessing’

Phl. fr dan, fr n- // fur- [’plytn, ’plyn-, ’pwl- ] ‘praise, bless; to create’<sup>4</sup>  
fr n kartan ‘to praise, to glorify, to utter benediction; to bless; to perform  
an invocation’;

fr tan // fr dan, furitan ‘to create, of gods: fr t u d t’<sup>5</sup>  
nifr n [nplyn’| N ~] ‘curse’<sup>6</sup>

Phl. fr nag n, OIr. -fri- comp. Skt. pri- , Phl. fr n ‘praise, blessing’,  
~ag n [-k’n] ‘Afrinagan prayers’<sup>7</sup>: A term for one of the outer Zoroastrian liturgical services, multi-part ceremony of blessing; specific prayers in the Avesta which are recited during fr nag n ceremonies expressing an invitation to divinities to partake of the sacrifice<sup>8</sup>; a ceremonial vessel in which the sacred fire is tended (Var: fr ngan, fargan), two or more servants hold the ceremony of fr nag n.

**Semantic analysis of the root \*fr i-: fr - in New Iranian Languages:**

NP far n- : far d-, faridan ‘to create’; NP far deg r ‘creator (epithet of God)’; NP far de ‘created being, creature; human’; NP far n Interjection ‘well done! Bravo!’<sup>9</sup>

NP nefrin, nafrin ‘curse’<sup>10</sup>

<sup>1</sup> Johnny Cheung, *Etymological dictionary of the Iranian verb*, 87; Badr ol-Zam n Gharib, *Sogdian dictionary, Sogdian-Persian-English* (Tehran, 1995), 157b, 295a.

<sup>2</sup> Desmond Durkin-Meisterernst, *Dictionary of Manichaean Texts*, Volume III: Texts from Central Asia and China ed. by Nicholas Sims-Williams. Part 1: Dictionary of Manichaean Middle Persian and Parthian (Turnhout, 2004), 26-27, 240.

<sup>3</sup> Johnny Cheung, *Etymological dictionary of the Iranian verb*, 87.

<sup>4</sup> Manfred Mayrhofer, *Etymologisches Wörterbuch des Altindoarischen*, 182; David Neil MacKenzie, *A Concise Pahlavi Dictionary*, 5.

<sup>5</sup> Henrik Samuel Nyberg, *A manual of Pahlavi*, 10.

<sup>6</sup> David Neil MacKenzie, *A Concise Pahlavi Dictionary*, 59.

<sup>7</sup> David Neil MacKenzie, *A Concise Pahlavi Dictionary* (London, 1986), 5.

<sup>8</sup> Martin Haug, *Essays on the Sacred Language*, 284-85.

<sup>9</sup> , - , . 1 ( , 1970), 105.

<sup>10</sup> , - , . 2, 651-652;

, , 70.

In Iranian languages, semantic information of all lexical items derived from the root \*fr i-: fr - shows that in Avestan it means both ‘to pray’ and ‘to curse’. In Middle Iranian languages it means ‘to laud, to bless, to create’, while by adding \*ni-, it denotes ‘to curse’ - \*ni- + Av. fr i- = nifr n [nplyn] ‘curse’, opposite meaning of fr n ‘to pray’; Middle Persian nifr t, nifr n ‘curse’; Classical Persian nafr n. In terms of structure, we have the opposite of the common root, which is created by the prefix of \*ni-.

The original semantic unit has developed into the Classical and New Persian faridan ‘to create’; far n ‘Bravo! Well done!’ but not ‘to curse’. Like in Middle Persian, in New Persian, we have nafr n to express the concept of ‘curse’.

#### **Ossetic arfæ > \*afr-**

arfæ ‘blessing, benediction’; Digor ‘conspiracy, spell’;

arfæ koenyn ‘to bless, to praise’;

arfægond ‘blessed’;

coesti arfoe ‘conspiracy against the evil eye’.

Avestan fr -v cah = Ossetic arføjy wac ‘to wish good and evil’: 1) ‘to bless’; 2) ‘to curse’<sup>1</sup>

This lexical item has ambivalent meaning in Iranian languages (blessing/curse) – positive and negative. In the Middle Iranian languages, this contradiction was lost. The negative meaning i.e. word ‘curse’ is created by new word ni + av. fr y- = nifr n ‘curse’, which is the opposite of fr n ‘prayer’. This trend continued in the New Iranian languages as well. Only in Ossetic, the ambivalent meaning was preserved in Digor dialect.

This lexical item has its specific context in Avestan and Ossetic and is therefore always subject to clear interpretation. These two contradictory meanings ‘curse’ and ‘pray’ are united in different semantic fields and express different concepts. The original meaning of this word is ambivalent. Its double meaning is specified in two contradictory uses – positive and negative.

The linguistic analysis may be summarized as follows:

The lexical items with the \*fr i-: fr - root in Old and Middle Iranian languages, i.e., in the Pre-Islamic period, were used for religious purposes, though later the root lost its ‘curse-pray’ ambivalence and has since been used with a narrower meaning.

The semantic ambivalence of the earliest Iranian vocabulary units from all the Islamic-period Iranian languages is preserved only in Ossetic, which may be related to social, cultural and religious factors.

The semantic proximity of Ossetic and Avestan, as well as the semantic distance of Ossetic and New Iranian languages, is unsurprising given the isolated position of Ossetic in the Iranian Language group.

---

<sup>1</sup> ( , , , 1958), 63-64. , . 1

Iranian tribes known as Scythians by the Greeks and as Saka by the Achaemenids became the predecessors of the Middle East Iranian languages, and of the surviving modern Iranian language Ossetic. The Pre-Islamic Old Northeast Iranian language group Scythian/Saka is only preserved in onomastics. At the end of the nineteenth century, researchers confirmed that Ossetic is the direct successor to one of the dialects of the Scythian-Sarmatian language. Still, Herodotus distinguished Scythian and Sarmatian as two different dialects. This assertion was reinforced by Vasmer and V. Abayev. Just as two dialects of Ossetic – a historically and linguistically more archaic Western, Digor dialect and the literary Eastern, Oran dialect spoken by most Ossetians – co-exist, there existed a more archaic Western dialect, Scythian, retaining many of the signs of the Old Iranian language tradition, and a newer Eastern dialect, Sarmatian, which demonstrates the features of the Ossetic.

The study of the problems of semantic ambivalence requires studying the history of the development of the semantic side of a word, studying the cause-and-effect relationships in the processes of the formation of meaning.

We must distinguish between polysemy and ambivalence.

This lexical unit, on the one hand, is polysemic – i.e. having simultaneous multiple meanings; having two or more historically determined meanings; or having several interrelated meanings based on cognates. In one form, there are two or more possible meanings. Lexical polysemy is the capacity of a word to express several objects or phenomena in one form. The meanings are associated with each other through a common semantic sign.

Therefore, we have a literal and figurative meaning. The portable meaning is explainable, motivated by the direct meaning, and the direct meaning itself is unexplainable. We can explain the development of the meaning of ‘create’ from the meaning of ‘blessing’ in the Middle Iranian language level – ‘what is blessed, it is therefore created’. With the advent of Islam in the seventh century, these religions introduced its own religious terminology and drove out the entire Zoroastrian vocabulary, especially liturgical terms.

On the other hand, this lexical unit is ambivalent, i.e. the word has two contradictory meanings - positive and negative. Direct meaning is unexplainable, and therefore semantic ambivalence is also unexplainable. Semantic ambivalence seems to be characteristic of magical vocabulary.

I tried to address the factors which determine how, why and in what specific situation the new meaning was added to this word; why and how the old ambivalent meaning was preserved only in Ossetic, and how a new figurative, motivated, and therefore explainable meaning developed in other Iranian languages.

## თამარ დემეტრაშვილი

ამბივალენტური ირანული ძირი \*fr i- : fr - : სემანტიკური ანალიზი

სტატიაში წარმოდგენილია ირანულ ენებში \*fr i-: fr - ამბივალენტური ძირის სემანტიკურ-დიაქრონიული ანალიზი, გარკვეულ ქრონოლოგიურ დონეებზე მნიშვნელობათა თავმოყრა, რომლებიც სიტყვამ ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეიძინა.

ამ ლექსიკურ ერთეულს ძეველ ირანულ ენებში აქვს ამბივალენტური – დადებითი და უარყოფითი – მნიშვნელობა (დალოცვა/დაწყევლა). საშუალო ირანულ ენებში ურთიერთსასაწინააღმდეგო ცნებების ერთი სიტყვით აღნიშვნა უკვე დაკარგულია. უარყოფითი/ნეგატიური ანუ ‘წყევლის’ მნიშვნელობისთვის შექმნილია ახალი სიტყვა *ni* + *av.* *fr y- = nifr n* ‘წყევლა’, რომელიც არის *fr n* ‘ლოცვის’ საპირისპირო. ეს ტენდენცია გაგრძელდა ახალ ირანულ ენებშიც. მხოლოდ ოსური ენის დიგორულ დიალექტში შენარჩუნდა ამ ძირის უარყოფითი (წყევლა) მნიშვნელობა.

ავესტურისა და ოსურშიც ამ ლექსიკურ ერთეულს თავისი სპეციფიკური გარემოცვა აქვს, ამიტომ წინადადებაში ყოველთვის ცალსახა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ეს ორი ურთიერთსასაწინააღმდეგო მნიშვნელობა ‘წყევლა’ და ‘ლოცვა’ სხვადასხვა სემანტიკურ ველებშია გაერთიანებული და სხვადასხვა ცნებებს გამოხატავს. ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობა ამბივალენტურია, ხოლო ორმაგი მნიშვნელობა ზუსტდება მის ორ ურთიერთსასაწინააღმდეგო გარემოცვაში – კარგი და ცუდი.

უძველესი ირანული ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ამბივალენტობა ისლამური პერიოდის ყველა ირანული ენიდან მხოლოდ ოსურს ახასიათებს. ოსური ენის ლექსიკაში შენარჩუნებულია ამბივალენტური მნიშვნელობა, რაც, როგორც ჩანს, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ფაქტორებს უკავშირდება.

ოსურისა და ავესტურის სემანტიკური სიახლოვე, ისევე როგორც ოსურისა და ახალი ირანული ენების სემანტიკური დაშორება გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ ოსური ენის იზოლირებულ პოზიციას ირანულ ენათა ჯგუფში.

ირანული ტომები, რომლებიც ბერძნების მიერ სკვითებად იწოდებოდნენ, ხოლო აქემენიდები საკებს უწოდებდნენ, არიან დღემდეცოცხალი ახალი ირანული ენის ოსურის წინაპრები. პრეისლამური ძეველი ჩრდილო-აღმოსავლური ირანული ენობრივი ჯგუფი სკვითური/საკა დოკუმენტირებულია მხოლოდ ონომასტიკონით. ოსური არის სკვითური ენობრივი ტრადიციის მემკვიდრე. სკვითური და ოსური არის ერთი და იმავე ენის ორი საფეხური. სკვითურსა და სარმატულს, როგორც ორ სხვადასხვა დიალექტს, ჯერ კიდევ ჰეროდოტე განასხვავებდა. როგორც თანაარსებობენ ოსური ენის ორი დიალექტი: დასავლური – დიგორული – ისტორიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით უფრო არქაული და აღმოსავლური – ორანული – სალიტერატურო ენა, რომელზეც საუბრობს ოსური მოსახლეობის უმრავლესობა, ისე არსებობდა სკვითური დასავლური დიალექტი, რომელიც უფრო არ-

ქაულია, ინახავს ძველირანული ენობრივი ეპოქის ბევრ ნიშანს, ხოლო აღმოსავლური სარმატული დიალექტი, რომელიც შედარებით ახალია, ამჟღავნებს ოსური ენისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

სემანტიკური ამბივალენტურობის პრობლემათა შესწავლა მოითხოვს სიტყვის სემანტიკური მხარის განვითარების ისტორიის კვლევას, მნიშვნელობათა ფორმირების პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლას.

უნდა განვასხვავოთ პოლისემია და ამბივალენტურობა.

ეს ლექსიკური ერთეული, ერთი მხრივ, არის პოლისემიური, მრავალმნიშვნობანი, ერთდროულად აქვს ორი, ან მეტი ისტორიულად განპირობებული, ან აზრობრივად, ან წარმოშობის მიხედვით ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობა. ერთ ფორმაში არსებობს ორი შესაძლებელი შინაარსი. ლექსიკური პოლისემია არის სიტყვის უნარი, ერთი ფორმით გამოხატოს სხვადასხვა საგანი, ან მოვლენა. მნიშვნელობები ერთმანეთს ასოციაციურად უკავშირდება. არსებობს საერთო სემანტიკური ნიშანი.

ანუ გვაქვს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. გადატანითი მნიშვნელობა ახსნადია, მოტივირებულია პირდაპირი მნიშვნელობის მეშვეობით, ხოლო თავად პირდაპირი მნიშვნელობა აუხსნელია. შეგვიძლია ავხსნათ ‘დალოცვა’ მნიშვნელობიდან ‘შექმნა’ მნიშვნელობის შექმნა/განვითარება საშუალო ირანულ დონეზე – ‘რაც დალოცვილია, ის შექმნილია’. მეშვიდე საუკუნეში ისლამის შემოსვლასთან ერთად ამ რელიგიამ შემოიტანა თავისი რელიგიური ტერმინოლოგია და განიდევნა ზოროასტრული რელიგიის მსახურებისთვის განკუთვნილი ლექსიკა.

მეორე მხრივ, ეს ლექსიკური ერთეული ამბივალენტურია – სიტყვას აქვს ორი ურთიერთსანიალმდეგო მნიშვნელობა – დადებითი და უარყოფითი. პირდაპირი მნიშვნელობა აუხსნელია და, აქედან გამოდინარე, აუხსნელია სემანტიკური ამბივალენტურობაც.

**მანანა კვაჭაძე  
ენობრივი განვითარების დინამიკის შესახებ გომბორელ ლაიჯთა  
მეტყველებაში (ფონეტიკის საკითხები)**

1980-იან წლებში ქვემო ქართლსა და გარე კახეთში საველე მუშაობის დროს მოპოვებული მასალების მონაცემთა მიხედვით გაირკვა, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში აზერბაიჯანელი მოსახლეობის მასიდან გამოიყოფა ირანულებოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც საკუთარ თავს „ლაიჯებს“ უწოდებენ, ხოლო თავიანთ სამეტყველო ენას – „ლაიჯურს“. ეს მეტყველება თავისი ძირითადი ნიშნების – ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული წყობისა და ლექსიკის მიხედვით განეკუთვნება ირანულ ენათა სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს, ახლო გენეტიკურ კავშირს ამჟღავნებს სპარსულ და ტაჯიკურ ენებთან და თათური ენის კილო კავს წარმოადგენს<sup>1</sup>.

ჩვენი ინფორმაციების მიერ მოწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით, XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში გარე კახეთსა და ქვემო ქართლში ჩამოსახლება იწყეს ამიერკავკასიისა და ირანის მეზობელი ოლქებიდან სამოვარზე წამოსულმა სხვადასხვა მუსლიმურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა, მათ შორის იყვნენ: შირვანის ლაპიჯიდან ლტოლვილი ირანული მოდგმის, რამდენადმე გათურქებული და ორენოვანი (თათურ-აზერბაიჯანული) ეთნოგრაფიული ჯგუფი და ირანის აზერბაიჯანიდან ლტოლვილი, თურქული მოდგმის, აგრეთვე ორენოვანი (აზერბაიჯანულ-სპარსული) ეთნოგრაფიული ჯგუფი. ისინი ჯერ მდ. თურდოს მიდამოებსა და სოფელ პალდოში დასახლებულან, შემდეგ კი სოფელ გომბორთან მოუყრიათ თავი.

მეფის რუსეთის დროს გომბორში გარდა ძალზე მცირერიცხოვანი ქართველი მოსახლეობისა (ბასიხინის ცნობით, 10 კომლი ფშავი მოსახლე), ცხოვრობდნენ რუსეთის იმპერიული არმიიდან დემობილიზებული პოლონური წარმომავლობის რუსულენოვანი ჯარისკაცები და რუსი გლეხობა. მძიმე ეკონომიურ პირობებს გამოქცეული ლაიჯები შორიახლის დასახლებულან, პატარ-პატარა მიწურებმი ცხოვრობდნენ თურმე, მიმდებარე ტყეებში მუშაობდნენ, ნახშირს წვავდნენ და ამით ირჩენდნენ თავს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მანანა კვაჭაძე, წინასწარი ცნობები გომბორელ ლაიჯთა მეტყველების შესახებ. – ამიერკავკასიის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია „ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნების აქტუალური პრობლემები“, მუშაობის გეგმა და თეზისები (თბილისი- თელავი, 1982).

<sup>2</sup> მისივე, ცნობები გომბორელი ირნულენოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფის შესახებ წიგნში: მასალები გომბორელ ლაიჯთა მეტყველების შესწავლისათვის (შესავალი, ტექსტები, ლექსიკონი); თსუ გამომცემლობა (თბილისი, 1988), 3-27.

მიგრაციის პროცესი საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა, ინტენსიურად მიმდინარეობდა იგი 30-40-იან წლებში, როდესაც ლაიჯთა უმრავლესობა არტელ „ხის ნახშირში“ მუშაობით იყო დასაქმებული.

1956 წლის წყალდიდობას დიდი ზიანი მიუყენებია მათი მცირე და-სახლებისთვის და ლაიჯთა ნაწილს ნელ-ნელა დაუწყია განსახლება გომბორში, დანარჩენთათვის საკარმიდამო მიწები მიუციათ სოფლის ბოლოს, ერთ მშვენიერ ფერდობზე, სადაც ისინი 60-იანი წლებიდან კომ-პაქტურად დასახლებულან და დამკვიდრებულან.

შემახიდან ლტოლვილმა ლაპიჯელებმა მშობლიური სოფლის სახელიდან ნაწარმოები ეთნონიმი „ლაიჯი“ (L. յji, L. ჟži) ჩამოიყოლეს, ხოლო „თათი“, თურქულენოვან სამყაროში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, უნიდეს ირანიდან მოსულ ხალხს, მიუხედავად მათი ეთნიკური და ენობრივი კუთვნილებისა<sup>1</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახელწოდებანი 1980-იან წლებამდე ფაქტობრივად უცნობი იყო გომბორელი ქართველებისა და სლავებისათვის. ისინი ისტორიულად მაჰმადიან მოსახლეობას, განურჩევლად, აზერბაიჯანელებად თვლიდნენ და ტრადიციისამებრ, შინაურულად „თათრებს“ ეძახდნენ. ამავე სახელწოდებით მოიხსენიებენ საკუთარ თავს ორივე ჯგუფის წარმომადგენლები ყოფაში, ოფიციალურ დოკუმენტებში კი ისინი, ყველანი, აზერბაიჯანელებად იწერებიან და მშობლიურ ენად აზერბაიჯანულს აღიარებენ. მათ მქიდრო საყოფაცხოვრებო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, ხშირია შერეული ქორწინებები. ისტორიული კულტურულ-რელიგიური ერთობის გამო, ისინი ყოფაში მართლაც არ განირჩევიან.

მრავალსაუკუნოვანი ახლო პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-რელიგიური და ენობრივი კონტაქტები კასპიისპირეთის ირანულენოვან და თურქულენოვან ხალხებთან, აგრეთვე კავკასიის ხალხებთან, თავიდანვე საინტერესო ლინგვისტურ არეალს ქმნიდნენ თათური ენის გარშემო. კიდევ უფრო საინტერესო ენობრივ სიტუაციაშია მოქცეული გომბორელ ლაიჯთა მეტყველება. მიგრირებული ლაიჯები ოთხენოვან სიტუაციაში მოხვდნენ. ისინი ინარჩუნებენ „ორივე მშობლიურ ენას“, „როგორც საოჯახო ურთიერთობის საშუალებას, ტრადიციულად, ფლობენ აზერბაიჯანულ ენას და, სოფელ გომბორის რეალობიდან გამომდინარე, ფლობენ ქართულ და რუსულ ენებს.

უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრილი მეტყველება, ძირითადად, ინარჩუნებს თვითმყოფადობას, თუმცა სხვა სისტემათა ენების გავლე-

<sup>1</sup> M. Kvachadze, Language contacts (on the material of Tati-speaking ethnic group living in Georgia). Areas of Iranian-Semitic-Turkic Convergence. – *Linguistic contact in Western and Central Asia in past and present* (Abstracts); (Uppsala University, 2001); იხ. V. Minorsky, Tat, *Enzyklopädie des Islam*, Bd IV (Leiden-Leipzig, 1934), 733-736; . . . . , „“, 1971, 3, 25-33; . . . . , „“, ( . . . . , 1929); . . . . , „“, ( . . . . , 1982), 231; . . . . , „“, ( . . . . , 2010).

ნა მეტ-ნაკლებად ყველა დონეზე შეიმჩნევა, რაც გამოწვეულია სოციალური და ენობრივი გარემოს სპეციფიკით და საინტერესო მასალას გვაძლევს როგორც ირანული დიალექტოლოგის, ისე არეალური ლინგვისტიკისა და ზოგადი ენათმეცნერების თვალსაზრისით.

ახლად მოპოვებული მასალები საინტერესო სურათს გვიხატავს მიგრაციული პროცესებისა და დემოგრაფიული მდგრამარეობის, ეთნო-ეტიკეტისა და სამეტყველო ეტიკეტის თვალსაზრისით<sup>1</sup>; ნათლად ნარმოაჩენს ენობრივი ორიენტაციისა და საკუთრივი ენობრივი განვითარების დინამიკას. გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩემი ინფორმაციები ძირითადად, იყვნენ ლაიჯთა უფროსი თაობის, ფაქტობრივად, პირველჩამოსახლებულ ლაიჯთა ნარმომადგენლები, რომელთა ნაამბობი ცხადად ასახავდა მათი ჩამოსახლების ისტორიას, ხოლო მეტყველება – ლაიჯურ კილოკავს (მდრ. მილერი, 1905; მილერი 1907)<sup>2</sup>. ამ მიმართულებით უკვე სცოდავდა მაშინდელი საშუალო და მით უფრო, ახალგაზრდა თაობა. მათი მეტყველება დომინირებულ ენათა (ქართული, რუსული) დიდ გავლენას განიცდიდა<sup>3</sup>.

ამჟამად სოფელ გომბორში რამდენადმე შეცვლილია დემოგრაფიული სურათი. 80-იანი წლების უფროსი თაობის ნარმომადგენლთაგან თითქმის აღარავინაა ცოცხალი.

ცხადია, გომბორში ფუნქციონბას განაგრძობს ყველა ის ენა, რომლის მატარებლებიც განაგრძობენ აქ ცხოვრებას, რაც მეტად თავისებურ მულტილინგვურ სიტუაციას ქმნის.

ორენოვნობა, დამწერლობის უქონლობა, კულტურული ერთობა აზერბაიჯანელებთან, ხელს უწყობდა აზერბაიჯანული ენის თათურზე ზემოქმედების პროცესს. ამ ზემოქმედების კვალი აღნიშნება თათური ენის ყველა სფეროში – ფონეტიკაში, გრამატიკაში, ლექსიკაში<sup>4</sup>.

რაც შეეხება გომბორელ ლაიჯთა ოთხენვან სიტუაციას, ლაიჯური გომბორში ისევე, როგორც ყველგან, საშინაო საოჯახო ურთიერთობათა ენის ფუნქციას ასრულებს. გომბორელ ლაიჯთა ოჯახში დღესაც აქტიურად ფუნქციობს ე.წ. „ორივე მშობლიური ენა“ – ლაიჯური და აზერბაიჯანული, ისე რომ ზოგჯერ თვით დედა-შვილის ურთიერთობაშიც კი ჭირს დომინირებული ენის დადგენა. ლაიჯთა უმეტესი ნანილი შერეული ენით მეტყველებს, ხშირია ენათა გაუცნობიერებელი მექანი-

<sup>1</sup> მანანა კვაჭაძე, გომბორელ ლაიჯთა მეტყველების საკითხები, თსუ შრომები, ტ. 361, სერია „აღმოსავლეთმცოდნეობა“ (თბილისი, 2004), 179-186.

<sup>2</sup> . . . . . – ( . , 1905),  
I; მისივე,

(1907), . II – . 26

<sup>3</sup> მანანა კვაჭაძე, ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა მნიშვნელობის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს. – თსუ შრომები, ტ. 327, სერია „აღმოსავლეთმცოდნეობა“ (თბილისი, 1998), 37-46; მისივე, ლინგვოკულტურული ინტერფერენციის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს (გომბორელ ლაიჯთა მაგალითზე), ენათმეცნიერების საკითხები (თბილისი, 2011), 151-159.

<sup>4</sup> მისივე, განათლების ენის მნიშვნელობის შესახებ ორენვებობისა და მრავალენოვნობის დროს. – სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში (თბილისი, 2008), 194-200.

კური მონაცემეობა, ხშირია აგრეთვე გაცნობიერებული, შეგნებული მონაცემეობა – ძირითადად, განათლებისა და ოფიციალური ურთიერთობის ენათა მოშველიებით. ეს ყოველივე, ცხადია, გაძლიერებული ინტერიერენციის ნიადაგს ქმნის და არღვევს ხმარებაში მყოფი, ფაქტობრივად, ყველა ენის ნორმებს. აქვე შევნიშნავთ რომ გომბორში დღესაც ცხოვრობენ პირველჩამოსახლებულ ლაიჯთა მეორე ტალღის (30-40-იანი წე.) წარმომადგენლები. ესენი არიან ღრმად მოხუცებული ადამიანები, რომლებიც კარგად მეტყველებენ მშობლიურ ენაზე და აქტიურად იყენებენ მას ოჯახის ახალგაზრდა წევრებთან ურთიერთობისას.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველება ძირითადად ინარჩუნებს თვითმყოფადობას<sup>1</sup>, თუმცა გავლენები ყველა დონეზე შეინიშნება; ცვლილებანი უმეტესად ფონეტიკასა და ლექსიკაში ვლინდება, გარკვეულნილად ეხება იგი მორფოლოგისა და სინტაქსისაც.

1980-იან წლებში უკვე გამარტივებული ჩანდა გომბორელ ლაიჯთა მეტყველების მორფოლოგია და სინტაქსი. ამჟამად, ახალგაზრდა ლაიჯთა ბურებრივ მეტყველებაში არ დასტურდება რიგი ენობრივი მოვლენებისა (თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ საგანგებო, პროვოცირებული გამოკითხვის დროს, ზოგი რამ მაინც დავაფიქსირეთ), შეზღუდულია სიტყვათმანარმოებელ სუფიქსთა გამოყენება, თითქმის აღარ გამოიყენება დამხმარე სიტყვები, ნუმერატივები, არ ჩანს ზოგიერთი კავშრი და ნაწილაკი; შეზღუდულია ზმნის ფორმათა ხმარება და სხვ. გამარტივებულია წინადადება<sup>2</sup>.

გომბორელ ლაიჯთა ლექსიკის ძირითად ბირთვს წარმოადგენს საერთოირანული წარმომობის სიტყვები, აქვე ასახულია ყველა ის ნასესხობა, რაც თათური ენისათვის არის დამახასიათებელი. იგი ინარჩუნებს ადრე შეძენილ ნასეს-ხობებს, რომელთა მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს თათურ ლექსიკაში დამკვიდრებული აზერბაიჯანული სიტყვები, მეტ-ზაკლებად ძემოხახულია არაბული ნასესხობანი — მუსლიმურ კულტურასთან დაკავშირებული სიტყვები; ლექსიკის გაფართოება ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტექნიკური, საყოფაცხოვრებო ტერმინებითაც ინტერნაციონალური, ქართული და რუსული ნასესხობების ხარჯზე.

თათური ენის სხვა კილოკავებისაგან განსხვავებით, გომბორელ ლაიჯთა ლექსიკაში გამოიყოფა ქართულ ნასესხობათა პლასტი, ეს არის საყოფაცხოვრებო ხასიათის ლექსიკა, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული ლექსიკა, სასკოლო-საგანმანათლებლო ლექსიკა და სხვა; ე.წ. „ეგზოტიზმები“, ეთნონიმები, ტოპონიმები, ტანისამოსისა და კერძების აღმნიშვნელი სახელწოდებანი და სხვა. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის კულტურასთან, მეურნეობასთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შდრ. Gülsüm Hüseynova, Lahic tatlarinin dili (Baki, 2002).

<sup>2</sup> მანანა კვაჭაძე, უქსტრალინგვისტურ ფაქტორთა მნიშვნელობის შესახებ..., 37-46.

<sup>3</sup> იქვე.


ორენოვნობის პირობებში, იქ, სადაც წამყვან საზოგადოებრივ ფუნქციას აზერბაიჯანული ენა ასრულებს, თათები (მათ შორის ლაიჯებიც) ხშირად თავან ვოკალიზმსა და კონსონანტიზმს აზერბაიჯანული-სას უქვემდებარებენ, რაც იწვევს ენობრივი ნორმების მერყეობასა და თათური ენისათვის უცხო ფონემების გაჩენას. რაც შეეხება გომბორის ოთხენვან სიტუაციას, სადაც აზერბაიჯანული ენა უმნერლობო ენის დონეზეა გადანაცვლებული და ამდენად, დაკარგული აქვს ავტორიტეტული ორიენტირის ფუნქცია, გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ბერათა წარმოთქმა ზოგჯერ ექვემდებარება ქართულ ან რუსულ კანონზომიერებებს, რაც ხელს უწყობს სანარმოთქმო ნორმების მერყეობას, ისედაც მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ვარიანტების გამრავლებასა და გავრცელებას.

სხვა კილოკავებთან შედარებით, გომბორელ ლაიჯთა ვოკალიზმის სისტემა ხასიათდება ხმოვანი ბერების მეტი არამდგრადობით. თანხმოვანთა სისტემაში იცვლება უკანაენისმიერ ხშულთა პალატალიზაციის ხარისხი, შეზღუდულია ზემოფარინგალური და უვულარული თანხმოვნების გამოყენება და სხვ.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ბერით შემადგენლობას აქვს ისეთივე ფონეტიკური იერსახე, როგორიც ახასიათებს თათურ ენას საერთოდ<sup>1</sup> და მის ლაპიჯურ კილოკავს, კერძოდ<sup>2</sup>.

### ვოკალიზმი

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში გვხვდება 7 მარტივი ხმოვანი ფონება: i, ÿ, u, o, , ä, a და ერთი დიფთონგი ei.



<sup>1</sup> . . , , . - , . . , 1963; . . , ( . . ), 1953, . I; A.

Yar-Shater, *Grammar of Southern Tati Dialects*, The Hague-Paris, 1969; Gilles Authier, *Are Tat languages a Dialect Chain...* 2014; Jahandust, *farhang-e Tati* (Rasht, 1390 (2012)).

<sup>2</sup> . . , , . - , . - , ( . . ), 1905), . I; მისივე, . - , . - , (1907), . II - , . 26;

i – წინა რიგის ხმოვანი, მერყეობს მაღალი და საშუალოზე მაღალი ანეულობის საფეხურთა შორის i-დან e-მდე: bil ‘ნიჩაბი’; mis ‘სპილენძი’; mix ‘ლურსმანი’. გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ფართოდ არის გავრცელებული i ბგერის უკანდახეული ვარიანტები ( ,i ): x rs ‘დათვი’, z nd – ‘ცოცხალი’, riš ‘წვერი’. უმახვილო მარცვლებში i ხმოვანი შეიძლება ამოვარდეს და სიტყვა შეიკუმშოს: xiš an // xš an ‘თვითონ’, ‘თავისი’; d vor // dvor ‘კედელი’.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველების i ( ,i ) შეესატყვისება კლასიკური სპარსული ენის 1) e, 2) , 3) u, 4) , 5) a ხმოვნებს.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში	კლასიკურ სპარსულ ენაში	
ji är	< jegar	‘ლვიძლი’
bil	< bil	‘ნიჩაბი’
rg	< gurg	‘მგელი’
rj, š n	< rušan	‘ნათელი’
b l nd	< boland	‘მაღალი’

ÿ – წინა რიგის მაღალი ანეულობის, ლაბიალიზებული ხმოვანი: být ‘კერპი’, býlbýl ‘ბულბული’, ýl ‘ზურგი’, dýst ‘მეგობარი’, ny ‘ახალი’. სწრაფი მეტყველების დროს ლაბიალიზება სუსტდება, რაც ხშირად განაპირობებს ÿ-სა და i-ს შერევას, ზოგჯერ სრულ რედუცირებას.

გომბორელ ლაიჯთა ÿ ხმოვანი შეესატყვისება კლასიკური სპარსული ენის u და ხმოვნებს:

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში	კლასიკურ სპარსულ ენაში	
být	< but	‘კერპი’
dýr	< d r	‘შორს’
än ýr	< ang r	‘ყურძენი’
bý	< b	‘სურნელი’
šýs an	< šustan	ბანა, რეცხვა’

u – უკანა რიგის მაღალი ანეულობის, ლაბიალიზებული ხმოვანი. ruz ‘დღე’, xub ‘კარგი’, mundan ‘დარჩენა’. უმახვილო მარცვალში ზოგჯერ იკარგება. გომბორელ ლაიჯთა u შეესატყვისება კლასიკური სპარსული ენის 1) , 2) u და 3) ხმოვნებს.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში	კლასიკურ სპარსულ ენაში	
jun	< j n	‘სული’
nun	< n n	‘ჰური’
dunus an	< d nestan	‘ცოდნა’
pur	< pur	‘სავსე’
ruz	< r z	‘დღე’

ä – წინა რიგის დაბალი ანეულობის, არამდგრადი ხმოვანია (a e). zän ‘ქალი, ცოლი’, bär ‘საჩუქარი’, räf an ‘ზასვლა’. ხშირად, ერთსა და იმავე სიტყვაში არა ჩანაცვლებულია ა ხმოვნით: zän//zan; xär//xar და ა.შ. ეს მოვლენა, რომელიც დამახსიათებელია თათური ენის თითქმის ყველა კილოკავისათვის, სოფელ გომბორის პირობებში ფართოდ არის გავრცელებული; ა ხმოვნის ე ვარიანტი გვხვდება შუაენისმიერ თან-ხმოვნებთან: e äl ‘ქეცი’, ef ‘მხიარულება’, e ‘რწყილი’.

გომბორელ ლაიჯთა ა ხმოვანი შეესატყვისება კლასიკური სპარსულის ä-ს:

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში	კლასიკურ სპარსულ ენაში	
xäbär	< xäbär	‘ამბავი’
zärd	< zärd	‘ყვითელი’
xämir	< xämir	‘ცომი’

a – წინა რიგის დაბალი ანეულობის, არალაბიალიზებული ხმოვანია. გომბორელ ლაიჯთა a შეესატყვისება კლასიკური სპარსულის a და ხმოვნებს:

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში	კლასიკურ სპარსულ ენაში	
par	< par	‘ფრთა’
ataš	< taš	‘ცეცხლი’
para	< p ra	‘ნაჭერი, ნატეხი’
af o	< ft b	‘მზე’

o და თათური ენის სხვა კილოკავებისათვის საკამათო ფონე-მებად მიიჩნევა, თუმცა ისინი დასტურდება როგორც საკუთრივ ლაპი-ჯურ კილოკავში, ისე გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში.

o – უკანა რიგის, საშუალო ანეულობის ვიწრო ხმოვანია. გომბო-

რელ ლაიჯთა ი წარმოქმნილია თათური ენის ა ხმოვნის ლაბიალიზე-ბული ვარიანტებისაგან და დიალექტთა უმრავლესობის მსგავსად, შეესატყვისება კლასიკური სპარსულის ხმოვანს<sup>1</sup>.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში	კლასიკურ სპარსულ ენაში	
bor	< b r	‘ტვირთი’
or	< k r	‘საქმე’
mor	< m r	‘გველი’
moh	< m h	‘თვე, მთვარე’
sox an	< s xtan	‘კეთება, ქმნა’

საერთოთათური: bâr, kâr, mâr, mâh.

Theta – წინა რიგის საშუალო ანეულობის ვიწრო ხმოვანია. წარმოქმნება მონოფთონგიზირებული იუ და ჟ- დიფთონგებისა და ჟ-ს ფართო ვარიანტებისაგან (არაბული წარმომავლობის სიტყვებში). შეესატყვისება კლასიკური სპარსულის ა ხმოვანს და ისეთ ასოთშეთანხმებებს, როგორებიცაა b, v, ab, av.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში	კლასიკურ სპარსულ ენაში	
	< b	‘წყალი’
g	< g v	‘ძროხა’
x	< x b	‘ძილი, სიზმარი’
š	< š b	‘ღამე’
d (y) an	< davidan	‘სირბილი, გაქცევა’
m	< hukm	‘ბრძანება’
s bät	< suhbat	‘საუბარი’

ei – დამავალი დიფთონგი. პირველი ხმოვანია ვიწრო e, მეორე – უმარცვლო i. ეტიმოლოგიურად შეესატყვისება შეთანხმებას ay.

<sup>1</sup> ლეილა თუშიშვილი, სპარსული ენის შირაზის ზონის დიალექტების ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II (თბილისი, 1957); მისვე, ისპაპანის ზონის დიალექტების ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი. – თსუ შრომები, ტ. 73 (თბილისი, 1959), 62-68; მისვე, სემნანის დიალექტთა ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი. – თსუ შრომები, ტ. 108 (თბილისი, 1964), 97-105. . . , . . 1888, . II; მისვე, . 1922, . I.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში	კლასიკურ სპარსულ ენაში	
mei	< may	'ღვინო'
seil	< sayl	'ღვარცოფი'
peid	< payd	'ხილული'

საზოგადოდ, თათური ენის მუსლიმურ დიალექტში გამოყოფენ სამ დამავალ დიფთონგებს: ei, ou, ÿ. ამ დიფთონგთა გამოყოფას განაპირობებს თათურ ვოკალიზმში e, o, ხმოვნების, როგორც დამოუკიდებელი ფონემების, არარსებობა, თუმცა თათურ ენაში არის ტენდენცია ახალი ფონემების წარმოქმნისა, როგორებიცაა: e, , o, a, i. ამ პროცესს ხელს უწყობს, როგორც საკუთრივ ენობრივი ფაქტორები, ისე გარეენობრივი გავლენები. გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში დიფთონგები ou და ÿ ფაქტობრივად მონოფთონგიზირებულია, თუმცა უფროსი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში იგი არასტისტემურად, მაგრამ ფიქსირდება, როგორც დიფთონგი.

### ხმოვან ფონემათა შესატყვისობანი

გომბორელ ლაიჯთა	საერთო თათური	კლასიკური სპარსული
i	i, ÿ, u	e, , u, , a
ÿ	ÿ, u	u,
u	u	, u,
o	â	
	ou, ÿ, ÿ	b, v, ab, av, u
ä	ä	a
a	ä, â	a,
ei	ei	ay

ხმოვანთა ჰარმონია – თურქული ენების გავლენით არის გამოწვეული, დამახასიათებელია თათური ენის ლაპიჯური კილოკავისათვის და შენარჩუნებულია გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში: zimin < zamin 'მინა'; duhun < dahun 'პირი, ზღურბლი'; d min < odamin 'ადამიანი'; býrýn < birun 'გარეთ' და a.შ. ეს მოვლენა ვრცელდება ზოგიერთ მორფემაზეც, თუ იგი ასიმილირდება სიტყვის ძირის ხმოვანთან.

მახვილი - გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში, ძირითადად, ემთხვევა თათური ენის სხვა დიალექტთა შორის გავრცელებული მახვილის ადგილს და სიტყვის ბოლო მარცვალზე მოდის.

ეგრეთ წოდებული პროთეზული ხმოვნები i, , u, a გვხვდება st, št, šk, šg თანხმოვანთა ჯგუფებთან ნასესხებ სიტყვებში, როგორებიცაა: isti on 'ჭიქა', usgula 'სკოლა', škob 'კარადა'; ioraნული სიტყვებიდან: us oran 'ყიდვა', as ara 'ვარსკვლავი' და a.შ. ეს მოვლენა გომბორელ ლა-იჯთა მეტყველებაშიც დასტურდება, თუმცა ფართოდ არ არის გავ-რცელებული, რეალურად ისმის: s i on, škob (škaf), škula (skola) და a.შ.

ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე, ისევე, როგორც თათური ენის სხვა კილოკავებში, არ არის ფონოლოგიური, დამოკიდებულია თანხმოვანთა გარემოცვაზე და მახვილის ადგილზე.

### კონსონანტიზმი

		ყავისში- ერები				ნინაუნის- მიერები				შუალენის- მიერები				უკანაუნის- მიერები				უგულა- რულები				ფარინგუ- ლურები			
		ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი	ყრუ მცლერი													
სონა	სპირალოფნები	ხმულები	მარტივი თანხმოვ- ნები	p	b	t	d		g	k		q		( ‘ )											
	ნაპრალოფნები	ხმულები	აფრიკა- ტები				j			x		( )										h			
	ერთფოკუ- სიანები	ერთფოკუ- სიანები	f	v	s	z		y																	
	ორფოკუ- სიანები				š	ž																			
სონა	ნაზალები	m		n																					
	ლატერალები			l																					

	ვიბრანტები		r					
--	------------	--	---	--	--	--	--	--

გომბორელ ლაიჯთა მეტყველების მასალებში დაფიქსირებული თანხმოვნები, ფაქტობრივად, ემთხვევა თათური ენის, კერძოდ, მისი ლაპიჯური კილოკავის თანხოვანთა სისტემას. გვაქვს გარკვეული სახის ცვლილებებიც.

თათურ ენაში ყრუ ნაპრალოვან (f, s, š, x) ბგერათა მომდევნო პოზიციაში ხშულები კარგავენ ფშვინვიერებას და ft, st, št, xt, წყვილებში მეორე ელემენტი, როგორც წესი, მოლაპარაკის მიერ აღიქმება, როგორც მჟღერი თანხმოვანი: fd, sd, šd, xd. გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ამ წყვილების მეორე ელემენტი მჟღერია და რეალურად ისმის f, s, š, x.

ლაიჯურ კილოკავში ფართოდ გავრცელებული პალატალიზაციის გამოუკანავისმიერი ე გადადის შუაენისმიერ -ში, რომელიც საშუალო და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის ლაიჯთა მეტყველებაში გამოკვეთილად ისმის, როგორც j. წინა რიგის ორ ხმოვანს შორის მოქცეული შესაძლოა, სპირანტიზირდეს და მოგვცეს y: äyär < ä är ‘თუ, თუკი’.

საშუალო და ახალგაზრდა თაობის ლაიჯთა მეტყველებაში შუაენისმიერი გადადის –ში: or > or ‘საქმე’.

h – სუსტი თანხმოვანია და ინტერვოკალურ პოზიციაში ადვილად ქრება: sär < sähär ‘ქალაქი’. h, შესაძლოა, დაიკარგოს მაშინაც, თუ იგი სუფიქსის (-hon) შემადგენელი ნაწილია: angišon ‘თითები’. h არ იკარგება სიტყვის თავში: hi ‘არაფერი’.

ზემოფარინგალური ‘ და გვხვდება არაბული წარმომავლობის სიტყვებში; გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ეს ბგერები არამდგრადია.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ვხვდებით ხმოვნის გაორმაგებას, თუ სიტყვაში არის სეგმენტი - ხმოვანი+ “აინი” : bää ‘äädä ‘მერე, შემდეგ’, nää ‘älba i ‘ლამბაქი’.

უვულარული q იშვიათად ისმის. აზერბაიჯანული ენის გავლენით, q, ფაქტობრივად, წარმოითქმის, როგორც g. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში ქართული და რუსული ენების გავლენით, ისმის ბგერა .ჩვენს მასალებში ყოველი მოლაპარაკის ინდივიდუალური მეტყველების გათვალისწინებით, დაფიქსირებულია, როგორც q, g. . სიტყვის შუაში მოქცეული q ხშირად ისმის, როგორც ნაპრალოვანი მჟღერი : ro an ‘ერბო’. სიტყვის ბოლოს q ისმის, როგორც ყრუ x: box ‘ბალი’.

აღნიშნული მოვლენები გამოწვეულია სოციალური და ენობრივი გარემოს სპეციფიკით, შედეგია უშუალო კონტაქტებისა და ხასიათდება არაერთგვაროვნებითა და ვარიანტულობით. ხშირად – სტიქიურობითაც. სხვადასხვაენოვანი მოსახლეობის ჯგუფებს შორის დამყარებული უშუალო კონტაქტები საყოფაცხოვრებო-საოჯახო, საწარმოო

თუ სულიერი ცხოვრების სფეროებში განაპირობებს გომბორელ ლაიჯ-თა ენობრივ ცხოვრებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკე ინდივიდის ასაკს, სქესს, პროფესიას, განათლებას, კულტურულ დონეს, ენობრივ ორიენტაციას და სხვა არაენობრივ ფაქტორებს<sup>1</sup>.

რაც შეეხება ენობრივ ორიენტაციას: როგორც აღვნიშნეთ, თათური (რომლის მუსლიმური დიალექტის ერთ-ერთ კილოკავს წარმოადგენს ლაიჯური) უმწერლობო ენაა და მის მატარებლებს ოფიციალურ ურთიერთობათა და განათლების ენის გამოყენება გარემოებათა მიხედვით უხდებათ, – ირანში ეს ენა სპარსულია, აზერბაიჯანში – აზერბაიჯანული, საბჭოთა საქართველოში – რუსულს არჩევდნენ, ახლა, დამოუკიდებელ საქართველოში ქართულს ამჯობინებენ, ვინაიდან აცნობიერებენ, რომ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ცოდნა საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირებისა და მათ პირად შესაძლებლობათა გაფართოების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და გომბორიდან საბჭოთა ჯარის ნაწილის გასვლის შემდეგ სოფლის სკოლაში ფუნქციობა შეწყვიტა რუსულმა სექტორმა; სასკოლო განათლებისა და ოფიციალურ ურთიერთობათა ენის ფუნქცია ქართულს დაეკისრა. გომბორი ამ ფაქტს შედარებით მომზადებული დახვდა; არაქართველი მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე სახელმწიფო ენის ცოდნის უზრუნველყოფა გომბორში, ფაქტობრივად, უმტკივნეულოდ, ბუნებრივად მოხდა, ვინაიდან შერეულ სოფელში მცხოვრებ სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებს შორის ენობრივი იზოლაცია დიდად არც ადრე იგრძნობოდა, კომუნიკაცია არც ადრე ჭირდა, ქართული მეორე ენა იყო ყველა გომბორელი არაქართველისათვის; რუსულ სექტორზე მოსწავლე ყველა გომბორელი სწავლობდა ქართულ ენას, როგორც საგანს, საუბრობდა ქართულად, ფლობდა ქართულ გრაფიკას, იცოდა წერა-კითხვას.

ქართულენოვან სწავლებაზე გადასვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ენის გავლენა, გაფართოვდა მისი საზოგადოებრივი ფუნქცია, ამაღლდა საზოგადოებრივი სტატუსი.

სასკოლო სწავლებამ დიდად განაპირობა ენობრივ უნარ-ჩვევათა სათანადო გამომუშავება და დახვენა; გაიზარდა ინტერესი ქართული უურნალ-გაზეთებისა და ტელე-რადიო გადაცემების მიმართ, იზრდება ინტერესი საერთოდ ქართული კულტურისა და ფასეულობების მიმართ; შესაბამისად, იზრდება ინტერესი და გულშემატკივრობა ქართული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიმართ. ეს ყოველივე, ვფიქრობ, დიდად შეუწყობს ხელს არაქართველი მოსახლეობის ჩართულობას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში.

<sup>1</sup> მანანა კვაჭაძე, თათები, ლაპიჯელები და გომბორელი ლაიჯები წიგნში: გომბორელ ლაიჯთა მეტყველება. ლექსიკონი გამოკვლევითურთ . KEW-Kolegium Europy Wschodniej (Wojnowice, 2018), 165-206.

*Manana Kvachadze*

## **The Dynamics of Linguistic Development of the Speech of Gomborian Layiji (Phonetic Issues)**

Georgia is a multinational country. The national diversity of the population is conditioned by the migration processes in various periods. The ethnic content of the population of Georgia underwent significant changes in 19th and 20th centuries, because earlier military and political factors were added by migration processes caused by economic conditions. In this respect we come across an interesting situation concerning the speech of Iranian-speaking population living in the village of Gombori in Georgia. A very interesting linguo-cultural picture can be observed in this village on the example of its multiethnic population.

In the first decades of the 20th century, different Muslim ethnic groups from the neighboring regions of Iran and South Caucasus started to inhabit the territory with the purpose of earnings. Among those were: an ethnographic group of Iranian origin, refugees from the village of Lahij in Azerbaijan (to a certain extent Turkish-turned and bilingual (Tati - Azerbaijani) and Turkish ethnographic group, refugees from Iranian Azerbaijan, also bilingual (Azerbaijani - Persian). According to our informants, the process of migration continued in the Soviet period, being most intense in the 30s and 40s of the 20th century, and the government, as it seems, supported it.

The migrants from Lahij are referred as “Layijis”, according to their local self designation, while the term “Tat” according to the tradition of Turkish-speaking world is used to denote representatives of the ethnic group from Iran, regardless of their ethnic and linguistic belonging.

Representatives of immigrant Muslim population, despite their ethnic and linguistic origin, are registered as Azerbaijani in official documents and consider Azerbaijani as their native language. In everyday life, relationships between representatives of different ethnic Muslim groups are quite close, mixed marriages are common. Due to historical, cultural and religious origin, at one glance, these people do not differ from each other. However, an Iranian group can be distinguished, which informally call themselves Layijis and call their native language also Layiji. This language is an oral dialect of Muslim Tat Language.

Tat language belongs to the South-Western group of Iranian languages and its grammatical structure and lexical content is close to Persian and Tajik languages.

Gomborian Muslims belong to practically all social-professional groups. They participate in all main spheres of public life. Contacts between different language groups on family, industrial or spiritual levels determine their linguistic behavior.

Practically every Gomborian Layiji speaks so-called “two native languages” Layiji (Tati) and Azerbaijani. Every Gomborian Layiji speaks Georgian and Russian to some extent. The Gomborian Layijis of elder generation speak fluent

Georgian. The middle-aged generation is more fluent in Russian, whereas the youth prefers Georgian.

The picture is interesting both on conscious and subconscious levels. The speech in unfamiliar language environment is mostly unchanged, though the influence of different languages is more or less noticeable. Changes are revealed mainly on the phonetic and lexical levels, due to extralinguistic factors.

The words pronounced in Georgian are sometimes under Iranian-Turkish phonetic influence. In some cases, they are used without accent, Georgian phonetic and grammatical laws are observed.

In conditions of bilingualism, Azerbaijani being the leading language, the Tat (including Layiji) often subordinate their vocalism and consonantism to that of Azerbaijani. This causes vacillation of language norms and introduction of phonemes that are alien to the Tat language. As for the quadrilingual situation in Gombori, where Azerbaijani is used as a non-written language i.e. is devoid of authoritative function, pronunciation of sounds in Layiji speech sometimes follows the rules of Georgian and Russian. This leads to the deviation from pronunciation norms and multiplication and spreading of diverse phonetic variants.

As compared to other patois, the vocalic system of Gomborian Layiji is characterized by more instability of vowels. In the system of consonants, the degree of palatalization of back plosives varies, whereas the use of upper pharyngeal and uvular consonants is restricted.

The speech of Gomborian Layiji embraces 7 simple vowel phonemes: i, ý, u, o, , ä, a and one diphthong - ei.

i - the front vowel vacillates between high and higher than average from *i* to *e*: bil ‘spade’; mis ‘copper’; mix ‘nail’. In Gomborian Layiji speech, there are frequent cases of back variants of the sound *i* ( ,<sup>i</sup><sub>1</sub>): x̄ rs ‘bear’, z̄ nd – ‘live’, riš ‘beard’. In unstressed syllables, the vowel *i* may be dropped and the word may be subject to syncope: xiš an // x̄s an ‘himself’, ‘his’; d vor // dvor ‘wall’.

The Gomborian Lyiji sound i ( ,<sup>i</sup><sub>1</sub>) corresponds to Classical Persian vowels: 1) e, 2) , 3) u, 4) , 5) a.

ý – front, high, labialized vowel: být ‘idol’, býlbýl ‘nightingale’, ýl ‘back’, dýst ‘friend’, ný ‘new’. During fast speech, labialization becomes weak. Due to this, ý and i are often mixed up or, sometimes, reduced completely.

Layiji vowel ý corresponds to classical Persian vowels u and .

u – back, high, labialized vowel. ruz ‘day’, xub ‘good’, mundan ‘stay’. In unstressed syllables, it is sometimes lost. Gomborian Lyiji sound u corresponds to classical Persian vowels 1) , 2) u and 3) .

ä - front, low, unstable vowel (a – e). zän ‘woman, wife’, bæxš ‘gift’, räf an ‘go’. Often, in one and same word, it is replaced by a: zän//zan; xär//xar etc. This phenomenon, which is characteristic of almost every dialect of the Tat language, is also widespread in Gombori village; variant e of the sound ä is found with medio-lingual consonants: e äl ‘mange’, ef ‘joy’, e ‘flea’.

Gomborian vowel ä corresponds to classical Persian ä.

a – front, low, non-labialized vowel. Gomborian Layiji a corresponds to

classical Persian vowels *a* and *o*: par ‘wing’; ataš ‘fire’; af o ‘sun’.

*o* and *o* are debatable phonemes for other patois of the Tat language. Yet, they are found in Layiji patois as well as the speech of the Layiji population of Gombori.

*o* – back, middle, narrow vowel. Gomborian Layiji *o* is produced from the labialized variants of the Tat vowel *â*. Same as in the majority of dialects, it corresponds to the classical Persian vowel *ö*: bor ‘load’; *or* ‘case’; moh ‘month, moon’.

Common Tat: bâr, kâr, mâr, mâh.

*–* front, middle, narrow vowel. *–* is produced from wide variants of monophthongized diphthongs *ou* and *ÿ* as well as *ë* (in the words of Arabic origin). *–* corresponds to classical Persian vowel *u* and sound combinations like *b*, *v*, *ab*, *av*: *ë* ‘water’; *ş* ‘night’; *s* *bät* ‘conversation’.

*ei* - is a diphthong with falling glide. The first vowel is narrow *e*, and the second is non-syllabic *i*. etymologically, it corresponds to the combination *ay*: *mei* ‘wine’; *seil* ‘torrent’; *peid* ‘visible’.

In general, the Muslem dialect of the Tat language distinguishes three diphthongs with a falling glide: *ei*, *ou*, *ÿ*. Distinction of these diphthongs is due to the absence of vowels *e*, *o*, *–* as independent phonemes in the Tat vocalism. However, in the Tat language, there is a tendency of production of new phonemes such as: *e*, *–*, *o*, *a*, *i*. This process is due to both linguistic and extralinguistic factors. In the speech of Gomborian Layiji, diphthongs *ou* and *ÿ* are, in fact, monophthongized, although in the speech of the elder generation they are non-systematically fixed as diphthongs.

*Vowel harmony* – is influenced by Turkish languages. It is peculiar to Layiji dialect of the Tat language and is preserved in the speech of Gomborian Layiji: *zimin* < *zamin* ‘land’; *duhun* < *dahun* ‘mouth, edge’; *d min* < *odamin* ‘man, person’; *býryñ* < *birun* ‘outside’ etc. This phenomenon also affects certain morphemes, if they are assimilated with the root vowel.

*Stress* - in Gomborina Layiji speech mostly coincides with the stress of other Tat dialects and falls on the final syllable.

The so-called *prosthetic vowels* - *i*, *–*, *u*, *a* are found with consonant clusters *st*, *şt*, *şk*, *şg* in borrowed words like: *istikon* ‘glass’, *ušgula* ‘school’, *şkob* ‘wardrobe’; Iranian words: *us oran* ‘buy’, *as ara* ‘star’ etc. This phenomenon is also present in Gomborian Layiji speech, although it is not widespread. In reality, we hear: *s i on*, *şkob* (*şkaf*), *şkula* (*skola*) etc.

The length of vowels in the speech of Gomborian Layiji, like other Tat patois, is not phonological. It depends on the consonantal environment and the place of stress.

The consonants found in the data of Gomborian Layiji speech, in fact, coincide with the consonant system of the Layiji patois of the Tat language. There are also certain changes.

In the Tat language, plosives following voiceless fricatives (*f*, *s*, *ş*, *x*) lose their aspiration, and, in couples like *ft*, *st*, *şt*, *xt*, the second element is, as a rule, perceived by the speaker as a voiced consonant: *fd*, *sd*, *şd*, *xd*. In the speech of

Gomborian Layiji, the second element is voiced and, in reality, we hear f , s , š , x .

Due to palatalization widespread in the Layiji speech, velar consonant g turns into medio-lingual , which, in the speech of middle-aged and, especially, young Layiji, vividly sounds as j. Between two front vowels, may turn into a spirant and yield y: äyär < ä är ‘if’.

In the speech of middle-aged and young Layiji, medio-lingual turns into : or > or ‘affair, business’.

h is a weak consonant, which easily disappears in the intervocalic position: šär < šähär ‘city’. h may also be lost if it forms part of the suffix (-hon): angišon ‘fingers’. h is not lost in the initial position: hi ‘nothing’.

Upper pharyngeal ‘ and are found in the words of Arabic origin. In the speech of Gomborian Layiji, these sounds are unstable.

In the speech of Gomborian Layiji, there are cases of doubling of vowels, if the word contains a segment - vowel+ “ain”: bää ‘ ädä ‘then, afterwards’, nä ‘älba i ‘saucer’.

Uvular q is rare. Under the influence of the Azerbaijani language, q is, in fact, pronounced as g. under the influence of Georgian and Russian languages, the younger generation pronounces . Taking into account the individual speech of each speaker, we have fixed this sound as q, g, . In the middle of the word, q often sounds as voiced fricative :

ro an ‘lard’. At the end of the word, q sounds as voiceless x: box ‘garden’.

The above-mentioned phenomena are conditioned by specific sociolinguistic environment. They are results of direct contacts. They are characterized by variations and often spontaneity. The speaker’s age, sex, occupation, education, cultural level, linguistic orientation and other extralinguistic factors are of great significance.

As for the linguistic orientation of Gomborian Layijis: being speakers of an unwritten language, they have to choose formal and educational Language according to the environment: in Iran it is Persian, In Azerbaijan it is Azerbaijani, in Soviet Georgia they chose Russian, whereas now, in independent Georgia, they prefer Georgian.

The immigrant population retains its identity (language, religion, traditions) in the multiethnic environment, on the other hand trying to share the lifestyle of the local population and join the process of civil integration

## ლუიზა რუხაძე, ნანული კაჭარავა რამდენიმე აღმოსავლური ნასესხობა ქართულ ენაში

ნასესხები სიტყვები ამდიდრებს ენის ლექსიკურ ფონდს. მათი გამოვლენა და კვლევა ენის ისტორიის შესწავლის საინტერესო სფეროა. ყველა ენა თავისი არსებობის მანძილზე მეტნაკლებად განიცდის უცხო ენის გავლენას. ცნობილია, რომ „ნეინდა ენა“ არ არსებობს. ზოგჯერ ნასესხობა იმდენად ესისხლხორცება მსესხებელი ენის სისტემას, რომ მისი ლექსიკური მარაგის განუყოფელი ნაწილი ხდება. შესაბამისად, სიტყვის უცხოური წარმომავლობის დადგენა მხოლოდ მისი ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად არის შესაძლებელი.

ქართულ ენაში შესული აღმოსავლური ნასესხობების განხილვისას ხშირად გვხვდება ფონეტიკური ცვლილებები; გვხდება ასევე ლექსების მნიშვნელობების დავინროება-გაფართოება, ზოგჯერ კი – რადიკალურად საპირისპირ მნიშვნელობის შეძენაც.

განვიხილოთ ოდენ თურქულიდან ნასესხები რამდენიმე სიტყვა:

1. **ჩილინი/ჩიგინი < či in** კერვის ერთ-ერთი სახეობაა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ლექსემა არ არის. მაგრამ სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ სიტყვა სკარამანგის განმარტებისას გვხვდება ჩიგინი: „ესე არს ძვირფასად და ყვავილოვნად ნაკერი ოქრო(ე)ს თმითა და ჩიგინითა“. აქ მითითებულია, რომ ჩილინი, იგივე ჩიგინი, თურქთა სიტყვაა.<sup>1</sup>

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ განიხილავს ჩიგინს როგორც კერვის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელ ტერმინს. იქვე მიუთითებს, რომ ჩიგინი თურქული სიტყვაა.<sup>2</sup> ეს ლექსემა ფიქსირებულია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც: ჩიგინი – გვირისტით ნაკერი, სკარამანგი.<sup>3</sup> ჩიგინი ი. ცენკერის განმარტებით ნიშნავს აბრეშუმის ძაფით ნაქარგს, ფოთლებისა და ყვავილების გამოსახულებით.<sup>4</sup>

ძველ თურქულ ენათა ლექსიკონში ეს მნიშვნელობა დადასტურებულია: ikin/ ekin: ოქრომკედით ქარგვა აბრეშუმის ქსოვილზე; ekin jipi – აბრეშუმის ძაფი.<sup>5</sup>

2. **ჭავლი < čevri** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით:

<sup>1</sup> ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონი (თბილისი, 1966).

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (თბილისი, 1946), 51.

<sup>3</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი (თბილისი, 1984).

<sup>4</sup> Doerfer G., *Turkische und mongolische Elementen im neopersischen*, I (Weisbaden, 1963), 221.

<sup>5</sup> ( , 1971).

**ჭავლ-ი** (ჭავლისა) წყლის ზედაპირის მცირე რიტმული რხევა, ზედაპირის თრთოლა. „ცხელოდა, სიცხის ბული ტრიალებდა, მინდვრის პირი ტბის ჭავლივით ცახცახებდა“ (გ. შატერაშვილი); „[ავთანდილმა] რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა“ (რუსთაველი).<sup>1</sup>

სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით: ჭავლი წყლისა. მჭავლი (მჭავლი, მჭევლი), ჭევლი, წყლის ჩანადენთ ჩანარეცხი. ჭევლი, წყლის ჩანაგრეხი. ჭევლი, წყალთა ციმციმი.<sup>2</sup>

ძველი თურქული ენების ლექსიკონში: evrül ვნებითია evür-იდან და ტრიალს ნიშნავს.<sup>3</sup> თურქული ენის საზოგადოების (TDK) ლექსიკონის მიხედვით: çevri ლექსების მეორე მნიშვნელობაა ყırdap მორევი, ხოლო çevirmek ნიშნავს ტრიალს, ბრუნვას.<sup>4</sup>

**ჩომბახი < çomak** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ ეს სიტყვა თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს კომბალს.<sup>5</sup> დ. ჩუბინაშვილი კომბალს განმარტავს, როგორც თავმრგვალ ჯოხს, ჩომახს.<sup>6</sup>

როგორც ალ. ღლონტი მიუთითებს, ჩომბახი გვხვდება ქართლურსა და მოხეურ დიალექტებში კეტის, კომბლის, მეცხვარის კომბლის მნიშვნელობით: „ნამოავლონ ჩომახს ხელი და უდონ და უდო.“<sup>7</sup> ფშაურში ჩომბახი თავმოკაუჭჭელი კომბალია. ეს ლექსება გვხვდება ქართველ მწერლებთან, კერძოდ, ალ. ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველასთან, დადასტურებულა ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც.

ინლაუტში /θ/ თანხმოვის მიჯრით /ð/ თანხმოვის გაჩენა უთუოდ ქართულის ნიადაგზეა მომხდარი. შდრ. თურქ. damla > დამბლა; კამქრი - კამბერი, გვიმრა - გვიმბრა და სხვ.

Kubbealtı-ის ლექსიკონი მიუთითებს, რომ ეს სიტყვა ძველი თურქულიდან მოყოლებული გამოიყენება ჯოხისა და კომბლის მნიშვნელობით: çomak (Eski Türkçe'den beri kullanılır) 1. De nek (ჯოხი): “Köpeksiz köy bulmu , çomaksız geziyor.” („ეძალლო ქვიყნაში უჯოხოდ დასეირნობდა“) 2. Eskiden sava larda kullanılan, ba kısmı yuvarlak ve aır sopa (თავმრგვალი მძიმე ჯოხი, რომელიც ძველად ბრძოლებში გამოიყენებოდა): “sfendiyar kendi dahi çomak darbin yedi, kaçtı, Sinop'a dü tü” (Â ikpa azâde) („თვით ისფენდიარსაც მოხვდა ჯოხი, გაიქცა, სინოპს შეაფარა თავი“ (აშიკფაშაზადე)).<sup>8</sup>

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII (თბილისი, 1964).

<sup>2</sup> ს.-ს.ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (თბილისი, 1928).

<sup>3</sup> ( 1971).

<sup>4</sup> Türkçe-Türkçe Sözlük, TDK (Ankara, 2005).

<sup>5</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII (თბილისი, 1964).

<sup>6</sup> დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი.

<sup>7</sup> ალ. ღლონტი, ქართლური ლეგვნდები და ზღაპრები (თბილისი, 1948), 288.

<sup>8</sup> Misali Büyükk Türkçe Sözlük, Kubbealtı Akademisi Kültür ve Sanat Vakfı, Kubbealtı yayınları (stanbul, 2005) <http://lugatim.com>

ეს ლექსემა ომავე მნიშვნელობით მოტანილი აქვს სევან ნიშანიანს თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში: **comak** თავმრგვალ ხის ჯოხს ანუ კომბალს ნიშნავს.<sup>1</sup>

თურქული ენის საზოგადოების (TDK) ლექსიკონში კი მხოლოდ კომბლის მნიშვნელობა აქვს: **comak – ucu topuzlu de nek.**<sup>2</sup>

თანამედროვე ქართულში თურქულიდან შემოსული ზემოთ აღნიშნული ნასესხობები უკვე ნაკლებად გვხვდება.

სტატიაში, გარდა წმინდა თურქული ნასესხობებისა, წარმოვადგენ რამდენიმე სპარსული წარმომავლობის სიტყვას, რომლებიც ქართულ ენაში თურქულის მემვეობით არის შესული.

4. **სილა < sille** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სპარსული ნასესხობაა და ნიშნავს გაშლილი ხელის შემოკვრას ყბაში: „გაფითრებულმა ისეთი სილა გაარტყა, რომ პრისტავს შეეხარბებოდა“ (აკაკი); „მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითაკილა..., წამოუხტა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა გიორგის უეცრად“ (ილია); „[მატრაკვეცას] მოხუცებულმა ხელუკულმა სილა სტკიცა“ (შიო არაგვისპირელი).<sup>3</sup>

თურქულ ორ სხვადასხვა განმარტებით ლექსიკონში იმავე მნიშვნელობითა და სპარსული წარმოშობის მითითებებით ეს სიტყვა ასეა ნამოდენილი: **sille Farsça s l Elin iç yüzüyle vurulan tokat** (გაშლილი ხელის შემორტყმა). *Adam keçinin gerisine haffif bir sille indirdi* (Necati Cumali) (კაცმა თხას ზურგზე მსუბუქად ხელი დაჰკრა (ნეჯათი ჯუმალი)); *Sille yemeden yanak kızarmaz* (Atasözü) (სილის შემოურტყმელად ლოყა არ წითლდება) (ანდაზა)); *Sonra iki küçük sille ile yana imi ok adı* (Peyâmi Safâ) (შემდეგ ორჯერ მსუბუქად ხელი ლოყაზე მომითათუნა (ფეამი საფა)).<sup>4</sup>

შევნიშნავთ, რომ თურქულში **sille**-ს პარალელურად არსებობს მისი უშუალო თურქული სინონიმები **tokat, amar, be karde** – *insana el içi ile vuru* (ადამიანისათვის გაშლილი ხელის გარტყმა).<sup>5</sup> ქართულში უხვად გვაქვს ამ ლექსემის სინონიმები: ალიყული, ალიყური, ავჭარა. თუმცა ამათი წარმომავლობაც დამატირებელია.

5. **ჭარბი < çerb** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: 1. მომეტებული, ზომაზე მეტი. „სახალხო არმიის ნაწილებით აკადემიკები რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგის შემოტკიცას“ (გაზეთი „კომუნისტი“). **ჭარბად** ზმეს. ნამეტავად, ზომაზე მეტად. „ჭარბად წაცხებულ უმარილს ვერ დაეფარა... წვრილი ნაოჭები“ (კ. გამსახურდია);

<sup>1</sup> Ni anyan Sevan, *Ça da Türkçenin Etimolojisi, Ni anyan Sözlü ii* (stanbul, 1990) <https://www.nisanyansozluk.com>

<sup>2</sup> TDK, დასახ. ლექსიკონი.

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI (თბილისი, 1962).

<sup>4</sup> *Türkçe-Türkçe Sözlük*, TDK (Ankara, 2005); *Misalli Büyükk Türkçe Sözlük*, Kubbealtı Akademisi Kültür ve Sanat Vakfı, Kubbealtı Yayınları (stanbul, 2011).

<sup>5</sup> TDK, დასახ. ლექსიკონი.

2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი: სისხლჭარბი, სიტყვა-ჭარბი, დღეჭარბი, მარილჭარბი.

თურქული ენის საზოგადოების (TDK) არც ერთ (განმარტებით, დიალიქტურ) ლექსიკონში ეს ლექსემა არ ფიქსირდება. არ არის არც სეგან ნიშანიანის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“. Kubbealtı Lugati-ის მიხედვით კი „(ჯიმიანის, მსუქნის, მოდიდოს“ მნიშვნელობა აქვს: Çerb (ცერ) (Fars. cerb) Ya h, semiz.<sup>2</sup>

სპარსული წარმომავლობის ეს ლექსემა თურქულიდან შემოსულ ნასესხობად მიგაჩნია.

6. ხუნდი < **künde** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: 1. ძგ. ფეხის ბორკილი – ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე გრძელი, მსხვილი ძელი. „ებრძანებინა: ხუნდები ფეხებში შეუყარეთო“ (აკაკი); 2. დიდი ნადირის დასაჭერი მახე; 3. იგივეა, რაც მორგვი; 4. ტექ. შემოსაჭერი მოწყობილობა, მომჭერი ხუნდი. 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი – ხელხუნდი.<sup>3</sup>

გ.დორენფერი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მიუთითებს *künde* სიტყვის სპარსულ წარმომავლობაზე.<sup>4</sup> ალ. ღლონტი აღნიშნავს, რომ ლექსემა ხუნდი დასტურდება გურულსა და აჭარულ დიალექტებში: „ხის ძველი იარალი; ბატონყმობის დროს დასჯილ ყმებს ფეხებს გააყოფინებდნენ, რომ ვერ გაქცეულიყვნენ.“<sup>5</sup>

თურქული ენის საზოგადოების (TDK) ლექსიკონის მიხედვით:

*Farsça künde* (სპ. ქუნდე) 1. spor. Güre çinin, hasmini altına alıp bir elini önden, ötekini arkadan geçirerek ellerini kilitlemesi (სპორტ. მოჭიდავის მიერ მოწინააღმდეგის ქვეშ მოქცევა, ერთი ხელის წინ, ხოლო მეორის ზურგს უკან გადაგრეხვით ხელების გაკავება) 2. mecz Düzen, tuzak, oyun, hile (გადატ. ეშმაკობა, მახე, ხრიკი, ონი) 3. eskimi Suçluların aya ina ba lanan demir halka, köstek (მოძ. დამნაშავეების ფეხზე შებმული რკინის რგოლი, ბორკილი).<sup>6</sup>

Kubbealtı Lugati-ის მიხედვით: *künde* (ძნკ) i. (Fars. *kunde* “ა აც კეტუ უ”)(სპ. ქუნდე „ხის კუნძი“)

1. Ayak ba 1, köstek, buka 1 (ხუნდი, ბორკილი, რკინის ბორკილები, დუშაყი). 2. ri ve kalın a აც გოვდეს (მსხვილი და სქელი ხის ტანი, მორი). 3. spor. Güre te hasmi altına alıp bir eli rakibin bacaklıları arasından önden, öteki eli arkadan geçirerek kilitleme eklindeki oyun (სპორტ. ჭიდაობის ილეთი, როდესაც მოჭიდავე მოწინააღმდეგეს ქვეშ მოიქცევს, ერთ ხელს ფეხებს შორის წინ ამოუტარებს, ხოლო მეორეს ზურგს უკან გადაუგრებს).<sup>7</sup>

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII (თბილისი, 1964).

<sup>2</sup> Kubbealtı Lugati, დასახ. ლექსიკონი.

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII (თბილისი, 1964).

<sup>4</sup> Doerfer G., *Turkische und mongolische Elementen im Neopersischen*, I (Weisbaden, 1963), 220.

<sup>5</sup> ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა (თბილისი, 1984), 384.

<sup>6</sup> TDK, დასახ. ლექსიკონი.

<sup>7</sup> Kubbealtı Lugati, დასახ. ლექსიკონი.

თურქული ენის საზოგადოების (TDK) ლექსიკონის მიხედვით სიტყვა სპარსული წარმოშობისაა და რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მე-სამე მნიშვნელობით დამნაშავეთათვის ფეხზე მოსაბმელ რკინის რგოლს, ხუნდს ნიშნავს. Kubbealtı Lugati-ც მიუთითებს ლექსემის სპარსულ წარმომავლობაზე და პირველივე მნიშვნელობით ხუნდის განმარტებას იძლევა. მაგრამ აქვე ყურადღებას იპყრობს ლექსემის სპარსული მნიშვნელობის ახსნა და მისი მეორე მნიშვნელობაც: (ან) Fars. *kunde* “ა აც კუთ ი”: *ri ve kalın a აც ებედი* ამ განმარტებითა და მეორე მნიშვნელობით ლექსემა კუნდს ნიშნავს. ამავე მნიშვნელობას იძლევა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი:

**კუნდი (კუნძისა)** 1. „ძელთ მონაკვეთი“ (საბა); მორის მოკლე და მსხვილი, ჩვეულებრივ, ნუშრებიანი ნაჭერი. „მოულოდნელი კუნდი ურემს გადააბრუნებას“ (ანდაზა); „მარინე თითქმის მირბოდა, როსტომი კი მუხის კუნძივით იდგა შუა გზაზე და მინას ჩასცეროდა“ (მიხეილ ჯავახიშვილი); „ცეცხლი უნთიათ კერაზე, ზედ უძევს დიდი კუნდია“ (ვაჟა); „კერაში თავხის სისქე კუნძს (კალ გვერდზე ცეცხლი ეკიდა“ (ილია); „სპატარძლო სახლის უკან ჩამომჯდარიყო კუნძზე“ (ვასილ ბარნოვი). || ხის მორი. „[ცეცხლებს] გაჰქონდათ ზღვით და ხმელით კუნძები“ (გიორგი ნერეთელი). 2. ხის მოჭრისას მინაში ჩარჩენილი ძირა ნანილი ფესვებიანად. „ლელეს გადასცეროდნენ გადამწვარ ჯაგნარიდან ყორნებივით დამსხდარი გარუჯული კუნძები“ (ი.აბაშ.); „თვითონ გერა მინაში ჩარჩენილ [ხის] ძირებისა და კუნძების აფეთქებას ხელმძღვანელობდა“ (ლეო ქაჩელი).<sup>1</sup>

სევან ნიშანიანის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ დაფიქსირებულია ამ ლექსემის კუნძის მნიშვნელობა: *Fa kunde ან კ iri ve kalın a აც, tomruk, buka 1 (სპ. ქუნდი მსხვილი და სქელი ხე, მორი, ჯირკი, კუნდი).*<sup>2</sup>

სპარსული ნასესხობა *kinde* თურქულის მეშვეობით დასტურდება ქართულ ენაში ორივე მნიშვნელობით: 1. ხუნდი 2. კუნდი.

აქვე ს. ნიშანიანის ლექსიკონში შეგვხვდა სიტყვა საშუალო სპარსულიდან: *kund/gund* yuvarlak nesne, top. (მრგვალი საგანი, ბურთი). თანამედროვე სპარსულში – *kund* 1. top, 2. kaba, kalın – ამ ლექსემამ დაიტოვა ბურთის მნიშვნელობა და შეიმატა მეორე მნიშვნელობაც: უხეში, სქელი. *Fa* (სპ.) undak گندخ [küç]. [კნინ.] < *Fa* (სპ.) und/ unda گندخ/غندخ 1.küme, 2.yumak, 3.hamur topu (1.ჯგუფი, კლასტერი, 2.გორგალი, ფთილა, ქულა, 3.ცომის გუნდა) OFa (საშ. სპ.) gund – 1.küme, 2.top, 3.topluluk (1.ჯგუფი, გუნდი, 2.სფერო, წრე, 3.საზოგადოება, თემი, დასი).<sup>3</sup>

სევან ნიშანიანს შენიშვნის სახით მოტანილი აქვს შედარება სანსკრიტთან, სადაც *gu* ა ნიშნავდა სფეროს, წრეს, ჯგუფს, გუნდს.

სომხურში კი: Erm (სომბ.) *gund* > *kunt* գ ն լ և դ და *gndak* > *kntag* գ և դ ա կ "top, küre" (ბურთი, სფერო, წრე). სომხურში ეს ლექსემა სპარ-

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV (თბილისი, 1955).

<sup>2</sup> Ni anyan Sözlü ឃ, დასახ. ლექსიკონი.

<sup>3</sup> Ni anyan Sözlü ឃ, დასახ. ლექსიკონი.

სულიდან უნდა იყოს შესული. ზოგადად ეს სიტყვა თურქული ენების უმრავლესობაში ფიქსირდება.<sup>1</sup>

მზია ანდრონიკაშვილი *gund* საშუალო სპარსულიდან ნასესხებ სიტყვად მიიჩნევს: საშ. სპარს. *gund* „ჯარი, არმია“ = ქართ. გუნდი „ჯგუფი, გროვა“. ახალ სპარსულსა და არაბულშიც გუნდი „ჯარი, რაზ-მის“ მნიშვნელობითაა. გუნდი – „ჯარი ექუსი ათასი“ განმარტებით გვხვდება საბასთანაც.<sup>2</sup>

მაგრამ ჩვენ აქ გვაქვს სხვა მნიშვნელობაც: „მრგვალი საგანი, ბურთი“, რაც ქართულში უშუალოდ გუნდას შეესაბამება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **გუნდა (გუნდისა)** 1. ბურთივით დამრგვალებული ცომი (თოვლი, მიწა..). „სანამ თორნე ცხელია გუნდას დაიჭერსო“ (ანდაზა); „დედაკაცები გაფუებული ცომით სავსე ვარცლს მისდგომიან და გუნდებს იღებენ“ (მიხ. მრევლიშვილი); „იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა“ (ილია); „ეს ამბავი თოვლის გუნდასავით დაგორდა თრიალეთის ზეგანიდან“ (კ. გამსახურდია).<sup>3</sup>

გამოდის, რომ ამ სპარსული ნარმომავლობის ლექსემის მესამე მნიშვნელობაც – გუნდა (ბურთივით დამრგვალებული საგანი) – დამკვიდრებულა ქართულ ენაში.

ქართულში ნასესხობების გამოვლენა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა, თუნდაც იმიტომ რომ საჭირო და აუცილებელია ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენისათვის. ეს მეტად საპატიო მოვალეობაა ყველა ქართველი აღმოსავლეთმცოდნისათვის.

### *Luiza Rukhadze, Nanuli Katcharava* Several Oriental Borrowings in Georgian Language

Borrowed words enrich the vocabulary fund of language. Discovering and researching them is an interesting field of studying language history. All languages are more or less influenced by foreign languages during their existence. It is well known that “sacred language” does not exist. Sometimes borrowing is so similar to the borrowers language, that it becomes an integral part of its vocabulary. Consequently, the foreign origin of a word can be determined only as a result of its etymological research. Phonetic changes are often found in the reviews of oriental borrowings in the Georgian language; which is further reflected in the different formats of the word; there is also a narrowing-expansion of the meaning of the lexeme; sometimes even the acquisition of a radically opposite meaning.

<sup>1</sup> Ni anyan Sözlü ü, დასახ. ლექსიკონი.

<sup>2</sup> მზია ანდრონიკაშვილი, ხარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან (თბილისი, 1966), 168, 199, 229.

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II (თბილისი, 1951).

The article discusses some words borrowed from Turkish:

1. Chigini < çigin “one of the types of sewing.”;
2. Chombakhi < çomak “comb”.
3. Chavli < çevri “Rhythmic oscillation of the water surface, surface abrasion;”

In addition to pure Turkish borrowings, the article mentions several words of Persian origin that are entered into Georgian through the Turkish language:

4. Sila < sille “slap, wrapping outstretched hand in jaw:”
5. Charbi < çerb “increased, extra”.
6. Khundi < kunde “ 1. Foot shackles, 2. Kundzi < kunde Piece of wood,
- 3.Gunda < kund/gund “rounded like a ball (dough, snow, land...).

*Maia Sakhokia*

## The Dynamics of Persian Compound Verbs starts at Old Persian: CV OP Paradigms in Charts

In light of the Common Persian Language, the New Persian Language draws attention by its developed system of compound verbs. Therefore, a simultaneous diachrony and retrospection of concrete units of this language will give much information on typology, interchange and dynamics of compound verbs.

The New Persian's linguistic space is famous for numerous compound verbs and a variety of morphosyntax and lexicological structures, as well as for a small number of simple verbs. /This circumstance and process of the Contemporary Persian started in the Classical Persian and proceeds in the concrete linguistic space with strong dynamics. /

New and new morphosyntax and lexicological characteristics are arising in the Contemporary New Persian system of compound verbs.

87. agriya ha “to be good, to be excellent”
88. arika ha “to be evil, to be ill-done, to be ill-doer”
89. xsayamna amiy “to rule own impulses, to temper”
90. duškartam ha “to be ill-done”
91. jiyamnam ha “to conclude, to expire, to be/ro become expired, to be finishedn concluded”
92. dargam jiva “to live long, to be long living”

### Chart E

E: Some examples: The Most Strong Samples  
The most clear patterns

Maia Sakhokia

List E: 2007-2015

E

New Compound (Complex) Old Persian Verbs by *Small Morphosintactic Contexts*: two *and* more components in CV-taxemes

Groups (according to modeling verbs, noun components, structures, semantics):

I (strong groups)

kar “to do, to make, to create”, NP kardan “to do, to make” (strongest)

d tam caxriy (DB. I. 48-50) make deprived

dipim nipištam akunavam (DB.IV.89-91) inscription I made (made written)  
avast y c xriyat (DB IV 89-91) made in leather

tacaram akunauš (DPa.6) built palace

st n akunavam (DSg.3) I built/made columns

hadiš akunavam (DSf.22) palace built

apad nam.. akunauš (D2Sa 1-2) palace, (of stone in its column(s)), built

apad nam st n ya a againam akunauš (D2Sa.1-2) palace stone in its column(s), built

apad nam.. akunauš (A2Hb) palace, (of stone in its column(s)), built

apad nam st n ya a againam akunauš (A2Hb) palace stone in its column(s), built

apad na akunauš ... (apad na akun m) (A2Sa.3-4) palace built palace I built

duvarTim visadahy়um akunavam (XPa 12-13) Colonnade of All Lands I

built

kartam akunavam (XPh 45-46) I did the wor (cp. NP k r kardan)

naibam akunavam (DSd. 32) I made good

azd kušuva (DNb.50) make known

a agam akunavat (DSf.48) wrought the stone, cut the stone

daraniyam akunavaša (DSf.49-50) wrought gold

d ruv akunavaša (DSf.51-52) wrought wood

agurum akunavaša (DSf.52-54) wrought baked brick

frataram akunavam (XPg.11-12) built further

fraTaram akunavam (XPf 37-38) I built further, I built excellent

*dipim* nipišt m akunauš (XV.22-23) cause (inscription) graved (to cause grave), to whrite inscription. to make inscription

*dipim* nipištanaiy (XV.24-25) to engrave the inscription

nipišt m akunauš (XV.24-25) made, did written; wrote

may xa k *sakaina* karta (XPi) Door-knob (precious stone) made

ardast na *aTagaina* karta (DPc) (stone) window-frame made

patikaram cartanaiy (DSn) sculpture to make

b tugara *siyamam* kart (A1I) (silver) saucer made

ustašan m a *agan* m m m karta (A1Pa21) this stone staircase was built by me (erg, oblique perfect S acc obl Agens)

[naiy] g Tav kartam (DSe 43-44) had been put out of its place

g Tav akunavam (DSe 43-44) I put in its place

did m akunavam (DSe 45-49) I built wall

did *avagmat* akart (DSe 46-47) wall (fallen) unrepaired

mi a kariyaiš... mi a kariyaiš (DNb.8 -11) wrong done... wrong done

m *taiy* avašciy duruxtam kunav taiy (DNb 55-56) let that not be made (to seem) false (S dat exper. Verba sent. ment. affect.)

frašam akunavam (Dso 4) I constracted excellent I constructed excellent, built excellent, done/made excellent, completed”

frašam kunautiy (DSs.1-2) makes exsellence, creates excellence  
martiyam kunautiy (Dss 3-5) makes man, creates man  
šiy tim kunautiy (Dss 3-5) makes happiness, creates happiness  
*uvasp ura c* kunautiy (DSs.5-6) makes (good horses) and good chariots  
*uvasp ura c* kunautiy (DSs.5-6) makes good horses (and good chariots)

d “to create”(strongest)

The multiple groups of Divine Godlike Creation with verbs: ad , adad created

b mim, sm nam, martiyam, šiy tim ad /adad ; šiy tim, frašam adad as e.d.: haya adad ima frašam taya vainataiy haya adad šiy tim martiyahy (DNb 2-3) who created this excellent work which is seen, who created happiness for man (the word order of CV structure here is PO: adad frašam. adad šiy tim: “created excellent, created happiness”)

bar,st ,s/ša,kan,d r,n , ad,man,mar,rad,yad,jad,yaj,pi ,jan,naj,pišt,jan,bav, van,fra-m (strong)

b jim abarat (DB. I. 18-19) bore tribute, to bear tribute  
nipištiy ad rayat (DB IV 89-91) confirmed by the impression of a seal, made impression

g av av st yam.. g av av st yam (DB.I.62-63;64-67). I reestablished it on its foundation... I reestablished on its foundation.

mašk uv av kanam (DB.I.86) I supported on inflated skins

basta ad riya (DB.II.75) (DB II 89-90) was kept bound

partaram patiyajat (DNA. 47) delivered battle, made ware, waged war

pa im (tayam r st m) m avarada (DNA. 58-60) do not leave rigth path

g av n š dayam (XPh.34-35) put down in its place  
g av niyaš dayam (DNA.36) I put down in its place

daiv ayadiya..daiv ayadiya (XPh38-41) worshiped false gods  
daiv m yadiyaiš! (XPh38-41) don't worship false gods

Auramazd m ayadaiy art c *brazmaniya* (XPh38-41) worshipped Ahuramazda and Arta *reverent(l)y*)

y nam jadiy miy (XSc.4) ask as a boon

did m api a (DSf.54-55) adorned wall

niyašt yam yauviy katanaiy (DZc 8-9) I commanded to dig canal (double predicative CV)

yauviy akaniya (DZs 10) canal was dug

n ham gauš h<sup>a</sup>z nam fr janam (DB II 73-74) cut off nose, ears, tongue

cašam avajam (DB II 74-75) (DB II 89) put out eye

duruxtam maniiy taiy (DB IV 49-50) think false  
daršam d ray miy (DNb.13-14) hold firmly under control, I control

BU akaniya.. BU akaniya (DSf 23-29) Down-ward earth was dug,..Down-  
ward earth was dug

ik avaniya..Tik avaniya (DSf 23-29) rubble was packed down,...rubble  
was packed down

ištš ajaniya (DSf 23-29) sun-dried brick was modeled...

visaḥy frašam aday taiy (DSj 5-6) palace which has been built by me  
may it seem exsellent (verba sentiendi, affective verbs, S obl experiencer)

frašam fram tam (SDf 56) excellent (work) commanded/ordered, excellent  
was commanded/ordered

xra um n ayasaya (NDNb 3-5) bestowed wisdom

aruvastam niyasaya (NDNb 3-5) bestowed activity

bav: “to become”, NP šodan “to become” (strong)

arika abava (DB. I. 33-34) became evil, became ill

*drauga* vasiy abava (DB I 34-35) *Lie* waxed great

E: Some examples: The Most Strong Samples

The most clear patterns

Maia Sakhokia

List E: 2007-2015

E

of Old Persian CV: from 2007-2015 years

Main Strict Two-Component Compound/Complex Verbs

According to Auxiliaries - Modeling Verbs (Infinitives in English  
Translation)

I (strongest groups)

kar “to do, to make, to create”(strongest group)

1. d tam caxriy “to capture, to make deprived”
2. avast y c xriyat “to write on skin, to make in leather”
3. tacaram akunauš “to build palace, to construct palace”
4. dacaram akunavam “to build palace, to construct palace”
5. hadiš akunavam/akunam/akunauš “to build palace, to construct palace”
6. apad na akunauš/akunavam “to build palace, to construct palace”

7. st n akunavam “to build column, to construct column”  
 \*st n y akunauš “to build with column, to construct with columns”
8. \*dipim akunavam “to write, to make inscription”
9. kartam akunavam “to make made, to do done”
10. naibam akunavam/akunaus “to make better, to make/to do good, to improve, to construct excellent”
11. miTa kariyaiš “to do evil, to make evil, to do wrong”
12. azd kušuva “to recognize, to make known, to inform”
13. aTagam akunavat “to cultivate stone, to build stone, to cut stone, to work stone”
14. daraniyam akunavaša “to cultivate gold, to make gold, to work gold”
15. d ruv akunavaša “to cultivate wood, to make wood, to work wood, to cut wood”
16. agurum akunavaša “to make brick, to work brick”
17. frašam akunavam “to adorn, to decorate” to do/to make excellent, to make good
18. uvasp kunautiy “to make.to do good horses, to create good horses”
19. ura c kunautiy “to make/to do good chariots, to create good chariots”
20. gaTava akunavam/kartam “to place, to put on its own place, to restore, to put on its own place, to put down in place, to reestablish on foundation”
21. dipim nipištanaiy “to make inscription, to inscribe, to engrave inscription, to do cause inscription”
22. mayuxa (kasakainam) karta “to make (stone) door-knob, to work/to do door-knob”
23. batugara (siyamam) karta “to make (silver) wine-bowl, to work/to do wine-bowl”
24. ustaš/canam (aTaga(i)n m) karta “to make (stone) staircase, to construct staircease”
25. patikaram cartanaiy “to cut sculptures, to cut/to make/to do sculptures”
26. apadanam (st n y a again m) akunavam “to built a palace (by stone columns)”
27. duvarTim (visadahyum) akunavam “to make/to built the gates (of all countries)”
28. ardast na (aTagaina) karta “(stone) window-frame made”
29. did m akunavam “to build wall”
30. did akart “to repair wall, to restore wall, to be not made, to be not built”
31. duruxtam kunav taiy “to seem false”
32. frataram akunavam “to make better, to improve, to do better, to make/to do good/excellent”
33. fra aram akunavam/akunauš “to make better, to improve, to do better, to make/to do good/excellent”
34. \*paradayad m akunavam “to construct as a pleasant, to make paradise, to build paradise”
35. \*\*\*...kartam “to make, to mold/mould, to model [pitcher]”

36. martiyam kunautiy “to create man”
37. frašam kunautiy “to create excellence”
38. šiy tim kunautiy “to create happiness”
39. uvasp kunautiy “to make/to do good horses, to create good horses”
40. ura c kunautiy “to make/to do good chariots, to create good chariots”

*d* “to create (divine, godlike)” (very strong)

41. frašam ad /adad “to create excellence”
42. šiy tim ad /adad “to create happiness”
43. b mim ad “to create earth”
44. sm nam ad “to create sky”
45. martiyam ad “to create man”

other verbs (very strong)

46. did m apiTa “to paint building, to adorn walls, to decorate walls”
47. g av av st Yam “to restore, to put on its own place, to put down in place, to reestablish on foundation”
48. g Tav n š dayam “to place, to put on the its own place, to put down in place”
49. g Tav niyaš dayam “to place, to put on the its own place, to put down in place”
50. maškauva avakanam ”to support on skins, to support on inflated skins”  
(cp.: ušabarim akunavam ”to support on camel, to make camelborn”)
51. yauviy katanaiy “to dig canal”
52. yauviy akaniya “to dig canal”
53. b mi akaniya “to dig earth”
54. nipištiya ad rayat “to print, to confirm by seal, to confirm by impression of seal”
55. basta ad riya “to kept bound”
56. daršam d ray miy “to control, to hold firmly (own) impulses”
57. b jim abarat “to paid tax, to bear tribute”
58. viya marda “to destroy, to smite, to crush”
59. frašam Taday taiy “to like, to seem good, to seem excellent, to think excellent”
60. duruxtam maniy taiy “to think false”
61. daiv ayadiya/m yadiyaiša “to worship idols, to worship false gods, to worship demons”
62. Auramazd m ayadaiy art c “to worship Ahuramazda and Arta”
63. partaram patiyajata “to wage war, to make war, to deliver battle”
64. p Tim (m ) avarada “to leave the course, to leave the path, to leave right path/course”
65. y nam jadiy miy “to ask, to pray favour, to ask as a boon”
66. ištiš ajaniya “to mold sun-dried brick, to work brick, to make/to do sun-dried brick, to cultivate brick”
67. Tika avaniya “to pack rubble”

68. xra um n yasaya “to bestow wisdom”
69. aruvastam niyasaya “to bestow activity ”
70. n ham fr janam “to cut off nose”
71. gauš fr janam “to cut off ears”
72. hz nam fr janam “to cut off tongue”
73. cašam avajam “to put out eye”
74. frašam framatam “to oredrer excellence, to command excellence”

bav as “to become” (strong)

75. arika abava “to get angry, to become evil, to become ill, to become angry”
76. vasiy abava “to multiply, to be multiple, to become great, to be great, to become multiple, to wax”

**მაგა სახოჯია**

**სპარსულის რთულ ზმნათა დინამიკა იწყება ძველსპარსულიდან:**  
**ძველსპარსული რთული ზმნები ტაბულებად**

რთული ზმნები სრული გამყარებისა და გრამატიკალიზაციის შემთხვევაში ჰქონილნებური ერთეულებიდან ვერტიკალური ერთეულების, ლექსიკური პარადიგმების კუთვნილებად იქცევა და გაფორმებას პოვებს ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისითაც. გამოყენებითი, პრაქტიკული სფეროდანაც გამომდინარე, ეს ლექსემებად ქცეული მორფოსინგაქსემები და სინტაქსემები ენის სალექსიკონი ფონდში იმკვიდრებენ ადგილს. ამის საფუძველზე ენის შესწავლა-სწავლებისა თუ ლინგვისტური კვლევა-ძიებისას ასეთ შესიტყვებათა აღქმა-დახსომება ერთან ენობრივ ერთეულად ხამს. მაგრამ საქმე ისაა, ტიპოლოგიურად მოკლედ აღწერილი ეს მოვლენა ცოცხალი ენობრივი პროცესია, რომელიც ქვეცნობიერად ხორციელდება ტექსტური თუ სამეტყველო პრაგმატული ნაკადების საკომუნიკაციო, აქტუალური (აქტუალიზებული) რეალიზაციის დროს, მოქმედი კონკრეტული ენის შემთხვევაში. ენის პრაგმატული სტრუქტურის მსგავსი პროცესები, ცხადია, ივარაუდება ძველი, მკვდარი ენების არსებული ტექსტური მონაცემების კვლევა-აზალიზის შემთხვევაშიც, თუმცა ამ დროს კვლავ იმავე ენის დიაქრონიული ჭრილისა და რეტროსპექტული ტიპოლოგიური შეპირისპირების მეთოდოლოგიას ვიყენებთ: დიაქრონიული და რექტროსპექტული ორმხრივი ანალიზის მეშვეობით ვახდენთ საკვლევ ერთეულთა კოდიფიკაციას და კლასიფიკაციას.

სწორედ ამგვარი კვლევების საუკეთესო საშუალებას, მასალას და საფუძველს იძლევა სპარსული ენის ჭრილი სამი ძირითადი ენობრივი სიბრტყის გათვალისწინებით: ძველი სპარსული-საშუალო სპარსული

(ფალაური) – ახალსპარსული (ორივე დონის, – კლასიკური და თანამედროვე ფარსის ჩათვლით). ზოგადად ახალსპარსული ენათმეცნიერთათვის და კერძოდ ირანისტთათვის კარგადაა ცნობილი ანალიტიკური (ანალიზური, ალნერითი) ერთეულებისა და მათ შორის, პირველ რიგში რთულ ზმნათა სიმდიდრით. ეს ვითარება ზედმინევნით სრულადაა ასახული სპარსული ენის ლექსიკოგრაფიულ მასალაშიც (უპირველესად აქ ვგულისხმობთ და ვეყრდნობით ი. რუბინჩიკის სპარსულ-რუსულ ლექსიკონს). ამ კუთხით სანდო მასალა გვაქვს სპარსული ენის რთულ ზმნათა რეტროსპექტული კვლევისათვის, რასაც საბოლოო ჯამში ზოგადტიპოლოგიური ლინგვისტური ლირებულება გააჩნია.

დიაქრონიული ტიპოლოგიის თვალსაზრისით საგულისხმოა სპარსულ ჭრილში ძველი სპარსულის ვითარება. ადრევე შექმნილი გვაქვს ძველი სპარსულის რთულ ზმნათა მოდელირებულ ჯგუფთა განზოგადოებული სექტები (სახოკია 1972, 1979, 1985, 1998, 2013, 2014, 2015, 2018; იხ. სახოკია 1985, გვ. 93-96, 135 (ტაბულა 5), შდრ. სახოკია 1979 და სხვ.). უფრო ადრინდელი კვლევები ითვალისწინებდა სხვა ავტორთა ცალკეულ სხვადასხვა ნაშრომებსაც, რომელიც ამა თუ იმ კუთხით შეხებოდა სპარსული ენის ჭრილში რთულ ზმნათა საკითხებს (იხ. ბიბლიოგრაფია ჩვენს ნაშრომებში, მეტადრე იხ. ბიბლიოგრაფია ნაშრომებში: სახოკია 2013, 2014, 2018 და სხვ.). ყველა ნაგულისხმევი გამოკვლევები მოიცავს სხვადასხვა მიდგომასა და პარამეტრს.

აღსანიშნავია, რომ ირანული ენათმეცნიერების საფუძვლებში სპარსულის რთულ ზმნათა ჩამოყალიბების წამყვან ენობრივ დონედ პირველ რიგში ძირითადად საშუალო სპარსული (ფალაური) ითვლება. (იეს 1979, იეს 1981: გვ. 135). ეს მაშინ, როცა ჩემი კვლევების შედეგები ცოტა ხნით ადრე, ძველი სპარსულის რთულ ზმნათა მოდელირების მკვეთრად დამაჯერებელ მონაცემებს ააშკარავებდა. მისასალმებელია, რომ ეს ფაქტები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სხვა ავტორებს. კერძოდ, ერთი ახალგაზრდა მკვლევარი თავის დროზე მართებულად წერდა, რომ ირანული ენათმეცნიერების საფუძვლებში წარმოსახული რთულ ზმნათა ჩამოყალიბების კონცეფცია გადასინჯვას მოითხოვს, რადგან ძველი სპარსულის გარკვეული შენაერთები სწორედ რომ ექვემდებარება რთულ ზმნებად მორფოსინტაქსურ კოდიფიკაციას. ავტორი აღნიშნავს: „ზმნური ფრაზეოლოგიზმები, ანუ ე. ნ. ანალიზური ზმნები საშუალოსპარსულ ინვაციადა განხილული, ანუ უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ უკვე ძველი სპარსული ენის ძეგლებში გხევდება გარკვეული რაოდენობა ორნევრიანი ზმნური შესიტყვებებისა, რომლებიც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ზმნათა ამ კატეგორიას“.<sup>1</sup> სსენებულ ნაშრომში შესაბამისად მითითებულია ამ სტრიქონების ავტორის ადრეული შრომები. სპარსულ ენობრივ ჭრილში რთულ ზმნათა დინამიკა, რომელიც ფართოდაა წარმოჩენილი ახალსპარსულში, საშუალო სპარსულის დონეზე აშკარა პროტიპულ ვითარებას გვიჩვენებს, მაგრამ ეს პრო-

<sup>1</sup> იხ. მაკა ნათაძე. რთული ზმნები საშუალო სპარსულ ენაში (უნინდებულო რთული ზმნები). – დავით კობიძე 100, საიუბილუო კრებული, თსუ გამომცემლობა (თბილისი, 2008), 132, 136.

ცესი ნათლად შეინიშნება და ჯერ კიდევ უკვე იწყება ძველი სპარსულის დონეზე. ამ მხრივ სახეზეა მორფოსინგაქსურ ნიშანთა დადასტურებული მემკვიდრეობითობა, ისევე როგორც კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულთა დიაქტონიულ-რეტროსპექტული ანუ პროტოტიპულ-მემკვიდრეობითი ურთიერთკავშირი, ურთიერთმიმართება.

ძველსპარსულ რთულ ზმნათა კოდიფიკაცია და კლასიფიკაცია პირველად 1971-1972 წლებში ჩემს სპეციალურ მოხსენებებში გაუღერდა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე (მოსკოვი, სამარყანდი, თბილისი და სხვა). 1972 წელს სამარყანდში დაიხეჭდა პირველი ნაშრომი ამ თემაზე, 1979 წელს კი – თბილისში, უფრო სრული ნაშრომი, ასევე რუსულ ენაზე.<sup>1</sup> ხოლო უფრო სრულად კი, – ჯერ 1975 წელს დისერტაციაში, შემდგომ კი 1985 წელს მონოგრაფიაში ეს საკითხები ერთერთ ნაკვეთად იყო წარმოდგენილი.<sup>2</sup> მთავარი ისიცაა, რომ ძველსპარსულ რთულ ზმნათა კლასიფიკაცია გრაფიკულად იქნა გაფორმებული 1979, 1975 და 1985 წლების ამ პუბლიკაციებში შესაბამისი ტაბულების სახითაც. ავტორის კვლევების ეს შდეგები სათანადოდ იყო შეფასებული და აღიარებული სპეციალისტთა მიერ, პირველ რიგში კი – ი. რუბინჩიკის მიერ.<sup>3</sup>

ჩვენი დიაქტონიულ-რეტროსპექტული კვლევები ამ მიმართულებით შემდგომშიც გაგრძელდა და მოძიებულ იქნა სრულიად ახალი მორფოსინგაქსური ერთეულები. ძველსპარსული რთულზმნური სისტემის კოდიფიკაციისა და კვალიფიკაციის თვალსაზრისით ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი დებულება: ძველი სპარსულის დონეზე მოქმედებდა რთულ ზმნათა ნაშრომების იმ დროისათვის ცოცხალი მორფოსინგაქსური და ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული მექანიზმი, რომელიც სპარსული ენის დიაქტონიულ ჭრილში შემდგომ ნათლად იკვეთება მის დინამიკაში. ხაზგასასმელია ის ვითარება, რომ ძველ სპარსულში ეს პროცესი ხორციელდება ნამყვანი ფლექსიური ენობრივი სისტემის ფონზე. ბოლო წლებში ჩემ მიერ გამოვლენილია დამატებით ახალი რთულზმნური ერთეულები, მანამდე არაკოდიფიცირებული და არასისტემატიზებული. ასეთი შედეგები მიღებულია უფრო გაღრმავებული გრამატიკული და სემანტიკური სტრუქტურულ-სისტე-

<sup>1</sup> იხ.: . . .

, .2,219, . . . ( , 1972);

<sup>2</sup> – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, მეცნიერებათა აკადემიის გამომც. (თბილისი, 1979).

<sup>3</sup> . . . . ( , 1985), 93-96, 173.

( , 1981) და იქვე ბიბლიოგრაფია; იხ. აგრ. რუბინჩიკის ნაშრომები ბიბლიოგრაფიაში: Maya Sakhokia. New Compound Verbs and Phrase Verbs in Old Persian. – Near East and Georgia, VII, G. Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University publ. (Tbilisi, 2013).

მური ანალიზის ბაზაზე, მცირე და ფართო ტექსტური კონტექსტების ფაქტორთა პრაგმატული გამოყენებით.

ძველი სპარსულის სწორედ ეს ახალი რთული ზმნები თავისი ახ-სა-განმარტებებით მოცემული წერილის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენენ. ნაჩვენებია ახალ რთულ ზმნათა სქემატური ადგილები მოდელირების მორფოსინტაქსურ სქემა-ტაბულებში (იხ. ტაბულები A B C; ტაბ. D ფართო კონტექსტებს გვიჩვენებს, რაც ტექნიკურად ამ სტატიაში ვერ მოთავსდა).

ამდენად, მოცემულ წერილში იკვეთება ორი მთავარი დებულება:

1. ხაზგასმით აღნიშვნა იმ ფაქტისა, რომ ძველი სპარსულის დონეზე სპარსული ენის დიაქრონიული ჭრილის რთულზმნური დინამიკის სასტარტო დასაწყისის კოდიფიკაცია და საკვლევ ერთეულთა სისტემური კლასიფიკაცია ამ სტრიქონთა ავტორის მეცნიერული პრიორიტეტი და გარკვეულნილად შესაბამისი პრეროგატივაცაა. ამ საკითხში ავტორის პირველობას და მისი დებულების მნიშვნელობას ავტორისეული თუ სხვათა სამეცნიერო შრომები ადასტურებენ;
2. ადრევე ჩემ მიერ გამომუშავებული სამუშაო სქემების მიხედვით და ამ მოდელირებული სქემების გაფართოების გზითვე გამოვლენილია სხვადასხვა გრამატიკულ-სემანტიკური ჯგუფისადმი მიკუთვნებადი ახალი რთული ზმნები ძველ სპარსულები; დამყარებულია საშუალო და ახალსპარსულის მონაცემებთან მათი პროტოტიპული კოორდინაცია. საბაზისო ტაბულის ჯგუფთა ძირითადი მონაცემები ადრევე იყო წარმოდგენილი თავის დროზე წინა შრომებში.

საბაზისო ტაბულათა და ახალ ჯგუფთა ძირითადი მონაცემები კვლევის დალევანდელ დონეზე წარმოჩენილია აქ წარმოდგენილ ტაბულებში (tt. A B C E).

მცირე და ფართო კონტექსტთა პრაგმატულ-სემანტიკური კვლევა აფართოვებს ტექსტურებიდან გრამატიკალიზებულ ერთეულთა გამოყოფის შესაძლებლობებს. ამის შედეგად ვიღებთ პორტბონტალური ხაზებიდან რთულ ზმნათა ახალი ვერტიკალურების კვალიფიკირების პერსპექტივებს. ამოსავალ საყრდენ სქემებს ემატება ახალი პარამეტრები. ერთეულთა ლექსიკალიზაციისა და გრამატიკალიზაციის ხარისხები შეიძლება განსხვავებულიც იყოს. სტრუქტურული შემადგენლობის მიხედვით გვაქვს ორნევრიანიც და მრავალნაევრიანი რთულზმნური მორფოსინტაქსებიც. ბევრია მოტივაციებიც.

ერთდროული ორმხრივი მიმართულების (დიაქრონია და რეტროსპექტია) კვლევა უზრუნველყოფს რთულზმნურ მორფოსინტაქსებითა გამოვლენას მათ დინამიკაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენ მიერ ი. რუბინჩიკისეული მოდელირებული სქემების გამოყენება ახალსპარსულიდან პროტოტიპული უკუსვლით ძველი სპარსულისკენ (ფალაურის რგოლის გავლით).

ტაბულებში განთავსებული სხვადასხვა ძველი და ახალი წიმუშები ნიშანთა სხვადასხვა მოტივაციით ხასიათდება. ახალ რთულ ზმნათა აბსოლუტური უმეტესობის დამატება ძველსპარსულ რთულზმნურ სიაში უდავოდ მიგვაჩნია.

უნდა აღინიშნოს ზმნათა კოდიფიკაციისას პრაგმატულ-ეულტუროლოგიური კონტექსტებისა და ეულტუროლოგიურ-სემანტიკურ ფაქტორთა გათვალისწინების საკმაოდ დიდი როლიც. პრაგმატიკა ქმნის მოტივაციას, მოტივირებას, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ შემთხვევაში შესიტყვების ლექსიკალიზაციის სარისხსა და მექანიზმს, რაც საბოლოო ჯამში მაინც წმინდა ლინგვისტურ ფარგლებში უნდა ფორმდებოდეს. ასეთი ექსტრალინგვისტური თუ წმინდა ლინგვისტური მექანიზმები კარგად იგრძნობა და იკვეთება აქემენიდურ ტექსტთა თარგმანისას, იქნება ეს პჩკარედული (სიტყვასიტყვითი), ლინგვისტური სამეცნიერო-აკადემიური თუ მხატვრულ-ლიტერატურული, მათ შორის პოეტიზირებული, პოეტური თარგმანები. ესაა აქემენიდურ წარწერათა თარგმანთა თეორიული საკითხები. ამ თემაზე მოცემულ სტატიაში არ ვსაუბრობთ (იხ. შდრ. მზია ანდრონიკაშვილისა და მ. სახოვიას თარგმანები; აგრ. მ. ანდრონიკაშვილისა და მ. სახოვიას შრომები ამ მიმართულებით) (იხ. მზია სახოვიას შრომებში სრული ბიბლიოგრაფიული სიები).

ძველი სპარსულის შესახებ ყველა შესაბამის საკითხზე, აგრეთვე აქემენიდურ წარწერათა ყველა აკადემიური გამოცემა, გარდა აქ დასახელებულისა, <sup>1</sup> სახილველია ავტორის სხვა, წინა შრომებში.

ჯამურად, წარმოდგენილი მოდელირებული სექმა-ტაბულებითა და ლექსიკალიზებულ მორფოსინტაქსემთა სიებით უზრუნველვყოფთ ძველი სპარსულის რთულ ზმნათა პარადიგმების ჩვენებას. ეს პარადიგმატული სიები შეიძლება სამომავლოდ კვლავაც შეივსოს ას დაზუსტდეს. ამგვარი რთულ ზმნური პარადიგმული ფიგურები პირველად ქვეყნდება. იმავდროულად, ამ ძველსპარსულ პარადიგმათა ზოგადტიპოლოგიური ფასეულობაც უეჭველია.

<sup>1</sup> Roland, Kent. *Old Persian*, (New Haven, 1950).

## **მარიკა ჯიქია**

### **გრამატიკული კონცეპტების გადააზრება თურქული ენის მაგალითზე**

ნებისმიერი ენის გრამატიკულ კატეგორიათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ბრუნვის კატეგორია. ზოგიერთ ენაში ოცდაათი ბრუნვა გვხვდება, ზოგში კი – მხოლოდ ორი.

სახელთა ფლექსიური ფორმები ბრუნვებში გამოხატავენ: აქტიურ-სა და არააქტიურ სუბიექტს, პირდაპირსა და/ან ირიბ ობიექტს, მოქმედების იარაღს, კუთვნილებას, სივრცითსა და დროით მიმართებებს და სხვ.

წინამდებარე წერილში თურქული გრამატიკული აზროვნების წარმოსაჩენად ოდენ თურქი ენათმეცნიერების ნაშრომთა მიხედვით განვიხილავთ თურქული გრამატიკის ერთ სეგმენტს – ნათესაობით ბრუნვას, მის ადგილს ბრუნვათა რიგში, რასაც ებმის იზაფეტის საკითხი.

მშობლიური ენის ბრუნვათა პარადიგმას თურქი გრამატიკოსები სხვადასხვანაირად წარმოადგენენ. თვით ბრუნვის აღმნიშვნელი არა-ბული hal თურქულმა ნეოლოგიზმმა durum-მა არამყარად ჩაანაცვლა – დლესაც ორივე იხმარება. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ საკუთრივ ბრუნვათა სახელდება წარმომავლობის თვალსაზრისით ნარევია, ლა-თინური ტერმინების გვერდით გამოიყენება ამ ტერმინებთან მისადაგებული თურქული კალკები თუ თარგმანები. ასე, მაგალითად:

yalın hal, yalın durum – სახელობითი (განუსაზღვრელობითი,  
ძირითადი) ბრუნვაა;

ilgi hali და tamlayan durumu-თი ნათესაობითი ბრუნვა აღინიშნება;  
yönelme hali (durumu)-თი – მიცემითი ბრუნვა;

yükleme hali და belirtme durumu-თი ბრალდებითი ბრუნვაა სახელ-  
დებული;

kalma და bulunma durumu ადგილობითი ბრუნვის მანიფესტანტია;  
araçlı hal და vasita hali ინსტრუმენტალისის შესატყვისია;

çıkmak და ayrılma durumu დაწყებითი (გამოსვლითი) ბრუნვის იდენტურია.

თურქ გრამატიკოსთაგან მუჰარემ ერგინს ცხრა ბრუნვა აქვს განხილული: სახელობითი, ნათესაობითი, აკუზატივი, დატივი, ლოკატივი, აბლატივი, ინსტრუმენტალისი, ეკვატივი, დირექტივი.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Muharem. Ergin, *Türk Dil Bilgisi* (stanbul,1989), 215-229.

თაპსინ ბანგუოლუსთან ბრუნვათა პარადიგმა **ათი** ბრუნვითაა ილუსტრირებული.<sup>1</sup>

დოღან აქსანს ჩამოთვლილი აქვს **რვა** ბრუნვა. ესენია: სახელობითი, ბრალდებითი, მიმართულებითი, ადგილობითი, გამოსვლითი, განსაზღვრებითი, იგივეობითი, ინსტრუმენტალის.<sup>2</sup>

ზეინეფ კორქმაზი ამავე **რვა** ბრუნვას განსხვავებული თანამიმდევრობით წარმოადგენს: *yalın durum, ilgi durumu, yükleme durumu, yönelme durumu, bulunma durumu, çıkışma durumu, vasita durumu, e itlik durumu* (equative case).<sup>3</sup>

თაპინ ნეფათ გენჯანთან და ჰაიდარ ედისკუნთან **ხუთი** ბრუნვაა მოცემული. ეს ბრუნვებია: სახელობითი, ბრალდებითი, მიცემითი, ადგილობითი და დაწყებითი.<sup>4</sup>

რიგ თურქ გრამატიკოსებთან (ს. გიუნეში, ჰ.ზულფიკარი, მ.ჰენგირმენი და სხვ.) ბრუნვის კატეგორია ამ მოცემულობებით შემოიფარგლება.

უცილოდ თვალში საცემია ტერმინოლოგიური სიქრელე. არ ვგულისხმობ მხოლოდ ტერმინთა წარმომავლობას. თურქული ეკვივალენტები უპირატესად ორვარიანტიანია, რასაც ემატება ბრუნვათა სახელდება ბრუნვის ნიშანთა მიხედვით. ასე, მაგალითად: ბრალდებითის ორ თურქულ სახელწოდებას – *yükleme hali* და *belirtme durumu* – ემატება მესამე -i hali (-i-ს ბრუნვა) (-i- ბრალდებითი ბრუნვის ნიშნის 8 ალომორფთაგან ერთ-ერთია); მიცემითის აღსანიშნავად გამოყენებულია -e hali, მიცემითი ბრუნვის ნიშნის 4 ალომორფთაგან ერთ-ერთის სახელი; ადგილობით ბრუნვას, თურქულად ორგზის სახელდებულს – *kalma* და *bulunma* durumu – დაემატა -de hali, ასევე ორნაირად სახელდებული დაწყებითი ბრუნვა – *çıkma* და *ayırılma* durumu – ადვილად დასამახსოვრებელია ბრუნვის ნიშნიანი სახელდებით: -den hali. ტერმინთა ამ „კონგლომერატს“ იდენტიფიკაციისათვის რეგულარულად ემატება აკუზატივი, დატივი, ლოკატივი, აბლატივი.

ბრუნვათა პარადიგმის ხუთწევრიანი ვარიანტი – ნათესაობითი ბრუნვის გარეშე – ისნავლება დაწყებითსა და საშუალო სკოლებში.<sup>5</sup> აქვე მოგვაქვს ამ სქემით არსებითი სახელის *vatan* ‘სამშოლო’ ბრუნების საილუსტრაციო წინადადებები მე-5 კლასის სახელმძღვანელოდან:<sup>6</sup>

Vatan (სახელობითი) bizim canımızdır ‘სამშობლო ჩვენი სულია.’

Vatani (ბრალდებითი) çok severiz ‘სამშობლო ძალიან გვიყვარს.’

<sup>1</sup> Tahsin Banguo lu, *Türkçenin Grameri* (Ankara, 2007), 38.

<sup>2</sup> Do an Aksan, *Her yönüyle dil* (Ankara, 1995), 27.

<sup>3</sup> Zeynep Korkmaz, *Türkiye Türkçesi Grameri( ekil Bilgisi)* (Ankara, 2009), 23-25.

<sup>4</sup> Tahir Nejat Gencan,. *Dilbilgisi* (Ankara,2007),193. Haydar Ediskun, *Türk Dilbilgisi* ( stanbul,1999), 110.

<sup>5</sup> Avni Ba man, Necmettin Onan, *Dilbilgisi*, Iк okul kitaplari ( stanbul, 1958), 26-27.

<sup>6</sup> Feth' Bolayır, *Uygulamalı Dilbilgisi*, *Ikokul 5* (Ankara, 1990), 65-67.

**Vatana** (მიცემითი) hizmet hepimizin borcudur ‘სამშობლოს

სამსახური ყველა ჩვენგანის ვალია.’

**Vatanda** (ადგილობითი) herkes här ya iyor. ‘სამშობლოში ყველა  
თავისუფლად ცხოვრობს.’

**Vatandan** (დაწყებითი) ayrılı in acısı unutulmaz. ‘სამშობლოსთან  
განშორების ტკივილი დაუვიწყარია,’

რის საფუძველზე უგულებელყოფილი ნათესაობითი ბრუნვა?

ბეჯითად თუმცა ამაღლ ვექიებით ბრუნვათა რიგიდან ნათესა-  
ობითის გაქრობის არგუმენტირებულ მოტივაციას. პირადი კონტაქტე-  
ბის გამოყენების შედეგად ასეთი ჰასუხი გაგვცეს: რადგან ზმნას არ  
უკავშირდება, ნათესაობითი ბრუნვად ვერ ჩაითვლებაო.

თურქულ ენას არ გააჩნია განზოგადებული სემანტიკის ისეთი  
ზმნები, როგორიცაა ქართული „მაქვს, მყავს“,<sup>1</sup> ან ევროპული ენების  
სათანადო ზმნები: გერმანული haben, ფრანგული avoir, ინგლისური to  
have, რუსული . ამიტომ ქონა-ყოლის სემანტიკის გამოხატვა  
თურქულ ენაში ეკისრება var და yok პრედიკატულ სიტყვებს. ორივე  
სიტყვა ზმნური შინაარსისა და აღნიშნავს მოქმედების სუბსტან-  
ციალურ სახეს: ქონას, ყოლას, მიკუთხნებულობას. სინტაქსურ დონეზე  
ენობრივად სწორედ ეს სიტყვები რეალიზდება ზმნა-შემასმენლის ფუნ-  
ქციით და ქონა-ყოლის კონსტრუქციის ფარგლებში მიემართება აუცი-  
ლებელ და საკმარის წევრთა შესატყვის სახელებს. var და yok პრე-  
დიკაცია ქონა-ყოლა პრედიკატული სიტყვების შემცველ კონსტ-  
რუქციაში აუცილებლად მოითხოვს ვერბალობის შემსრულებელს, ანუ  
იმას, ვინც ფლობს რამეს, და ფლობის, კუთვნილების ობიექტს, ანუ  
იმას, რასაც ფლობენ. პრედიკატულ სიტყვებთან დაკავშირებული  
ერთი აქტანტი მოიაზრება სუბიექტად, ხოლო მეორე – ობიექტად:

Babamın parası yok. ‘მამაჩემს ფული არა აქვს.’

Kızının ni anlısı var.‘მის ქალიშვილს დანიშნული ჰყავს.’

სინტაქსურ დონეზე პრედიკაცია გადმოცემულია წინადადების  
შემასმენლით – var-ით ან yok-ით, მფლობელი გატოლებულია ქვემდე-  
ბარესთან, ხოლო კუთვნილების ობიექტი – დამატებასთან.

მორფოსინტაქსურ დონეზე პრედიკაცია რეალიზდება კონ-  
გრუენციის წესებით – პრედიკატული სიტყვა სუბიექტს მოითხოვს ნა-  
თესაობით ბრუნვაში, ხოლო ობიექტს ერთვის შესაბამისი პირის  
კუთვნილებითი აფიქსი.

ამდენად, სუბიექტთან გატოლებული ლექსიკური ერთეული  
დგას ნათესაობით ბრუნვაში და მიემართება შემასმენელთან გატოლე-  
ბულ სიტყვას არა მარტო ანატოლიურ, არამედ ყველა – ანუ ოცდა-  
ცხრამეტ თურქულ ენაში.

ნათესაობითი ბრუნვის ზმნის პირიელ ფორმასთან კავშირის  
გასამყარებლად მოვიხმობთ მაგალითებს არამონათესავე ენებიდან,  
რაც ამ ფაქტს ტიპოლოგიურადაც გაამაგრებს.

<sup>1</sup> ნანა ჯანაშია, „მყოფელობის“ და „მქონებლობის“ გამოხატვის სემანტიკა და  
გრამატიკა თურქულ ენაში (თბილისი, 2000), 95.

ქონა-ყოლის კონსტრუქციისეული ქვემდებარე რუსულშიც ნა-  
თესაობით ბრუნვაშია:

У товарища (ნათესაობითი ბრუნვა) . ‘ამხანაგს  
სახელმძღვანელო აქვს.’

(ნათესაობითი ბრუნვა) .’ მეზობელს არ ჰყავს  
მტრები.’

ქართულში ირიბობიერებული პირი მიცემით ბრუნვაშია პირველი  
და მეორე სერიის ზმნებთან, ხოლო მესამე სერიაში გარდაიქმნება და  
-თვის თანდებულიანი ნათესაობითის ფორმით შეეწყობა ზმნას – დეი-  
დაჩემი მეზობელს კაბას უკერავს – დეიდაჩემს **მეზობლისთვის** კაბა  
შეუკერავს.

ასევე ქართულში ზმნის პირიელი ფორმები შეინყობს კიდეც სა-  
ხელს ნათესაობითში. ნათესაობითბრუნვიან სახელთა ცხრა ზმნასთან  
შენყობის შემთხვევები განხილული აქვს მერი დამენიას.<sup>1</sup> ავტორი აანა-  
ლიზებს შემდეგ ზმნებს: მეშინია (**ძალის**), მშურს (**ამხანაგის**),  
მრცხვენია (**დედის**), მეხათრება (**მასნავლებლის**), მერიდება (**მეზობ-ლის**), მეკრძალება (**მოხუცის**), მჯერა (**მეგობრის**), მნამს (**ლვთის**) და  
მმართებს (**ნათესავის**). ამ სტატიის საფუძველზე ქართულში გენიტი-  
ვიანი ზმნური კონსტრუქციების ზედმინევნითი და ვრცელი სემანტი-  
კური ანალიზი აქვს ჩატარებული ეთერ სოსელიას.<sup>2</sup>

ჩემთვის მეტად საინტერესოა მერი დამენიას შემდეგი ვარაუდი:  
მკვლევარს ეს ზმნები შედარებით ახალ წარმონაქმნად მიაჩნია და იგი  
თვლის, რომ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა მეშინია, მრცხვე-  
ნია, მერიდება, არამედ **მაქვს** შიში, **მაქვს** სირცხვილი, **მაქვს** რიდი ...  
გამოდის, რომ აღნიშვნული ზმნები, რომელთაც შესაბამისი სახელი ნა-  
თესაობით ბრუნვაში შეეწყობა, კოდირებულია ქონა-ყოლის პროტოტი-  
პული კონსტრუქციით.

ეს დაკვირვება მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ მხარდაჭერად იმი-  
ტომაც გვესახება, რომ იგი ეყრდნობა პრედიკაციის ფენომენს.

დავუბრუნდეთ თურქულს. სწორედ თურქულ ენაში ნათესაო-  
ბითი ბრუნვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის ის, რომ  
გადმოგვცეს მიმღებებით (ე.წ. -DIK / -AcAK ფორმებით), -mA, -(y) , -  
mAklIK ფორმანტებით ნაწარმოები მოქმედების სახელებითა და მასდა-  
რებით გამოხატული პრედიკაციის სუბიექტის მოქმედება ან მდგო-  
მარება: **Delegasyonun geldi ini biliyoruz** ‘ვიცით, რომ დელეგაცია ჩამო-  
ვიდა.’ **Babamın** havale etti i parayı henüz alamadım. ‘მამაჩემის გადმო-  
რიცხული ფული ჯერაც ვერ ავიღე.’

მე შემოვიფარგლე თურქ ენათმეცნიერთა ციტირებით და გან-  
ზრას არ მომყავს თურქული გრამატიკის ევროპელი (ფრანგი, გერმანე-  
ლი, ინგლისელი, რუსი) ავტორებისეული ბრუნვათა ექვსკომპონენტია-

<sup>1</sup> მერი დამენია, ნათესაობითბრუნვიან სახელთა ზმნასთან შენყობის შემთხვე-  
ვები ქართულში. – ტიპოლოგიური ძიებანი, V (თბილისი, 2000), 203-209.

<sup>2</sup> ეთერ სოსელია, ზმნური კონსტრუქციები გენიტივით: სემანტიკური ანა-  
ლიზი. – ტიპოლოგიური ძიებანი, VI (თბილისი, 2010), 249-256.

ნი პარადიგმა – სახელობითის შემდეგ ობლიგატორული ნათესაობითი ბრუნვით, რადგანაც ავტორებს აუცილებლად „დაპძრალდებათ“ თურქულისეული ბრუნვათა პარადიგმის ევროპული ენების ყაიდაზე გაწყობა. ბრუნვის კატეგორიის ქრესტომათიულ დეფინიციას მოვიხმობ: ბრუნვები სახელთა ფლექსიური ფორმებია, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა გრამატიკულ მიმართებას ზმნასთან და სხვა სახელებთან<sup>1</sup>.

ზემოთქმულის გათვალისწინებით აღარ უნდა გაჭირდეს ნათესაობითი ბრუნვის მართლზომიერი აღდგენა თურქული ენის ბრუნვათა რიგში თუნდაც მეექვსე ადგილას, როგორც ეს აქვთ ნურეთინ კოჩისა და მეტმეთ ჰენგირმენს.<sup>2</sup> სწორედ მათ მიხედვით წარმოვადგენთ ბრუნვათა ექვსკომპონენტიან პარადიგმას. საბრუნებელი სიტყვაა ev ‘სახლი’

**Ev** göründü. ‘Sachseni gəlmərinədə.’:

Çocuk **evi** gördü. ‘Bavariya məsələni dəlinənəba.’

Kız **eve** girdi. ‘Gəmən Sacheninə gələndə.’

Anne **evde** kaldı. ‘Əgərda Sacheninə gələndə.’

Erkek **evden** çıktı. ‘Çarçı Sacheninə gələndə.’

**Evin** iki merdiveni var. ‘Sachseni oğlu gələndə.’

იზაფეტური კონსტრუქცია თურქული ენის (არამხოლოდ ანატოლიური თურქულის) უდავოდ მნიშვნელოვანი და სპეციფიკური მახასიათებელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ენის გრამატიკული ნუობის თითქმის ყველა ძირითადი დებულება იზაფეტის პრიზმაში ტარდება დომინანტური ნიშნით – მსაზღვრელი (ფართო გაგებით) უსწრებს საზღვრულს.

მორფოსინტაქსური მაჩვენებლების მიხედვით გამოკვეთილია პირველი, მეორე და მესამე იზაფეტის სტრუქტურები. ამათგან პირველი იზაფეტის შემთხვევაში არსებითი სახელები, ფაქტობრივად, მირთვით არის მარკირებული, მეორე იზაფეტის კონსტრუქციაში მართვა ფიგურირებს, ხოლო მესამე იზაფეტის სტრუქტურა შეთანხმების წესებით ფორმდება.

თურქ ენათმეცნიერებში დღემდე საკამათო საგნად რჩება პირველი იზაფეტის საკითხი. თუ გადავხედავთ მ. ერგინის, თ. ბანგუოლლუს, ზ. კორქმაზის, ჰ. ედისკუნისა და სხვათა გრამატიკის სახელმძღვანელოებს, ვნახავთ, რომ პირველი იზაფეტი არსად არ ფიგურირებს. განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. 6. გენჯანსა და მ. ჰენგირმენის: მათთან ვწვდებით იზაფეტის სამივე ტიპის კონსტრუქციას.

რადგან იზაფეტი გულისხმობს ორი არსებითი სახელის კუთვნილებით ურთიერთობას, კონსტრუქციაში კუთვნილებითი სუფიქსების მონაცილეობა აუცილებელია. პირველი იზაფეტი კი მეორე და მესამე იზაფეტებისაგან განსხვავებით მორფოლოგიურად არ ფორმდება: ორივე კომპონენტი ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი.

<sup>1</sup> თამაზ გამყრელიძე, ზაზა კიენაძე, ინგა შადური, ნანა შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი (თბილისი, 2008), 218.

<sup>2</sup> Nurettin Koç, *Dilbilgisi* (stanbul,1996),113; Mehmet Hengirmen, *Türkçe Dilbilgisi* (Ankara,1998), 125.

პირველ იზაფეტში მსაზღვრელი აღნიშნავს ნივთიერებას, მასალას, საზღვრული კი – მისგან დამზადებულ საგანს: demir olak ‘რკინის ლარი’, tahta kulübe ‘ხის ქოხი’;

მსაზღვრელი აღნიშნავს ტიტულს, წოდებას, პროფესიას, სოციალურ მდგომარეობას, საზღვრული საკუთარი სახელია: sultan Suleyman ‘სულთანი სულეიმანი’, mimar Sinan ‘არქიტექტორი სინანი’, çoban Hasan ‘მწყემსი ჰასანი’;

მსაზღვრელით გადმოიცემა ეროვნება, საზღვრულით – პროფესია: Rum kemancı ‘ბერძენი მევიოლინე’, Laz kayıkçı ‘ლაზი მენავე’;

მსაზღვრელით აღნიშნულია სქესი: kadın doktor ‘ქალი ექიმი’, kız berber ‘ქალი პარიკმახერი’;

პირველ იზაფეტურ კონსტრუქციაში შედის აგრეთვე სახელი, გვარი და მიმართვები.

ზემოთ დასახელებული ლინგვისტები ამ მრავალფეროვან მასალას და მის კვალიფიციურ ანალიზს უგულებელყოფენ.

პირველი იზაფეტური კონსტრუქციის არგუმენტირებულ „რეაბილიტაციას“ მიეძღვნა ქეთევან გორგაძის სტატია, რომელშიც ახალგაზრდა მეცნიერი იკვლევს, თუ როგორ მოხდა თურქული ენების ამ გამჭოლი მახასიათებლის ამოღება გრამატიკული ინვენტარიდან. იგი თანამიმდევრულად ასაბუთებს პირველი იზაფეტის ფუნქციონირების არქს და ასკვინის, რომ პირველი იზაფეტი არ არის ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ფარდი, რადგან მსაზღვრელს ზედსართავი სახელის არც ერთი ფუნქცია არ გააჩნია. მეორე და მესამე იზაფეტისაგან განსხვავებით, პირველი იზაფეტი არ გვიჩვენებს კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას. მხოლოდ იმის გამო, რომ მსაზღვრელი მასალას აღნიშნავს, მას ვერ მივაწერთ ზედსართავი სახელის ფუნქციებს. პირველ იზაფეტს ვიყენებთ მიმართვისას, რაც აგრეთვე არ არის ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული, არამედ ორი არსებითი სახელის შესიტყვებაა.<sup>1</sup>

იზაფეტურ სინტაგმებს სახელიც გამოუცვალეს, იზაფეტს აღარ ახსენებენ. რადგან პირველი იზაფეტური კონსტრუქცია ანულირდა, მეორე იზაფეტს ეწოდა belirsiz ad tamlaması ‘განუსაზღვრელი კუთვნილების კონსტრუქცია’, ხოლო მესამე იზაფეტს – belirli ad tamlaması ‘განსაზღვრული კუთვნილების კონსტრუქცია’; რიგითობაც შეიცვალა – მესამე იზაფეტი კი არ არის, არამედ პირველი კუთვნილებითი კონსტრუქციაა შემდეგნაირი გლოსირებით:[ არსებითი სახელი (ან მასთან გათანაბრებული სიტყვა) + ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი] + [არსებითი სახელი(ან მასთან გათანაბრებული სიტყვა)] + III პირის კუთვნილებითი აფიქსი]: evin kapısı ‘სახლის კარი’, okulun yolu ‘სკოლის გზა’, ki in gelece i ‘ზამთრის მოსვლა’, de ırmenin suyu ‘წისქვილის წყალი’,

<sup>1</sup> ქეთევან გორგაძე, პირველი იზაფეტის საკითხი თურქულ ენაში. – ტოლოგიური ძიებანი, VII(თბილისი, 2015), 166-172.

karde imin sevdi i ‘ჩემი ძმის სიყვარული’, kaderin cilvesi ’ბედის ორონია’.

აი აქ მოეძებნა ადგილი ნათესაობით ბრუნვას, თუმცა არა როგორც ბრუნვის კატეგორიის რეპრეზენტანტს, არამედ განსაზღვრული კუთვნილების კონსტრუქციის კომპონენტს. სწორედ აქ და არა ბრუნვათა პარადიგმაში დაუწევდა ნათესაობითი ბრუნვის მორფონოლოგიური არსენალი 11 ალომორფით: -in, -in, -un, -ün; -yun, -yin; -nin, -nun, -nün; -im.

მშობლიურ ენას ენათმეცნიერული განათლების მქონე მკვლევარზე უკეთ ალბათ ვერავინ შეიმეცნებს. მაგრამ ზოგჯერ უცხოელი დამკვირვებელი ისეთ ნიუანსს აფიქსირებს, რაც ენის მატარებელს გამორჩება ხოლმე სხვადასხვა მიზეზით. ასე, მაგალითად, გერმანელმა ქართველობოგმა ვინფრიდ ბოედერმა პატარა სტატია მიუძღვნა ქართულში მიმართვის ფორმების ერთ დომინანტურ მახასიათებელს: ქართველი ბაბუა შვილიშვილს ასე მიმართავს: ბაბუ, მოდი ჩემთან – ანუ იმ ტერმინით, რაც მისი რეალობაა, ის არის ბაბუა და არა შვილიშვილი, რომელსაც ‘ბაბუთი’ მიმართა. ეს კლიშედაც კი იქცა და ‘ბიძიკო’ თი მიმართვა სწორედ გერმანელი მკვლევრის მიერ აღქმული და კვალიფიცირებული ენობრივი ფაქტია.

იქნებ თურქი თურქოლოგებისთვის სარგებლობის მომტანი შეიქნებანი დაკვირვებანი, დააბრუნონ ნათესაობითი ბრუნვა ბრუნვათა რიგში და არა თქვან უარი პირველ იზაფეტურ კონსტრუქციაზე.

### ***Marika Jikia***

### **Re-interpretation of Grammatical Concepts on the Example of Turkish Language**

In the letter, for presentation of Turkish grammatical thinking, we will examine the fact of genitive case removing from the row of declension according to the works of Turkish linguists.

The Turkish grammarians represent their native language declension paradigm by different number of cases – 10, 9, 8, 5. The paradigm five-member variant – Nominative, Accusative, Dative, Locative, Ablative cases – without Genitive – is taught in the primary and secondary schools.

Turkish language has not the verb ‘to have’, that’s why the semantic of having and not having is laid on var / yok predicative words. At the syntactic level linguistically predication is expressed by a predicate of a sentence **var** or **yok**, the owner is equaled with subject, and the object of possession – with the complement. At the morphosyntactic level predication is being realized by means of the congruence rules – the predicative word demands the subject in the **genitive case**, and to the object is added possessive affix of the corresponding person.

Babamın parası yok. ‘My father has no money’.

For strengthening of the relation of genitive case with a personal form of a verb, we shall provide examples from unrelated languages, that will strengthen this fact also typologically.

The subject of ‘have’ construction in Russian also is in the genitive case:

У товарища (genitive case) . ('The friend (genitive case) has a textbook').

In Georgian personal forms of few verbs make agree with themselves a noun in the genitive case: mešinia (**a lis**) – I am afraid (**of a dog**), mšurs (**amxanagis**) – I have envy (of my friend), mrcxvenia (**dedis**) – I feel ashamed (**of mother**), etc. These verbs are deemed to be recently formed. First it would be: **makvs šiši** – **I have** fear, **makvs sircxvili** – **I have** shame... It appears that the mentioned verbs, with which a corresponding noun agrees in the genitive case, are encoded by **have**’s prototypical construction. We consider this observation as an important typological support, because it relies on the phenomenon of predication.

Taking into account the aforesaid, it should not be difficult to restore appropriately the genitive case in the row of declension of Turkish language.

In Turkish, three types of the so-called izafet constructions denote a specific dependance relation between two nouns. In latter years if we look at Turkish grammar text-books we will notice that there is no place for the category of the first izafet in the classification of izafet constructions. This is to be explained by the fact that in this type of izafet construction the determiners designates material, substance and the like, and that it obtains the functions of an adjective. As appears from this, the first izafet is discussed not as a relation between two nouns (ad tamlaması), but as a relation between adjective and noun (sifat tamlaması).

But the first izafet does not code possessive-destinational relations, the fact that the determiners denotes a material is not a sufficient reason for attributing the functions of an adjective to this construction. We want to demonstrate the specific difference between the first izafet and the attributive determiner-determined construction as a difference between a permanent syntagm of nouns and a free syntagm of attributive possessive-destinationals.

On the basis of many examples we can say that the first izafet has its fair place among izafet constructions.



ଓଡ଼ିଆ

History



## ნანი გელოვანი თბილისის სპარსული სკოლა – „ეთეფაყ-ე ირანიან“

XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისის ეთნოკულტურული ევოლუციის ვექტორი მნიშვნელოვანნილად განისაზღვრებოდა მისი ადმინისტრაციული და პოლიტიკური სტატუსით – 1845 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია, ხოლო 1846 წლიდან – თბილისის გუბერნიის (1846-1917) ადმინისტრაციული ცენტრი. შესაბამისად, თბილისში თავი მოიყარეს სხვადასხვა რელიგიური და კულტურული იდენტობის ადამიანებმა, მათ შორის სპარსულებმა, რომლებიც ყველაზე მრავალ-რიცხოვან მუსლიმურ თემს შეადგენდნენ.

1905 წელს თბილისში, რუსეთში ირანის ელჩის მირზა ჰასან-ხან მოშირ ად-დოულესა და თბილისში ირანის გენერალური კონსულის მოფახამ ას-სოლლათანის თაოსნობით, დაარსდა ირანის საქველმოქმედო საზოგადოება „ეთეფაყ-ე ირანიან“ („ირანელთა კავშირი“). მოგვიანებით, ირანის გენერალური კონსულის შუამდგომლობით და საქველმოქმედო საზოგადოების დაფინანსებით, თბილისში გაიხსნა სპარსული სკოლა (მედრესე) – „ეთეფაყ-ე ირანიან“ ან „ითთიფაკ“ („კავშირი“). ის მდებარეობდა თბილისის „მუსლიმურ უბანში“ – შეითან-ბაზარი,<sup>1</sup> რის გამოც შეითან-ბაზრის სკოლასაც ეძახდნენ.

ირანელი მოგზაურები დიდ ინტერესს იჩინდნენ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა სწავლა-განათლებისადმი. ყაჯართა პერიოდის სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში დაცულია საყურადღებო ცნობები თბილისის სპარსული სკოლის შესახებაც, რომლებიც თარგმნილია ქართულ ენაზე და შემოტანილია სამეცნიერო მიმოქცევაში.<sup>2</sup> თუმცა, ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი არ

<sup>1</sup> შეითან ბაზარი (არაბ. شاrebان – ავი სული, დემონი, ეშმაკი, სატანა), ეშმაკის ბაზარი – XVIII საუკუნის თბილისში, აბანოთუბანსა და თათრის მოედანს შორის მდებარე პატარა ქუჩის სახელი. შეითან ბაზარი თათრის (ქვემო) მოედანს სამხრეთ მხრიდან ებჯინებოდა. მის გაყოლებაზე ჩამნერივებული სავაჭრო დუქნებით თათრის მოედნისაგან ცალკე (XIX საუკუნის დასრულებამდე) არსებული, დამოუკიდებელი სავაჭრო რიგი – ქუჩა იყო. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმებზე შეითან ბაზრის ადგილზე მ. ვორონცოვის სახელობის ქუჩაა. ტერმინი „შეითან ბაზარი“ იმდენად გამჯდარი იყო ძელ თბილისელთა მეხსიერებაში, რომ მისი სახელი მექანიკურად გადაიტანეს თათრის მოედანზე და შეცდომით თათრის (ქვემო) მოედანსაც შეითან ბაზარს ეძახდნენ. ენციკლოპედია „თბილისი“ (თბილისი, 2002), 923.

<sup>2</sup> ნუგზარ ტერ-ოგანოვი, იაჰია დოულათაბადი თბილისისა და თბილისელების შესახებ, ქართული წყაროთმცოდნებობა, ტ. 8 (თბილისი, 1993), 280-285 წარია დოულათაბადის ცნობები თბილისის შესახებ გამოქვეყნდა ინგლისურ და ფრანგულ ენებზეც: Nouogzat Ter-Oganov, Two Iranian authors,

გამხდარა. წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურადაა განხილული და გაანალიზებული თბილისის სპარსული სკოლის ისტორია საარქივო მასალების საფუძველზე.

1907 წლის 4 აგვისტოს თბილისში ირანის გენერალურმა კონსულმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის გუბერნატორის კანცელარიას სკოლის გახსნის თაობაზე სპარსელი ბავშვებისათვის და იმავე წლის 18 აგვისტოს დამტკიცდა სკოლის წესდება.<sup>1</sup>

საარქივო მასალების მიხედვით სპარსული სკოლა გაიხსნა 1907 წლის ოქტომბერში<sup>2</sup> ან 1908 წლის 1 სექტემბერს.<sup>3</sup> იმავე პერიოდში რუსულ-სპარსულ სკოლები, საკონსულოების ხელმძღვანელობით, გაიხსნა ბაქოში, აშხაბადში, ვლადიკავკაზია და ელიზავეტპოლში.<sup>4</sup> აღმო-

Majd os-Salt neh and Yahy Dowl tab di, on Tbilisi, *ტიპოლოგიური ძეგბანი*, IV (2000), 399-408; Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Madjd os-Saltaneh et Yahya Dowlatabadi, Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, éds., *La Géorgie entre Perse et Europe* (Paris, 2009), 261-272]; მარინა ალექსიძე, იაჰია დოულათაბაძი და მისი მოგონებების წიგნი, საქართველო ყავართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ (თბილისი, 2016), 571-573; მარინა ალექსიძე, ალი ჯავაშერ ქალამი და მისი მოგონებები, საქართველო ყავართა პერიოდის სპარსულ წყაროებში, 611-613.

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 422, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარია, საქმე 9317 (“Об открытии в г. Тифлисе персидского училища “Итифак”, 1907-1913 .), ფურც.1, 28.

<sup>2</sup> იქვე, ფურც.1.

<sup>3</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, მასალები თბილისის სპარსული სკოლის მდგომარეობისა და სკოლების ქსელში მისი შეტანის შესახებ /ინსტრუქტორ მირზა ალი-ზადეს გამოკვლევა, ოქმის ამონანერი და მიმოწერა/, ანან. 1, საქმე 751 („მიმოწერა და გამოკვლევა თბილისში არსებულ სპარსული სკოლის მდგომარეობისა“, 1926წ. 15 ივლისი – 1926წ. 28 დეკემბერი), ფურც. 2; ავთანდილ სონდულაშვილი, აზერბაიჯანული და თურქული სკოლები საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში, ანალექი, 2 (2002), 39; სამეცნიერო ლიტერატურაში სკოლას დაარსების თარიღად მითითებულია 2006 წელიც [Iago Gocheleishvili, Georgian Sources on the Iranian Constitutional Revolution (1905-1911): Sergo Gamdlishvili's Memoirs of the Gilan Resistance, *Iranian Studies*, 40/1 (Feb., 2007), 62; Solmaz Rustamova-Tohidi, A Community in Turmoil: The Iranians of the Caucasus and the Russian Revolutions (1900-1920), *Khazar Journal of Humanities and Social Sciences*, 16/2 (2013), 8]. მონაცემთა ურთიერთშეჯვრების საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაიწყო 2007 წლის შემოდგომაზე.

<sup>4</sup> საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 422, ანან. 1, საქმე 9317, ფურც. 19-19ა. ბაქოში 1906 წელს, სპარსეთის საკონსულოსთან, დაარსდა რუსულ-სპარსული 7 კლასიანი ვაჟთა პროგიმნაზია „ითოიპად“ სპეციალურად „ქალაქში სამუშაოს საძიებლად ჩამოსულ ირანელთა ბავშვები-სათვის“. სკოლაში მიიღებოდნენ 8-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვები და

სავლეთმცოდნე სოლმაზ რუსტამოვა-თოშიძის თანახმად, თბილისის და ბაქეს სპარსული სკოლები კულტურის ცენტრებად იქცნენ სპარსეთის ქვეშევრდომთათვის და ხელი შეუწყეს განათლების გავრცელებას კავკასიის სპარსულ თემში. სწორედ ამ სკოლების გარშემო გაერთიანებული ირანელი მიგრანტების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თავისუფლების, დემოკრატიისა და რევოლუციური იდეების შეღწევაში ირანის საზოგადოებაში, განსაკუთრებით, ირანის 1905-1911 წლების კონსტიტუციური რევოლუციის მსვლელობის დროს.<sup>1</sup>

წესდების შესაბამისად, სპარსული სკოლა „ითთიფაკ“-ის მიზანი იყო სპარსეთის ქვეშევრდომთათვის განათლების მიცემა. სკოლა იყო ერთკლასიანი 3 განყოფილებით და არსებობდა თბილისის სპარსული საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯზე (თავი I, მუხლი 1-3), მაგრამ სასწავლებლის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის სათანადო წარმართვისათვის თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორს შეეძლო მოენახულებინა სკოლა და შესაბამისი მითითებები მიეცა. სასწავლებელს ჰყავდა ზედამხედველი – სპარსეთის ქვეშევრდომი, რომელსაც უნდა სცოდნოდა ზოგიერთი აღმოსავლური და დასავლური ენა, მეცნიერებები, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმე და, სხვა მასწავლებლების მსგავსად, ესწავლებინა სკოლაში. სასწავლებლის ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელი იყო ზედამხედველის წინაშე (თავი I, მუხლი 4-7). ზედამხედველს უნდა ეწარმოებინა ოფიციალური მიმოწერა და ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარედგინა ანგარიში სასწავლებლის მდგომარეობის თაობაზე თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორისა და მზრუნველთა საბჭოსათვის (თავი I, მუხლი 9-10). სწავლება უნდა წარმართულიყო ახალი მეთოდებით. ყველა საგანი, რაც ისწავლებოდა სკოლაში, სავალდებულო იყო მოსწავლეთათვის. საგნები: ენები – თათრული/აზერბაიჯანული, სპარსული, რუსული; არითმეტიკა, სუფთა წერა (თავი II, მუხლი 11-12, 15).<sup>2</sup> საარქივო მასალებში წესდებას თან ერთვის სასწავლო საგნების განაწილების სქემა, სადაც ზემოთ ჩამოთვლილ საგნებს ემატება საღვთო სჯული, სიმღერა და ხატვა. სასწავლო საგნების კვირული განაწილება

---

მასში სწავლობდა 180-მდე მოსწავლე. სკოლაში ისწავლებოდა აღმოსავლური და ევროპული ენები. მაგ., მე-3 კლასის პროგრამაში რუსული ენის შესწავლას კვირაში ეთმობოდა 6 საათი, ფრანგულ ენას – 4 საათი, არაბულ და გერმანულ ენებს – 3-3 საათი, ხოლო საღვთო სჯულს, ასევე არითმეტიკას, ალგებრას, გეოგრაფიას, ისტორიას და ბუნებისმცოდნეობას – 2 საათი. Нармин Багирова, Благотворительное общество «Саадет» –

, , 3 (99), (2019), 41.

<sup>1</sup> Rustamova-Tohidi, A Community in Turmoil: The Iranians of the Caucasus and the Russian Revolutions (1900-1920), 8 (დამოწმებულია: აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1, 1. 74ბ, საქმე 271, ფურც. 45).

<sup>2</sup> საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 422, ანაზ. 1, 9317, ფურც. 11-11ა. მოგვიანებით, ისწავლებოდა არაბული და ფრანგული ენებიც.

ასეთი იყო: I განყოფილებაზე – 26 გაკვეთილი: თათრული/აზერ-ბაიჯანული ენა – 6, სპარსული ენა – 6, მუსლიმური სალვთო სჯული – 4, არითმეტიკა – 6, სუფთა წერა – 2, სიმღერა – 2; II განყოფილებაზე – 26 გაკვეთილი: თათრული/აზერბაიჯანული ენა – 2, სპარსული ენა – 5, სალვთო სჯული – 4, არითმეტიკა – 5, სუფთა წერა – 2, რუსული ენა – 6, სიმღერა – 2; III განყოფილებაზე – 26 გაკვეთილი: სპარსული ენა – 5, სალვთო სჯული – 4, არითმეტიკა – 4, რუსული ენა – 6, სიმღერა – 2, ხატვა – 5.<sup>1</sup>

თითოეულ განყოფილებაზე არ უნდა ყოფილიყო 40 მოსწავლეზე მეტი. სასწავლებელში მიიღებოდნენ სპარსეთის ქვეშევრდომთა შეი-ლები შემდეგი ასაკის: I განყოფილება – 7-დან 9 წლამდე; II განყოფი-ლება – 12 წლამდე და III განყოფილება – 14 წლამდე. თუ სასწავლე-ბელში აღმოჩნდებოდა თავისუფალი ადგილი, მაშინ შეიძლებოდა რუ-სეთის ქვეშევრდომთა შვილების მიღებაც (თავი II, მუხლი 16-17). მუსლიმური სალვთო სჯულის მასწავლებელი ვალდებული იყო ყოველ-დღიურად მოსწავლეებთან ერთად შეესრულებინა ნამაზი (ლოცვა), ხო-ლო პარასკევობით მოსწავლეები წაეყვანა სალოცავად მეჩეთში (თავი II, მუხლი 14). სკოლაში სწავლის საფასურს განსაზღვრავდა საქველ-მოქმედო საბჭო. სწავლის საფასურისაგან თავისუფლდებოდნენ ლარი-ბი მშობლების შვილები, მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 20% (გა-მონაკლის შემთხვევაში მზრუნველთა საბჭოს შეეძლო გაეზარდა ეს რაოდენობა). თუ სხვა ქალაქებიდან მოსწავლეთა რაოდენობა იქნებო-და 10 ან მეტი, მშობლების სურვილით, მზრუნველთა საბჭოს უფლება ჰქონდა გაეხსნა ამ მოსწავლეთათვის საერთო საცხოვრებელი თვით-დაფინანსებით. საერთო საცხოვრებელში მოსწავლეთა შენახვის საფა-სური განისაზღვრებოდა მზრუნველთა საბჭოს მიერ. სასწავლებლის ბიძლიოთეკა-სამკითხველოს ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი მასწავ-ლებელი პედაგოგიური საბჭოს შერჩევით (თავი II, მუხლი 18-20). პედა-გოგიურ საბჭოს, რომელშიც შედიოდა ყველა მასწავლებელი, თავ-მჯდომარეობდა სასწავლებლის ზედამხედველი. პედაგოგიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილი იყო, თუ მას ესწრებოდა წევრების არანაკლებ 2/3. საკითხები წყდებოდა ხმების უბრალო უმრავლესობით, თანაბარი ხმების შემთხვევაში უპირატესი იყო თავმჯდომარის ხმა. პედაგოგიუ-რი საბჭოს მოვალეობები: 1. ყოველწლიურად გაკვეთილების განაწი-ლების შედგენა; 2. მოსწავლეების მიღება-დათხოვნა; 3. მიღებული და გარიცხული მოსწავლეების სიების შედგენა და საერთოდ, ზედამხედვე-ლობა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე. პედაგოგიური საბჭო თავისი წევრებიდან ირჩევდა მდივანს. პედაგოგიური საბჭოს დადგენილებები უნდა ჩანს რილიყო სპეციალურ წიგნში, ხოლო დადგე-ნილებების ასლები წარედგინებოდა მზრუნველთა საბჭოს (თავი III, მუხლი 23-29). მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: ირანის საქველმოქმედო საზოგადოების მმართველობის წევრები; სკო-ლის ხელმძღვანელობა; ერთი მასწავლებელი პედაგოგიური საბჭოს წარდგინებით; საპატიო ზედამხედველი. მზრუნველთა საბჭოს მოვალეობაში შედიოდა მასწავლებელთა დანიშვნა-განთავისუფლება,

<sup>1</sup> იქვე, 12ა.

სასწავლებლის თანხების კონტროლი და სხვ. (თავი IV, მუხლი 30-31). საპატიო ზედამხედველი აირჩიოდა სპარსეთის ქვეშევრდომთაგან, ვინც სარგებლობდა პატივისცემით და განაცხადებდა თანხმობას მიეღლო ეს წოდება. საპატიო ზედამხედველს უნდა ეზრუნა სასწავლებლის მატერიალურ კეთილდღეობაზე და ვალდებული იყო ყოველწლიურად შეეტანა სასწავლებლის სასარგებლოდ არააკლებ 500 რუბლი. საპატიო ზედამხედველი ინიშნებოდა და თავისუფლდებოდა მზრუნველთა საბჭოს მიერ. საპატიო ზედამხედველი იყო პედაგოგიურ საბჭოში სა-თათბირო ხმის უფლებით (თავი V, მუხლი 32-36).<sup>1</sup>

წესდებით, სპარსული სკოლის შესანახად გათვალისწინებული იყო წელინადში 3040 რუბლი, რომელიც ასე ნანილდებოდა: 1. მასწავლებელი-ზედამხედველი – 600 რუბლი (ბინის ქირა, გათბობა, განათება, მოსამსახურე); 2. ორი მასწავლებელი – 1000 რუბლი (500+500); 3. პედაგოგიური საბჭოს მდივანი – 50 რუბლი; 4. ბიბლიოთეკარი – 50 რუბლი; 5. ბიბლიოთეკისა და სასწავლო მასალებისათვის განკუთვნილი ხარჯები – 100 რუბლი; 6. შენობის დაქირავება – 700 რუბლი; 7. დამატებითი ხარჯები (გათბობა და სხვ.) – 540 რუბლი.<sup>2</sup>

აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმის დოკუმენტური წყაროების ფონდში დაცული მასალების მიხედვით, თბილისის სკოლას „ითთიფაკ“ ზედამხედველობას უნდევდა ბაქოში დაარსებული საქველმოქმედო საზოგადოება „საადეტ“ („ბედნიერება“), რომელიც ოფიციალურად დარეგისტრირდა 2007 წლის 7 ივნისს (დაფუძნდა 2006 წელს) და ორიენტირებული იყო განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობაზე. სკოლის მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ დარიბი ოჯახების შვილები, რომელთა სწავლის საფასურს საზოგადოება იხდიდა. პირველ, 1907/1908 სასწავლო წელს სკოლის 126 მოსწავლიდან საზოგადოების დაფინანსებით სწავლობდა 46 მოსწავლე, 1908/1909 სასწავლო წელს – 132-დან 108 მოსწავლე; 1909/1910 წელს – 300-დან 200 მოსწავლე და ა.შ.<sup>3</sup>

როგორც ირკვევა, მოგვიანებით სკოლას სერიოზული პრობლემები ჰქონდა სტატუსთან დაკავშირებით. სახელდობრ, კერძო სკოლის გახსნის უფლება ჰქონდა მხოლოდ იმ პირს, რომელსაც მიღებული ჰქონდა რუსეთის ქვეშევრდომობა. შესაბამისად, 1912 წლის პირველ ნახევარში

<sup>1</sup> საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №422, ანან. 1, №9317, ფურც. 10-12a.

<sup>2</sup> იქვე, ფურც.12a.

<sup>3</sup> Багирова, Благотворительное общество «Саадет» – уникальный опыт просветительства, 42 (დამონმებულია: Национальный Музей Истории Азербайджана, фонд документальных источников, инв. № 125, 55, 310, 439).არის ცნობა აგრეთვე, რომ ჯერ კიდევ 1910 წელს ბაქოში არსებულმა საზოგადოება საადეტ-ის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება სკოლისათვის ცალკე შენობის აშენებაზე. პროექტის შედგენა დაევალა (ცნობილ აზერბაიჯანელ არქიტექტორს ზივერ-ბეგ აშმედბეკოვს (1837-1925)). როდესაც მშენებლებმა დაამთავრეს შენობის პირველი სართული, დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ხელისუფლების განკარგულებით ის გადაკეთდა სამხედრო ჰოსპიტლად. შედეგად, მედრესე დარჩა ძველ შენობაში.

სკოლა 80 მოსწავლით დაიხურა.<sup>1</sup> 1912 წელს თურქ პანისლამისტებთან კავშირში იყო დადანაშაულებული სკოლა „ითთიფაკ“-ის აზერბაიჯანული ენის მასწავლებელი ჰუსეინ რაფიზადე.<sup>2</sup> (ცნობილია აგრეთვე, რომ ამიერკავკასიაში (სამხრეთ კავკასიაში) პანთურქისტული პროპაგანდის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქ. თბილისში დაარსებული თურქულ-ირანული საზოგადოება – „საქველმოქმედო პარტნიორობა“, რომელსაც ფილიალები ჰქონდა ბაქოში, ერევანში, ელიზავეტპოლსა (განჯა) და ბათუმში. ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთი იდეების პროპაგანდას მოსწავლეთა შორის. საზოგადოებას ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის შიიტური რელიგიური სამმართველოს წევრი, ახუნდი ჰასან მოვლა-ზადე,<sup>3</sup> რომელიც ასევე იყო მზრუნველი და მასწავლებელი სკოლა „ითთიფაკ“-ის, სადაც სწავლება მიმდინარეობდა თურქეთიდან გამოგზავნილი „პანთურქისტული შინაარსის“ წიგნებით.<sup>4</sup> შესაბამისად, მიგვჩნია, რომ სკოლის დაბურვის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლებელია, იყო პოლიტიკური ფაქტორიც.

1912-1913 წლებში სპარსეთის გენერალური კონსული უგზავნიდა წერილებს (1912წ. 27 ნოემბრის №1996, 1913წ. 27 იანვრის №296, 1913წ. 28 თებერვლის №1486 წერილები) სახალხო სასწავლებლების დირექტორს, რათა მოეპოვებინა ნებართვა სკოლის გახსნაზე, მაგრამ უშე-

<sup>1</sup> საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №422, ანან. 1, №9317, ფურც. 19ა-20.

<sup>2</sup> Ирада Халид кызы Алиева, *Политическое и социально-экономическое положение азербайджанцев Тифлисской губернии (1846-1917)*, (Баку, 2009), 98; Ирада Сайд кызы Багирова, *Политические партии и организации Азербайджана в начале XX века, 1900-1917* (Баку, 1997), 191.

<sup>3</sup> მუჰამად (მამედ) ჰასან მოვლა-ზადე – ცნობილი აზერბაიჯანელი მუსლიმი სწავლული. დაწყებითი რელიგიური განათლება მიიღო შაქის მოლასანაში, შემდეგ დამთავრი მედდრესე განჯაში, რამდენიმე წელი იყო მოლა განჯის მეჩეთში და შემდეგ სწავლა გააგრძელა ერაყში. 1891 წელს დაბრუნდა აზერბაიჯანში და გამოსცა პირველი ერთიანი კალენდარი – მუსლიმური (ჰიჯრის) და ქრისტიანული წელთაღრიცხვით. 1893 წელს ის დროებით ასრულებდა ამიერკავკასიის შექტულ-ისლამის, ამიერკავკასიის შიიტური რელიგიური სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობას. მან თარგმანა აზერბაიჯანულ ენაზე ყურანი (Kitabül-bəyan fi təfsiril-Quran), რომელიც გამოიცა კომენტარებით ორ ტომად თბილისში 1908 წელს [Кавказский календарь на 1913 год (Тифлис, 1912), 627; Мовлазаде Мухаммед Ҳасан Шакави. Rizvan Bunturk, 10.12.2014. ელვერსია: <https://rizvan-bunturk.com/tag/Шейх-уль-ислам/>. აზერბაიჯანელი აღმოსავლეთმცოდნე ვასიმ მამედალიევი აღნიშნავს, რომ „ეს თარგმანი-კომენტარები ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიის მუსლიმებს შორის. ... ამს დამადასტურებელია მისი გამოცემა ირანში ჰიჯრის 1339 წელს (1979 წელს – 6.გ.). ...ასევე ეს გრანდიოზული ნაშრომი ხელახლა გამოიცა 1990 წელსაც ბაქოში კავკასიის მუსლიმთა სამართველოს მიერ“. Васим Мамедалиев, *Перевод духовника и предисловие «Kitabəl-bəyan fi təfsirəl-Quran» Мовлазаде (1908)*, (Баку, 2008), XXVIII.

<sup>4</sup> Е. К. Саркисян, Пантюркистская и панисламистская агентура Османской империи в Закавказье накануне первой мировой войны, *Известия АН Арм. ССР*, № 7 (Ереван, 1962), 22-23.

დეგოდ. 1913 წლის 26 მარტს გენერალურმა კონსულმა უკვე მიმართა უშუალოდ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს და ითხოვდა სკოლის გადაკეთებას III თანრიგის კერძო სასწავლო დაწესებულებად, 1881 წლის 10 იანვარს დამტკიცებული დაწყებითი სკოლების პროგრამის საფუძველზე. თუმცა, ზემოაღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულ რუსულ და თათრულ/აზერბაიჯანულ ენას უნდა დამატებოდა სპარსული ენა.<sup>1</sup>

1914 წელს დაწყებულმა მსოფლიო ომმა, რომელსაც მოჰყვა მწვავე სოციალური და პოლიტიკური კრიზისი, გამოიწვია საგანმანათლებლო და საქელმოქმედო საზოგადოებების საქმიანობის შეფერხებაც. თუმცა, ომისშემდგომ კრიზისულ წლებში ირანის საქელმოქმედო ასოციაციის საქმიანობა, განათლების სფეროს გარდა, მიმართული იყო მოსწავლეებისა და მათი მმობლების საარსებო პირობების გაუმჯობესებისაკენაც.<sup>2</sup>

XX ს. ცნობილი ირანელი მწერლის, მთარგმნელის და პუბლიცისტის, ალი ჯავაჟერ ქალამის „მოგონებები“-დან ირკვევა, რომ 1921 წელს სწორედ ის გაიგზავნა განათლების სამინისტროს მიერ თბილისში, რათა სპარსულ სკოლას ჩასდგომიდა სათავეში. 1917 წელს რუსეთში რეჟიმის შეცვლისა და „ქვეყნიდან მდიდარი ადამიანების განდევნის შემდეგ, სკოლის საქმე ცუდად წავიდა და ირანის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ მათ მმართველობაში ჩარეულიყო“.<sup>3</sup>

ალი ჯავაჟერი წერს: „პირველი სირთულე, რომელსაც შეითანბაზრის სკოლის მონაფებთან შეხვედრისას წავანყდი, სპარსული ენის უცოდინობა იყო. სპარსული წიგნები მათთვის იგივე იყო, რაც უცხოენოვანი წიგნები. გარდა ამისა, რადგან კავკასიელი თურქები ლათინურ ანბანს ხმარობდნენ, ჩვენ შორის უკანასკნელი დამაკავშირებელი ძაფიც გაწყვეტილიყო.<sup>4</sup> წარმოიდგინეთ თბილისში მცხოვრები შვიდი წლის ირანელი ბავშვი, რომელიც შეითან-ბაზრის სკოლაში

<sup>1</sup> საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №422, ანან. 1, №9317, ფურც. 10-10ა, 13-23.

<sup>2</sup> აპმად ჩაიჩი ამირხიზი, „ერთი ქართველი ბანოვანის თავგადასავალი და მისი განსასვენებელი თეირანის იმამზადე აბდოლას სასაფლაოზე“, ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე (თბილისი, 2019), 108.

<sup>3</sup> ალექსიძე, ალი ჯავაჟერ ქალამი და მისი მოგონებები, 612.

<sup>4</sup> თუმცა, შემდეგ ალი ჯავაჟერი ამის სანიანალმდევოდ წერს: „ირანელების დაწყებითი სკოლა ვალდებული იყო, რომ მონაფებისათვის 4 ენა ეს-ნავლებინა: პირველი – თურქული, რომელიც აქაური ირანელების სასაუბრო ენა იყო. მეორე – ქართული, რადგან თბილისი საქართველოს დედაქალაქია და ხალხმა ამ ქვეყნის სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს. მესამე – რუსული, რომელიც საბჭოთა კავშირში მეცნიერების, ლიტერატურისა და პოლიტიკის ენა იყო და რუსული ენის ცოდნის გარეშე იქ ვერ იცხოვრებდი. მეოთხე – სპარსული. დამიჯერეთ, ჩვენი ბავშვები და მონაფები ოთხსავე ენას კარგად სწავლობდნენ და წარმოუდგენელი სიყვარულითა და გატაცებით მეცადინეობდნენ“. ალექსიძე, ალი ჯავაჟერ ქალამი და მისი მოგონებები, 612-613.

დადის, სპარსულად ერთი სიტყვაც კი არ იცის და რეგიონის განაწესის შესაბამისად, ლათინური დამწერლობის მქონე თურქული ანბანით სარგებლობს. მეორე სირთულე კი ის იყო, რომ მასწავლებლები არ გვყვავდა. რადგან თეირანს საკმარისი რაოდენობის მასწავლებლების გამოგზავნა არ შეეძლო, ამიტომ იძულებული ვიყავით, გვესარგებლა ადგილობრივი მასწავლებლებით, რომლებმაც სპარსული ნაკლებად იცოდნენ. ისინი საცდელ გაკვეთილს ჩემსა და ერთი-ორი თეირანელი მასწავლებლის წინაშე ატარებდნენ და კლასში მერე შედიოდნენ. .... შემდეგი სირთულე კი ის იყო, რომ შეითან-ბაზრის სკოლის კურსდამ-თავრებულები დიდად არაფრისთვის ვარგოდნენ. არც ირანში წასვლა და იქ სპარსული ენის სრულყოფა შეეძლოთ და არც ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, რადგან რუსული ენა არ იცოდნენ<sup>1</sup>.

ალი ჯავაპერის თანახმად, „ამ წინააღმდეგობებთან ჩემი ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა და სამი წლის შემდეგ სკოლა დაიხურა. მე ჯერ ირანში, შემდეგ კი სტამბულში გავემგზავრე“.<sup>2</sup> იგულისხმება 3 წელი 1921 წლიდან, ე.ი. 1924 წელს. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლამ იარსება 1931წლამდე.<sup>3</sup>

1923 წლის 6 აპრილს გაზეთი „ტრიბუნა“ წერდა: „სპარსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აღძრა შუამდგომლობა განათლების განყოფილების წინაშე, ტფილისში არსებულ სპარსულ სკოლის აღმასკომის განკარგულებაში გადმოყვანის შესახებ. ამის გამო ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებულ იქმნას აღნიშნული სკოლა განათლების განყოფილების განკარგულებაში. აღიძრას შუამდგომლობა განათლების სახელმისარიატის წინაშე სკოლის პირად შემადგენლობის სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანის შესახებ, ხოლო სამწერ, გათბობა-განათლების და სხვა ხარჯების დასაფარავად საჭირო 354 მილიონი მანეთი შეტანილ იქნას განათლების განყ. ხარჯთაღრიცხვაში“.<sup>4</sup>

ზემოაღნიშნულ ცნობას ადასტურებს საარქივო მასალებიც და ირკვევა, რომ რამდენიმე წელი განიხილებოდა სპარსული სკოლის თბილისის განათლების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში გადასვლის საკითხი. 1926 წლის 13 ივლისს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარმა (მარიამ პლატონის ას. მიქელაძე-ორა-ხელაშვილი, 1887-1937 - ნ.გ.) გაუგზავნა სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი შინაარსის წერილი (№16467; ქართულ ენაზე):

„გაახლებთ რა მოხსენებული ნომრით მიღებულ დანართს, მოგახსენებთ, რომ ტფილისში არსებული სპარსული სკოლა ემორჩილება საქართველოში სწავლა-განათლების სფეროში გამოცემულ საბჭოთა

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, 613.

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი №14, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი (1921-1991წწ.), ანან. 3, საქმე №269, ფურც.5-6.

<sup>4</sup> სპარსული სკოლა, ტრიბუნა, 6 აპრილი, №439 (56), (1923), 2.

კანონებს და ამავე დროს მფარველობას უწევს მას სპარსეთის კონსული საქართველოში. რაიცა შეეხება მოხსენებული სკოლისათვის კონფისკაცია ქმნილი ნაანდერძევი ფონდის/ეზო და სხვა შენობები/დაბრუნებას, კომისარიატს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია ფონდის დაბრუნების მაგივრად მოხსენებული სკოლა შეტანილ იქმნას ტფილისის სკოლების ქსელში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტფილისის განათლების განყოფილება სკოლას და მის პედაგოგიურ პერსონალს ნივთიერად უფრო უზრუნველყოფს, ვიდრე ის ფონდი, რომლის დაბრუნების შესახებ ამჟამად საკითხია აღძრული<sup>1</sup>.

სახალხო კომისართა საბჭომ 1926 წლის 3 ავგისტოს სხდომაზე (ოქმის ამონანერი №27) დაადგინა: „ნინადადება მიეცეს საქ-ს ს.ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატს საჩქაროდ ყოველ მხრივ გამოიკვლიოს ტფილისში არსებული სპარსული სკოლის მდგომარეობა და სათანადო მოხსენება ნარმოუდინოს საქ-ს სახკომ-საბჭოს“ [ხელმოწერა: სახკომსაბჭოს თავ-რე – შალვა ელიავა].<sup>2</sup>

საქართველოს სარ განათლების კომისარიატმა სკოლაში არსებული ვითარების შესახებ მოხსენების მომზადება დაავალა ინსტრუქტორს – მირზა ალი-ზადეს. განათლების კომისარიატისადმი ნარდგენილი მისი ანგარიში (რუსულ ენაზე) დათარიღებულია 1926 წლის 4 ნოემბრით (№44). ანგარიშში აღნიშნულია:

„სპარსული სკოლა „ითთიფაკ“ ...დაარსდა ქალაქ თბილისში მცხოვრები სპარსეთის ქვეშევრდომებისათვის. თუმცა, იღებს სხვა ქვეყნის ქვეშევრდომებსაც. სწავლა გრძელდება 5 წელი. ამ წელს არის 137 მოსწავლე (ვაჟი) და 8 მასწავლებელი, რომელთაგან ერთი ხელმძღვანელია. სკოლა არსებობს ადგილობრივი სპარსული საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯზე. ამის გარდა საზოგადოების ფუნქციაა ზრუნვა უქონელი სპარსელი ქვეშევრდომების დაკრძალვაზე და ობლებისა და ლარიბი მოსწავლეების დაკმაყოფილება ფეხსაცმლით და სამოსით.

ერთადერთი, რაც აძლევს საზოგადოებას საშუალებას შეინახოს ეს სკოლა, თუ გამოვრიცხავთ წვრილმან შემოწირულობებს და სწავლის გადასახადს შეძლებული მშობლებისაგან, არის ფონდი, რომელიც შედგება ფუნდუკისაგან სხვადასხვა ნაგებობებით, რომელიც შეიძინა საზოგადოებამ 1916 წლის 25 იანვარს 150,000 რუბლად ნოტარიალური აქტით №13, რომლის ასლიც თან ერთვის აღმასრულებელ ფურცელთან (1919წ. 31 მარტი, №16.513) ერთად.

წლევანდელი სასწავლო წლის ხარჯთაღრიცხვით ირკვევა, რომ სკოლის შენახვა ჯდება 4,765 რუბლი და 40 კაპ. ეს არის მინიმალური ხარჯთაღრიცხვა და შეიძლება შეიცვალოს სახსრების ქონის შემთხვევაში. თუ ამ ხარჯთაღრიცხვას დავამატებთ ხელოვნების მასწავლებელთა ხელფასს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული, რემონტის (არსებული ნაგებობა არ არის სკოლისათვის შესაფერისი) ან

<sup>1</sup> უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №600, ანაწ. 1, საქმე №751, ფურც. 6.

<sup>2</sup> იქვე.

ფართის დაქირავების ხარჯებს, კიდევ ქალაქის გადასახადებს და სხვა მოსაკრებლებს, სკოლის შენახვა უფრო ძვირი დაჯდება. სკოლასთან არის ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, მაგრამ ის, თანხების უქონლობის გამო, არ ფუნქციონირებს. თანხების უქონლობით აიხსნება ფიზიკისა და ქიმიის კაპინეტების, სასწავლო მასალების და სხვ. არქონა.

ამ სკოლის არსებობისათვის აუცილებელია, რომ დავუბრუნოთ მას ფუნდუკი თავისი ნაგებობებით (სასტუმრო, სახელოსნოები), რადგანაც მათგან მიღებული შემოსავლები შესაძლებელია საკმარისი იყოს მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ახლანდელი მდგომარეობა ასეთია – ეს ფუნდუკი იჯარით აქვს საქველმოქმედო საზოგადოებას და მიცემული აქვს სასტუმროს ნომრებიც გასაქირავებლად, მაგრამ შემოსავალი არ აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს, რადგანაც დამქირავებლები არიან ისინი, ვინც მიზერულ თანხებს იხდიან .... . თან ერთვის სასკოლო ნაგებობების გეგმა, რომელსაც არ აქვს აუცილებელი ოთახები არათუ მასზავლებლების, კანცელარიის, ბიბლიოთეკისათვის, და სხვა, არამედ საკლასო მეცადინებებისათვისაც კი“.<sup>1</sup>

ინსტრუქტორ მირზა ალი-ზადეს მიერ მომზადებული სპეციალური ანგარიში (რუსულ ენაზე) სპარსულ სკოლაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე 1926 წლის 5 ნოემბერს გადაეგზავნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს მ. პ. ორანელაშვილს. ეს პრობლემები შემდეგია:

„ეს სკოლა განსხვავდება ჩვენი შრომითი სკოლებისაგან, როგორც ალზრდის ხსიათით, ისე სასწავლო დახმასტულების ორგანიზაციით. აქ არის რელიგიური პრინციპების ნიშნები, ხოლო სასწავლო დარგში არის სწავლების ძველი სკოლასტიკური ფორმა. ეს იქნიდან მომდინარეობს, რომ სკოლას აქვს თავისი პროგრამა გარკვეული რელიგიური ელფერით და მუშაობს სწავლების ძველი მეთოდებით. ეს არის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მშრალი და უსისტემო სწავლება; ამიტომ ამ სკოლის ბავშვები, რომლებიც ძირითადად სპარსელები არიან, ჩვევების მექანიკური შეძენისა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების ცოდნის თვალსაზრისით, უფრო მაღლა არიან, ვიდრე შრომითო სკოლის მოსწავლეები. მარქსისტული მსოფლმხედველობის განვითარებით კი, პირიქით, ძალიან სუსტები.

მოსწავლეები მხოლოდ ვაჟებია, არ არის სკოლაში პიონერული და კომუნისტული ორგანიზაციები, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, ანუ რამდენიმე მოსწავლის კომუნისტი განევრიანებისა. არ არის თვითმმართველობაც და არც კლუბები მუშაობს.

პედაგოგიური პერსონალი არის ძირითადად საკმაოდ განათლებული, დადებითად განწყობილი ალზრდისა და განათლების თანამედროვე პრინციპებისადმი. კარგი დამიკიდებულება აქვთ მშობლებთან, რომლებიც უპირატესად არიან რელიგიური პირები. მასწავლებლებმა ვერ დაამყარეს მრომითი დისციპლინა შეზღუდული მატერიალური რესურსების გამო. ამიტომ არ ფუნქციონირებს სკოლასთან გახსნილი ფეხ-

<sup>1</sup> იქვე, ფურც. 2-2a.

საცმლის სახელოსნო და არ ტარდება ფიზიულტურის და მუსიკის მე-ცადინებები.

სასწავლო პროგრამას ადგენენ მასწავლებლები წელიწადში ორ-ჯერ, სასწავლო წლის შუაში და ბოლოს, და წარუდგენენ საქველმოქმე-დო საზოგადოებას, რომელიც არის ამ სკოლის უშუალო ხელმძღვა-ნელი. პროგრამაში შედის მშობლიური ენა (აზერბაიჯანული), არითმე-ტიკა, ალგებრა, ფიზიკა, ბუნებათმცოდნეობა, საზოგადოებათმცოდნე-ობა, ხატვა, გრამატიკა (როგორც სპეციალური საგანი), გეოგრაფია, გეომეტრია, ალგებრა, ფიზიკა, ჰიგიენა, ირანის ისტორია, სპარსული, არაბული, ქართული, რუსული და ფრანგული ენები. ამ საგნებს გადას ასეთი თანმიმდევრობით: I კლასი: მშობლიური ენა, არითმეტიკა, ბუნე-ბათმცოდნეობა და ხატვა, II კლასი – გრამატიკა და სპარსული ენა; III კლასი – გეოგრაფია, ქართული, რუსული და ფრანგული ენები; IV კლასი – გეომეტრია, ჰიგიენა, არაბული და ირანის ისტორია; V კლასი – საზოგადოებათმცოდნეობა, ალგებრა და ფიზიკა.

სკოლაში არის 6 კლასი. ერთი მოსამზადებელი და 5 ძირითადი. მოსწავლეები ასე ნაწილდება: მოსამზადებელი – 25 ვაჟი; I კლასი – 20 ვაჟი; II – 34; III – 30; IV – 12; V – 7, სულ 128 ვაჟი.<sup>1</sup>

სკოლის კოლექტივი შედგება ხელმძღვანელის (ზედამხედველის), მასწავლებლების, მშობელთა და სპარსული საქველმოქმედო საზო-გადოების წარმომადგენლებისაგან. აქვთ არდადეგები და აღნიშნავენ რევოლუციურ დღესასწაულებს, იმ განსხვავებით რომ ისინი აღნიშ-ნავენ თავიანთ რელიგიურ დღესასწაულებსაც – ნოვრუზ-ბაირამი (ახა-ლი წელი), კურბან-ბაირამი (მსხვერპლშენირვის დღესასწაული), მუჰა-რამი (აშურა – გლოვის ათდღიურა). ... სახელმძღვანელოები ამ სკო-ლაში იგივეა, რაც შრომით სკოლებში<sup>2</sup>.

ზემოაღნიშნული ანგარიში 1926 წლის 27 დეკემბერს განათლების სახალხო კომისარიატმა გაუგზავნა სახალხო კომისართა საბჭოს (წე-რილის ტექსტი ქართულ ენაზე: „გაახლებთ ტფილისში არსებული

<sup>1</sup> იქვე, ფურც. 3-5. შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალების თა-ნახმად, 1926 წელს სკოლაში მონაფეთა რაოდენობა 143-ს აღნევდა. მათ-გან 110 ვაჟი და 33 გოგონა. „ყველა მონაფე ეროვნებით აზერბაიჯანული იყო (ირანის აზერბაიჯანიდან). აქედან 121 ირანის, ხოლო 22 – „საბჭოთა ქვეშვერდომი“. სოციალური შემადგენლობის მიხედვით, მონაფეთა 60% უდარიშესი გლეხის შვილი იყო, დანარჩენი – სხვადასხვა სოციალურ ფე-ნას მიეკუთვნებოდა“ [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ-ქივი, ფონდი №14, ანან. 3, საქმე № 269, ფურც. 5-6; სონდულაშვილი, ირან-ში ქართველთა ნაკვალევზე, 54-55]. მ. ალექსიძეც მიუთითებს, რომ ის თავდაპირველად ვაჟთა სკოლა იყო და შემდეგ გადაკეთდა შერეულ სკო-ლად. ალექსიძე, საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში, საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარ-სულ წყაროებში, 38.

<sup>2</sup> უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №600, ანან. 1, საქმე №751, ფურც. 3-4.

სპარსული სკოლის შესახებ გამოკვლევას განათლების კომისარიატის ინსტრუქტორის მირ რიზა ალი-ზადესი").<sup>1</sup>

საარქივო მასალებში დაცულია ცნობები 1926 წელს სკოლის პედაგოგიური პერსონალის შესახებაც: 1. სიმა ხანუმ ფარაჯულაევა, სპარსეთის ქვეშევრდომი, დაბალი განათლებით; 2. ისმათ ხანუმ ალი-ზადე, საბჭოთა ქვეშევრდომი, 8 წლის პედაგოგიური სტაჟით; 3. ისფანდიარ ალი-ზადე, საბჭოთა ქვეშევრდომი; 4. მირზა ტაგი რიზაევი, ირანის ქვეშევრდომი, 12 წლის პედაგოგიური სტაჟით; 5. ჰაჯი მამედ ჰასან მოვლა-ზადე,<sup>2</sup> საბჭოთა ქვეშევრდომი, უმაღლესი განათლებით, 45 წლის პედაგოგიური სტაჟით; 6. რუსულსა და ფრანგულ ენებს ასწავლიდა ფარუხ-ხანუმ ყაჯარი. ის იყო ირანის შაჰების ყოფილი დინასტიის პრინცესა, ირანის ქვეშევრდომი, 10 წლის პედაგოგიური სტაჟით; 7. ქართულ ენას ასწავლიდა ნინო მღებრიშვილი, რომელსაც 7 წლის პედაგოგიური სტაჟი ჰქონდა<sup>3</sup>: „დოკუმენტში ასევე აღნიშნულია: „სკოლაში მთლიანად იგნორირებული იყო ე. ნ. „საბჭოთა სკოლის“ პრინციპები. განათლების ხელმძღვანელობა აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევდა სასწავლო პროცესიდან ამოელოთ არაბული და ფრანგული ენის სწავლება, შეეცვალათ სკოლის გამგე „საბჭოთა ადამიანით“.<sup>4</sup>

თბილისის სპარსულმა სკოლამ – „ეთეფა-ე-ირანიან“/„ითთიფა-ე“ – იარსება 1931 წლამდე.<sup>5</sup> „მატერიალურმა სირთულეებმა და სტალინური ხელისუფლების ზენტრალურმა საბჭოთა კავშირში ერთიანი განათლების სისტემის შექმნის მიმართულებით, ასევე იდეოლოგიურმა ძალდატანებამ..., გამოიწვია ამ სკოლის დახურვა“.<sup>6</sup>

ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ განხილული მასალები კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს თბილისის სპარსული სკოლის ისტორიაში.

<sup>1</sup> იქვე, ფურც. 1.

<sup>2</sup> იხ. გვ. 140, შენ. 2.

<sup>3</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი №14, ანაზ. 3, საქმე №269, ფურც. 5-6; უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ფონდებში დაცული დოკუმენტის მიხედვით კი, პედაგოგიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით: 1. სკოლის ხელმძღვანელი – ა. ა. მოვლა ზადე, უმაღლესი განათლებით; 2. ალეევა ი. – უმაღლესი განათლებით, 7 წლიანი სტაჟით; 3. ალიევი ი. – საშუალო განათლებით, 6 წლის სტაჟით; 4. რიზაევი მ. თ. – საშუალო განათლებით, 20 წლის სტაჟით; 5. ყაჯარ ფ. – უმაღლესი განათლებით; 6. აგალაროვი ნ. – საშუალო განათლებით (უახლესი ისტორიის ცენტრალურიარქივი, ფონდი №600, ფურც. 3ა-4).

<sup>4</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი №14, ანაზ. 3, საქმე №269, ფურც. 5-6.

<sup>5</sup> ამავე წელს დაიხურა ბაქოს რუსულ-სპარსული სკოლა – „ითთიპად“.

<sup>6</sup> ამირხიზი, „ერთი ქართველი ბანოვანის თავგადასავალი და მისი განსასვენებელი თეირანის იმაზიადე აბდოლას სასაფლაოზე“, 109.

*Nani Gelovani*

## Persian School in Tbilisi — „Ettefaq-e Iraniyan”

From the mid-XIX century, the vector of ethno-cultural evolution of Tbilisi was greatly influenced by the administrative and political status of the city, in particular, by the presence of the residence of the Viceroy of the Caucasus from 1845 and the Administration Center of Tiflis Governorate from 1846. As a result, the people with various religious and cultural identities gathered in Tbilisi, including the Persians, who made the most numerous Muslim community.

In 1905 Iranian charity society “Ettefaq-e Iraniyan” (“Iranian’s union”) was founded at the initiative of Mirza Hassan Khan Moshir od-Dowleh, the Ambassador of Iran in Russia and Mofakham os-Soltan, the Iran’s Consul General of the Caucasus in Tbilisi. Then, they founded madrasa and called it “Ettefaq-e Iraniyan” or “Ittifaq”. The school was located in “Muslim district” (district where the Muslims lived) of Tbilisi called “Sheytan Bazaar” (meaning “Devil’s Bazaar”) and was sometimes called a Sheytan Bazaar’s school.

The Iranian travelers showed a keen interest in teaching and educating the Muslims. Thus, the Persian Travelogues and Memoirs of the Qajar Period gives noteworthy data about the Persian school in Tbilisi, which are translated into Georgian and are a subject of the scientific circulation. However, this issue has not become a subject of special study. Based on the archive materials,<sup>1</sup> the present work thoroughly considers and analyzes the history of Persian school in Tbilisi.

On August 4, 1907, the Iran’s Consul General of the Caucasus in Tbilisi mediated before the Chancellery of Tbilisi Governor to open a school for Persian children, and on August 18 of the same year, the school Charter was approved.

As the archives suggest, the Persian school opened in October of 1907 or on September 1, 1908. In the same period, under the leadership of the Consulates, the Russian-Persian schools opened in Baku, Vladikavkaz, Ashkhabad and Elizabethpol.

Under the Charter, the goal of Persian school “Ittifaq” was to educate Persian subjects. It was the one-class school with three departments. The maximum allowed number of pupils in one department was 40. Only the children of Persian subjects could go to school to study. However, the school had the right to accept the children of Russian subjects if it had vacant places. The school had a supervisor, a Persian subject, who could speak certain oriental and western languages, was proficient in upbringing and educating the children and could teach at school like other teachers. The tuition fee at school was fixed by the Board of Trustees. The children of poor parents were allowed to school free of charge. Such children made 20% of the total number of school pupils (in exceptional cases, the Board of Trustees could increase this number). If the number of pupils from other cities was 10 or more and if the parents so desired, the Board of Trustees could open a dormitory for such pupils with a self-financing principle.

---

<sup>1</sup> National Archives of Georgia (Fonds of Central Historical Archive; Fonds of Central Archive of Contemporary History); The Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia (Fonds of Transcaucasia Regional Committee of the Communist Party of Russia).

The Pedagogical Council, whose members were all the teachers at school, was chaired by the school supervisor. Questions were settled by a simple majority of votes. The Charter specified the functions of the Pedagogical Council, Board of Trustees and Honorable Supervisor. 3040 Russian roubles (of then-time exchange rate) were assigned annually to run the school (Teacher-Supervisor – 600 rubles; two teachers – 1000 rubles (500+500); secretary of the Pedagogical Council – 50 rubles; librarian – 50 rubles; expenditures for library and study materials – 100 rubles; building rent – 700 rubles; additional costs (heating, etc.) – 540 rubles).

The pupils at the Persian school studied the Persian, Arabian, Azerbaijani (Azeri Turkish), Georgian and Russian languages, as well as Islamic Divine law, geography, arithmetic and other subjects.

As it becomes clear, sometime later, the school faced severe problems regarding its status. In particular, only the person with the status of a Russian subject was entitled to open a private school. Consequently, in 1912, the school with 80 pupils was closed. In 1912-1913, the Iran's Consul General of the Caucasus in Tbilisi wrote letters to the director of public schools asking for the permission to re-open the school, but in vain. On March 26, 1913, the Consul General applied directly to the curator of the educational region of the Caucasus and asked to remodel the school into the 3rd-grade private school based on the primary school curriculum approved on January 10, 1881, but by adding the Persian language to the Russian and Azerbaijani (Azeri Turkish) languages envisaged by the curriculum.

As one can see from the "Memoirs" by 'Ali Javaher Kalam, a famous Iranian writer, translator and publicist of the XX century, that in 1921, it was him, who was sent by the Ministry of Education on mission to Tbilisi to run the Persian school.

Since 1917, after the state system in Russia changed and "rich people were exiled from the country, the school's affairs went too unfavorably and the Iranian authority was forced to intervene with school management." As 'Ali Jawaher Kalam said, "I did not have to fight against these problems for long and the school closed in three years. First, I went to Iran and then, to Istanbul." He meant three years from 1921, i.e. in 1924. However, the documents preserved at the Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia evidence that the school worked till 1931.

For some years after 1923, they considered the question to subordinate the Persian school to the People's Commissariat of Education of Tbilisi.

In 1926, the People's Commissariat of Education of the Georgian SSR studied the situation at school, and there are relevant materials preserved at the archives. Besides, among the archived documents, we find the data about the school pupils and teachers contingent and school problems. As it becomes clear, the school strictly ignored the principles of so called Soviet School. The officials from the Ministry of Education deemed it necessary to cancel the teaching of the Arabian and French languages on the curriculum and replace the head of the school with a "Soviet person".

The Persian school "Ettefaq-e Iraniyan"/ "Ittifaq" continued to function until 1931.

## ემოკრატიზაციის პრობლემები თანამედროვე თურქეთში

დემოკრატიზაციის (დემოკრატიზაცია – მმართველობის ფორმაა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება)<sup>1</sup> საკითხი XXI საუკუნის თურქეთში ერთ-ერთი აქტუალური თემაა. დემოკრატიზაცია კი მრავალმხრივი პროცესია. თანამედროვე გაგებით, დემოკრატიული სახელმწიფოს შენება, სხვა უამრავ ღონისძიებასთან ერთად, ეროვნული საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებისა და ევროპულ სამართალთან შესაბამისობაში მოყვანის ღონისძიებებს გულისხმობს, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს შესაბამისი იურიდიული საფუძვლები ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. მან ასევე უნდა გაიზიაროს და განავითაროს ის ფასეულობები, რომელიც ღირებულია მთელი კაცობრიობისათვის.

ნებისმიერი ქვეყანას, რომელიც გადაწყვეტს დემოკრატიული განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდეს, სჭირდება ძლიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნება. ჯერ კიდევ თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის, მუსტაფა ქემალ ათათურქის (1881-1938), გადაწყვეტილებით, მუსლიმური კულტურის მატარებელი ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების გეზი დასავლეთისკენ იქნა მიმართული და ევროპიზაციის გზა უცვლელ საგარეო პოლიტიკურ პრინციპად იქნა გამოცხადებული. ეს პრინციპი თავის თავში დემოკრატიული, ევროპული ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას გულისხმობდა. მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ შემუშავებული ექვსი პრინციპი (რესპუბლიკანიზმი, ლაიციზმი, ნაციონალიზმი, ხალხოსნობა, ეტატიზმი, რევოლუციონიზმი) თურქეთის კონსტიტუციის პრეამბულაშია ჩაწერილი და ისინი ამ ეტაპისათვის გადახედვას არ ექვემდებარება.<sup>2</sup>

თურქული სახელმწიფოს მშენებლობის სათავეებთან მყოფი პიროვნებები ქვეყნის მომავალს „ისტორიიდან მომავლისაკენ“ მიმართულ სტრატეგიასა და ისტორიის ფესვებიდან ამოზრდილ, მყარი ფესვების მქონე ერთიან საზოგადოებაში ხდავენ. პოლიტიკოს ა. დავუდოლლუსთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნამ უნდა მიიღოს ახალი გამოწვევები და უპასუხოს მას, გააგრძელოს სვლა დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, მაგრამ არ მოსწყდეს წარსულს, მოახდინოს მისი რევიზია და ისტორიული ფასეულობებიდან შეინარჩუნოს მხოლოდ ღირებული, ის, რაც მის წინსვლას არ შეაფერხებს. ისტორიუ-

<sup>1</sup> ურიდია ს., მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა (თბილისი, 2004), 483.

<sup>2</sup> მაკარაძე ე, მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში (ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2009), 8.

ლი პროცესების ახლებური ინტერპრეტაცია კი მას ახალ შესაძლებლობებს გაუქსნის. საქმე ისაა, რომ ისტორიულ ფესვებს მოწყვეტილი ქვეყნა კარგავს იდენტობას, მისი მომეტებული დაცვა კი ზღუდავს მის მოქმედებებს განვითარებისაკენ. მართალია, ძალიან ძნელია დააბალანსო ეს პროცესი, მაგრამ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოები სწორედ ამის კარგი მაგალითია. თუ თურქეთს მყარად აქვს გადაწყვეტილი, არ გადაუხვიოს არჩეულ, ევროპისაკენ მიმავალ კურსს, უნდა შეძლოს ამ ბალანსის ნარმატებით უზრუნველყოფა.

დემოკრატიზაციის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მთელი კაცობრიობა ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას, გლობალიზაციის პროცესის შეუქცევადი ხასიათის გათვალისწინებით, ცივილიზაციათა შორის ინტენსიური კულტურათა და რელიგიათშორისი დიალოგის ფონზე ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვანია.

კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის გარეშე არ არსებობს მშვიდობა და ამ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტს მივყავრთ იმ უმთავრეს შედეგამდე, რომელსაც ერებს შორის ცივილიზაციათა კავშირი ჰქვია. ამ მხრივ, საინტერესოა დემოკრატიზაციისა და კულტურათაშორისი დიალოგის საკითხები XXI საუკუნის რესპუბლიკურ თურქეთში.

XXI საუკუნის თურქეთი მომავალი დემოკრატიის, კულტურათა-შორის დიალოგის გაღრმავებისა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპებზე გადის.

რესპუბლიკურ თურქეთში კულტურათაშორისი დიალოგის საკითხების წარმოჩენას დემოკრატიული ლირებულებების წინ წამოწევა სჭირდება, ამისათვის კი საჭიროა ევროპელი მოკავშირეებისა და აშშ-ის მხარდაჭერა.

ბოლო ცხრამეტი წელია, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, ინტერესითა და გარკვეული შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს რესპუბლიკურ თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მისი ქარიზმატული ლიდერის, პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და ისლამური ფასეულობის მქონე „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის საქმიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებელმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა სეკულარიზმისა და ევროპეიზმის პრინციპებზე „ახალი თურქეთი“ დააფუძნა, თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება, მნიშვნელოვანნილად იქცა ამ პრინციპსა და რელიგიური ხასიათის მქონე ე. წ. თურქულ „ტრადიციონალიზმს“ შორის ბრძოლის მიზეზად.

არის თუ არა თანამედროვე თურქეთი მისი დამფუძნებელი მამის, მუსტაფა ქემალ ათათურქის, იდეური მემკვიდრე?

უკვე დიდი ხანია, თურქეთში პრეზიდენტ რ. თ. ერდოღანის ხელისუფლების მიერ ქემალიზმის რიგი დებულებების ცვლილებაზე საუბრობენ; რომ იგი თავიდან ახდენს დემოკრატიული, სეკულარული საზოგადოების ისლამურ ტრადიციულ საზოგადოებად გარდაქმნას და უარს ამბობს სოციალურ მოდერნიზაციაზე. თავად რ. თ. ერდოღანს კი შემოაქვს ახალი კონცეფცია, ე.წ. „ახალი თურქეთი“, რომელიც ნაციონა-

ლიზმს, ისლამიზმს, ანტიელიტიზმისა და მორალიზმის პრინციპებს ეფუძნება:

1. **ქემალიზმი:** რესპუბლიკანიზმი, ლაიციზმი, ნაციონალიზმი, ხალხოსნობა, ეტატიზმი, რევოლუციონიზმი.

2. **ერდოღანის „ახალი თურქეთი“:** ისლამიზმი, თურქული ნაციონალიზმი, ანტიელიტიზმი, მორალიზმი.

სულ ახლახან რ.თ.ერდოღანის მთავრობამ რევოლუციური დარტყმა მიაყენა ათათურქის მიერ შექმნილ თურქი ერის იდენტობას, რაც თურქული საზოგადოების ნაწილისათვის შეკვი აღმოჩნდა.

**თურქეთის ისლამიზაცია:** მ. ქ. ათათურქის თურქეთი კონსტიტუციური და სეკულარული რესპუბლიკა იყო, სადაც ისლამის როლი საზოგადოებაში მინიმუმადე იყო დაყვანილი. მიუხედავად ამისა, ისლამი თურქული საზოგადოებიდან არსად ნასულა. თურქეთში ისლამმა ფარული მოძლიერება 1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაიწყო.<sup>1</sup>

ისლამი თვალსაჩინოს გაძლიერდა 2002 წლიდან, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში ისლამური ორიენტაციის მქონე „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია და მისი ლიდერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი მოვიდა<sup>2</sup>. სწორედ მან შეუწყო ხელი ცნობილ თეოლოგს, ფ. გიულენს, გაეხსნა და გაეფართოვებინა მსოფლიოს მასშტაბით საგანმანათლებლო დაწესებულებები, გიულენის მიმდევრები კი დაესაქმებინათ სახელმწიფო სისტემაში, სასამართლო და ძალოვან სტრუქტურებში და წამყვან მედიასაშუალებებში. ამ პერიოდში თურქეთში 17 ათასი ახალი მეჩეთი აშენდა. დღეისათვის თურქეთში ორჯერ მეტი მეჩეთია, ვიდრე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

2011 წელს სტამბოლში „გეზის“ პარკის მოვლენების შემდგომ რ. თ. ერდოღანისა და ფ. გიულენის გზები გაიყო, მაგრამ ერდოღანს პოლიტიკური ისლამის გაძლიერების იდეა არ შეუნელებია. ამ გზით, შეიძლება ითქვას, რომ მან ისლამი თურქული ეროვნული იდენტობის მთავარ რეკვიზიტად დააბრუნა.

სამხედრო გადატრიალებით დაღლილი თურქეთისა და მისი ლიდერისათვის ისლამი ინსტრუმენტია, რომლითაც მას პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაცია და თურქეთის ტრადიციულ, კონსერვატიულ საზოგადოებად გარდაქმნა სურს, სადაც ნაკლებია სოციალური, ეთნიკური და სხვა სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული პროტესტის გენერირების შესაძლებლობა.

**თურქული ეროვნული იდენტობის კრიზისი:** ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, რომელიც მულტიეთნიკური წარმონაქმნი იყო, მ. ქ. ათათურქმა, დასუსტებული თურქეთის კიდევ უფრო დამლა თავიდან რომ აეცილებინა, „ახალი თურქი“ ერის მშენებლობა დაიწყო. ნებისმიერი, ვინც თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და ამ

<sup>1</sup> მაკარაძე ე, თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში (თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016), 45.

<sup>2</sup> მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში, სალექციო ჩანაწერები (თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019), 231.

ქვეყნისათვის იღვწოდა, იყო თურქი. ათასწლეულების განმავლობაში ამ პარადგმას ემყარებოდა თურქული ნაციონალიზმი, თურქეთის ერის მონოლითურად ქვევის პროცესს ფარულად ენირებოდა სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობები და მათი წარმომავლობის საკითხი ნელნელა ტაბუირებული ხდებოდა. ამ მხრივ, საინტერესოა თურქეთის პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული მოსაზრება. რ.თ. ერდოღანი ერთ-ერთ ინტერვიუში დასძენდა: „კითხულობდნენ, თუ საიდან ვიყავი, ერთმა ქართველიაო, მეორემ, ბოდიში და, უფრო საშინელი რამ თქვა – სომეხი, მაგრამ მე მამით და ბაბუით, ყოველმხრივ, თურქი ვარ“.

თურქეთის პრეზიდენტმა ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოქალაქეთა რეგისტრაციის საიდუმლო საინფორმაციო ბაზა საჯარო და ყველასათვის მისაწვდომი გახადა. თურქეთის ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცა, გაერკვია თავისი წინაპრების წარმომავლობა XIX საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე. ბაზის გახსნიდან მხოლოდ რამდენიმე დღეში 8 მილიონმა თურქმა გამოიკვლია საკუთარი გენეალოგიური შტო. აღმოჩნდა, რომ აქამდე ეროვნებით თურქთა წანილს სომხური, ბერძნული, ებრაული, ლაზური და არაბული წარმომავლობა ჰქონდა.

ამ მოვლენამ, ათათურქიდან მოყოლებული, ერთიანი თურქი ერის იდენტობის შექმნის პოლიტიკა თავდაყირა დააყენა.

გაურკვევლობაში მყოფ თურქულ საზოგადოებაში არაერთი კონსპირაციული თეორია გაჩნდა, თუ რატომ გადადგა ეს ნაბიჯი რ. თ. ერდოღანის ხელისუფლებამ მაშინ, როცა არაერთ საერთაშორისო კონფლიქტში ჩართულ ქვეყანას ნაციონალისტური წარატივის გაძლიერება, ისე როგორც არასდროს, ესაჭიროება. ერთ-ერთი მოსაზრებით, ეს შიდა საკითხია, რითაც რ. თ ერდოღანს ეთნიკურად თურქების კონსოლიდირებული მხარდაჭერის მოპოვება და ეთნიკური უმცირესობის დანანილება სურს.

„ქემალიზმსა“ და „ერდოღანიზმს“ შორის დაპირისპირება საგარეო პოლიტიკაშიც აისახა. ათათურქის ევროპული ვესტერნიზაცია ერდოღანის მკვეთრმა ანტიდასავლურმა რიტორიკამ და დასავლური სამყაროსაგან დაშორებამ ჩაანაცვლა.

რ. თ. ერდოღანი დღეს განმათავისუფლებულ მოძრაობას იწყებს, რომელმაც თურქეთი დასავლეთის ჩრდილიდან უნდა გამოიყვანოს და დასაბამი მისცეს ახალ, სუვერენულ რესპუბლიკურ თურქეთს, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი ინტერესები ამოძრავებს.

დემოკრატიზაციისა და ქემალიზმის პრინციპებიდან გადახვევის მაგალითი იყო 2017 წლის 16 აპრილს მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის (**სგპ**) და მისი დამფუძნებელის, პრეზიდენტ რ. თ. ერდოღანის, მიერ თურქეთში ჩატარებული საკონსტიტუციო რეფერენდუმი. ამომრჩევლებმა ხმა მისცეს თურქეთის კონსტიტუციის 18 ცვლილებას. ცვლილებები მოიცავდა ქვეყნის საპარლამენტო სისტემიდან საპრეზიდენტოზე გადასვლას, პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გაუქმებას, ასევე, საპარლამენტო მანდატთა რაოდენობის 550-დან 600-მდე გაზრდას და თურქეთის უზენაესი სასამართლოსა და პროკურორების კოლეგიის (HSYK) რეფორმირებას.

რეფერენდუმის შემდეგ პრეზიდენტი გახდა როგორც სახელმწიფოს, ისე მთავრობის მეთაური; მას მიეცა უფლება, დანიშნოს მინისტრები და ვიცე-პრეზიდენტი. პრეზიდენტს შეუძლია, გასცეს აღმასრულებელი განკარგულებები.

ფაქტობრივად, ამ რეფერენდუმის შემდეგ ქემალისტური, დემოკრატიული თურქეთი დიდი გამოჩვევების წინაშე დადგა. თურქულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, თუ რა გზას აირჩივს მომავალში რესპუბლიკური თურქეთი.

დემოკრატიზაციის, კულტურათაშორისი დიალოგის და ევროპული ლირებულებიდან გადახვევის ნათელი მაგალითია სტამბოლში აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთება.

თურქეთის სახელმწიფო საბჭომ 2020 წლის 10 ივლისს მიღებული გადაწყვეტილებით აია-სოფიას ტაძარი მეჩეთად გადაკეთდა და მუსლიმური მსახურება დაინყო. მთავრობის 1934 წლის გადაწყვეტილება გააუქმა, რომლის მიხედვით, სტამბოლში მდებარე აია-სოფიას ტაძარი მუშეუმად გადაკეთდა. შესაბამისად, ქრისტიანული სამყაროს მნიშვნელოვანი სიმბოლო, აია-სოფიას ტაძარი, კვლავ მეჩეთი გახდა.

თურქეთის ამ გადაწყვეტილებას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეფ თაიფ ერდოღანს, გადაწყვეტილების გაუქმებისკენ მოუწოდა.

ასევე გადაწყვეტილების გაუქმებისკენ მოუწოდა თურქეთის პრეზიდენტს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ. აშშ-ის სენატის, სენატორების, საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, ჯიმ რიშის, და სენატორ რობერ მენდენესის განცხადებით კი ერდოღანის გადაწყეტილება ქრისტიანების შეურაცხყოფაა.

„ჩვენ, მტკიცედ ვგმობთ პრეზიდენტ ერდოღანის გადაწყვეტილებას წმინდა სოფიას მეჩეთად გადაკეთების თაობაზე. ისტორიის გარკვეულ მომენტებში წმინდა სოფიას ტაძარი ქრისტიანებისა და მუსლიმების თაყვანისცემის ადგილი იყო, ხოლო ათწლეულების განმავლობაში ყველა სარწმუნოების ხალხისათვის – არაჩვეულებრივი და სტუმართმოვარე ცენტრი.

თურქეთის პრეზიდენტმა, მათ საპასუხოდ განაცხადა, რომ აია-სოფია თურქეთის სუვერენიტეტის საკითხია და არავის შეუძლია ჩარევა, ასევე ერდოღანმა აღნიშნა, რომ აია-სოფიასათვის სტატუსის შეცვლით, თურქეთის ხელისუფლებამ ისტორიული შეცდომა გამოასწორა.

XXI საუკუნის თურქეთში დემოკრატიზაციისა და კულტურათაშორისი დიალოგის გარეშე არ არსებობს მშვიდობა და ამ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტს მივყავართ იმ უმთავრეს შედეგამდე, რასაც ერებს შორის ცივილიზაციათა კავშირი ჰქვია.

თურქეთის მოვლენებმა, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით, გვაჩვენა, რომ ქვეყანა ყალიბდება ძლიერ სახელმწიფოდ. ჩხდება კითხვა, რამდენად გააგრძელებს ის დემოკრატიული ფასეულობებით სიარულს და რამდენად შეინარჩუნებს ათათურქისეულ ევროპული ღირებულების სახელმწიფო მმართველობას?

თურქეთი ევროპისათვის სტრატეგიულად საჭირო და მნიშვნელოვანი ქვეყანაა – ცენტრალური აზიდან მომავალი უზარმაზარი ბუნებრივი რესურსები სწორედ თურქეთის გავლით შეედინება ევროპაში. ევროპას სჭირდება თურქეთი; სჭირდება მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ბოსფორ-დარდანელის სრუტეები და ნედლეულის ტრანსპორტირების საიმედო და უსაფრთხო გზა.

XXI საუკუნის უახლოესი ათწლეულები პასუხს გასცემს კითხვას – შეიძლება თუ არა მუსლიმური კულტურის მატარებელი ქვეყნის ადაპტაცია დემოკრატიულ, დასავლურ ცივილიზაციასთან და როგორი იქნება მისი შედეგები.

***Emzar Makaradze***

### **The Issues of democratization in modern Turkey**

The problem of democratization (democratization is a form of government in which it ensures the exercise of state power by the people) is one of the most pressing issues in Turkey of XXI century. Democratization is a multilateral process. Building a democratic state in the modern sense, among many other measures, includes the regulation of the national legal framework and its harmonization with European legislation, so that the state has an appropriate legal basis for the further development of the country; in addition, it also implies the exchange and development of those values that are important for all mankind.

Any country that wants to achieve a high level of democratic development, needs strong social and political will. Even by the decision of the founder of the Turkish Republic, Mustafa Kemal Ataturk (1881-1938), the course of state development of a country with a Muslim culture was aimed at the West, and the path of Europeanization was proclaimed an invariable principle of foreign policy. This principle meant itself building a democratic state of the European type. The six principles developed by Mustafa Kemal Ataturk (republicanism, secularism, nationalism, populism, statism, revolutionism) are enshrined in the preamble of the Turkish Constitution and are not subject to revision at the given stage.

Those figures, who are at the forefront of the construction of the Turkish state, see the country's future as a strategy directed "from history to the future" and as a united society with strong historical roots. For the politician A. Davutoglu, this means that the country must accept new challenges and respond to them, continue the firm path of building a democratic society, but at the same time, it should not abandon the past, revise it and preserve only those historical values that will not hinder its progress. A new interpretation of historical processes will open up new opportunities for the country.

The fact is that a country, cut off from its historical roots, loses its identity, but at the same time its enhanced protection limits the actions towards deve-

lopment. It is really difficult to balance such a process, however, the developed democracies are just a good example of this fact, and if Turkey is determined not to deviate from the course set for Europe, it should be able to successfully achieve this balance.

At the present stage, when all of humanity is faced with new dangers and challenges, considering the irreversible nature of the globalization process, as well as an intensive cultural and interreligious dialogue between civilizations, the preservation of national identity is extremely important.

There can be no peace without dialogue between cultures and civilizations, and these two important facts are resulted in the interethnic union of civilizations. In this regard, the issues of democratization and intercultural dialogue in republican Turkey of XXI century are interesting to be observed.

Turkey of XXI century is based on the principles of future democracy, deepening intercultural dialogue and state responsibility to the people.

## **მირიან მახარაძე**

### **უფლისწულ ბაიაზითის აჯანყება და საქართველოს საკითხი მუჰიმე დავთრების მიხედვით<sup>1</sup>**

ოსმალური ისტორიული წყაროების უდიდესი ნაწილი დაცულია სტამბულის საპრეზიდენტო (ყოფილი პრემიერ-მინისტრის) არქივში. მათ შორის, მრავალია ცნობები საქართველოს შესახებ, რომელთა გა-მოქვეყნება და გამოკვლევა მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის შესასწავლად. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მუჰიმე დავთრებში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ, რომე-ლიც მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს.

საქართველოში მუჰიმე დავთრების კვლევის საქმეში დიდი წვლი-ლი შეიტანა პროფესორმა ნოდარ შენგელიამ,<sup>2</sup> ასევე ამ დავთრებით და-ინტერესდნენ პროფესორები ზაზა შაშიგაძე და მირიან მახარაძე.<sup>3</sup>

„მუჰიმე“ (Mühim) ოსმალურიდან ითარგმნება როგორც საყუ-რადლებო, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე. აღნიშნული დავ-თრები სულთნის კარზე შედგენილი დოკუმენტების ერთ-ერთი სახეო-ბაა. „მუჰიმე დავთარიც“ რამდენიმე სახეობისაა. მათი ერთი კატეგო-რია ასახავდა სულთნის უმაღლეს სათათბირო ორგანოში (დივანი) მიმ-დინარე მოვლენებს, სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის ალრიცხული და აღწერილი ყველა შემოსული ცნობა და გაცემული ბრძანება მთელი იმპერიის მასშტაბით.<sup>4</sup> განსაკუთრებული მნიშვნე-ლობის მქონე დავთრებს „უავგუსტოესის დივანის რეესტრსაც“ უნდადებდნენ, სადაც დივანში მომზადებული სულთნის ბრძანებების –

<sup>1</sup> აღნიშნული კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სა-მეცნიერო ფონდის -911 პროექტის ფარგლებში.

<sup>2</sup> მუჰიმე დავთრები საქართველოს სამეცნიერო-სამთავროების შესახებ /XVI- XVIII სს/, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით. გამოკ-ვლევით, ფაქსიმილიებით შენიშვნებით და კომენტარებით, გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნოდარ შენგელიამ (თბილისი, 2019); ნ. შენგელია, რამ-დენიმე ოსმალური დოკუმენტი მუჰიმე დავთრებიდან XVIII ს-ის საქარ-თველოს შესახებ, აღმოსავლეთი და კავკასია 8 (თბილისი, 2019), 81-88; რამდენიმე დოკუმენტი მუჰიმე დავთრებიდან სამხრეთ საქართველოს შესახებ, ელიზბარ ჯაველიძე 75 (თბილისი, 2014) 173-190; ნ. შენგელია, რამდენიმე დოკუმენტი მუჰიმე დავთრებიდან სიმონ ქართლის მეფის შესახებ, ჰასან ნადირაძე 80 (თბილისი, 2012), 272-283; ნ. შენგელია, მუ-ჰიმე დავთრები, აღმოსავლეთმკოდნეობა 7 (თბილისი, 2018), 256-261.

<sup>3</sup> ზ. შაშიკაძე, მუჰიმე დავთრები XVII საუკუნის საქართველოს შესახებ (1630-31 წწ. ცნობები ბათუმისა და გონიოს შესახებ), აღმოსავლეთი და კავკასია 8 (თბილისი, 2019) 63-79; N. Shengelia, Z. Shahikadze, M. Makharadze, On the First Georgia Preserved in the “Muhimme Defters”, *moambe* (gadacemulia dasabe Wdad).

<sup>4</sup> On the First Georgia Preserved in the “Muhimme Defters”.

ფირმანების და ბერათების – მოკლე შინაარსს გადმოსცემდნენ. 1649 წლამდე „მუჰიმე დავთორებში“ აისახებოდა ყველა შინაარსის ფირმანი და ბრძანება. აღნიშნული წლიდან კი მათში მხოლოდ სახელმწიფო დოკუმენტები აღიროცხებოდა, ხოლო ისეთი საკითხები, რომლებიც პირთა შორის დავის საკითხებს ეხებოდა, „სარჩელთა დავთარში“ (Şikayet Defterleri) ფიქსირდებოდა. 1742 წლიდან ეს უკანასკნელი ვილაეთების მიხედვით ცალკეულ რეესტრებში იწერებოდა, რომლებსაც „სარჩელთა განაჩენები“ (Ahkamı Şikayet) ან „ბრძანებათა დავთორები“ ერქვა.<sup>1</sup>

თურქეთის არქივებში დაცულია 266-ზე მეტი ტომი მუჰიმე დავთორებისა და მოიცავს 1554-1905 წლების პერიოდს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მათი გამოცემა ლათინური ტრანსკრიფციით. პირველი წიგნი, რომელიც ლათინური ტრანსკრიფციით გამოიცა, მესამე ტომია. აღნიშნულ ტომში თავმოყრილია ჰიჯრის 966-968 წლის ამბები, რაც გრეგორიანული კალენდრის 1558-1560 წლებს მოიცავს.<sup>2</sup> ამ ტომში 1665 საბუთია, მათგან 20-ზე მეტი შეეხება საქართველოს საკითხს. დოკუმენტების შინაარსი სხვადასხვაგვარია, არის როგორც ბრძანებები და წერილები ქართველი ხელისუფლებისადმი, აგრეთვე ქართულ ტერიტორიებზე მინის გადაცემის საკითხი და სხვა მსგავსი შინაარსის დოკუმენტები. ამ კრებით დოკუმენტებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უფლისწულ ბაიაზითის აჯანყება და ქართულ ტერიტორიის გამგებელთა როლი მის დაბრუნება-შეპყრობასთან დაკავშირებით.

### XXX

პირველი ცნობა, რომელშიც საქართველოზეა საუბარი, თარიღდება ჰიჯრის 1966 წლის 17 რამაზანით (1559 წლის 23 ივნისი). აღნიშნულ ცნობაში გადმოცემულია ბრძანება დიარბაქირის ბეგლარბეგისადმი, რომლის მიხედვითაც, მან ყველანაირად ხელი უნდა შეუშალოს უფლისწულ ბაიაზითს, რათა მან არ დატოვოს ქვეყანა, და გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა – საქართველოდან ჩერქეზთამდე, რომ უფლისწულს თავშესაფარი არ მისცემ.<sup>3</sup> იმავე რიცხვითაა დათარიღებული წერილები, რომელიც ოსმალთა ხელისუფალმა გადაუგზავნა სხვა ბეგლარბეგებსაც, რათა გაეკონტროლებინათ თავიანთი მოსაზღვრე ტერიტორიები და არ მიეცათ უფლისწული ბაიაზითისათვის ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა.<sup>4</sup> ოსმალები ბაიაზითის მიერ ქვეყნის დატოვებას არა მარტო ხმელეთით, არამედ ზღვითაც ვარაუდობდნენ,

<sup>1</sup> M. S. Kütkoçlu, Mühimme Defterleri, *Islam Ansiklopedisi* v. 31, Ankara, 2006s. 520.

<sup>2</sup> 3 Numaralı Mühimme Defteri 966-968/1558-1560, Yayına Hazırlayanlar Nezihî Aykut, İdris Bostan, Murat Gebeçioğlu, Feridun Emercan, Mücteba İlgürel, Mehmet İpsirli, Cevdet Küçük, Özcan Mert, Abdulkadir Özcan, İlhan Şahin, Hüdai Şentürk, Mustafa ÇetinVarlık (Ankara, 1993).

<sup>3</sup> Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri, Bab-ı Asaflı, Mühime defterlerid-3, g-32;3 Numaralı Mühimme Defteri s.19-20.

<sup>4</sup> CDV, BA. MD – d-3, g-33; d-3, g-34; 3 Numaralı Mühimme Defteri s.20-21.

ამიტომ იმავე რიცხვით დათარიღებულ ცნობაში, ტრაპიზონის ბეგ-ლარბეგს დავალებული ჰქონდა, გამოეჩინა ყურადღება, რათა უფლისნულს ზღვით არ დაეტოვებინა ქვეყნა და არ მიმალულიყო ჩერქეზეთში<sup>1</sup>(3-35).

### XXX

უფლისნული ბაიაზითი იყო ოსმალეთის გამოჩენილი სულთნის, სულეიმან I-ის შვილი. იგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ჩაება ტახტი-სათვის ბრძოლაში. უფლისნულ მუსტაფას მკვლელობის შემდეგ იანი-ჩართა კორპუსმა იგი თავის რჩეულად გამოაცხადა. მას უჭერდა მხარს დედამისი – ჰურემ სულთანი. ისმაილ პაკუ უზუნჩარშილი ამბობს, „მა-მამისის მსგავსი ბაიაზითი დედას ძალიან უყვარდაო“.<sup>2</sup> მუფასალ ოს-მანლი შემდეგნაირად ახასიათებს ბაიაზითს: „როგორ მის ბაბუას, ია-ვუზ (მრისხანე – მ.მ) სულთანს, ასევე ბაიაზითს ერთნაირად უყვარდა ხმალი და კალამიო“.<sup>3</sup> უფლისნული ბაიაზითის ასეთ აღზევებას წინ აღუდგა მისი ძმა სელიმი, რომლის პოზიციები უფრო გამყარდა მათი დედის, ჰურემ სულთნის, გარდაცვალების შემდეგ (1558 წლის 16 მარტი). სულეიმან კანუნიმ, რომელიც ხედავდა ძმებს შორის დაპირისპი-რებას, ორივე შვილი სტამბულიდან მოშორებით, პროვინციებში გააგზავნა. სელიმი მანისიდან – კონიაში, ხოლო ბაიაზითი ქუთაპიდან – ამასიაში. ალსანიშნავია, რომ ბაიაზითს სტამბულის ახლოს მყოფ ქუთა-პიდან წასვლა არ უნდოდა, მამინ როდესაც სელიმმა დაუყოვნებლივ შეასრულა მამის ბრძანება. სულ მალე ბაიაზითიც იძულებული გახდა, მამის ნებას დამორჩილებოდა და ამასიაში წავიდა. ორ ძმას შორის მშვიდობის გარანტებად სულთანმა სელიმს ზედამხედველად ვეზირი მევმედ სოკოლუ, ხოლო ბაიაზითს ასევე ვეზირი პერტევ ფაშა დაუუნიშნა.<sup>4</sup> თუმცალა უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ დასაყრდენად სელიმს გა-მოუჩნდა მუსტაფა ლალა ფაშა.<sup>5</sup> ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მუსტა-ფა ფაშა ჯერ ბაიაზითის და მერქ სელიმის ლალა იყო,<sup>6</sup> თუმცალა ბოლო გამოკვლევებმა ამგვარი თეორია უარყვეს.<sup>7</sup>

მუფასალ ოსმანლიში შეგროვილი წყაროები გადმოგვცემს, რომ ლალა მუსტაფა ფაშას დამსახურებაა ძმებს შორის დაწყებული საბრ-ძოლო მოქმედება. მან მისწერა სელიმის სახელით ბაიაზითს დამამ-ცირებელი წერილი, რასაც საპასუხო წერილი მოჰყვა, ხოლო მეორე წე-რილში უკვე ბრძოლის ველზე შეხვედრა შესთავაზა, ბაიაზითის გან-

<sup>1</sup> CDV, BA. MD – d-3, g-35; 3 Numarali Mühimme Defteri s.21-22.

<sup>2</sup> İ. H.Uzunçarşılı, *Osmalı Tarihi, c. II, Ankara*. 1992. s. 405.

<sup>3</sup> Mustafa Cezar, *Mufasal Osmanlı Tarihi*, Ankara 2011, s. 1131.

<sup>4</sup> İ. H.Uzunçarşılı, s. 405.

<sup>5</sup> 1557 წლის 3 ივნისს უფლისნული სელიმის ლალა (გამზრდელი, მასწავლებელი, მრჩეველი) გახდა მუსტაფა (ქართულ წყაროებში ლალა მუსტაფა ფაშას სახელით ცნობილი, რომელიც 1578 წელს სათავეში ედგა ოსმალთა ლაშქრობას საქართველოსა და შირვანში).

<sup>6</sup> İ. H.Uzunçarşılı, s. 405.

<sup>7</sup> Enes Demir, *Lala Mustafa Paşa. Azerbaycan, Gürcistan ve Kıbrıs Fatihî*, İstanbul, 2017. s. 22-24.

რისხებული პასუხი კი სულთანს გაუგზავნა.<sup>1</sup> სოლაქზადეს მიხედვით, სულთანმა ნახა ბაიაზითის მუქარით აღსავსე წერილი, რომელიც ლალა მუსტაფა ფაშას მიერ იყო გამოგზავნილი, და აუკრძალა ბაიაზითს ძმასთან დაპირისპირება. უფლისნულის მხრიდან თავის გასამართლებელი წერილი კი ლალა მუსტაფა ფაშას ჩაუვარდა ხელში და სულთანმდე არ მიაღწია.<sup>2</sup> ძმებს შორის კონიაში მომხდარ ბრძოლაში (1559 წელი) გამარჯვება, სულეიმანის ჯარის დახმარებით, სელიმს ხვდა წილად. დამარცხებული ბაიაზითი ამასიაში დაბრუნდა და სულთანს პატიების წერილი გაუგზავნა, თუმცალა სულეიმანმა მას არ აპატია და უფლისნული იძულებული გახდა, ირანისკენ აეღო გზი. გზად მან ჩორუქ საადში მის შესაჩერებლად წამოსული მაღლათის ბეგ მუსტაფასი და ხუსრუვ ფაშის ჯარი დამარცხა<sup>3</sup> და, 12 000 შეიარაღებულ პირთან ერთად, 1560 წლის 12 იანვარს ერევნის ვალის, შაჰ ყული ხანის, წინაშე წარსდგა.<sup>4</sup>

### XXX

966 წლის 18 შევალით (1559 წლის 24 ივლისი) დათარილებულ წერილში, რომელიც ქართულად გამოაქვეყნა პროფესორმა ნოდარ შენგელია, სულთანი არტაანის<sup>5</sup> გამგებელს, სინან ფაშას, უბრძანებს, რომ გაარკვიოს, შეაფარა თუ არა თავი უფლისნულმა ბაიაზითმა სეფიანთა ირანს, და თუ ეს ასეა, სინან ფაშამ უზრუნველყოს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მისი უკან დაბრუნება.<sup>6</sup>

უფლისნული ბაიაზითი დიდი პატივით მიიღეს სეფიანთა კარზე. მისი და მისი მხლებლების შენახვა სეფიანთა ხაზინას დაეკისრა. შაჰ თამაზმა ის ყაზვისში დაპატიჟა. შათო პირველი შეხვედრა ისეთი იყო, „როგორც მამა შვილს ხვდება“<sup>7</sup>. ყოველივე ამას შესაძლოა გამოეწვია ოსმალეთ-ირანის დაპირისპირება, რომელშიც თავისთვად ქართველებიც მოიაზრებოდნენ. 697 წლის 29 მუჰარემით (1559 წლის 31 ოქტომბერი) დათარილებული მუჰამედ დავთარი გვატყობინებს, რომ ერზრუმის ბეგ-ლარბეგს დაევალა, დაადგინოს ყიზილბაშებისა და ქართველი მხარის საბრძოლო მზადყოფნა და დაუყოვნებლივ აცნობოს სულთანის კარს.<sup>8</sup>

სულთან სულეიმანმა სამჯერ გაუგზავნა შაჰს მოთხოვნა ბაიაზითის გადაცემის შესახებ. ამ მოლაპარაკების მთავარი წარმომადგენელი იყო არტაანის გამგებელი სინან ფაშა.<sup>9</sup>

<sup>1</sup> Mufasal Osmanlı Tarihi, s. 117-118.

<sup>2</sup> Solak-Zade Tarihi, Hazırlayan Vahid Çabuk, c. II, Ankara, 1989. S. 291.

<sup>3</sup> Mufasal Osmanlı Tarihi, s. 1117-1118.

<sup>4</sup> İ.H.Uzunçarşılı, s. 407.

<sup>5</sup> ნოდარ შენგელიას გამოქვეყნებულ ნაშრომში კორექტურული შეცდომაა, არტაანის მაგივრად წერია არსიანი.

<sup>6</sup> მუჰამედ დავთარები საქართველოს სამეფო-სამთავროების შესახებ, 38-39; CDV, BA. MD – d-3, g-144; 3 Numaralı Mühimme Defteri s.72.

<sup>7</sup> Mufasal Osmanlı Tarihi, s. 1119.

<sup>8</sup> CDV, BA. MD – d-3, g-477; 3 Numaralı Mühimme Defteri s, 210.

<sup>9</sup> İ.H.Uzunçarşılı, s. 408.

მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა. ოსმალეთის სასულთნო კარი იმის სამზადისს შეუდგა. ელჩიად გაგზავნილი სინან ფაშასაგან ჯერ-ჯერობით ცნობები არ იყო. მუჰიმე დავთარი, რომელიც თარიღდება 967 წლის 3 რაბი' ალ ავვალით (1559 წლის 3 დეკემბერი), გვამცნობს, რომ ოსმალეთის სამეფო კარი ავალებს ვანისა და ერზრუმის გამგე-ბელს, რომ მან უნდა შეაყოვნოს სეფიანთა ირანიდან გამოგზავნილი ელჩი, რათა მან არ ჩასწროს არტაანის ბეგს სტამბულში.<sup>1</sup> იმავე რიცხვითაა დათარიღებული არტაანის ბეგ სინან ბეგისადმი მიწერილი წერილი, რომლის მიხედვითაც, მას ებრძანა, რომ თუ მასთან ერთად იმყოფებოდა ირანის ელჩი, იგი უნდა გამოყოფოდა მას და ჩაესწრო სტამბულში.<sup>2</sup> ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ ოსმალეთის ელჩმა – ამ შემთხვევაში, სინან ფაშამ – უფრო ადრე უნდა ნარუდგინოს ოსმალეთის კარის ის მოთხოვნები, რასაც მას შემდეგ უკვე სეფიანთა ელჩი ნარუდგენდა. ეს კი დროის მოსაგებად და პასუხის გასაგებად სჭირდებოდათ. ასევე ამ ელჩობაში შესაძლებელია ყოფილიყო უფლისწულ ბაიაზითის წარგზავნილიც, რომელიც შეწყალებას სთხოვდა სულთანს.

სეფიანთა ირანის ელჩმა მოითხოვა სულთნისგან ბაიაზითის სანაცვლოდ მესაპოტამიის დათმობა, რამაც სულეიმანი განარისხა და იმით დაემუქრა.

967 წლის 13 ჯუმადა ალ ავვალით (1560 წლის 10 თებერვალი) და-თარიღებულ მუჰიმე დავთარში ერზრუმის ბეგლარბეგს ებრძანა, რომ სასწრაფოდ გაეგზავნა სინან ფაშა სეფიანთა ირანში საქმის მოსაგვარებლად.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ სულ მალე სინან ფაშა წარსდგა შაჰ თამაზის წინაშე და გადასცა მას წერილები არა მარტო სულეიმანის და სელიმის, არამედ მეჰმედ სოკოლუსი და ლალა მუსტაფა ფაშასი.<sup>4</sup> ამ ელჩობას მოჰყვა ის, რომ ბაიაზითი დააპატიმრეს. სულეიმანმა შაჰ თამაზს დაუთმო ყარსის ციხე და გაუგზავნა 300 ათასი ოქრო, თავის მხრივ, სელიმმა 100 ათასი ოქრო გაიღო.<sup>5</sup>

1561 წლის 25 სექტემბერს უფლისწული ბაიაზითი თავისი ოთხი ვაჟით სიცოცხლეს გამოასალმეს, მოგვიანებით მოკლეს მისი სამი წლის ვაჟიც. როგორც შარაფ ხან ბითლისი გადმოგვცემს, შაჰ თამაზმა ისინი სულეიმანის გამოგზავნილ ხუსრუე ფაშას გადასცა და ისინი ირანის ტერიტორიაზევე დასაჯეს სიკვდილით, მათი ცხედრები კი ოსმალეთში გადაასვენეს.

<sup>1</sup> CDV, BA. MD – d-3, g-668; 3 Numarali Mühimme Defteri s.299.

<sup>2</sup> CDV, BA. MD – d-3, g-669; 3 Numarali Mühimme Defteri s.299.

<sup>3</sup> CDV, BA. MD – d-3, g-763; 3 Numarali Mühimme Defteri s.337.

<sup>4</sup> Mufasal Osmanli Tarihi, s. 1133.

<sup>5</sup> Шараф-Ханибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-Наме*, Перевод, предисловие, примечания и приложения Е.И.Васильевой, т.П, Москва, 1967, 209.

<sup>6</sup> იქვე.

*Mirian Makharadze*

## **The Uprising of Prince Bayazet and the Issues about Georgia according to the Defter of Muhime<sup>1</sup>**

This article discusses the revolt of Prince Bayezet, son of Suleiman the Magnificent and the issues about Georgia according to the Defters of Muhime. Six Muhime's Defters are discussed.

1. The notice dated June 23, 1559 issued an order to the Beglarbeg of Diyarbakir, according to which he must do everything in his power to prevent Prince Bayazet from leaving the country, and to warn all from Georgia to Circassia not to bow down to the Prince.

2. The Defter of Muhime dated October 31, 1559 informs us that Beglarbeg of Erzurum was instructed to determine the combat readiness of the Kizilbash and the Georgian side and to immediately inform the Sultan's door.

3. The second notice, dated July 24, 1559, orders the governor of Sultan Artaan, Sinan Pasha, to find out whether Prince Bayezid had taken refuge in Safavid Iran and if so Sinan Pasha would secure his return through peaceful negotiations.

4. Two references are dated December 3, 1559, in the first the royal court of the Netherlands instructs the governors of Van and Erzurum that they should delay the ambassador sent by the Safavids from Iran so that he does not overtake Artaan Beg in Istanbul, and in the second Artaan Beg Sinan ordered him to accompany him. He had to separate them and arrive in Istanbul.

5. In the Defterdated 10 February 1560, Muhime ordered the Beglarbeg of Erzurum to send immediately the governor of Artaan, Sinan Pasha, to settle the case in Safavid Iran.

From all this facts it becomes clear that the Ottoman sultanate considered Georgia as one of the sanctuaries of Prince Bayazet. After the prince moved to Iran, due to the threat of war, the Sultan's door became interested not only in the readiness of the army of Iran but also their allied Georgians. Multi-round negotiations were entrusted to Artaan Governor Shinan Pasha, who has been visited Iran several times. As as a result of his last years of being ambassador, Prince Bayezet was handed over to the Ottomans, who together with his children were sentenced to death.

---

<sup>1</sup> This research [grant number He-911] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

## **მარინე ფუთურიძე შუმერის გავლენის ამსახველი არტეფაქტების შესახებ თრიალეთის კულტურაში**

სამხრეთ კავკასია, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია აღმოსავლეთ ევროპასა და წინა აზიას შორის, უძველესი დროიდანვე (და გაცილებით უფრო ადრეც ვიდრე ძვ.წ. II ათასწლ. დასაწყისის) წარმოადგენდა სხვადასხვა კულტურათა კვეთის, კულტურული მიღწევების გაზიარებისა და ურთიერთშეხების არეალს. სწორედ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ არეალში ხვდებოდა ერთმანეთს და აქტიურად ურთიერთზემოქმედებდა განსხვავებული ორიენტაციის ცივილიზაციური სამყარო, კონკრეტულად კი, ლიკალური, სამხრეთკავკასიური და წინააზიური. მათი ურთიერთშეხებისა და ამავე დროს სხვადასხვა უცხო კულტურული პლასტის ზემოქმედების კვალი ყველაზე უკეთ ასახა თრიალეთის ბრძყინვალე ყორლანების კულტურამ. დასანისშივე მოკლედ გვინდა შევეხოთ ამ კულტურის ძირითად მომენტებს. ცნება თრიალეთის კულტ + ურის ქვეშ ჩვენ მოვიაზრებთ არა მთელ შუა ბრინჯაოს ეპოქას უწყვეტად, დაწყებულს მისი უადრესი – ე.წ. ადრეყორლანული კულტურის პერიოდიდან, არამედ მხოლოდ მის კლასიკურ ანუ აყვავების ხანას, რომელიც ისტორიაში „თრიალეთის ბრძყინვალე ყორლანების კულტურის“ სახელითაა ცნობილი, ანუ პერიოდს, რომლის არსებობაც მოიცავს ძვ.წ. XXII / XXI-XVII პირველი მეოთხედის ჩათვლით საუკუნეებს.

შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებულ, II საფეხურზე სამხრეთ კავკასიის ვრცელ რეგიონში (ტაბ. I) გამოჩენილი ეს ახალი ფენომენი მრავალმხრივ საინტერესო მოვლენა აღმოჩნდა, ერთის მხრივ, სოციალური და სავაჭრო-ეკონომიკური ასპექტით, ხოლო კულტურული განვითარების დინამიკის მხრივ კი, ის აშკარად შემობრუნების წერტილი იყო სიახლეთა და უცხო ტენდენციების გაზიარების თვალსაზრისით. გარემომცველი სამხრეთული ცივილიზაციები, რასაკვირველია, იმ ნაყოფიერ და ხელსაყრელ გეოკულტურულ ლანდშაფტს წარმოადგენდა, რომელმაც გარკვეული ზეგავლენა იქონია მეზობლად, მის ჩრდილოეთით ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულსა და II-ის პირველ მეოთხედში გამოჩენილ თრიალეთის კულტურაზე. ზოგადად, ამ პერიოდში სხვადასხვა ხასიათის ინტერკულტურული კონტაქტების გააქტიურება არა მხოლოდ წინა აზიის და სამხრეთ კავკასიის, არამედ მის მიღმა მდებარე რეგიონების კულტურათა მატარებელ ეთნოკურ ჯგუფებს შორის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია<sup>1</sup>. ცხადია, ამ მოვლენას საფუძვლად ედო შუა

1

, I ( , 1941), 78 -100; ოთარ ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან (თბილისი, 2006), 341-359; Marina Puturidze, So-

ბრინჯაოს ხანის დასაწყის ეპოქაში მიმდინარე ლითონნარმოების რესურსების მოპოვებისა და მისი მრავალფეროვანი პროდუქციის, მათ შორის მხატვრული ხელოსნობის ნაწარმის გატანა-გასაღების ბაზრებზე გაძატონებისათვის კონკურენცია. სწორედ ეს პროცესები აღმოჩნდა სხვადასხვა რეგიონების კულტურებს შორის კონტაქტების გააქტიურების საფუძველი, რამაც გააძლიერა იმ ეპოქის დაწინაურებულ ცივილიზაციურ ერთობათა ზეგავლენა მეზობელი რეგიონების კულტურებზე.



ტაბ. I

საერთაშორისო კომუნიკაციების ადრე არსებული ქსელები, ბუნებრივია, ახალი რესურსებზე მოთხოვნებისა და პროდუქციის გასაღების გაფართოების კვალდაკვალ გარკვეულ ცვლილებას განიცდის<sup>1</sup>, რა-

cial and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age. – in *Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond*, ed. Adam Smith et al. (Los Angeles, 2003), 111-127; ნინო შანშაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი, გიორგი ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის (ძვ. წ. III-II ათასწლეულები) (თბილისი, 2016), 78-82.

<sup>1</sup> Marina Puturidze, *Mobility Between the South Caucasus and the Near East: Cultural Interaction of Early and Middle Bronze Age Societies*. – *Proceedings of the 11 International Congress on the Archaeology of the Ancient Near East*, Vol. 1 (Wiesbaden, 2020), 69-76; ნინო შანშაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი, გიორგი ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და..., 77-83.

մաշ ցանաձորոბա Բնին աზնասա դա մուս մոլմա Ռեցորնեծ Շորուս և եզագագա-  
եցա ხասուտուսա դա օնքենս օչորուս կացմուրեծ էս մուլլենեծ օնսասա կո-  
ռագու Տոնյոնուլո Տերուուուս սամերետ կացասուս տրուալյուտուս կուլու-  
րաստան շորտուրուուս ցայէցուրեծ ասա դա մուս զեյէթուրեծ ու վուլու-  
թաջէց.

Կուլուրուլո ցանցուարեծ տալլասաթրուսուտ օսետ Ռուլ Ռեցո-  
ռնի Ռուղուրու սամերետ կացասուս, մշ. Ի. Ատասենլուլուս ծուլու դա Ի  
Ատասենլուլուս դասանցուս Տերուուուս, Ռուղուրու ալվոնինետ, ցարդաթիւս  
մոյնա դա վուլուլունեծ դասանցուս ալմոնինդա. էս օնուացուեծ դա Նոն-  
սացա, Ռուղուուաւ ցանսայուրունուլագ ցամորհեյլու ցախլատ տրուա-  
լյուտուս ծրենցունցալյ պորլանցուեծ կուլուրա, սաելլուլու դա ալմո-  
րինուու մշ-20 սայցնուս 30-ոան նուլուս ծուլուս ակագ. ծորուս կուլուրունու  
մոյը,<sup>1</sup> ხասուտուգուու օմ ցոյնուսատցուս պալաթի դանունայուլունուն  
ածուրու ցուզուութացուեծ մոյնունց ցարտուու ատցուսեցուտ. մաս տան  
ախլատ օմ ցոյնուս մոնունաց մեաթցուրուլո սիուլուտա ու ցեմունունեցուտ ցամ-  
ֆուրունուլո մասալուս ցարտուու դամկուուրուն սամերետ կացասույր սուզ-  
րուցու.

Ամ Տրուցուսուս ցրտ-ցրտու մոյագուու ամսաեցու ոյշումքուդուուս  
մուգուարու մասալա, Ռուղուու պահապահաց դասաթցուրա սայցուլու կուլուր-  
րուս դասակարմացու կոմելլույեցուեծ սամարեցուլ օնցենցարս Շորուս<sup>2</sup>. օսո-  
նո արա մեռուու տրուալյուրու սաթրուցուեծ Ռուլ Սուցուալյուր  
սիրաթուուցուասա դա մուս ցուլութուրու օյնուս ցանսայուրունուլագ դուզ  
ցունոնմոյուր շեսաձլույեցուեծ մոյուտուցուեցու<sup>3</sup>, արամեց սայրուամորո-  
ւու կացմուրուրուտուցուուցուեծ ցայէցուրունու շեցուցագ մեաթցուրուլ ե-  
լուսնունամու պահու դա օնուացույրու սիուլուս դա բայնոյուրու երեխունու  
ցարտուու դամկուուրունուցու<sup>4</sup>. ցոյնուս դա նաեցուրագուուրուս լուտու-  
նուսացան շեյմնուլո մեաթցուրուլո ելուսնունուս նանարմու ցրտունամագ դա  
ամաց դրուս սրուլուցուու սախու օնցյուն մոնթցազեց աս տրուալյուտուս

<sup>1</sup> , ..., 78-100.

<sup>2</sup> Ելգույշա ցոցածյ, տրուալյուտուս պորլանցուլո կուլուրուս Տերուուութացուա դա  
ցեյնչուսու (տօնուուս, 1972), 39-47;

( , 1994), 93-105; Seda Devedjian, Lori Berd II (Bronze Moyen), (Erevan, 2006), 271-417.

<sup>3</sup> Marina Puturidze, *Social and Economic Shifts...*, 126-127.

<sup>4</sup> Karen Rubinson, Silver Vessels and Cylinder Sealings: Precious Reflections of  
Economic Exchange in the Early Second Millennium BC. – *Archaeology in the  
Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond*, ed. Adam Smith et al. (Los  
Angeles, 2003), 128-143; Karen Rubinson, “Actual imports or just ideas? Investiga-  
tions in Anatolia and the Caucasus. – *Cultures in Contact. From Mesopotamia to  
the Mediterranean in the II Millennium B.C.* Edited by J. Aruz, S. Graff and Y.  
Radik (New York, 2013), 12-25; Marina Puturidze, On the Origins and Development  
of Gold Working in the Middle Bronze Age Trialeti CulTure. –*At the Northern  
Frontier of the Near Eastern Archaeology. Recent Research on Caucasia and  
Anatolia in the Bronze Age.* SUBARTU, XXXVIII (Turnhout, 2017), 213-228.

კულტურის გამოჩენისთანავე. ბუნებრივია, რომ ამ პროცესს, საზოგადოების ერთი ნაწილის მზარდ მატერიალურ შესაძლებლობასთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებდა ელიტის სწრაფვა მისთვის უცხო, მდიდრული და პრესტიული ნივთების მოპოვებისაკენ, რითაც განსაკუთრებით ესმებოდა ხაზი და კიდევ უფრო განმტკიცდებოდა მათი პრივილეგირებულობა და სიმდიდრე. სწორედ ამის უტყუარი იღუსტრაციაა, ლოკალურთან ერთად, უცხო სტილის ტორევტიკისა და სამკაულის სიუხვე თრიალეთის სამარხეულ მასალათა შორის.

შეუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურა პრეისტორიული ხანის ძველ სამყაროში ოქრომჭედლობის ნაწარმის მრავალფეროვნებითა და დახვეწილი ნაწარმის სიმრავლით გამოიჩინება<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ თრიალეთის სამკაულისა და, ზოგადად, ძვირფასი ლითონების ნაწარმის შესახებ არაერთ მკვლევარს (ა.ჯავახიშვილი, ე.გოგაძე, ნ. ჯაფარიძე, კ.რ.მაქსველ-ჰისლოვი, კ. რუბინისონი, მ. ფუთურიძე, ნ.ლორთქიფანიძე) აქვს განხილული სხვადასხვა დროს გამოცემულ ნამრობებში<sup>2</sup>, სადაც არაერთ საყურადღებო ასპექტზე მიუთითებენ, მაინც, საკუთრივ შეუმერული სტილის ნიმუშების შესახებ საგანგებო გაანალიზება ამგვარი მასალის თავმოყრილად წარმოჩენის თვალსაზრისით, დღემდე არ მოგვეპოვება. წინამდებარე სტატია სწორედ ამ მიმართულების წარმოჩენის მცდელობაა.

უპირველესად, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელ გამორჩეულად მდიდრულ და დახვეწილ ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ მხატვრული ხელოსნობის ნაწარმის შორის აშკარად დიფერენცირდება, ერთის მხრივ, ლოკალური გენეტიკური ხაზის უწყვეტობის მაჩვენებელი ნიმუშები, ხოლო, მეორეს მხრივ კი, უცხო იერისა და სტილის მასალა, რომელიც უმეტესწილად წინა აზიის ოქრომჭედლობის სხვადასხვა ტრადიციისთან ამჟღავნებს საერთოს და ზოგჯერ პირდაპირ ანალოგიებსაც. ორივე ამ მიმართულებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებსა და ტენდენციებს, მის მაჩვენებელ ძეგლებთან კონტექსტში ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ წინა ნლებში გამოკვეყნებულ პუბლიკაციებში<sup>3</sup> და ამიტომ ამ საკითხს აქ აღარ დავუბრუნდებით.

რაც შეეხება, ზემოაღნიშნული ორი სხვადასხვა მიმართულების (ლოკალური, სამხრეთკავკასიური ტიპი და უცხო, წინააზიური ტრადიცია) მასალებს, ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ უცხო სტილის ოქ-

<sup>1</sup> Marina Puturidze, On the Origins and Development of Gold, Figs. 1 – 5.

<sup>2</sup> ელგუჯა გოგაძე, თრიალეთის ყორლანული, 39-47; ნანა ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში (თრიალეთის კულტურა) (თბილისი, 1981); ნინო ლორთქიფანიძე, ქართული ოქრომჭედლობა (თბილისი, 2015); Kathleen Rachel Maxwell-Hyslop, *Western Asiatic Jewellery c. 3000-612 BC* (London: Methuen & CO LTD, 1971), 74-76; Karen Rubinson, Silver Vessels and, 128-143; Karen Rubinson, Actual imports or just, 12-25; Marina Puturidze, On the Origins..., 213-228.

<sup>3</sup> მარინე ფუთურიძე, ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნონის განვითარების ტენდენციების შესახებ. – ძეგბანი საქართველოს არქეოლოგიაში 17-18 (თბილისი, 2006), 66-76.



1



2

### ტაბ. II

1 – თრიალეთის ონაგრის ფიგურა  
2 – ურის სამეფო სამარხის ფიგურა

ლოგიურ პერიოდში სულ ორი ფიგურა მოგვეპოვება სამხრეთ კავკასიაში, ერთი ლომისა (ბედენის კულტურის ცალი) და ერთი ონაგრის (თრიალეთის კულტურის ეგზემპლარი). ეს ფაქტი, დასაშვებია სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდეს. შესაძლებელია, რომ ეს მიანიშნებდეს (თუმცა არაპირდაპირ) მასზე, როგორც იმპორტზე, თუმცა უფრო დასაშვებად გვეჩვენება ნალკის 5 ყორლანში აღმოჩენილი ონაგრის (?) ოქროს ფიგურის<sup>1</sup> მიჩნევა „მოხეტიალე ხელოსნების“ ან „მოხეტიალე ვაჭრების“ გზით შემოღწეულ ნივთად და ასევე ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს დახვეწილი ფიგურა შუმერული ზეგავლენით ადგილობრივი, თრიალეთელი ხელოსნის დამზადებულიც შეიძლება იყოს. სავარაუდოა ისიც, რომ მრგვალი ფიგურა თრიალეთის სხვა სამარხეულ კომპლექ-

რომჭედლობის პროდუქციაზე. ამ უკანასკნელი მიმართულებიდან ცხადად ჩანს ოქროს ნიმუშთა გარკვეული ჯგუფი, როგორც ტორევტიკის, ასევე სამკაულის კატეგორიათა შორის, რომლებიც, ვფიქრობთ, შუმერული სამყაროსთვის დამახასიათებელ მასალას უნდა უკავშირდებოდეს.

შუმერული ნიმუშების ანალოგიური კოლექცია, დღეისათვის, მართალია, არცთუ მრავალრიცხოვანია, მაგრამ სავარაუდოდ, ახლი აღმოჩენების კვალდაკვალ მოსალოდნელია, რომ მათი რაოდენობა გაიზრდება.

ტორევტიკის მრავალფეროვანი ანსამბლიდან ცალკე ტიპია ცხოველის მრგვალი ფიგურა, რომელიც ჯერჯერობით, მთელი შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებული, II ეტაპის ოქრომჭედლობის მასალათა შორის ერთადერთია (ტაბ. II). აღსანიშნავია, რომ სამგანზომილებიანი ზომორდული ფიგურა, ზოგადად, საკმაო იშვიათობაა სამხრეთ კავკასიის სივრცეში მთლიანად შუა ბრინჯაოს ხანის არსებობის მანძილზე. ის წარმოდგენილია, ასევე ერთადერთი ეგზემპლარის სახით ბედენის კულტურის ყორლანიდან, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის უადრეს, I ეტაპს განეკუთვნება. შესაბამისად, აღნიშნულ ნახევარსაუკუნოვან ქრონიკის ფიგურის მიხრავანი არ არის, მაგრამ მას უკავშირდება მათი რაოდენობა გაიზრდება.

სებშიც ყოფილიყო, რომლებმაც მხოლოდ გაძარცული სახით მოაღწიეს ჩვენამდე და ესეც შეიძლება იყოს მიზეზი მისი ასეთი იშვიათობისა. საგანგებოდ უნდა მივუთოთ ისიც, რომ ლოგიკური მსჯელობის ხაზი მკვლევარებს გვავარაუდებინებს და მიგვანიშნებს იმისკენ, რომ მიუხედავად ამ ნიმუშის ერთადერთ, ისიც ფეხებდაკარგულ ცალად შემორჩენისა, ის, უდავოდ, წყვილი ფიგურის სახით უნდა ყოფილიყო დამზადებული. ამაზე მეტყველებს ის პატარა (თუმცა ფიგურისთვის სრულიად შესაბამისი ზომის) ინკრუსტირებული სადგარი, რომელიც შექმნილი და განკუთვნილი იყო სწორედ წყვილი ფიგურის უკეთ პრეზენტირებისათვის<sup>1</sup>. ალნიშნულ დაბალ და ფიგურების პიედესტალად განკუთვნილ ნივთს ზედაპირზე აშკარად აქვს რვა თანაბარი დამეტრის ფოსო, განკუთვნილი ცხოველის ფეხების მასში ჩასამაგრებლად. სწორედ ეს ტექნიკური დეტალი ააშკარავებს, რომ ფიგურა თავდაპირველად აშკარად ორი ცალი უნდა ყოფილიყო. ოქრომჭედლობის ნიმუშებით განსაკუთრებით მდიდარ ამ ყორღანის გამთხრელსა და პირველ ინტერპრეტატორს – ბორის კუფტინს ნათლად აქვს მოცემული თხელფურცლოვანი ოქროსაგან დამზადებული ამ ფიგურის თავდაპირველი სახე. სწორედ ამ რეკონსტრუქციის მიხედვით ხდება აშკარა, რომ ქვისაგან დამზადებულ, ნაპირებზე ოქროსგადაკრულ და თვლებით ინკრუსტირებულ (თვლები დაკარგულია და მხოლოდ ღრმა თვალბუდეებია შემორჩენილი) დაბალ სადგარზე მოდელირებული უნდა ყოფილიყო (ცხოველის წყვილი (ვფიქრობთ, დიდი ალბათობით სრულიად იდენტური) ფიგურა, რომელთავან ცალი ეგზემპლარი უდავოა, რომ დაკარგულია. სრულიად არ გამოვრიცხავთ, რომ თრიალეთის სხვა მდიდრულ ყორღანებშიც (უმეტესად გაძარცულებში) შესაძლებელია ასევე ყოფილიყო მრგვალი ფიგურა. სავსებით მოსალოდნელია, რომ ტორევტის ანალოგიური დახვეწილი ნიმუშები მომავალი აღმოჩენების პრეროგატივა გახდეს.

აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ თრიალეთის კულტურის ვრცელ ტერიტორიაზე წარმოდგენილი ასეულამდე სამარხეული კომპლექსებიდან არცთუ იშვიათია მხატვრული დამუშავების მხრივ გამორჩეული ისეთი უნიკუმები, როგორებიცაა: ოქროს ინკრუსტირებული თასი, ოქროს დეტალებით დეკორირებული სარწყული, ოქროს თოთხმეტმივიანი და აქატისკულონიანი ყელსაბამი და სხვა,<sup>2</sup> რომელთა შორის ერთ-ერთი ასევე საგანგებოდ ნატიფად მოდელირებული და, ჯერჯერობით, ერთადერთია ონაგრის სამგანზომილებიანი გამოსახულება. თრიალეთის ბრინჯაოს ხანის ძეგლებისადმი მიძღვნილ კატალოგში, სპეციალისტები ამ ნიმუშის შემდეგ აღნერილობას იძლევიან: „ცხოველის ფიგურა დამზადებულია ოქროს ფურცლისაგან (ინვენტარის 9-63:354) და მისი ქვის პიედესტალზეც (ინვენტარის 9-63:355) ოქროს ფურცელია გადაკრული. ფიგურა დაზიანებულია, მას აკლია კიდურები, ინკრუსტირებული თვალები და კუდი. ფიგურის ზომებია: 5,2 სმ, სიმაღლე (შემორჩენილი ნაწილისა) – 2,7 სმ., ნონა – 7, 49 გრამი.

<sup>1</sup>

,

..., . XCVII.

<sup>2</sup>

,

..., . XCIII-XCV, LXXXVIII, XCV,

XCVII, XCVIII.

ქვის სადგარი შემკულია ამოკვეთილი ორნამენტით, რომელზეც გვერდებიდან შემოკრულია ოქროს ფურცელი. სადგრის სიგრძეა – 3,5 სმ, სიგანე-3 სმ, სიმაღლე-1 სმ. მისი წონა ოქროს ფურცელთან ერთად არის 28,39 გრამი<sup>1</sup>. ეს კატალოგური აღნერილობა ცხოველის ამ დახვენილი ნიმუშის ცალკეული ხიუანსების შესახებ სრულ სურათს ვერ ქმნის. ამის გამო შევეცდებით მისი ცალკეული ტექნიკური და სტილისტური თავი-სებურებების მოცემას, რაც, აქვე აღვნიშნავ, რომ საფუძვლიან შთაპეჭ-დილებას იძლევა თრიალეთის კულტურის ამ შესანიშნავი არტეფაქტის შუმერული ხელოვნების თანადროულ, ჩოჩორის მრგვალ ფიგურასთან გამოვლენილი საერთო მხატვრულ-სტილისტური ანალოგიის სასარგებლოდ. ხელოვნებათმცოდნე ნ. ჯაფარიძე, რომელმაც სპეციალური კვლევა მიუძღვნა ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობას, სადაც მიუხედავად იმისა, რომ ის თრიალეთური მხატვრული ხელოსნობის ამ დარგს ზოგადად ადგილობრივ ტრადიციად მიიჩნევს<sup>2</sup>, საკუთრივ ონაგრის ფიგურისთან დაკავშირებით მიუთითებს მისი წინააზიურ ოქრომჭედლობის სტილთან საერთო ანალოგიის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ყველა მკვლევარი, რომელიც კი ამ ნივთს ეხება, მიუთითებს მისი სამხრეთ მესოპოტამიური წარმომავლობის სასარგებლოდ. პირველი კი, ვინც ამის შესახებ სრულიად ნოვატორული დასკვნა გააკეთა, ცხადია, წალკის ყორლანების გამთხრელი და მისი პირველი ინტერპრეტატორი ბორის კუტინი იყო. ის საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ თრიალეთური ოქროს ზოომორფული ფიგურა თვალის ჭრილის სტილისტური თავისებურებით ანალოგიურია შუმერულ სკულპტურაზე მოცემულ თვალის ჭრილში ჩასმულ ქვით მოდელირებასა და მის საერთო იერთან<sup>3</sup>. მის ამ ფუნდამენტურ ნაშრომში ინაგრის ფიგურა და მისი სადგარი ერთადაც მოცემული, რაც ცხადს ხდის, რომ ისინი სწორედ ერთ მთლიანობად იყო იმთავითვე განსაზღვრული. ვფიქრობთ, უდავოა, რომ თრიალეთელმა ოქრომჭედელმა ცხოველის ფიგურისა და სადგრის ერთი მთლიანი მხატვრული ნიმუშის შექმნა სცადა, რითაც ამ ორი, ტექნიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დამზადებული ნივთის ერთ მთლიანობი წარმოჩნდა წარმატებით განახორციელა. მართალია, ცხოველის ფიგურა არ არის ძალიან სქემატური, მაგრამ მაიც ნაკლებად იძლევა საშუალებას დაბეჯითებით ითქვას მისი ზუსტი ზოოლოგიური ტიპის კუთვნილების შესახებ. დიდი ხნის მანძილზე არქეოლოგები მას ვირის ან ვირის მონათესავე ჯიშის გამოსახულებად თვლიდნენ. იმის გამო, რომ ფიგურას დაკარგული აქვს თვალბუდეში ჩასმული თვალები, კიდურები, კუდი და, შესაძლოა, ყურებიც (?), რაც მეტ სიცხადეს შემატებდა იმას, თუ კონკრეტულად რა ცხოველის გამოსახვა სცადა თრიალეთელმა ხელოსანმა, ჭირს დაბეჯითებით რაიმეს პრინციპულად თქმა. თუმცა,

<sup>1</sup>

. 58.

, II ( , 1974), 71,

<sup>2</sup> ნანა ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში (თბილისი, 1981).

<sup>3</sup>

..., 94, 96, . 101.

პალეოზოოლოგ ოლეგ ბენდუქიძის განსაზღვრით, ფიგურა ონაგრისა უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ ეს დასკვნა მეტ-ნაკლებად დამაჯერებელია (მის ამ ჯიშიც ცხოველად მიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებს მაღალი კისერი და კისრიდან თავზე გადასვლის პროფილი, ასევე ცხოველის კონფიგურაცია), მიუხედავად იმისა, რომ წალკის 5 ყორლანში აღმოჩენილ ცხოველის ამ ფიგურას, ვიზუალური ნიშნები ისე დამაჯერებლად არა აქვს გამოკვეთილი, როგორც ეს ბრიტანეთის მუზეუმში ამჟამად დაცულ ვირის (უფრო კი ჩოჩორის) მრგვალ ფიგურას ურის სამეფო სამაროვნის მასალებიდან<sup>1</sup>.

ცხოველის ეს ერთადერთი ფიგურა, რომელიც მოგვეპოვება თრიალეთის კულტურის გავრცელების ვრცელი არეალიდან, უდავოდ გამორჩეულად დახვეწილი ნიმუშია მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით. მოქანდაკე ცდილობს ფიგურას შესძინოს სრულყოფილი ფორმა და ხაზი გაუსვას მის პროპორციულ და კუნთების გამოკვეთით მიღწეულ მოხდენილ სხეულს, რომელიც ოქროს რამოდენიმე ფურცლისაგან აქვს მოდელირებული. ოქროს ეს ფურცელები განსაკუთრებული სრულყოფითაა გადაბმული ერთმანეთთან (სადაც გადაბმის მოდელირებისათვის გამოყენებული მინიატურული დეტალები დეკორის მთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ტექნიკური ხერხისა), იმგვარად, რომ ის სრულიად არ არღვევს (ცხოველის ტანის ერთ მთლიან ფიგურად აღქმას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიგურის თავი, რომელიც გულმოგანებითა და დეტალური ნიშნების გადმოცემის მცდელობით ხასიათდება. ყველაზე მნიშვნელოვანი და გამოკვეთილი დეტალი ფიგურის თავის ნაწილისათვის, უდავოდ, თვალებია, რომლიდანაც მხოლოდ თვალბუდებილა შემორჩენილი, ხოლო ინკრუსტაციის ხერხით ოდესაც ჩასმული თვალები კი, სამწუხაროდ, დაკარგულია. უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ თვალის ჭრილი, რომელიც თრიალეთურ ფიგურაზე ფართო და ნუშისებური ფორმისაა, დიდი სიზუსტით ახალოგიურია იმისა, რაც შუმერში აღმოჩენილი ჩოჩორის გამოსახულების ოქროს მცირე პლასტიკის ნიმუშისთვისაა (ის შტანდარტის თავს წარმოადგენს) დამახასიათებელი. მასაც თითქმის ისეთივე ფართო მოხაზულობის თვალის ჭრილი აქვს, როგორც სამხრეთკავკასიურ ნიმუშს. თავისთავად ის, რომ თრიალეთის ონაგრის ფიგურას თვალები ინკრუსტირებული ჰქონდა, უკვე აშკარად ლაპარაკობს მის ტიპობრივი იდენტურობაზე შუმერულ მხატვრულ სტილთან. ბრიტანეთის მუზეუმში ექსპონირებულ ნატიფი ხელოვნებისა ამ ნიმუშზე საგანგებო დაკვირვებამ, მისი საერთო და განმასხვავებელი ნიუანსური თავისებურების დადგენის მხრივ, საშუალება მოგვცა ამ ორი, სამგანზომილებიანი ნიმუშების ანალოგიურობაზე გვემსჯელა. როგორც ჩანს, თრიალეთური ონაგრის ფიგურის შემქმნელი ოქრომჭედელი ზედმიწევნით ახლოს იცნობდა ამგვარი ნიმუშის მხატვრული დამუშავების ტექნიკურ ხერხებს, სტილსა და, ზოგადად შუმერული ტორევტიკის ტენდენციებს. ამიტომაც, როგორც ფიგურის თვალბუდის ჭრილის მოდელირება, ისე ნახევრადდვირფასი ქვების ინკრუსტირებით პოლიქრომიის შექმნა, ასე სპე-

<sup>1</sup> Leonard Woolley, *Ur Excavations....*, Vol. II (London, 1934), 148.

ციფიკური სწორედ ურის ოქრომჭედლობის სკოლისთვის, აშკარად მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორი აღმოჩნდა სამხრეთკავკასიური ამ ერთადერთი მრგვალი ფიგურის შექმნის პროცესში. შუმერული ოქრომჭედლობის ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო ნიშანი – პოლიქრომია და ფერთა გამაზე აქცენტირება, თრიალეთელმა ხელოსანმა, უდავოდ, შუმერული გავლენით აითვისა სხვა სტილისტურ ნიშნებთან, აქცენტებთან და ტექნიკურად შესრულების ხერხებთან ერთად.

გარდა დაწვრილებით განხილული ოქროს ფიგურისა, თრიალეთის კულტურის სამკაულის ზოგი ტიპიც ამჟღავნებს სიახლოვეს შუმერულ სამყაროსთან. საგანგებოდ შევეხოთ ამ ნიმუშებსაც.

მრავალრიცხოვანი ანსამბლიდან ერთ-ერთი ნიშანდობლივი ტიპია ოქროს ფუყე სასაფეთქლე ხვიები (ტაბ. III 1, 2). ის, როგორ წესი, ერთნახევარბრუნიანია და საკმაოდ მსხვილი. უნდა ითქვას, რომ ზოგა-



ტაბ. III

- ა) 1 – თრიალეთის ყელსაბამი, 2 – ყარაშამბის ყელსაბამი
- ბ) 1, 2 – თრიალეთის სასაფეთქლე ხვიები, 3 – ური, დედოფლალ ფუ-აბის სამარხის სასაფეთქლე ხვია

დად სასაფეთქლე ხვიები, მხოლოდ ამ კულტურის დასაწყისიდან არ ჩნდება სამხრეთ კავკასიაში, არამედ ის წინამორბედი, ე.ნ. ადრეიპორ-ლანული კულტურის ძეგლებშიც არაერთი მოგვეპოვება და აქედან გა-მომდინარე შეიძლება საერთოდ შუა ბრინჯაოს ეპოქის I და II ეტაპების დამახასიათებელ სამკაულის სახედაც წარმოგვიდგება. თუმცა, მისი გენეტიკური განვითარების ხაზის მიუხედავად, გარკვეული განსხვავება ამ სამკაულის ტიპოლოგიის დინამიკაში მაინც თვალსაჩინოა. თრია-ლეთის კულტურის ერთნახევარბრუნიანი ფუყე ხვიები, გარდა მოზ-რდილი ზომის და ძალზე დახვეწილი სტილისა, ცალსახად და აშკარად იმეორებს იმ ტიპს, რომელიც წარმოდგენილია ურის სამეფო სამაროვ-ნის ძეგლებიდან. კერძოდ კი, ის გვხვდება დედოფალ ფუ-აბის თავსამ-კაულს შორის<sup>1</sup>, რომელიც მისმა გამთხრელმა სერ ლეონარდ ვულმა ურის III დინასტიის ელიტური ოქრომჭედლობის ერთ-ერთ მნიშვნელო-ვან ტიპად მიიჩნია. ის არა მხოლოდ დედოფლის, არამედ სამეფო ოჯა-ხის წევრთა სხვა სამარხეულ მასალებშიც არაერთი გვხვდება, თუმცა ამ არტეფაქტის ზომებსა და დახვეწილობას შორის გარკვეული სხვაო-ბა მაინც თვალსაჩინოა.

სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ 1936-40-იან წლებში წალკის წყალ-საცავის მშენებლობის დროს გამოვლენილ მდიდრული ყორღანის მასა-ლათა შორის წარმოდგენილია ზედმინევნით იმ ტიპის ოქროს ხვიები<sup>2</sup>, როგორიც დედოფალ ფუ-აბის სამარხში იქნა გათხრილი. როგორც მხატვრულ-სტილისტურად, ასევე ყველა ცალკეული ნიუანსის, თვით ზომების მიხედვითაც კი ისინი სრული სიზუსტით იმეორებენ შუმერულ ანალოგებს. შუმერული ხვიების ორიგინალების უშუალოდ გაცნობამ და შესწავლამ ბრიტანეთისა და ბრიუსელის სამეფო მუზეუმების ფონ-დებსა და ექსპოზიციაზე, მე კიდევ ერთხელ დამარწმუნა მათ იდენტუ-რობაში. შესაბამისად, არსებობს იმ ვარაუდის შესაძლებლობაც, რომ ოქროს ამგვარი ხვიების გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში პირდაპირ იმ-პორტადაც ჩაითვალოს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობ-რივი თრიალეთელი ოქრომჭედელი უკვე სრულიად თავისუფლად ფლობდა ძალიან რთულ ტექნიკურ ხერხებს, შუა ბრინჯაოს ხანის წინა-აზიური სამყაროს ვრცელ რეგიონში წარმოდგენილ სხვადასხვა მოწი-ნავე მოდასა და ოქრომჭედლობის სკოლების მხატვრულ სტილს, სრუ-ლიად დასამვებად მიგვაჩია, სამკაულის არაერთი სხვა ტიპის მსგავ-სად, ფუყე სასაფეთქლე ხვიებიც ელიტის კონკრეტული წარმომადგენ-ლის შეკვეთითა და შუმერული ნიმუშის მიბაძვით ადგილობრივ დაემ-ზადებინათ.

გარდა ზემოაღნიშნული ახლო ანალოგებისა, შუმერში გავრცელე-ბულ დახვეწილი სტილის ოქრომჭედლურ პროდუქციასთან თრიალე-თის კულტურას აკავშირებს კიდევ ერთი შთამბეჭდავი სამკაულის, კერძოდ კი, თოთხმეტმძივიანი ყელსაბამის იდეალურად და მაღალ-მხატვრული გემოვნებით დამუშავებული კონკრეტული კომპონენტი –

<sup>1</sup> Leonard Woolley, *Ur Excavations...*, Pl. XXIX.

<sup>2</sup> , ..., . XCVIII.

აქატის კულონი<sup>1</sup> (ტაბ. IV 2 და ტაბ. III ა, 1). ის, დღემდე უნიკუმად მიჩნეული ამ დახვეწილი სამკაულის, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური დეტალია, რომელიც აშკარად კრავს და ამთლანებს მთელს იმ სიდიადეს, რომლის შთაბეჭდილებასაც ყელსაბამი მნახველს უდავოდ უტოვებს.



ტაბ. IV

- 1 – ურუქული აქატის ყელსაბამი  
2 – აქატის კულონი თრიალეთის ყორლანიდან

კულონი, უპირველესად ყურადღებას იქცევს როგორც უაღრესად დახვეწილი ოქრომჭედლური ხიმუში, რომელიც აშკარა ანალოგიას პოულობს თანადროული უპოეს შუმერში ფართოდ გავრცელებულ აქატის ყელსაბამთან და კულონთან (ტაბ. IV 1). ურუქიდან მომდინარე ამ ანალოგიის შესახებ ჰირველად ბ. უფრინმა მიუთითა<sup>2</sup> და ეს ორი ნახარმი ანალოგიურად ჩათვალა.

ვფიქრობთ, რომ შუმერის ძ.წ. III ათასწლეულის დასასრულის მხატვრულ სტილთან თრიალეთური აქატის კულონის ახლო ანალოგიურობაზე მიუთითებს არა მხოლოდ საკუთრივ თეთრძარღვიანი ჯიშის აქატი, არამედ მისი ოქროს ჩარჩოთი გაფორმების სტილი – წვრილ თვალბუდებში ჩასმული თვლების ინკრუსტაციით, რაც სწორედ თრიალეთურ აქატის კულონზეც ნათლად გვაქვს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ყურადღება ასევე უნდა მივაქციოთ თვით აქატის ჯიშს – სქელი მოთეთრო ძარღვის მქონეს, რომელიც ძველ სამყაროში შუმერულ აქატადაა ცნობილი და მის გქსპორტიორადაც წინა აზიის სხვადასხვა რეგიონებისათვის სწორედ შუმერი ითვლება. აშკარაა, რომ ამ აქატმა, როგორც ელიტისათვის სასურველმა ქვამ, სამხრეთ კავკასიაშიც შემოაღწია და მისი ოსტატურად გამოყენებითა და ურუქული ყელსაბამის უშუალო მიბაძვით თრიალეთულმა ოქრომჭედელმა შექმნა თოთხმეტმძივიანი

1

,

..., . XCIV, XCV.

2

,

..., 94, . 98.

ყელსაბამის ეს უმნიშვნელოვანესი დეტალი. აღნიშნული პარალელის შესახებ მსჯელობისას, მხედველობაშია მისაღები, ჯერ ერთი, ის, რომ ორივე შემთხვევაში აქატი ერთი ჯიშის, თეთრძარღვიანია და ბრტყელი, რაც შესაძლებელია მათი ერთი საერთო სარესურსო წყაროდან შომდინარეობაზეც კი მიანიშნებდეს, ხოლო მეორეს მხრივ კი ის, რომ აქატი აუცილებლად ჩასმულია ოქროს ინკრუსტირებული ხერხით ორნამენტირებულ ჩარჩოში, რომელიც ფერთა გამის (ოქროსა და აქატის ფერები) მდიდრულ შეხამებას იძლევა. ნიშანდობლივია, რომ პოლიქრომია ერთერთი უადესად სახასიათო თავისებურება შუმერული ოქრომჭედლობის (მუსიკალური ინსტრუმენტის ჩარჩო, გადასატანი (ციგისმაგვარი ფორმის) ეტლის ხის ნაწილის გაფორმება, საიველირო ნაწარმისთვის განკუთვნილი ყუთისა და ჭურჭლის ზედაპირის დეკორი, თხისა და ხარის ფიგურების რქებისა და თვალების თვლებით ინკრუსტირება და სხვა შემთხვევების ურის სამეფო სამაროვნის მასალებიდან), რომელიც ახალშემოსული მოდის სახით ასევე ახასიათებს თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობასაც. ვფიქრობ, რომ პოლიქრომიულ გაფორმებაზე აქცენტირება, თრიალეთის ოქრომჭედლობას სწორედ შუმერულის<sup>1</sup> მიბაძვით აქვს ათვისებული და საკმაოდ ფართოდ გამოყენებული, როგორც ტორევტიკის, ისე სამკაულის მხატვრული სახეების მოდელირებაში.

ამ ორ ნიმუშს შორის განსხვავებაა მხოლოდ ის, რომ ურუქის აქატი ერთი მთლიანი ფირფიტაა, ხოლო თრიალეთისა კი – ორი, დამოუკიდებელი, საგანგებოდ ნაპირებდა მუშავებული ფირფიტა, რომლის შეერთების ადგილი დაფარულია ჩარჩოს ორნამენტირებული ვერტიკალური დეტალით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ ამის გამოა აგებული ოქროს ჩარჩოს მხატვრული სახე ისე როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში გვაქვს, რომ აქატი ერთ მთლიანობად წარმოეჩინა მნახველისათვის. თრიალეთის კულონის ოქროს ინკრუსტირებული ჩარჩოს მხატვრული სახე მთლიანად განაპირობა აქატის ორი დამოუკიდებელი ფირფიტის ერთ ფირფიტად წარმოსახვის ასახულებელი სურვილმა. ამ მომენტითაც ანუ აქატის ერთიან მთლიან კულონად გადმოცემითაც, თრიალეთური ნიმუში ვფიქრობთ, რომ ახლოსაა მის შუმერულ (ურუქის) ანალოგთან.

თრიალეთური აქატის კულონის ოქროს ჩარჩო შექმნილია გავარსის, ფილიგრანისა და ინკრუსტაციის გამოყენებით: სარდიონის პატარა ზომის, სფერული თვლები ოქროს დაბალ თვალბუდეებშია ჩასმული და სამსამადაა დანწყვილებული. თითოული თვალბუდე გავარსითაა მოჩარჩიობული და ინკრუსტირებული თვლების ახლოს ცვარაა დასმული. ეს ორნამენტული თემა რთული, მართალია, არ არის, მაგრამ ძალზე დახვეწილი გემოვნებითა შესრულებული. აქატის კულონის ოქროს ჩარჩო მხატვრულ-სტილისტურად იმეორებს თრიალეთური ოქრომჭედლობის სხვა ნიმუშებს – მათ შორის ოქროს მძივებზე მოცემულ ორნამენტულ სახეს.

ყელსაბამში აქატის გამოყენების შემთხვევები თრიალეთის კულტურის სხვა ძევლებზეც (ყარაშამბის 1 ყორლანი, ლორი-ბერდის ყორლანი)<sup>2</sup> დასტურდება, თუმცა, გარდა დაწვრილებით ზემოთ აღნერილი წალკის


<sup>1</sup> Kathleen Rachel Maxwell-Hyslop, *Western Asiatic*. 74-76.

<sup>2</sup> ”:

, . . . et. al. ( , 1994), 93-105; Seda Devedjian, Lori Berd II (*BronzeMoyen*), (Erevan, 2006), 271-417.

8 ყორღანის აქატის კულონისა, ის სხვა შემთხვევებში ოქროს ჩარჩოში ჩასმული არ ყოფილა. ყარაშამბის აქატის კულონი სრულიად სადაა შემცობის მხრივ და არავითარი ოქროს ჩარჩო არ გააჩნია (ტაბ. III ა, 2). ამდენად, ოქრომჭედლური ხელოვნების დახასიათების თვალსაზრისით სწორედ თრიალეთის ყორღანის კულონია ყველაზე შთამბეჭდავიც და რთულსახოვანიც.

და ბოლოს, თრიალეთურ სამკაულს შუმერული ოქრომჭედლობის სტილთან უდავოდ აკავშირებს მძივის ერთი ტიპი<sup>1</sup> (ტაბ. V, 1), რომელიც შუმერის დედოფალ ფუ-აბის სამკაულთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო დახვენილობით<sup>2</sup>. ესაა ოქროს ძალიან პატარა ზომის,



ტაბ. V  
1 – ური, მილაკისებური მძივები დედოფალ ფუ-აბის სამარხიდან

<sup>1</sup>

, , ..., . 107.

<sup>2</sup> Leonard Woolley, *Ur Excavations...*, Pl. XXXIV.

მიღავისებური ფორმის მძივები (თრიალეთის კულტურაში, ჯერჯერობით, ის მხოლოდ ექვსი ცალია აღმოჩენილი), დახვეწილადაა შემკული გავარსის ტექნიკური ხერხის გამოყენებით.

ყოველივე ზემოთმოტანილი მონაცემები, ვფიქრობთ, შემდეგი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს.

ამ დროს ხდება წინააზიური ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნორმების („კლიშეების“) და, გარკვეულად, მხატვრული გემოვნებისა თუ „მოდის“ დამკვიდრება სამხრეთ კავკასიის კულტურულ სინამდვილეში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს საიუველირო ხელოვნების ისეთი ინოვაციური ტიპების შემოსვლა ძვ.წ. III ათასწლ. მინურულსა და II ათასწლეულის დასაწყისში, როგორიცაა: სასაფეხქლე ხვია, აქატის კულონი, მძივების ზოგიერთი კატეგორია და ოქროს სამგანზომილებიანი ზოომორფული ფიგურა. მათი უახლოესი სამხრეთმესოპოტამიური ანალოგების მიხედვით სრული საფუძველი გვაქვს დავუშვათ ამ რეგიონის კულტურულ სამყაროსთან გარკვეული ხასიათის კონტაქტის არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამხრეთ კავკასიაში შემოდის და მკვიდრდება გარკვეული მოდა, რომელიც იმ დროს წამყვანია წინა აზიის დაწინაურებულ ცენტრებში, მათ შორის შუმერშიც, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის დასაწყისი ეპოქის, ასე ვთქვათ, შთამბეჭდავი მიღწევებისა და მოდის კანონმდებლები იყვნენ. შესაბამისად, თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობის დარგის სწრაფი აღმავლობა მნიშვნელოვანნილად წინა აზიასთან გააქტიურებული კონტაქტების და ზეგავლენათა ფონზე ხდება და გარკვეულ სიახლეთა ნაკადს იძენს სწორედ ძვ.წ. III-ს ბოლოსა და II ათასწლეულის პირველი ნახევრის თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის დროს. თრიალეთელებმა ადგილობრივ ტრადიციასთან ერთად და მასზე დაყრდნობით, მხატვრული ხელოსნობის ამ დარგში ორიენტაცია უფრო მეტად წინააზიური მხატვრული სტილის გაზიარებისაკენ აიღეს და საბოლოოდ თრიალეთური კულტურის მხატვრული გემოვნება უფრო მეტად აღმოჩნდა „დავალებული“ ძველი სამყაროს ამ მონინავე კულტურებისაგან, ვიდრე ადგილობრივი, სუბსტრატული კულტურული პლასტის გან.

*Marina Puturidze*

## For the Artifacts Depicting Sumer's Influence in the Trialeti Culture

The distribution area of the Trialeti Culture corresponds to those parts of the Southern Caucasus which represent the main core area of the Eurasian corridor. Among the various geo-cultural areas of the Ancient World, the Southern Caucasus is considered as the shortest way joining the South Russian Steppes with the Near East. Since ancient times, and especially during the later prehistory, enough different cultural traditions came into contact and coexisted here, among them are the local Caucasian tradition, and influences from the southern neighbouring Near Eastern civilisations. It is therefore not surprising that in the later phases of the region's prehistory, this relatively small land mass hosted several distinct archaeological cultures, among which the Trialeti one appears a major cultural phenomenon.

The occupation by the Trialeti culture of a vast cross-road area within the Caucasus, beside the other factors, undoubtedly played a certain role in the origin and development of gold working in this area. In fact, precious items of high artistic value of the Trialeti culture very impressively, and better than items belonging to other Caucasian cultural units of the Middle Bronze Age and of the transitional age between the Middle and Late Bronze Ages, illustrate the process of interrelation between the above mentioned areas, which can be reconstructed only by the help of archaeological evidence.

The giant kurgans of the Tsalka-Trialeti, Kvemo Kartli and Vanadzor regions provide clear evidence of a huge concentration of power and have not any in the hands of the new ruling elites. In our viewpoint, these changes are directly related with the process of activation of interrelations with the outer world, first of all with the Anatolian region and with Sumer. Among the impressive number of different types of precious burial goods which characterise the Trialeti culture, it is possible to single out the main "alien", near eastern style items, or individual features, which totally differs from those of the local artefacts, and have not any prototypes in the Caucasian region.

As a consequence, we can admit that the impressive number of gold artefacts of the so-called "Trialeti Culture of Brilliant Kurgans", created at the end of the 3<sup>rd</sup> and at the very beginning of the 2<sup>nd</sup> millennia BC, should be considered as a result of such interaction of various cultural traditions. The influence of different cultures and orientations can be easily distinguished in these precious and exquisite metal items.

The turning point in interrelation processes becoming most obvious when the requirement on metals and its components was increased at the beginning of Bronze era. It obviously stimulate exchange and trading connections between the contemporary societies, some of them rich with certain sources and others who had an acute deficit of them. Since the 21<sup>st</sup> century BC and afterward, approximately including the first quarter of the 17<sup>th</sup> century BC, precious metal assemblages began to appear in the certain areas of south Caucasus. They represents a quite new production for the southern region of this space, which

coincides in time with the beginning of the "Trialeti Culture of Brilliant Kurgans". This should be considered as an indication not only of the extreme stratification of trialetian society, but as well of the near eastern cultural influence on south Caucasus and of the close relation between these contemporary cultures. It is quite evident that precious toreutics and jewellery from the developed, i.e. II phase of Middle Bronze Age marks a turning point concerning such kinds of innovations.

It seems very symptomatic that the same categories of precious goods as are usually recorded in Near Eastern (especially Anatolian and Sumerian) burials was recorded in the rich Trialeti burial assemblages: in both cases prestige items represented by gold plaques and foils (both ornamented and plain), pins, gold figurines and their pedestal boxes, a large number of beads and agate pendants of various shapes, other yet unidentified gold ornaments, fragments of gold-plated objects and etc.

Accordingly, we have one and the same repertoire of prestige burial goods; this means that Early Sumerians, Hittites and Trialetians buried their elite members with a similar tradition, and equipped them with similar categories of rich metal objects. Be that as it may, it is remarkable that Trialeti kurgans became world-famous exactly thanks to their precious gold and silver objects. It is quite evident that precious gold figurines and certain types of jewellery of the developed, i.e. II stage of the Middle Bronze Age Trialeti culture marks a turning point concerning such kinds of innovations.

They are related with Sumerian contemporary patterns from the Royal Cemetery of the III Dynasty of Ur. Exactly to the detail consideration and comparative analysing of this precious items (gold figurine of the Onagri, agate pendants, one type of the Sumerian style bead and hanging spirals) dedicated presented paper.

All these artefacts discovered in rich barrows of the Trialetian elite represents the new materials, which have not any prototypes in the preceding common gold working tradition of the Caucasian region. Their appearance in the Southern Caucasus was sudden, unexpected, and not preceded by any local tradition of jewellery making. Consequently, it stimulate scholars to search for analogies for them among the productions of the southern neighbouring civilisations.

Comparative study of all above mentioned gold items with those ones known from the Sumerian royal burial assemblages considered here in detail. After discussing, from the point of view of toreutics and jewelry productions, all the above-mentioned close analogies between the Sumer and the southern Caucasus enables to conclude that contacts between these regions of the Old World was well established at the last centuries of the III- and first quarter of the II millennium BC.

## ევგენი ჭანიშვილი ახალი სახესხვაობა რუსუდან მეფის სპილენძის ემისიაში

ნაშრომში წარმოდგენილია რუსუდან მეფის (1223-1245) სპილენძის მონეტის ეგზემპლარი, რომელთა სახესხვაობაც საინტერესო ვარაუდების და დასკვნების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს.

აღნიშნული სახესხვაობის თავისებურება მონეტის ზურგის არაბულ ლეგენდაში მდგომარეობს. კერძოდ, ხაზზე, სადაც დატანილია რუსუდანის სრული სახელი – რუსუდანი ასული თამარისა (როსდან ბენ თამარ) – ასულის (ბენ) მაგივრად წერია სიტყვა – ძე (ბ.) რის გამოც ლეგენდა შემდეგნაირად იკითხება – რუსუდანი ძე თამარისა (როსდან ბენ თამარ) (სურ.1).

სანამ უშუალოდ აღნიშნული სახესხვაობის განხილვაზე გადავალთ, გვსურს მოვიყვანოთ სტანდარტული სპილენძის მონეტის აღნერილობა (სურ.1).  
 შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი – რ. ც. ყ. (რ ს ნ) მის ზემოთ ამოკვეთილია მცირე ზომის ხვეული, რომელიც თ. ბარნაველის განმარტებით, ასევე რუსუდანის მონოგრამაა. დ. კაპანაძე ამ მონოგრამას დედოფლის „ხელრთვას“, „ფაქსიმილეს“ უწოდებს.<sup>2</sup> ორნამენტის ბუფებში შემოკლებით თარიღია: ქორონიკონსა 447 (=1227 წ.).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედნერილი დედოფლის მეფეთა და დედოფლის მეფეთა და დედოფლის დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა რუსუდან, ასული თამარისა მესიის თაყვანისმცემელი რუსუდან ბენ თამარ ზე მისი მემკვიდრეობით თარიღია: ქორონიკონსა 447 (=1227 წ.).

اعز الله انصاره განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი



სურ.1

<sup>1</sup> თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი, III ნაწილი (თბილისი, 2015), 51.

<sup>2</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა (თბილისი 1969), 81.

მოგვყავს ახალი სახესხვაობის აღწერილობაც (სურ. 2):

შუბლი: სტანდარტული, რომლის აღწერილობაც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

ზურგი:

[الملكة] الملك [والملكات] დედოფალი მეფეთა და დედოფალთა

ديننا [جَلَلُ إِلٰهِنَا وَالدِّينِ] დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა

[رسان بن تamar ظهيرا] [مسیح] რუსუდან, ძე თამარისა მესიის

თაყვანისამცემელი

[اعز الله انصاره] განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი



სურ. 2

მთელი „ვერცხლის კრიზისის“ პერიოდის მანძილზე, დავით აღმა-შეებლის მეფობის უკანასკნელი პერიოდიდან მოყოლებული რუსუდა-ნის ეპოქის ჩათვლით, სპილენძის ემისიებზე დატანილი არაბული ლე-გენდები შეიცავს სხვადასხვა ტიტულატურებს, წოდებებს, ზედნოდე-ბებს..., რომელთა მთავარი მიზანიც უშუალოდ მონარქების ძალაუფ-ლებისა და მონარქებთან დაკავშირებული მოვლენების განმტკიცება და პროპაგანდა იყო, რისი უნიკალური საშუალებაც მონეტა იყო, რად-გან იგი ოფიციალურ სახელმწიფო სიმბოლოს წარმოადგენდა.

მსგავსი უცნაური ლეგენდა რუსუდანის დედის, თამარ მეფის მო-ნეტებზეც გახვდება, თუმცა ძალიან იშვიათ შემთხვევებში (სურ.3). ამ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ არაბული ლეგენდის – თამარი ძე გიორ-გისა (تamar بن كيوركي) მონეტებზე დატანის მთავარი მიზანი, თამარის მეფობის ლეგიტიმაცია და ამგვარად მისი პროპაგანდა იყო.

რუსუდანის მონეტის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ შემდეგი: ან აღნიშნული ქმედება სახელმწიფო ზარაფხანის მიერ იყო სანქციონირებული, ან ადგილი გვაქვს ოსტატის კერძო ინიციატივას-თან, რისი განხორციელებაც სიქის დამამზადებლისათვის ძალიან იო-ლი იქნებოდა, რადგან არაბული სიტყვა – ასული (بَنْ), რომელიც სტანდარტული ლეგენდის ნაწილს წარმოადგენს შედგება სამი გრა-ფემისგან, ხოლო სიტყვა – ძე (بْن) ორი გრაფემისგან. შესაბამისად, იმის გათვალისწინებითაც, რომ რუსუდანის მონეტების არაბულ ლეგენ-დებზე ძალიან ხშირია დიაკრიტიული ნიშნების ნაწილობრივი უგულე-

ბელყოფა, ოსტატს ძალიან მარტივად შეეძლო ერთი გრაფემის ამოგ-დება, რაც არ იწვევს სიქის აშკარა ვიზუალურ ცვლილებას, აღნიშნული მხოლოდ დაკვირვებული წაკითხვის შემდეგ არის შესამჩნევი.



სურ. 3

ჩვენ კატეგორიულად გამოვრიცხავთ იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია ადგილი გვქონდეს ოსტატის მიერ დაშვებულ გრამატიკულ შეცდომასთან, რადგან სხვა არაბულ სიტყვებში არ შეიმჩნევა რაიმე სახის ორთოგრაფიული და სხვა გრამატიკული შეცდომები. ამრიგად, წაკლებად სავარაუდოა, რომ ოსტატი მხოლოდ ამ ერთ მოკლე სიტყვაში დაუშვებდა შეცდომას ენის კარგად არ ცოდნის გამო.

„ვერცხლის კრიზისის“ პერიოდის მონეტების არაბულ ლეგენდებში ამდაგვარი, თითქოსდა უმნიშვნელო, ცვლილებების შეტანის სხვა ფაქტებიც შეგვიძლია მოვიყვანოთ. მაგალითად, გიორგი IV ლაშას სპილენძის მონეტის იმ ლეგენდის ნაწილში, სადაც მეფის სრული სახელია მოთავსებული (მსგავსად ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული თამარისა და რუსუდანის მონეტებისა), დამატებული აქვს ჯვრის ნიშანი. ეს სახესხვაობა გამოქვეყნებული და აღნერილი აქვთ მკვლევრებს ი. ფალავას<sup>1</sup> და ბ. თურქაძეს. მათ გამოთქვეს ვარაუდი, რომ მსგავსი ცვლილებების შეტანა ზარაფხანაში მომუშავე ოსტატებს უზენაესი ხელისუფლების სანქციის გარეშეც შეეძლოთ. ჩვენ სრულად ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ რუსუდან მეფის სპილენძის მონეტის აღნერილი ახალი სახესხვაობაც ამყარებს აღნიშნულ ვარაუდს.

<sup>1</sup> ი. ფალავა, ბ. თურქაძე, გიორგი IV ლაშას უნესო ჭედვის სპილენძის მონეტა ჯვრის გამოსახულებით არაბული ლეგენდის მხარეს, ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე, 1 (თბილისი, 2020), 42-51.

*Evgeni Chanishvili*

## **A new variety in the copper emission of Queen Rusudan**

A new interesting coin minted in the name of Rusudan has a very specific Arabic legend, where the Queen is mentioned not as a daughter of Tamar, but as a son of Tamar. We paid attention that such kind of legend can be found on the coins of Queen Tamar, where she is mentioned as a son of Giorgi. The most of the Arabic legends in the coins of the period of the “Silver Crisis” carried a load of propaganda, but we and other scholars think that some changes could have been made without permission of the supreme authority and can be done by ordinary masters or mint stuff. And the coin that we have described in our work is another example of that opinion.



**თარგმანი**

**Translation**



## მაპშიდ ამირშაპი, ლოცვის სათქმელად ენა აღარ მიბრუნდება თარგმანი სპარსულიდან მზია ბურჯანაძისა

მაპშიდ ამირშაპი თანამედროვე ირანელი მწერალი ქალია. დაიბადა 1937 წელს ირანის ქალაქ ქერმანშაპი. განათლება ინგლისში მიიღო. ისლამური რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

წინათქმა<sup>1</sup>

ო, ნეტავ...  
ო, ნეტავ შეეძლოს ადამიანს...  
სამშობლო, მიწით სავსე ყუთებით,  
როგორც იები,  
სადაც უნდა, თან გაიყოლოს...  
წვიმის ნათელში, კრიალა მზეში...

იმ სამშობლოსგან შორს, არც ერთ ყუთში რომ არ ეტევა და გულით დამაქვს, ყოველი გაზაფხულის შემოსვლისას, ყველაზე მეტად, ბალში არშეიბად მოვლებული იების სიფერადე მახსენდება; აკაციის მტევნების სიკამაამე და ისიფერი იასამანი, ლობის გადაღმა – ქუჩაში რომ ეკიდებოდა; არღავანის ბუჩქის თამამი სიხასხასე და ყვითელი იასამნის ტოტები, გვერდიგვერდ ცეცხლივით რომ გიზგიზებდნენ; გაკვირტული ხეხილის თეთრი და ვარდისფერი სინატიფე, რომელშიც სიმორცხვეც იყო და ქედმაღლობაც; ნორჩი, მწვანე ომბალო, ახალი ხახვის ნაზი, თეთრი ყლორტები და პანაზინა წითელი ბოლოკი, მოხეტიალე მოვაჭრებს ლანგარზე ყვავილებივით რომ გაეშალათ, ირანის დროშასავით მოეკაზმათ, წყლის ნამით დაეცვარათ და ომახიანად უხმობდნენ მუშტარს.

უცხოობაში, ყოველ ნოურუზზე, ამ ყვავილების არომატი და სამშობლოს გამორჩეულობა მახსენდება. ახალი კაბის, ახალი ფეხსაცმლის ტყავის სუნი... შინაური ნამცხვრის სურნელი... შემირანული გაზაფხულის კეთილსურნელება მახსენედება – სუნების ერთიანი ნაზავი...

ახალ გაზაფხულზე, ამ უცხო ქალაქში, ნაცნობ ტრადიციებს ვიხსენებ: სტუმრობებსა და წვეულებებს, მისვლა-მოსვლასა და მონახულებას... ჩაის სმასა და სამარადუამო დალოცვებს...

<sup>1</sup> წინათქმა დართული აქვს მწერლის ნოველების კრებულს „მოგზაურობაში“, „რომელშიც შესულია ემიგრაციის პერიოდის ნოველები. წინათქმის ეპიგრაფად და ეპილოგად მაპშიდ ამირშაპის გამოყენებული აქვს ამონარიდები თანამედროვე ირანელი პოეტის მოპამად-რეზა შაფიუ ქადქანის ლექსებიდან.

ყოველ გაზაფხულზე ბავშვობის ნოურუზებს ვაკითხავ... მაშინ რომ თავს მაბეზრებდა, ის მისვლა-მოსვლა მენატრება,... ბავშვობაში რომ არასდროს ვჭამდი, ის ყაზვინური ბრინჯის კვერი მინდა... იმ ფეხ-საცმლის ჩაცმა, ფეხს რომ მაყვლეფდა და ის გაფშეკილი კაბა, რომლის საყელოც კისერს მიხეხავდა. „პაფთსინის“ სუფრა მენატრება, რომლის წითელი ვაშლი, ზღაპრული გადმოცემისგან განსხვავებით, წყლიან ჯამში როდი ბრუნავდა, – ჩემს მიწა-წყალს ეფინებოდა...

იმის ფიქრში ვარ, აქ, ამ უკიდეგანო სივრცეში, ჭიაკოკონის ადგილი რატომ არ არის?! აქ, ამ სიმწვანეში, ორიოდე ხე რად არ იშოვება, რომლებზეც საქანელას ჩამოვაპამდი?! აქ, ამდენ ხმაურიან მდინარეში ერთი წაკადული რატომ არ არის, რომელსაც ხორბლის ჯეჯილს გავაყოლებდი?! ალბათ, იმიტომ, რომ ნოურუზი, – დღე მშვიდობისა, დღე სინათლისა, დღე სიყვარულის, დღე სურნელების, დღე ყვავილების, ბავშვობის ხსოვნის, დღე ბუნების გამოლვიძების, – მხოლოდ ირანის მიწაზე უნდა იზეიმო, რადგანაც ირანელების ეს ზეიმი ყველაზე უფრო ირანული დღესასწაულია.

და მაინც, ყოველ წელიწადს, ყველგან...

არ მეკადრება, რომ მე, მისმა მეგობარმა  
და მეინახებ  
ის არ ვეძებო ალიონის მდუმარ ქუჩებში.  
ან

ლექსის თასით მის შემოსვლას  
არ მივესალმო....

## ლოცვის სათქმელად ენა აღარ მიბრუნდება

– ასე იყო... თავიდან მხოლოდ სამ თვეში ერთხელ გვქონდა მონა-ხულების უფლება... ყოველ ჯერზე სულ ხუთი წუთით, მინის გადაღმა, ტელეფონით შეგვეძლო მასთან ლაპარაკი. ამ ხუთ წუთზე, სულ ცოტა, თორმეტი საათი მიდიოდა, ესეც – წასვლა-მოსვლის გარდა... ჰო, წას-ვლა-მოსვლის გარდა. შვიდასი-რვაასი მნახველი ვიყავით, კაბინა კი – თორმეტიოდე. დილის ექვსი საათისთვის ციხის სიახლოვეს ვიკრიბებოდით – ორ მწკრივად... კაცები... ქალები... ციონდა, მაშინაც კი, როცა თბილი სეზონი დგებოდა. იმ მიდამოში – ბორცვებზე და ტაფობებში – რაც ქალალდი, ფიჩი, ნაფოტი და ეკალი იყო, ვაგროვებდით და ცეცხლს ვანთებდით, რომ ხელებში ყურმილის ჭერის ძალა გვქონდა. ბადრაგი მხოლოდ რვა საათისთვის გამოჩნდებოდა ხოლმე... ამაზრზე-ნები... რა სიფათები...

მგზავრის გამომეტყველებას და საუბრის კილოს ემოცია არ ეტყობოდა. ამ სცენების და სახეების გახსენება რომ არ სიამოვნებდა, მხოლოდ ცერის ჩქარ-ჩქარ მოძრაობაზე თუ მიხვდებოდი, რომლითაც ხან საჩვენებელ თითს ქექავდა და ხანაც – ყავის ფინჯანს. ერთიანად სმენად ვიქეცი.

— მათ მეთაურს ჰაჯ ქერბალაის ეძახდნენ. როგორც კი გამოჩნდებოდა, ბადრაგს უბრძანებდა, ჩვენს დასაშინებლად მჭიდები ჰაერში დაეცალათ... დას, დაშინებულები ვიყავით... დაშინებულები... ყველა დაშინებული ჰყავდათ, თავიდანვე... ამ ტყვიების ხმა ნერვებს ქლიბივით გვიხესავდა... სულის ქლიბივით... გულის ფიცარს გვინგრევდა... უმწეოდ ვიდექით და სუნთქვა გვეკვროდა... მათაც ეს უნდოდათ... გაპროტესტებას რა აზრი ჰქონდა? ერთხელ ჩემმა გოგომ ტელეფონში მითხრა, — სახიფათო იყო, რადგან გვისმენდნენ, მაგრამ მაინც მითხრა, — რომ საკინდან საკანში თმის თრევით გადაჰყავდათ... როცა დაკითხვაზე მიჰყავდათ, თვალებს უკრავდნენ და კისერზე თოკს აბამდნენ. უწმინდურს ეძახდნენ... იმ დღეს თავი ვეღარ შევიკავე და გინება დავიწყე. ვიღაც ჩასკვნილმა, მოგვიანებით როგორც გავიგე, აჰვაზელმა კაცმა, უკინდან პირზე ხელი ამაფარა, მითხრა: „შვილს ნუ დალუპავ, პავმანს აუკრძალავენ. ანდა, თფუ-თფუ-თფუ, დახვრეტენ... იმ დღეს არ ნახე?!”... მართალი იყო, ვნახე... ვიღაცის დედა — ჩემი ცოლივით, ჩემსავით, სხვა მნახველებივით, შვილის სანახავად მოსულიყო... სასჯელი გამოეტანათ... ექვსწლიანი ჰატიმრობა... ქალს ყვირილი აღმოხდა: „კი მაგრამ, რატომ? ჩემმა შვილმა რა დამავა? არაფერი დაუშავებია და ექს ნელს რისთვის უსჯიან?“ თან კარგა გვარიანი ლანძლვა-გინება მიაყოლა. შემდეგ ჯერზე რომ მოვიდა, — მაშინ პაემანი უკვე თვეში ერთხელ იყო ნებადართული, — ვიღაც შავ-ყვითელმა, დაბალმა, თვალებდანირპლულმა და პირდაუბანელმა აიათოლამ, ფეხშიშველამ, ქუსლებდახეთქილმა და ფლოსტებიანმა, უთხრა: „წადი, შენი შვილის ანდერძი ჩაიბარე!“ უბედურმა ქალმა გულზე იტაცა ხელი და დაიძახა: „ო-ო-ო! ყოფილიყო ის ექსი წელი!“ მერე უკან გადავარდა. არ ვიცი, გონება დაკარგა თუ გული გაუჩერდა... ახლოს არ მიგვიშვეს... იქიდან გაგვყარეს. მხოლოდ შორიდან ვხედავდი, ვიღაც კაცმა თავ-პირზე შლანგით რომ მიასხა წყალი... აყროლებულმა მცველებმა თრევა-თრევით მოაშორეს იქაურობას. აიათოლა ამ უმსგავსების ხროვას ხელმძღვანელობდა. ადრე ერთხელ მყავდა ნანახი. მისი ნავსი სიფათი გონებაში ჩამრჩა. არ ვიცი, იმ დღეს ციხეში რა უნდოდა?

მოსაუბრე ამ სიტყვებს — „შავ-ყვითელი“, „წავსი“, „აყროლებული“, „ამაზრზენი“ სალანძლავად ან გასაკიცხად არ იყენებდა, მხოლოდ მოვლენას აღწერდა და ამბავს ყვებოდა. წინადადებებს შორის პაუზები, როგორც ცერა თითის ოდნავი და ნერვული მოძრაობა, თითქოს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ქცევასა და ნათევამს შორის წონასწორობა არ დაერღვია... მე ამ მონოლოგს შეკითხვითაც არ ვაწყვეტინებდი.

— სხვაც ბევრი ვნახე და მოვისმინე. პატიმრების დებსა და დედებს საქვეყნოდ კახპებს ეძახდნენ, უხეშად, უწმაწურად მიმართავდნენ. ეუბნებოდნენ, თქვენ რომ გათახსირებულები არ იყოთ, განათქვენი შვილები იმამს უმტრობდნენ? ისე ექცეოდნენ და ისეთებს ეუბნებოდნენ, რომ ადამიანს თავმოყვარეობა უნდა დაევიწყებინა, ადამიანობა უნდა დაევიწყებინა. მხოლოდ იმაზე უნდა ეფიქრა, რომ კრინტი არ დაეძრა.

მისმა მზერამ ჩემს სახეს გადაუარა, ყავახანას და მოედანს შემო-ევლო და თავისისავე ადგილს დაუბრუნდა. ემოცია არც მზერაში ეტყო-ბოდა და არც – ხმის ერთფეროვნებაში. ორივეში უკიდურესობა ჩანდა: იქამდე მისულიყო, საიდანაც გამოსავალი არ არსებობდა: არც პრო-ტესტი, არც მორჩილება... მხოლოდ სიმტკიცე...

– გავიგე, ერთი გოგონა რომ მოკლეს, მეორე დღეს ვიღაც დიდმა მოხელემ მის ოჯახს დაურეკა და უთხრა, წუხელ თქვენი სიძე ვიყავიო. თანაც განუმარტა, რომ ისლამი იმქვეყნად გოგონას ქალნულად გამ-გზავრებასა არ იწონებს... ერთ დღესაც დეზტულელი ბერიკაცი დავი-ნახე, კედლის ძირას ჩაემუხლა და წვერს იგლეჯდა: „სადა ხარ, ლერ-თო, თუკი ხარ სადმე?!” ვაითუ, ხომეინიმ შენც ციხეში ჩაგსვა?!“ ... მარ-თლაც, სადა ხარ?.. ვაითუ... ერთხელაც ერთ ჩემს ნაცნობ, ძალიან პა-ტივცემულ ქალბატონს მოვკარი თვალი, ყურანის მკითხველის – ჰაჯ ჰისეინ აყაიე მალექის ნათესავი იყო, მინების პატრონი. შვილი ისნა მათი კლანჭებიდან და ციხეში ამისთვის ჩააგდეს... დიახ, დედა – შვი-ლის მაგივრად... მათი ამბავი გაგონილი მქონდა, მაგრამ ეს ქალბატონი იმ დღემდე ასეთი დაჩაჩანაკებულ-გაუბედურებული არასდროს მენა-ხა... ყოველ ჯერზე, როცა პაემნიდან ვპრუნდებოდით, ანუ თვეში ერ-თხელ, ჩემი ცოლის თვალები სისხლიან თასებად იქცეოდნენ ხოლმე, მონოლილი ბოლმა კი ჩიყვივით ეჩრებოდა ყელში. განსაკუთხებით მაშინ შევნიშნე, როცა ჩვენი ქალიშვილისთვის „სიძნელეების ასაშორებლად და სიკეთის დასამკვიდრებლად“ ერთი მუჭა აჯილის<sup>1</sup> გადაცემაზე გვითხრეს უარი. ვეუბნებოდი, მოეშვი, მაგათ ნურაფერს სთხოვ, თავს ნუ დაიმცირებ-მეტე... რა სიძნელის აშორება?! რისი სიკეთე?!.. მაგ-რამ დედაა და, აპა, რას უზამ?!. ეპ, მხოლოდ ეს?!. იქ ხომ ერთიანად ციხეა... ერთიანად... თავისუფლება... თავისუფლება... მე წარმოვთქვამ ამ სიტყვას და თქვენ გესმით... მაგრა, როცა გაქვთ, მისი ფასი იცო-დე!.. ამ წყალობას არაფერი შეედრება!

ამჯერად მგზავრის დუშილი უფრო გაიწელა, თუმცა შეკითხვის მოლოდინი არ ჰქონია. ჩვენი ფინჯნები, რა ხანია, დაცლილი იყო, სა-ფერფლე კი – პირამდე სავსე. მგზავრმა წყლიანი ჭიქა ნამით აიღო და ხელუხლებლად დადგა ადგილზე. პატარა ბიჭებს გააყოლა თვალი, რომლებსაც თამაში დაემთავრებინათ და მოპირდაპირე ქუჩისკენ მიიჩ-ქაროდნენ. თვალს რომ მიეფარნენ, საუბარი გააგრძელა:

– როგორც კი მათ უწმინდურ ბუნაგში შედგამ ფეხს, იმ სიბილნის ტიხარს უკიდან ქალების მოთქმას გაიგონებ. სადაც არ უნდა წახვიდე, „თავგანწირულებისა“ და „მონამების ოჯახებს“<sup>2</sup> გუნდ-გუნდად გახ-ვედრებენ წინ. მათ ყველგან უპირატესობა აქვთ... თავგანწირვა – ვისი გულისთვის?.. მონამეობა – რისი გულისთვის?.. არ ვიცი. ვიცი ის, რომ ამ „თავგანწირულებს“ და „მონამეების ოჯახებს“ დაამწკრივებენ და

<sup>1</sup> აჯილი – ირანული ნუგბარი, რომელშიც არეულია სხვადასხვა სახის ჩირი და თხილეული.

<sup>2</sup> ისლამური რევოლუციის მეომრები, რომლებმაც ჯანმრთელობა ან სხეუ-ლის ნაწილი დაკარგეს, ისლამური რევოლუციისთვის დალუპული მებრძო-ლების ოჯახები.

მიტინგებსა და დემონსტრაციებზე დაჰყავთ... ვიცი, რომ ყოველ მათ-განს წიგნაკი აქვს პროდუქტის სიით... ვიცი, რომ ყოველ მიტინგსა და დემონსტრაციაზე დასწრებას ამონმებიერ... თუ ვინმე დააკლდება, ულუ-ფას შეუწყვეტენ.

ამჯერად მგზავრმა ჭიქა ყლუპ-ყლუპად გამოცალა და დოქიდან შეავსო.

– მიწისძვრა რომ მოხდა, ერთი ჩემი ნათესავი რუდპარში მუშა-ობდა. მითხრა, რაც დაზარალებულებისთვის ჩადრები ჩამოიტანეს, ყველა ერთიანად ცენტრში მიაბრუნესო, ერთი ცალიც კი არ მიუციათ უსახლკაროებისთვის... ერთი ცალიც კი... საბინის ფუთები და წამლის კოლოფები გაუხსნელად ბრუნდებოდა უკან და პირდაპირ შავ ბაზარზე მიდიოდა... გაპროტესტებას რა აზრი ჰქონდა?.. ამ ჩემმა ნათესავმა გა-აპროტესტა და მაშინვე სხვა ადგილას გადაიყვანეს... მე თვითონ მო-მისმენა, „წითელ ნახევარმთვარეში“ როგორ მოთქვამდა ორი შაპიდის მამა (ისინი ხომ „თვალის სინათლეები“ არიან!) და ორგანიზაციის თავ-მჯდომარეს – რესპუბლიკის მეთაურის მოადგილის ცოლს – კრულვას უთვლიდა: „ერთადერთი შვილილა დამრჩა და ისიც მიკვდება, აქ კი წა-მალი არ იშოვება“... ყველამ იცის, რომ „წითელი ნახევარმთვარის“ წამ-ლები ერთიანად შავ ბაზარზე მიდის. ერთი ფლაკონი – 25 000 თუმანი, ერთი ამპულა – 40 000 თუმანი, აბების ერთი კოლოფი – 10 000. ჯან-დაცვის მინისტრი ამბობს, რაცაა, ესაა, ჩვენ ხომ ვერ შევაჩერებთო... ადამიანებს ყოველ ნაბიჯზე ყველეფენ, ატყავებენ, ქვეყანა მათხოვრე-ბით გაიგსო... სახელმწიფო სკოლები თითქმის აღარ დარჩა... სხვა სკო-ლების გადასახადი კი 50 000 თუმნიდან იწყება... გადასახადს არ ეძახი-ან, ამბობენ, დამოუკიდებლობა უნდა გქონდეთო. ამას „თვითდაფინან-სებას“ უწოდებენ... თვითდაფინანსება... სახელმწიფოს არა აქვს, მო-სახლეობავ, მოიტა... და ამ დროს საპარლამენტო კომისიამ დაადგინა, რომ ნავთობის ბიუჯეტის 1,5 პროცენტი ხომეინის აკლდამის მორწყვა-დალაგებას მოხმარდეს... ნავთობის ბიუჯეტის 1,5 პროცენტი!.. ანგა-რიშს არავის აბარებენ... ამ ფულით რამდენი სკოლა აშენდებოდა?! რამდენი წამალი დარიგდებოდა? ეს ფული ვის ჯიბეში მიდის?.. რა უ-და ვთქვა? ერთ დროს ვამბობდი, ეს სადაური მუსლიმობაა-მეთქი. სა-ნამ არ მივხვდი, რომ ისლამი სწორედ ესაა... ახალგაზრდობაში ძალიან მორწმუნე ვიყავი... ძალიან მორწმუნე. ვფიქრობდი, რასაც ისლამი ამ-ბობს, ყველაფერი სიმართლეა-მეთქი. ისლამი... ისლამი და მხოლოდ ისლამია ჭეშმარიტი რელიგია... სუფთა ფანატიკოსი ვიყავი. პო, ახალ-გაზრდა ვიყავი... სულელი... აბა, სულელი რომ არ ვყოფილიყავი, ათი წლის ასაკში „ფედაიან-ე ესლამში“<sup>1</sup> გავწევრიანდებოდი?

არ ვიცი, მგზავრმა ჩემს სახეზე ისეთი რა დაინახა, რომ რამდენ-ჯერმე გაიმეორა: „ფედაიან-ე ესლამ, ფედაიან-ე ესლამ“... თან თავს ყოველ ჯერზე ისე აქნევდა, ვერ გაიგებდი, მოსწონდა თუ სინანულს გა-მოხატავდა. ეს სიტყვები მთის ხეობებში დარხეული გუგუნის ექიდ ამოდიოდა მისი ყელიდან და ჩემს ყურებში ილექებოდა.

<sup>1</sup> „ისლამისთვის თავდადებულები“ – 1946 წელს ჩამოყალიბებული ექსტრე-მისტულ-მიიტური ორგანიზაცია ირანში.

– როცა ქასრავის<sup>1</sup> მოკვლა გადავწყვიტეთ, სულმთლად ყმანვილი ბიჭი ვიყავი. სასამართლოს კიბეებზე ხალხის მოძრაობის მეთვალყურეობა დამევალა. სულ ცამეტი კაცი ვიყავით... ქასრავის მოკვლის ნებართვა აიათოლა ქაშანისგან ავიღეთ... მეც იქ ვიყავი... ნებართვა ასეთი სახით მოგვცა: „ჩემთან მუსლიმები მოდიან და მეკითხებან, ნამაზი უნდა შევასრულოთ თუ არაო. განა ეს საკითხავია, თქვე უმეცრებო?“ რად უნდა თქმა, რომ უნდა შევასრულოთ! განა არ იცით, რომ ნამაზის ალსრულება რელიგიის საფუძველია?..“ იმამი თავის ძმასთან ერთად ქასრავის ოთახში შევიდა. სროლა ხეირიანად არც იცოდა, თუმცა რამდენიმე მეტრიდან არ გასჭირვებია... ადვილად ესროლა... სასამართლოს კიბეზე, რომელიც ყოველთვის უანდარმებით იყო გაჭედილი, იმ დროს მათი ნასახიც კი არ ჩანდა... ახალგაზრდები... ბრიყები... ყველა-ფერი ღვთის ნებას მივაწერეთ... რა ვიცოდით, ამ საქმეში ვისი ხელი ერია?.. ავიღეთ და მოვკალით ეს თავისუფალი და გონიერი კაცი... დიახ, მოვკალით.. მოვკალით და ახლა ენა აღარ მიბრუნდება, მისთვის ლოცვა მაინც წავიკითხო... მის საფლავს კურთხევა გავუგზავნო. ეს მათი საქმეა, ვისაც რაღაცის სწამს ან ვითომ სწამს... მე კი აღარ მწამს... აღარაფრის მწამს... აჯობებს კიდეც, თუკი იმ კაცს ჩვენი ლოცვებით არ შევაწუხებთ... ჰო, აჯობებს კიდეც...

მოსაუპრის ცერმა ჩქარ-ჩქარა მოიქექა საჩვენებელი თითი და მერე ფინჯნის სახელურზე შეისვენა. თვალებში შემომხედა და მითხრა:

– ხვალ სადეყ ჰედაიათის<sup>2</sup> საფლავზე მინდა წასვლა. ისიც თავისუფალი კაცი იყო... ისიც კარგად ხვდებოდა, ისლამმა რა გვიქნა... ენა არ მიბრუნდება სათქმელად, ღმერთმა შეუნდოს-მეთქი. არა, არ მიბრუნდება... მის საფლავზე წავალ და ქვაზე ორიოდე ყვავილს დავუდებ... ჰო, ყვავილს – ქვაზე. სასაფლაოს მისამართს ხომ ვერ მიბოძებთ?.. ენა სალოცავად არ მიბრუნდება, მაგრამ... სიკეთე მისცეს...

მინდოდა, პერლაშეზის მისამართის გარდა, მარიონეტი პრემიერის<sup>3</sup> საფლავიც მიმესწავლებინა, მაგრამ მეზდაცემულივით ვიყავი – გაოგნებულ-გაშტერებული. იმ ათასობით სათქმელიდან, რაც მქონდა, ესლა ვუთხარი:

– მოგონებები დაწერეთ. „ფედაიან-ე ესლამ“-ის ისტორია, თქვენი ამბები...

<sup>1</sup> აპმად ქასრავი (1890-1946) – ირანელი მოღვაწე – ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, რელიგიათმცოდნე, იურისტი, სეკულარული ირანის მომხრე და აქტიური რეფორმატორი. „ფედაიან-ე ესლამ“-ის წევრებმა ის 1946 წელს სასამართლოს შენობაში მოკლეს.

<sup>2</sup> სადეყ ჰედაიათი – მეოცე საუკუნის დიდი ირანელი მწერალი (1903-1951), რომელმაც ჰარიზში თვითმევლელობით დაასრულა სიცოცხლე და პერლაშეზის სასაფლაოზეა დაკრძალული.

<sup>3</sup> სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს შაპის ირანის უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი შაფურ ბახთიარი (1914-1991), რომელიც ისლამური რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში, საფრანგეთში, ცხოვრობდა. იგი პარიზში მოკლეს და დაკრძალულია მონპარნასის სასაფლაოზე.

— აბა, რა გითხრათ? თუ დვთის ნება იქნება-მეთქი, ვერ გეუბნებით... თუ ცხოვრება დამაცდის...

სახლის გზას რომ დავადექი, სალამოვდებოდა. სიცხე მოტეხილიყო და ჩახუთული დღის ადგილი საამო და გამჭვირვალე ჰაერს შეეცვალა... მალაქოფის უბანს მზის ჩამავალ სხივებში თბილი ფერები და რბილი კონტურები მიეღო. ცხადია, მგზავრმა არ იცოდა, მაგრამ უნებურად თავისი ამბის მოსათხრობად ყველაზე შასაფერისი ადგილი ამოერჩია. ამ უბნის ისტორიას მგზავრის ვითარებას ვამსგავსებდი. ორივე განუდგა... ერთი – კომუნიზმს,<sup>1</sup> მეორე – ისლამს...

---

<sup>1</sup> მალაქოფის უბნის სახელწოდება უკავშირდება ყირიმის ომში (1854-1856) სევასტოპოლთან ფრანგების მიერ ე.წ. მალახოვის კოშკის აღებას, საბოლოოდ კი, მოკავშირეების მიერ რუსეთის დამარცხებას. როგორც ჩანს, ავტორი იმეორებს დასავლეთში საკმაოდ გავრცელებულ იდეოლოგიურ შეცდომას – ნებისმიერი ეპოქის რუსეთის ბოლშევიზმთან ასოცირებას.

## **ჰუსნუ ა. გიოქსელი, სუედა თურქულიდან თარგმნა ნინო შენგელიამ**

ჰუსნუ ა. გიოქსელი (1919-2002 წწ.) პროფესიით ექიმი იყო. სხვადასხვა დროს მუშაობდა და ასწავლიდა თურქეთის არაერთ წამყვან სამედიცინო დაწესებულებაში. 1956-1960 წწ. კოლუმბიის უნივერსიტეტში (აშშ) შეისწავლა ქირურგიის პათოლოგია და სიმსივნური ქირურგია. სამშობლოში დაბრუნებულმა დიდი წვლილი შეიტანა ამ დარგის განვითარებასა და ახალი თაობის აღზრდაში; იყო როგორც თურქეთის ექიმთა კავშირის, ასევე თურქეთის მნერალთა კავშირის საპატიო წევრი; აქტიურად მონაწილეობდა თურქეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„ცხოვრებაში კეთილი შურით ორი ადამიანის შემშეურებია: ერთი ფრედ ასტერია – რადგანაც მისნაირად ვერასდროს ვიცეკვებ; მეორე კი – ანგონ ჩეხოვი – რადგანაც მისნაირად ვერასდროს შევიღებ წერას. ერთხელ „ნიუორკ ტაიმსში“ ჩეხოვის ნანარმოების შესახებ რეცენზიას გადავაწყდო. ჩემი ყურადღება მწერლის ერთმა ფრაზამ მიიპყრო – „ყველა ექიმს აქვს რაღაც მოსაყოლი“. ჩეხოვი პროფესიით ექიმი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ მისმა სიტყვებმა საღერღელი ამისადა და სწორედ ეს გახდა მთავარი ბიძი, რატომაც გავპედე და დავიწყე წერა. მიუხედავად იმ დროისთვის ჩემი ხანმოკლე საექიმო პრაქტიკისა, მოსაყოლი უკვე საქმაოდ დამკროვებოდა და დარწმუნებული ვიყავი, მომავალშიც მექნებოდა.“

გიოქსელი რამდენიმე მოთხოვნისა და რომანის ავტორია, რომელთა-გან უმეტესობა რეალურ ფაქტებს ეფუძნება. „სუედა“ მისი პირველი მოთხოვნების კრებულიდანაა (1991 წ.),<sup>1</sup> სადაც მწერალი უშუალოდ და დიდი სიყვარულით გვიყვება საკმაოდ სევდიან ამბავს. სიცილს ტირილი მოსდევს, სიხარულს – სევდა, სიკვდილი თვალის დახამსამებაში იჭრება სიცოცხლეში. მიუხედავად წუთისოფელში ხანმოკლე სტუმრობისა, მთავარი აქცენტი ადამიანებს მორის არსებულ ჭეშმარიტ ურთიერთობებზე, გრძნობებსა და ლირებულებებზეა, რომლებსაც ყავლი არასდროს გასდის.

## **სუედა**

ესინმა ნამდვილად არ იცოდა, იმ ღამეს სად აღმოჩნდებოდა. სარკისკენ მიინია, ქუთუთოებზე ბაცი ლილისფერი თვალის ჩრდილი წაისვა და თითით გაისწორა. ამობურცული ძვლოვანი ყვრიმა-ლები დაჭორფლილი ჰქონდა. ჭორფლის დასაფარად ლოყებზე ღია ვარდისფერი ფერუმარილი დაიდო. მოეჩენა, რომ ცოტა ზედმეტი მოუვიდა; ყუთიდან ქალალდის ხელსაწმენდი ამოიღო და მაკიაჟი იღნავ მოიცილა. სარკეში ქმარი დაინახა, რომელიც ის-ის იყო

<sup>1</sup> Hüsnü A.Göksel, *Ben bu menek eleri senin için topladım, öyküler, bilgi yayinevi* (Ankara 1991), 7-32.

ოთახში შემოვიდა. გაულიმა. ჯუნეითი მიუახლოვდა, მხრებზე მოე-ფერა, დაიხარა და კისერში აკოცა. ესინმა თავი გვერდზე გადაწია:

- მოიცა, გეყოფა, მეღიტინება.
  - კი არ გეღიტინება, გეჩვენება, საყვარელო...
  - რა მნიშვნელობა აქვს. ახლა ამის დროა?
  - შენ ხომ მარჯვენა მხარე გაქვს მგრძნობიარე? მე კი მარცხე-ნაზე გაკოცე...
  - არა, მარჯვენაზე მაკოცე.
  - სარკეში მარცხენა მეგონა.
  - ჯუნეით, გეყოფა ცულლუტობა, ვიგვიანებთ. შენც ხომ უნდა მოემზადო...
  - მე მზად ვარ.
- დაიხარა და ესინს კისერში აკოცა – ამჯერად მარცხნივ.
- გეყოფა, ჯუნეით, მართლა ვიგვიანებთ. წადი, გაემზადე! იმ ხალხს ხომ არ ვალოდინებთ?
  - ახლავე, საყვარელო, ახლავე ვიწყებ...
- გაოცებული მიაშტერდა ცოლს:
- ზოგჯერ განცვიფრებული ვფიქრობ ხოლმე: ნეტავ რა დავიმ-სახურე ისეთი, ლმერთმა შენი თავით რომ დამაჯილდოვა?!
  - ჯუნეით, გაემზადე!
  - ახლავე საყვარელო, ორ წუთში, არა სამ... მოდი, ხუთი წუთი ვთქვათ. ხუთ წუთში...

სიტყვა არ დაუსრულებია... სარკესთან დაბალ სკამზე მოკალა-თებულ ესინს თავი ოდნავ უკან გადაუწია და ტუჩებში აკოცა.

- იცი, საყვარელო, იმიტომ კი არ მიყვარხარ, ასეთი ლამაზი რომ ხარ... შენი სილამაზის მიღმა მიყვარხარ...

- გიჟი ხარ ჯუნეით, ნამდვილი სულელი. ვარცხნილობას გამი-ფუჭებ... ნახე, უკვე სუედაც შეწუხდა... მუცელზე მიბრაგუნებს.

ოთხი თვის წინ ჯუნეითი შენ რომ დაბრუნდა, ესინი სახლში არ დახვდა. სააპაზანო ოთახში შევიდა. დამის მორიგეობა ჰქონდა და სრულიად უძინარი იყო. შხაპის ქვეშ დაღლილობა თანდათან ეხსნებოდა. წყლის ხმაზე ესინის მოსვლა ვერ გაეგო. უცბად სააპაზანოს კარი გაიღო.

- აი, ჩვენც მოვედით...
  - ჯუნეითმა ფარდიდან თავი გამოყო.
  - თქვენ? ვინ თქვენ?
  - მე და სუედა. შენი ცოლი და ქალიშვილი.
- შიშველი ჯუნეითი გასაპნილი თავით გამოვარდა შხაპიდან. ცო-ლი გულში ჩაიკრა და კოცნა... კოცნა... სულ დაკოცნა...
- გეყოფა, არანორმალურო, გეყოფა! ნახე, რას დამამსგავსე. სულ დამასველე...

\* \* \*

სუედა ჯერ კიდევ ქორწინებამდე შემობრძანდა მათ ოჯახში.

ესინი თხუთმეტდღიან არდადეგებზე შინ დაბრუნებულიყო. სწორედ მაშინ – ექიმების მეჯლისზე გაიცნო ჯუნეითი, რომელიც სამედიცინო ფაკულტეტზე ანესთეზიოლოგის ასინტენტად მუშაობდა. ჯუნეითმა პირველად მას მეჯლისამდე ორი დღით ადრე საავადმყოფოს ბალში მამასთან ერთად მოჰკრა თვალი. ექიმ სედათ ბეის, რომელიც მისი პროფესორის თანაკურსელი გახლდათ, იგი მანამდეც იცნობდა. მიესალმა და გვერდით ჩაუარა; მაგრამ ექიმის თანმხლები ფერმკრთალი გოგონასთვის ყურადღება დიდად არც მიუქცევია.

მეჯლისზე ჯუნეითი მარტო მივიდა. განაპირა მაგიდისკენ გასწია, სადაც მისი მეგობრები ისხდნენ. წინა ლამეს მორიგეობა ჰქონდა, თვალი არ მოუხუჭავს, დღე კი მუშაობაში გაატარა. გამოუძინებელი და დალლილი იყო. მისი მეგობრები საცეკვაოდ გაეშურნენ, ის კი მაგიდასთან მარტო დარჩა. შორიდან პროფესორი, ესინი და მამამისი დაინახა; მის გვერდით მჯდომი ქალბატონი ალბათ დედამისი იყო. ადგა, მათთან მივიდა და მასწავლებელს ჩასჩურჩულა:

– სალამონ მშვიდობისა, პროფესორო. სედათ ბეის ქალიშვილი საცეკვაოდ რომ გამოვიწვიო, უხერხული ხომ არ იქნება?

– რატომ უნდა იყოს? მიდი და თავად ჰკითხე...

იცეკვეს.

პირველი ცეკვის შემდეგ ჯუნეითმა ესინის მამისგან ნებართვა აიღო და გოგონა თავისი მეგობრების მაგიდასთან გადმოსვა.

და შემდეგი დღე... კიდევ შემდეგი დღე... კიდევ და კიდევ შემდეგი დღეები ესინის არდადეგების დასრულებამდე ერთად გაატარეს.

არდადეგების მინურულს ესინი სტამბოლში ბრუნდებოდა. მამას მანქანით აეროპორტში მიჰყავდა. გოგონამ გზაში მორცხვად, ხმადაბლა შეჰქედა:

– მამა, – ერთხანს შეყოვნდა, – მე და ჯუნეითმა დაქორწინება გადავწყვიტეთ.

სედათ ბეიმ უკვე იცოდა, მისი ქალიშვილი ჯუნეითით რომ იყო გატაცებული და ყოველ დღეს ერთად ატარებდნენ, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მოსასმენად მზად მაინც არ აღმოჩნდა. რასაკვრველია, სედათ ბეისაც ჯუნეითი ესინისთვის შესაფერისად არ მიაჩნდა, ისევე როგორც არც ერთ მამას არავისთვის ემეტება თავისი ქალიშვილი. ესინის სიტყვები თითქოს არც გაუგია...

ესინმა კვლავ დააპირა:

– მამა...

– გავიგონე...

ორივე დადუმდა. ცოტა ხანში სედათ ბეიმ, რომელსაც გზისთვის თვალი არ მოუცილებია, სხვათა შორის უთხრა:

– ჯერ სკოლა დაამთავრე.

– სკოლას სამ თვეში ვამთავრებ, მამა.

- ჰოდა, მაშინ მოვიფიქროთ...
  - ჩვენ უკვე მოვიფიქრეთ, მამა.
- სედათ ბეი მოტრილდა და ესინს თვალებში ჩაჰედა, შემდეგ კვლავ გზისკენ გაიხედა. ძალიან იკავებდა თავს, რამე ცუდი რომ არ ეთქვა.
- რით იარსებებთ?
  - ამაზეც ვისაუბრეთ, მამა. სკოლას დავამთავრებ თუ არა, ვიმუშავებ.
  - ძალიან კარგი. ყველა სამსახური ესინ ჰანიმს ელის თურმე. სად იმუშავებ?
  - ჯუნეითის ფაკულტეტზე ერთი დოცენტია... მისმა ცოლმა საბავშვო ბალი გახსნა და პროფესიონალ პედაგოგს ეძებს. უკვე ველაპარაკეთ. იქ ვიმუშავებ.
- სედათ ბეიმ გზას თვალი სულ ერთი წამით მოაცილა და ესინს გახედა. ესინიც მისკენ მიტრიალდა. ერთმანეთს თვალები კი გაუსწორეს, მაგრამ აეროპორტში მისვლამდე ხმა აღარ ამოუღიათ.

\* \* \*

ქორწინების ამბავი ერთი დღით ადრე გადაწყდა. სუედაც სწორედ იმ დღეს შემოვიდა მათ ოჯახში. იმ დღილით ჯუნეითმა თავის საწერ მაგიდაზე ამერიკიდან მოსული წერილი აღმოაჩინა. ამ წერილს ის თვეები ელოდა. ერთი წლის წინ ECFMG გამოცდა ჩააბარა და ამერიკულ კლინიკებში წერილები დაგზავნა. აქამდე მხოლოდ უარყოფითი პასუხები მოსდიოდა. დღეს მოსულ კონვერტზე წიუ-იორკის ერთ-ერთი დიდი საუნივერსიტეტო კლინიკის ლოგო იყო ამოტვიფრული. უიმედოდ გახსნა. თავდაპირველად არც კი დაიჯერა. თითქოს რაღაც ვერ გაიგო. კიდევ ერთხელ წაიკითხა. არა, შეცდომა გამორიცხული იყო. მიიღეს. საქმის ბოლომდე მისაყვანად წერილთან ერთად გამოგზავნილი ფორმა უნდა შეევსო და უკან გაეგზავნა. სამუშაოს დაწყების თარიღი მომავალი წლის პირველი ივლისი იყო. ჯუნეითს გაუკვირდა, ადამიანები ცხოვრებას ამდენი ხნით ადრე როგორ გეგმავენო... ცოტა მოიწყინა. კიდევ თვეები უნდა მოეცადა... კი ბატონო... მაგრამ ესინი? მთელი დღე სხვადასხვა შესაძლო ვარიანტზე ფიქრში გაატარა.

სალამო ხანს, ჩვეულებისამებრ, ერთმანეთს იახტების ნავსადგურში შეხვდნენ. ჯუნეითი ამ თემაზე საუბრის დაწყებას ვერ ბედავდა, მაგრამ მისი უცნაური საქციელი ესინს არ გამოჰქონდა.

- რა გჭირს?
- არაფერი.
- აშკარად რაღაც გაწუხებს...
- კი არ მაწუხებს... მაგრამ...
- მაგრამ რა...
- მგონი ამერიკაში მივდივარ...

ესინი სკამს მიეყრდნო. ერთხანს გაკვირვებული მისჩერებოდა ჯუნეითს.

- საიდან მოიტანე ახლა ეს ამერიკა? აქამდე არ გიხსენებია და...
  - ხომ მოგიყევი, გამოცდა რომ ჩავაბარე და რამდენიმე კლინიკას მივწერე...
  - აკი, სულ უარი მომდიოდაო?
  - დღეს ნიუ-იორკის ყველაზე დიდი საუნივერსიტეტო კლინიკან წერილი მომიღიდა. მიმიღეს.
  - ყოჩალ, გილოცავ! და ჩვენ რაღა გვეშველება?!
  - შენც წაგიყვან.
  - როგორ წამიყვან?
  - ცოლად შეგირთავ და...
  - მოიცა... მოიცა... რა თქვი? მართლა შემირთავ?
  - და შენ გამომყვები?
  - კი ბატონო, მხოლოდ ერთი პირობით.
  - რა პირობით?
  - ჩვენ პირველ შვილს სუედას დავარქმევთ.
  - რას? შუჰედას?
  - შუჰედას – არა, სუედას.
  - და რას ნიშნავს ეს სუედა?
  - რა ვიცი, თანავარსკვლავედია თუ რაღაც მსგავსი...
  - საიდან მოიტანე?
  - ბავშვობაში ერთი თოჯინა მყავდა და ბაბუაჩემმა სუედა და-არქვა. ძალიან, ძალიან მიყვარდა ის თოჯინა და სწორედ მამინ გა-დაეწყვიტე...
  - ეგ ხომ გოგოს სახელია?
  - დიახ.
  - კეთილი, მაგრამ საიდან იცი, რომ პირველი შვილი გოგო გვე-ყოლება?
  - როგორ თუ საიდან ვიცი? აბა, სხვა ვინ უნდა იყოს?
  - რა ვიცი... ჩვენ კი გვასწავლეს, რომ ხანდახან ბიჭებიც იბადე-ბიან...
- ასე და ამგვარად, გაუგებარი იყო – ვინ ვის შესთავაზა დაქორ-ნინება. ბევრი იცინეს, მერე კი დიდხანს ისაუბრეს წვრილმანებზე.

\* \* \*

იმ სალამოს ესინს სახლში ამ თემაზე კრინტიც არ დაუძრავს. არ იცოდა, რა რეაქცია ექნებოდა დედამისს და თავის შეკავება ამჯო-ბინა. ბავშვობიდანვე დედაზე მეტად მამას უფრო ახლობლად მიიჩ-ნევდა. პირველი მენსტრუაციაც დედას კი არა, ჯერ მამას ამცნო. გადაწყვიტა, ჯუნეითთან დაკავშირებული ამბებიც თავდაპირვე-ლად მამისთვის მოეყოლა და ჩათვალა, რომ ეს ბოლო წუთები სწო-რედაც რომ შესაფერისი იქნებოდა ამ საქმისთვის. მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა.

აეროპორტში რომ მივიდნენ, ჯუნეითი იქ დახვდათ. ესინის დანახვისთანავე მასთან მიირბინა და ჩანთები გამოართვა. შემდეგ სედათ ბეის მიესალმა. მისგან კი მხოლოდ ცივი „გამარჯობა“ მიიღო. სედათ ბეიმ ქალიშვილს თავდავიწყება შეამჩნია – ერთმანეთის გვერდი-გვერდ მიმავალ ქალ-ვაჟს რომ უყურებდა. მამა ესინისთვის უკვე ისეთი მნიშვნელოვანი აღარ იყო. ერთხანს საშინლად ეტკინა გული, მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა, რადგან გაიფიქრა: ბარტყს ფრენა უსწავლია, ეს როგორ გამომეპარაო.

თვითმფრინავის კუდი სანამ არ გაუჩინარდა, სედათ ბეის და ჯუნეითს იქიდან ფეხი არ მოუცვლიათ. შემდეგ პროფესორმა ჯუნეითი მანქანაში ჩაისვა და ქალაქამდე ერთად იმგზავრეს. გზაში ბევრი ისაუბრეს. უშუალო გარემომ ისინი კიდევ უფრო დააახლოვა. ის კი არა და პროფესორმა გზა გაიგრძელა და ჯუნეითი პირდაპირ საავადმყოფომდე მიიყვანა.

\* \* \*

ესინმა მაკიაჟის გაკეთება დასრულა, ლურჯი ხავერდის ქვედა ბოლო და კრემისფერი ბლუზი ჩაიცვა. სარკეში ჩაიხედა და წელზე ქამრის მორგება დააპირა. ამ დროს ოთახში ჯუნეითი შემოვიდა. ხელში მწვანე ჰალსტუხი ეჭირა.

– ეს გავიკეთო?

ესინი შემოტრიალდა. შეხედა:

– ჯუნეით, აბა, ამ პერანგზე ეს ჰალსტუხი იქნება?

გავიდა და სხვა ჰალსტუხით შემობრუნდა.

– აი, ეს მესმის, კარგია!

ორივენი სარკის წინ გაირინდნენ. ჯუნეითმა ცოლს მხრებზე მკლავები მოჰქვია:

– სარკეში სხვანაირად ლამაზი ხარ... ლოგინში – სხვანაირად...

ესინს გაელიმა, ქმარს ტუჩებზე მსუბუქად აკოცა.

ზარის ხმა გაისმა. გამოუარეს.

ანესთეზიის განყოფილების მიერ გამართულ ვახშამზე მიდიოდნენ.

ჯუნეითის მეგობარმა თურგაიმ ცოლთან – ფატმასთან ერთან მანქანით მოაკითხა. წინ ცოლ-ქმარი იჯდა, უკან – მათთვის უცნობი წყვილი. თურგაიმ ისინი ერთმანეთს გააცნო. ღამის კლუბამდე საკმაო გზა ჰქონდათ გასავლელი. ესინმა გაიფიქრა, ვაი თუ ბოლომდე ასე უნდა ვიმგზავროთ... ფატმა მღელვარებას მიუხვდა და უთხრა, რომ მათი მგზავრები ძალიან მალე გზად ჩავიდოდნენ.

– ოჟ... მე... – ამოისუნთქვა ესინმა, როდესაც მგზავრები გადავიდნენ.

ფატმა მიუბრუნდა:

– რა ხდება? ჩვენი სუედა ხომ არ შეწუხდა?

– სუედა არ ვიცი, მაგრამ ქვედა ბოლო სულ დამეჭმუჭნა. ვინ იყო ეს წყვილი?

- მამიდაჩემის ძველი მოწაფე ზეპრა. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ახლახან გათხოვდა და ქმართან ერთად მამიდაჩემს დასალოცად ესტუმრა. ჩვენც შევიარეთ და გზად გამოვიყოლეთ...
  - ამასობაში ქალაქს გასცდნენ და სანაპიროც გამოჩნდა.
- ნარინჯისფერი მზე ზღვაში ჩასასვენებლად ემზადებოდა და ადგილს ხმელთაშუაზღვისპირა ულამაზეს ბინდს უთმობდა.
  - თურგაი, რა იქნება, ჩქარა ნუ ვივლით, ისედაც უამრავი დრო გვაქვს, - შეევედრა ფატმა.
  - კარგი, ნელა ვიაროთ. თან დავტკბეთ... შეხედეთ, რა სასწაული დაისია...
  - მეთანხმები, მაგრამ შენსას არ იშლი... თანაც იცი, უკან სუედაზის. ზედმეტი სიჩქარე არ სიამოვნებს...
    - კარგი, კარგი, ნელა ვივლი...
  - სიჩქარეს უკლო და მანქანამაც სვლა შეანელა. ზღვიდან თბილი, ნოტიო სიო უბერავდა. ჯუნეითმა ცოლს თვალებში დაღლილობა შენიშნა. მისი ხელი თავის მტევანში მოიქცია და ოდნავ მოუჭირა. ესინმაც გაულიმა, მისკენ მიტრიალდა, ერთმანეთს თვალებში ჩაჰედეს. თურგაიმ მათ სარკეში ჩავლო:
    - ჰოპ... ჰოპ... ირგვლივ თქვენს მეტი არავინაა?
    - ყველას გაეცინა.
    - ჰო, მართლა, ახლა გამახსენდა. იმ ბავშვის მშობლები მოვიდნენ დღეს, - თქვა თურგაიმ.
  - ჯუნეითს ხელში კვლავ ესინის ხელი ეჭირა. თურგაიმ სარკეში გახედა. მოეჩვენა, რომ ჯუნეითი არ უსმენდა:
    - შენ გელაპარაკები, ჯუნეით...
    - ჰო, მესმის, დიალიზზე მყოფ ბავშვზე მელაპარაკები. დედა, მამა და 6 წლის საკოდავი და ჰყავს. დედას ტუბერკულიოზი აქვს, მამას - საშარდე გზების ინფექცია. რომელი ერთის თირკმელს გადაუნერგავ იმ საბრალოს?
    - იქ იყავი, მამამ რომ თქვა, ქალიშვილის თირკმელი გადაუნერგეთო?!
    - არ მკითხო. იქ ვიყავი. უნდა გენახა - როგორ გაცეცხლდა რიფათ ბეი. ცდილობდა აეხსნა, რომ ბავშვის თირკმლის გადანერგვა არ შეიძლება... ის კაცი კი არ ცხრებოდა - „რა მოხდება, მაინც გოგონაა; თუ ბედია, ღმერთი კიდევ მომცემს. თქვენ ბიჭი გადამირჩინეთო...“
    - სხვა ნათესავი არ ჰყავთ?
    - ჰყავთ, უამრავი, მაგრამ თირკმლის მისაცემად ყველა უარზეა.
    - გეყოფათ, - საუბარი შეაწყვეტინა ფატმამ, - ავადმყოფების გარდა სხვა სალაპარაკო არაფერი გაქვთ? თქვენი თვალსაწიერი ძალიან ვიწროა, ვიწროოო... - და ესინს მიუბრუნდა:
    - რა გვინდოდა, ღმერთმანი, ამ მოსაწყენ კაცებს რომ მივყვებოდით ცოლად?

- რა ვიცი, გავყევით და... აი, სუედას კი ექიმს ნამდვილად არ გავაყოლებ.
  - შეუყვარდება და გგონია შენ გკითხავს, ვის გაყვება? – მიუგო ჯუნეითმა.
  - თურგაი, ისევ მიაქანებ... ასი კილომეტრით შედიხარ მოსახვე-ვებში. გული მისკდება... – არ ცხრებოდა ფატმა.
  - მართალი ხარ, საყვარელო, მაპატიე.
  - სიჩქარეს უკლო.
  - დაღლილი ვარ და ალბათ ამიტომაც. ერთი სული მაქვს – მივიდეთ და დავისვენო. ერთი-ორი ჭიქა რაქი გაასწორებდა... დაბრუნებისას შენ უკან დაჯექი... ვინ იცის, ქალებს რამდენი სალაპარაო გაქვთ. გაუზიარებთ ერთმანეთს, აი, მაგალითად, როგორ აკეთებთ ფოლმას... მე და ჯუნეითი კი ჩვენს პაციენტებზე მშვიდად ვისაუბრებთ. თანაც, იცი, ცოტა არ იყოს, მძაბავ შენი შენიშვნებით.
  - ლამის კლუბს რომ მიუახლოვდნენ, მზე უკვე იძირებოდა. ზღვის მხარეს საგულდაგულოდ გაწყობილი გრძელი მაგიდა იდგა. იშვიათი საზოგადოება შეკრებილიყო. პატივცემულ ახალგაზრდა სტუმრებს კარშივე მიეგება პროფესორი მეუღლესთან ერთად. უწინ ასეთ შეკრებებს გამოცდაჩაბარებული ექიმები მასპინძლობდნენ. ბოლო წლებში კი წვეულებების ხარჯებს ყველა ინანილებდა და გამოცდაჩაბარებულები უკვე სტუმრებად ითვლებოდნენ.
  - ღმერთმანი, ფულს ჩვენ ვიხდით, მასპინძლობას კი თქვენ იჩემებთ, – უთხრა ჯუნეითმა პროფესორს.
  - ჩვენ მხოლოდ სუედას ვეგებებით, – მიუგო ექიმის მეუღლემ.
  - სუედა, სუედა... ძალიან მომაპეზრა თავი ამ ბავშვმა; ჯერ არ დაბადებულა და ჩვენ უკვე ჩრდილში მოგვაქცია. ამ ქვეყანას რომ მოევლინება, ალბათ ებუ-სუედას დამიძახებენ.
  - ეგ რას ნიშავს?
  - სუედას მამას.
  - მაგიდებზე დაწყობილ ბარათებზე საგანგებოდ მიეთითებინათ სტუმართა სახელები, რათა ყველას თავისი ადგილი სცოდნოდა.
  - ეს რაღაც ახალია, – აღნიშნა თურგაიმ.
  - პროფესორმა ასე ინება. ჩვენში არსებული ძველი ტრადიციების, ჰარამხანების და აშ. გამოა ალბათ... ქალებიც ხომ არიან...
  - არიან კი არა, ვართ, – შეუსწორა ფატმამ.
  - თურგაიმ ჯუნეითს გახედა:
  - სასმელი როდისლა დავლიოთ?
  - პროფესორის მოსვლამდე უხერხულია, ცოტაც მოვიცადოთ.
  - მე ნამდვილად ვეღარ მოვიცდი. წავალ და ერთ ჭიქას მაინც გადავკრავ.
- კლუბის ბოლოში ბარისკენ გაემართა.
- იცოდე, მხოლოდ ერთი! – ზურგიდან გააფრთხილა ფატმამ.
- თურგაი არ შემოტრიალებულა, თავი კი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

\* \* \*

ბევრი საუბრის, სიცილის, ხუმრობის, ჭამა-სმისა და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ სუედას სახელის ხსენების შემდეგ შუალამეც დადგა. ჯერ პროფესორი და მისი მეუღლე წამოდგნენ. ესინმაც მა-შინვე ანიშნა ჯუნეითს, რაც ფატმას არ გამოჰქონდა:

— კარგი, ჩვენც ვდგებით. გასაგებია, სუედას ძილი მოერია.

რამდენიმე წყვილიც გაემზადა ნასასვლელად. წინ — ესინი და ფატმა, უკან ჯუნეითი და თურგაი მიყვებოდნენ. ჯუნეითი ცოლის სიარულს აკვირდებოდა. კარში რომ გადიოდა, მიუახლოვდა, მკლა-უ გაუყარა და უთხრა:

— საყვარელო, ნეტავ იცოდე, როგორი ძვირფასი ხარ ჩემთვის!

ესინმა გაულიმა, თავი მისკენ მიატრიალა და რაღაც ჩასჩრეულა. ჯუნეითს მისი სიტყვები არ გაუგია, მაგრამ ზუსტად იცოდა, ასეთ დროს რასაც უპასუხობდა და სიყვარულით მკლავზე ხელი მო-უჭირა.

ფატმა მანქანის უკანა სავარძელზე მოკალათდა.

— ჯუნეით, შენ წინ დაჯექი. მე რომ დავჯდე, გზას თვალს ვერ მოვაშორებ და მოსვენებას დავკარგავ. უკან მე და ესინი დოლმის რეცეპტებზე ვილაპარაკებთ.

— ისედაც ასე არ შევთანხმდით? — მიუგო თურგაიმ.

რადიო გადმოსცემდა პროგრამას „ლამე და მუსიკა“. თბილ, ტე-ნიან ხმელთაშუაზღვისპირა ლამეში სანაპიროს გასწვრივ გზატკე-ცილს მიუყვებოდნენ. ცაზე უთვალავი ვარსკვლავი ბრჭყვიალებდა. ესინმა ჯუნეითს ცაზე მიანიშნა:

— შეხედე, რა ცაა?!

\* \* \*

ერთხელ, ჯერ კიდევ ქორწინებამდე, ღამის მატარებლით ისე იმ-გზავრეს, არავის გაუგია. ესინმა ჯუნეითს მისწერა, რომ შაბათ-კვი-რას ავადმყოფი ბებიის მოსანახულებლად სტამბოლიდან ანკარაში ავტობუსით გეგმავდა ჩამოსვლას. ჯუნეითმა მაშინვე დაურეკა და სთხოვა, თუ ნებას დართავდა, ანკარაში შეხვდებოდა და სტამბოლ-ში დაბრუნებისას მეგზურობას გაუწევდა. ერთმანეთს დათქმულ ადგილას შეხვდნენ. ორი დღე ანკარაში გაატარეს. ადგილების და-სამთხვევად ჯუნეითმა ესინს უკანა ბილეთი გამოართვა. საღამოს ცხრა საათისთვის ქუჩის კუთხეში დათქმულ ადგილას მივიდნენ. ესინი სიხარულს და, ამავე დროს, იდუმალ მღელვარებას მოეცვა, რადგანაც წინ ღამის მოგზაურობა ელოდა, როცა საყვარელი ადა-მიანის მხარზე თავის მიდებას შეძლებდა. მაგრამ, როდესაც ჯუნე-ითმა ავტობუსის ნაცვლად მატარებლის ბილეთები მოიტანა, გაოგ-ნებული უყურებდა, თუმცა უარი არ უთქვამს. აბა, რაღას იზამდა...

მატარებელი ათის ოც წუთზე დაიძრა. სანამ კონდუქტორი თეთ-რეულის დასაგებად მოვიდოდა, რაიმე ეჭვის თავიდან ასაცილებ-

ლად, კუპეს კარი ლია დატოვეს. თითქმის არ უსაუბრიათ, მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებში ჰქონდათ თავი ჩარგული; წაკითხულიდან კი, რაღა თქმა უნდა, სიტყვაც არ გაუგიათ.

კონდუქტორმა თეთრეული დააგო და გავიდა თუ არა, მაშინვე ჩაკეტეს კარი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დახურულ სივრცეში მარტო დარჩენენ. ერთხანს ფეხზე იდგნენ... ჯუნეითი ფანჯარას მიუახლოვდა, ასწია და კუპეში შუქი ჩააქრო... ესინს თავის-თან უხმო... მაისის გრილი ლამე იდგა.

— შეხედე, რა ცაა?!

მუქ ლურჯ ლამეში ვარსკვლავებით მოჭედილი ცა აციმციმებულიყო. ფანჯარას რომ მოშორდნენ, ერთხანს დაბნეულები იდგნენ; არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ამ წუთამდე ამდენი ხნით მარტო არასდროს დარჩენილან; ამდენი ვარსკვლავი ცაზე ასე ახლოს არასდროს უნახავთ. ჯუნეითმა ესინს ჩასჩურჩულა:

— ცა ასე ახლოს და ამდენი ვარსკვლავით აღარასდროს იქნება.

— მეძინება, — თქვა ცოტა ხანში ესინმა, — შენ ზედა საწოლზე დაწექი, მე— ქვევით. მაგრამ იცოდე, შუქი არ აანთო. სანამ არ დავწები, უკანაც არ მოიხედო.

მართლაც, ჯუნეითს არც შუქი აუნთია და არც უკან მოუხედავს, სანამ ამის უფლება არ მიიღო. შემდეგ კი ფანჯარა და ფარდა ჩამოუშვა, გაიხადა და ესინს გვერდით მიუწვა.

— ჯუნეით, რა იქნება, ზედმეტს ნუ ვიზამთ!

ერთმანეთს მხოლოდ ჩაეხუტნენ, მეტი არაფერი მომხდარა.

\* \* \*

— ვხედავ, მაგრამ ცა ისე ახლოს, თან იმდენი ვარსკვლავით, იმ ლამეს რომ იყო, აღარასდროს იქნება, — მიუგო ჯუნეითმა.

ამას რომ ეუბნებოდა, ხელი უკან წაიღო და მისკენ გადმონეულ ესინს მკლავზე თბილად, სიყვარულით მიეალერსა... ორივეს ხელი ცხელი ჰქონდა, ოდნავ სველიც.

თურგაი სულ ერთი წამით შეტრიალდა ჯუნეითისკენ:

— გამაგიშებთ თქვენ, რა ხალხი ხართ?! ერთი წუთით ვერ ის-ვე...

სიტყვა ვერ დაასრულა...

— თურგაი, — იყვირა ფატმამ.

...და ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა.

\* \* \*

ფატმამ იგრძნო, რომ სახეზე რაღაც თბილი ელვრებოდა. ხელი სახეზე მოისვა. შუშის ნამსხვრევები შერჩა. თვალებს ვერ ახელდა. ოდნავ მოისრისა და შეეცადა, გაეხილა. რატომ ბნელოდა ირგვლივ? სად იყო? რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. წინ, თურგაისკენ წაწევა მოინდომა... რაღაც ფიცარივით შერჩა ხელში. ნელ-ნელა გონს მოდიოდა. მუხლები და მკერდი სტკიოდა. რა მოხ-

და? მხოლოდ ისლა ახსოვდა, როგორ გამოვიდნენ ლამის კლუბიდან... და გზა... შემდეგ უცაბედად ფილმი გაწყდა. თვალები სიბნელეს რომ შეაჩვია, წინ ხის ფარდა დაინახა. მანქანაში იყო. მარტოდ-მარტო. თურგაი სად იყო? ესინი და ჯუნეითი? რა იყო ეს ხის ფარდა? მანქანა ნახევრად გვერდით გადაბრუნებულიყო. კარის გაღებას შეეცადა. ვერ გააღო. ესინის მხარეს კარი ლია იყო. იფიქრა, ალბათ გადავიდაო და იქით გაცოცდა... ქვევით ჩასრიალდა. ფეხზე ვერ დადგა, წაიქცა. კვლავ სცადა ადგომა. ვერ შეძლო. დაჯდა. გვერდით ვიღაც შენიშნა. ხელს უშვერდა და რაღაცის თემას ცდილობდა. არა-ფერი ესმოდა. ნეტავ, თუ იცნობდა ამ კაცს? არა, არ იცნობდა. მოტ-რიალდა და დაინახა, რომ მათი მანქანის თითქმის ნახევარი სატ-ვირთო ავტომანქანის ქვეშ მოქცეულიყო. კაცის დახმარებით წა-მოდგომა შეძლო. ოდნავ მოშორებით ესინი შენიშნა. იწვა. მიუახ-ლოვდა და მისკენ დაიხარა.

— ესინ, ესინ...

ხმას არ იღებდა... ან იქნებ ამბობდა კიდეც რამეს... მას კი არ ეს-მოდა?! ესინი პირალმა იწვა. მუხლი მუცლისკენ მოეხარა; ერთი შე-ხედვით, თითქოს არაფერი ჭირდა. დაიხარა, შეეხო. ისევ რაღაც უთხრა. უცბად რაღაც ნათება შენიშნა. მოსახვევში შემოსული მან-ქანის ფარებმა იქაურობა გაანათა. რამდენიმე ავტომანქანა ერთმა-ნეთის მიყოლებით გაჩერდა და ვიღაც ხალხი გადმოვიდა. ეს ხომ კლუბიდან წამოსული მათი მეგობრები იყვნენ. გაოგნებულები, დაბნეულები... უაზროდ დარბოლენენ, ყვიროდნენ... მათგან ერთმა ესინსა და ფატმასთან მიირბინა. ფატმა წამოდგა. სახე სისხლში ჰქონდა. მინის წამსხვრევები შესობოდა. ძლივს სუნთქავდა. კიდევ ორი კაცი მოვიდა. ფატმას აქეთ-იქით მხრებში ამოუდგნენ... ძლივს მოძრაობდა. ხელში აიყვანეს და მანქანის უკანა სავარძელზე დააწ-ვინეს. მანქანა სწრაფად მოწყდა იქაურობას.

ორი კაცი ესინისკენ დაიხარა. „ცოცხალია,“ — თქვა ერთმა. მეო-რე კი წამოხტა და დაიყვირა:

— ესინი აქ არის, ესინი აქ არის, ცოცხლია!

ამასობაში კიდევ რამდენიმე მანქანა გაჩერდა. ხალხი მოცვივ-და...

ფატმა სასწრაფო დახმარების განყოფილებაში მიიყვანეს. სახე-ზე — ნაკანრები, მუხლებზე ჭრილობები აღენიშნებოდა; რამდენიმე ნეკი მოტეხილი ჰქონდა. ტვინის შერყევა დაუდგინეს და საავად-მყოფოში მოათავსეს.

ესინი კი რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს. ცოცხალი იყო. დიახ, ცოცხალი, მაგრამ უგონოდ. სატვირთო მანქანას რომ შე-ეჯახნენ, ლია კარიდან გადავარდა და თავის მძიმე დაზიანება მიი-ღო. ტვინმა სიცოცხლე დაასრულა. დანარჩენ სხეულზე ერთი ნაკან-რიც კი არ აჩნდა.

რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ თურგაისა და ჯუნეითის დანაწევრებული სხეულების მანქანიდან გადმოტანას, მაგრამ მხოლოდ დილისკენ მოახერხეს.

\* \* \*

სედათ ბეი რეანიმაციაში ქალიშვილის სასთუმალთან იჯდა. კანონით ეს დაუშვებელი იყო, მაგრამ მის გაძევებას ვერავინ ბედავდა. თითქოს უპირატესობით სარგებლობდა, ექიმი რომ იყო... ანეს-თეზიოლოგი პროფესორის თანაკურსელი და ესინის მამა რომ იყო. ზურგზე ექიმის ხალათი მოახურეს და, ამგვარად, ეს უპირატესობა თითქოს გარეგნულად აღარ ჩანდა. ვინ იყო ეს მწოლიარე ავადმყოფი? მისი ქალიშვილი? ესინი? კისერზე წინა მხარეს ტრაქეაში შეყვანილი მილი ავტომატური სუნთქვის აპარატთან აერთებდა. შარდის კათეტერი საწოლის გვერდზე მიმაგრებულ პლასტიკურ ტომარაში იცლებოდა. თმებში ჩამაგრებული ნაცრისფერი ელექტროდებით ენცეფალოგრამის მონცყობილობა ტვინის სიცოცხლისუნარიანობის ხარისხს აჩვენებდა. მკერდზე და წვივებზე დაწებებულ ხუთექს ელექტროდს მავთულები მონიტორთან აერთებდა. მკლავზე წნევის აპარატი ეკეთა, ვენაში წვეთოვანი ედგა, ქუთუთოებზე კი სალბუნი ეფინა. ესინი იყო ეს მწოლიარე? ექიმის მრავალწლიანი ჩვევით უაზროდ გაუსინჯა მაჯა. თუმცა პულსაციას, სხეულის ტემპერატურას, გულის, სუნთქვის, ტვინის ფუნქციას მონიტორის ეკრანზე მწვანე ხაზები აჩვენებდა, რომლებიც დროდადრო ქრებოდა, ხან კი ისევ ინთებოდა. მაჯას ხელი გაუშვა, თმაზე ნაზად მოეფერა. თმის კულული ბალიშისკენ გაუწია.

\* \* \*

- მამა, თმას დამვარცხნი?
- დედამ დაგვარცხნოს.
- გთხოვ, შენ... რა მოგივა... დედა მტკენს.
- კარგი, ამ ერთხელაც.
- არაა, მამა, არააა, ორჯერ რა... გთხოვ.
- შენი ბაფთები სადაა?
- აი, მოვიტანე.
- კარგი, მოდი, წინ დამიჯექი. შვილო, ნუ ცქმუტავ, მოისვენე.

\* \* \*

მონიტორს უყურებს. გულის მაჩვენებლები ასე თუ ისე წესრიგშია. ტვინის... არ არის კარგი... გამოძვრება? ნეტავ თუ შეძლებს მობრუნებას? ოჰ, ეს ცუდი მაჩვენებლები... უკევ რამდენი საათია აქ ზის სედათ ბეი... პროფესორები, სპეციალისტები, ასისტენტები... შემოდიან, გადიან... ის არავის არაფერს ეკითხება. არავის ელაპარაკება. თითქოს ჰიპნოზი გაუკეთესო... გახევებული სახით, გაყინული მზერით მისჩერებია ქალიშვილს. რაღაც დროს მისი მეგობარი პრო-

ფესორი შემოდის და თავის ოთახში ჩაის დასალევად ეპატიუება. თავსაც კი არ წევს, მხოლოდ პასუხობს: „არა, გმადლობთ.“ გასვლისას კი მეგობარს ეკითხება:

- დედამისისგან რა ისმის?
- ხვალ პირველივე თვითმფრინავით ჩამოდის. შუადლისთვის აქ იქნება.

- რა უთხარი?

- ესინი ავარიაში მსუბუქად დაშავდა. შესაძლოა, ტვინის შერყევა ჰქონდეს, დაკვირვების ქვეშ უნდა იყოს-მეთქი. სედათ ბეი არაფერს პასუხობს.

ფანჯრებიდან შემომავალი მზის შუქი რეანიმაციის ოთახს საზარელ სანახავს ხდის.

მზე ჩერდება. მწვანე ლინოლეუმის იატაკს ალაგ-ალაგ ლაპლაპი გაუდის. სედათ ბეის ერთი ლექსი აგონდება:

„დღის შუქი ადგას იის კონას,

დღის შუქი ადგას ფუტკრის ფრთებს,

დღის შუქი აცისკროვნებს ჩემს ოთახს...“

ამის დროა ახლა? ვისია ნეტავ ეს ლექსი? ვერ იხსენებს. ექთანი ფარდას აფარებს. თავს წევს, აქეთ-იქით იყურება. და პირველად ალიქვამს მთლიანობაში აქაურობას, ამ ოთახს. თითქოს აქ საათები არ გაეტარებინოს. ახლალა აღმოაჩინა, რომ ირგვლივ სხვა ავად-მყოფებიც ყოფილან. ერთი მათგანი ნახევრად წამომჯდარია, ნორ-მალურად გამოიყურება. ახალგაზრდა კაცია. ალბათ ესინის ხნისაა. მათი თვალები ერთმანეთს ხვდება:

- გამოჯანმრთელებას გისურვებთ, ბიძაჩემო.
- გმადლობ, შენც.

ეს „გმადლობ“ ისე წარმოსთქვა, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობაზე პირველად დაფიქტრდა. ახალგაზრდა კაცი ნაწყვეტ-ნაწყვეტ აგრძელებს საუბარს. მგონი რალაცას ეკითხება. სედათ ბეის არაფერი ესმის, მის ნათქვამს ვერ აღიქვამს. ექთანი ავადმყოფს უახლოვდება და ეუბნება:

- ჩუმად, ლაპარაკი არ შეიძლება, თავს ნუ იღლი!

მამაკაციც თავს უქნევს და ემორჩილება.

ოთახში პროფესორი შემოდის:

- სედათ, ფაზილეთ ჰანიმი ჩამოვიდა. ჩემს ოთახშია. ესინის ნახვა უნდა. ვუთხარი, რომ სძინავს. თუ გინდა ახლა...

- კარგი, მოვდივარ.

ფეხზე რომ წამოდგა, დაქანცულობა იგრძნო. ცოლს ეს არ უნდა შეემჩნია. პროფესორი მეგობრის ოთახისკენ გაემართა.

- სედათ, რა მოხდა? რა ხდება? ლერთო!

- მნიშვნელოვანი არაფერია, საყვარელო. ჩვენების მანქანა გაჩერებულ სატვირთო ავტომანქანას მსუბუქად შეეჯახა. ესინს თავი აქვს დარტყმული. ცოტა არეულია. ახლა სძინავს.

- ჯუნეითი სადა? რა სჭირს?

სედათ ბეი დუმს. პროფესორი პასუხობს:

– პატარა მოტეხილობა ჰქონდა ხელზე, ოპერაციაზეა, უსწორებელი.

– ვაი... ვაი... შეიძლება ესინი მაინც ვნახო?

– შორიდან დაგანახებთ. ახლა თუ არ შევაწუხებთ, მისთვის უკეთესი იქნება. ძალიან სუსტადაა, თან სძინავს...

ფაზილეთ ჰანიმი მეუღლეს გამომცდელად დააკირდა: წვერი გაზრდია, საყელო შეხსნილი აქვს, ჰალსტუხი – მოშვებული... რაც იქორნინეს, გაუპარსავი არასდროს უნახავს. ყოველდღე სუფთა პერანგს იცვამდა და ახალ ჰალსტუხს საგულდაგულოდ იკეთებდა.

– რაღაცას მიმალავ.

– მართალი ხარ, გიმალავ, – სედათ ბეიმ ეს ისე წარმოსთქვა, თითქოს ხუმრობდა. ამან ფაზილეთ ჰანიმი ცოტა დაამშვიდა.

– რა მოხდება, შორიდან მაინც შევხედავ.

სამივენი რეანიმაციული განყოფილებისკენ გაემართნენ. პროფესორმა კარი შეაღო. ფაზილეთ ჰანიმს ვერ გაეგო, საით გაეხედა. რამდენიმე ავადმყოფი იწვა. თითქოს სიკვდილ-სიცოცხლეს შორის იყვნენ. რომელი მათგანი იყო ესინი? სად იწვა? ყველას სათითაოდ დააკვირდა. მათ შორის თითქოს ერთი ქალი ჩანდა. ის იყო? სხეულის ყველა ნანილზე ასობით მავთული ჰქონდა მიერთებული. ყელიდან გამოსულ მილთან შეერთებული ბალონი რითმულად იძერებოდა და იჩუტებოდა. ვენაში წვეთოვანი ედგა. თავთან ეკრანზე მზვანე ხაზები ციმციმებდა. ცხვირიდან გამომავალი გრძელი მილი ასპირატორს უერთდებოდა. ქუთუთოებზე სალბუნი ეფინა...

– სედათ, ეს რა არის?! რა ხდება, სედათ?! ეს რა...

მუხლები მოეკეცა, თავი ვეღარ დაიმაგრა... რომ არ დაცემულიყო, ქმარს მხრებზე ჩამოეკიდა...

– აჲ... ეს რა არის, სედათ?! ჩემი ესინი... ჩემი შვილი... აჲ! სედათ, ეს რა ხდება?

პროფესორი და ასისტენტი აქეთ-იქით მკლავებში ამოუდგნენ. ფეხებს ძლივს მიათრევდა. უკან გახევებული სედათი მიჰყვებოდა. სახის არც ერთი ნაკვთი არ უთრთოდა. ფაზილეთ ჰანიმი პროფესორის ოთახში გასასინჯ მაგიდაზე დააწვინეს. მოიკრუნჩა და გაშეშდა. შემდეგ კანკალმა აიტანა, კრიჭა შეეკრა. თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული. ვერ ტიროდა. რაღაც ნემსი გაუკეთეს, უანგბადის ნიღაბი ჩამოაცეს. ცოტა ხანში გონზე მოვიდა. ღმუოდა.

– ჩემი ესინი, ჩემი გოგო! ჩემი ყვავილი...

ეს სიტყვები ჩურჩულივით ამოსდიოდა პირიდან. სედათ ბეი სავარძელში მოკუნტული ჩასვენებულიყო. დახუჭული თვალებიდან ორივე ლოყაზე თითო ცრემლი ჩამოუგორდა. არ შეიმჩნია, თითქოს სათვალეს ისწორებსო, ისე შეეცადა მოწმენდას.

– მე ესინთან მივდივარ, – თქვა და გავიდა.

შუშის დერეფანი გაიარა და მზერა გარეთ გაექცა. შუადღე გადასულიყო. ბალში სტუდენტები ირეოდნენ. ზურგიდან ერთი გოგო-

ნა ესინს მიამსგავსა. სიარულის მანერით ძალიან ჰგავდა – ისიც მარჯვენა თეძოს მარცხენაზე მეტად ამოძრავებდა. თითქოს ფეხი ქვას წამოჰკრაო, მსუბუქად წაბარბაცდა გოგონა.

\* \* \*

ესინმა ტირილით მოირპინა:

- მამა, ისევ წავიქეცი. თან ზუსტად წატკენზე.
- შვილო, სულ ახლა გაიკეთა კანი... ხომ გითხარი, ფრთხილად იყავი-მეთქი?
- ვიყავი...
- რა იყავი?
- ფრთხილად ვიყავი, მაგრამ ზღვიდან რომ ამოვედი, ფეხი გა-დამიბრუნდა. ნახე, ქვიშით გამევსო...
- გაგისუფთავებ.
- ვაი, ძალიან მტკივა, მამა. გთხოვ, არ გამისუფთავო, უფრო მეტკინება.
- არ გეტკინება. მე შენ ცხვირის წვერზე ისე გაკოცებ, რომ სა-ერთოდ ვერ გაიგებ ტკივილს. გტკივა?
- ცოტა მტკივა. ვაი, იოდი არ წამისვა, მამა, რა იქნება, ძალიან ამენვება.
- იოდი არ არის, ეს წითელი წამალია...

\* \* \*

ექთანმა ფარდა გადასწია. რეანიმაციის ოთახი საღამოს მეწა-მულმა გაავსო. ტვინის ელექტროსკოპი უზესრიგოდ მუშაობდა, ძლივს ბეჭუტავდა. გულის ელექტროდი ნორმაში იყო. ხელოვნური სუნთქვა რითმულად მიმდინარეობდა. ასისტენტი წვეთოვანის თითქმის ჩაცლილ შუშას ცვლიდა. სედათ ბეი ასისტენტის ყელზე ჩამოკიდებულ სტეტოსკოპს მიაჩერდა.

- შეიძლება, ერთი წუთით სტეტოსკოპი გთხოვოთ?
- რა თქმა უნდა, ბატონო.
- აბა, ვნახოთ, რას გვიჩვენებს.

\* \* \*

- მამა, ამ საღამოს ვახშამზე მოვდივართ. გამოგვივლი?
- დედაშენმა იცის?
- დიახ, დავურეკე. საყვარელი სიძისთვის ბადრიჯნიანი ქაბაბი მოუმზადები.

საავადმყოფოდან უკანა გზაზე ესინსა და ჯუნეითს გაუარა და შინ ერთად მივიდნენ. სავახშოდ რომ დასხდნენ, ესინმა უთხრა:

- მამა, თვალები დახუჭე და პირი გააღე.
- ეს რას ნიშნავს?
- მე და ჯუნეითს სიურპრიზი გვაქვს.

- პირის გაღებასთან ამ სიურპრიზს რა კავშირი აქვს? რამე საჭ-  
დელია?
- არა, მამა, ისე ვთქვი.
- სიურპრიზი მხოლოდ ჩემთვისაა? თუ დედაშენისთვისაც?
- დედამ უკვე იცის, ტელეფონში ვუთხარი.
- ჯარვი, აბა, რა სიურპრიზია?
- ჯუნეით, შენ თქვი.
- ბაბუა ხდებით, ბატონო, და...
- რააა... ნამდვილად? ეჰე... ღმერთმა დაგლოცოთ! ტესტი გაი-  
კეთეთ?
- დიახ, გავიკეთეთ.
- რა ხნის ორსულობაა?
- სუედამ ერთი თვის ნინ გადაწყვიტა, ამქვეყანას რომ უნდა  
მოევლინოს.

\* \* \*

სედათ ბეიმ სტეტოსკოპი ყურებზე გაიკეთა, ესინს მუცელზე  
რამდენიმე ადგილას ფრთხილად დაადო და მოუსმინა. შემდეგ ასის-  
ტენტს გაუწოდა და მადლობა გადაუხადა.

- სუედას გულისცემა მოვისმინე. წესრიგშია, – თქვა.
- ასისტენტი მაგიდასთან მჯდომ მეგობარს მიუახლოვდა, რომე-  
ლიც რაღაცას წერდა. მისკენ დაიხარა და ხმადაბლა ჰკითხა:
- კი მაგრამ, ემბრიონის გულისცემა ასე ისმინება?
- არა, ჩემო კარგო.
- აბა, როგორ?
- თავს იტყუებს. ახლა ნახე, რეფლექსს უმოწმებს, არა?
- სედათ ბეიმ ესინის ქუსლი ხელში დაიჭირა, ტერფზე ქვევიდან  
ზევით ნემსი აუსვა; აკვირდებოდა – ცერა თითს თუ აამოძრავებდა.  
ასე სასიცოცხლო ნიშანს დაინახავდა. თითი არ გატოკებულა. ერ-  
თხანს უმოძრაოდ ეჭირა ხელში ქალიშვილის ქუსლი. ორი ასისტენ-  
ტი შორიდან შეუმჩნევლად ადევნებდა თვალს.

\* \* \*

- ვაი, მამა, ქუსლი ძალიან მტკივა. მენვის მამა, ვაი... დავინვი.
- ნლების ნინ იყო... ბაირამზე სედათ ბეის დედასთან ანკარაში გა-  
ემ ზავრნენ. ძილის ნინ ქალიშვილს აპანავებდა. წყალი თითქოს არ  
ზავდებოდა და ესინი სლუკუნებდა: ხან „დავინვი, ძალიან ცხე-  
ლიაო!“, ხან ეი – „გავიყინე, ძალიან ცივიაო“. სედათ ბეი მოთმინე-  
ბას კარგავდა. გაღუმბულიყო და მოხრილი დგომისგან უკვე წელიც  
ძალიან სტკიოდა. ფეხს რომ ბანდა, ესინი კვლავ ანიკვინდა – აქ ძა-  
ლიან მენვისო. სედათ ბეიმაც ყვირილი მორთო და ერთი-ორი მის-  
ცხო კიდეც პანანინა ფეხზე. ბავშვი შეშინდა და უხმოდ, თავისთვის  
განაგრძო ტირილი. დაბანა დაასრულა, პირსახოცში გაახვია და

ლოგინისკენ ნაიყვანა. ფეხს რომ უმშრალებდა, ესინმა მორიდებით უთხრა:

– მამა, გთხოვ, აქ ძალიან მტკიცა.

სედათ ბეიმ დახედა და ქუსლის თავზე წითელი იარა შენიშნა. ახლადნაყიდ სადღესასწაულო ფეხსაცმელს, როგორც ჩანს, ფეხი გადაუქლებშია, ქუსლთან წყლილი გაუჩენია, დაბანის დროს კი გამსკდარა და კანი გადაპყვლეფოდა. ახლადა მიხვდა სედათ ბეი, თუ რატომ სლუჯუნებდა ესინი და გაიძახოდა „აქ ძალიან მენვისო“... მისცხო კიდეც საპრალო ბავშვს... დაიხარა და ფეხზე აკოცა. ძალიან ფრთხილად გაუმშრალა ფეხი.

– ახლა ხომ აღარ გტკენ?

– არა, მამა.

ამ პასუხმა სედათ ბეი არ დააკმაყოფილა. ფეხზე ნაზად აკოცა და შემდეგ ფრთხილად დაუდო საწოლზე.

\* \* \*

ორმა ასისტენტმა ერთმანეთს გადახედა.

– დაინახე?

– კი.

რეანიმაციაში ორი ექთანი შემოვიდა. ერთმანეთს ლიმილით ესაუბრებოდნენ. მათი მორიგეობა ინყებოდა. ერთმა ექთანმა, რომელმაც ესინს წვეთოვანი გამოუცვალა, ახალმოსულს მორიგეობა გადააბარა, დაემშვიდობა და გავიდა.

ექთანი ექიმს მიუახლოვდა, რომელიც მაგიდის უკან მდგარ სავარძელში ნახევრადმძინარე მიწოლილიყო და ფეხები სკამზე შემოენყო.

– ტკბილად იძინეთ. ამ საღამოს ბევრი საქმე არაა.

– ხუთი წუთი, ხუთი წუთიც... ოცი საათია, არ მიძინია...

მეორე ექთანი ესინთან მივიდა, სედათ ბეის მისი გამოჯანმრთელება უსურვა, ვენაზე დახედა, წვეთოვანი შეუმონმა, თეთრეული გაუსწორა, ხელები ზემოდან დაუწყო, მხრები თეთრეულიდან გაუთავისუფლა. დოლბანდი დაასველა და სახეზე, ყელზე და მხრებზე მოუსვა.

– რამდენი ხალი აქვს! – გაუღიმა სედათ ბეის.

მაშინვე მიხვდა, რომ მისი ნათქვამი უადგილო იყო. სედათ ბეის პასუხი არ გაუცია. ექთანი ნელ-ნელა გაეცალა იქაურობას და თავისი მეგობრისკენ გასწია, რომელიც ასისტენტს ჩურჩულით ესაუბრებოდა და უღიმოდა.

\* \* \*

– მამა, რატომ მაქვს ამდენი ხალი?

– იმიტომ, რომ ზანგი უნდა ყოფილიყავი, მაგრამ არ გამოვიდა.

– მამა, სერიოზულად გეკითხები.

- მეც სერიოზულად გპასუხობ. შენ რომ გაიზრდები, ხალებიც გაიზრდებიან, გაერთიანდებიან და ბოლოს მაინც ზანგი გახდები.
- არააა... დედააა... მართლა ზანგი გავხდები, რომ გავიზრდები?
- არა, ჩემო გოგო, არ გახდები. სედათ, რას ერჩი ბავშვს, არ გრცხვენია? ვერ ხედავ, ამ სალამოს ხასიათს რომ უფუჭებ?!
  - კარგი, მაგრამ რატომ მაქვს ამდენი ხალი?
  - იმიტომ, რომ დედაშენი შენზე ორსულად რომ იყო, სულ სეზა-მიან სიმითებს მიირთმევდა. შენც ასეთივე სეზამიანი სიმითო გა-მოხვედი. მოდი ერთი შევჭამო ეს სიმითო, ვნახო, გემრიელი თუა.
  - მე გავიჯცევი.
  - ერთი უნდა დავიჭირო ეს და ჩავკბიჩო...
  - აუუუ...
  - სედათ, გეყოფა! შეეშვი ბავშვს! დაწოლის დრო მოვიდა...
  - მოდი, ჩემო სეზამიანო სიმითო, ძილის ნინ ერთი უნდა ჩაგ-კოცნო.
  - არ მოვალ, მიკბენ.
  - არ გიკბენ, გპირდები.
  - შენი წვერი შემერჭობა...

\* \* \*

სველი ნაჭერი აიღო, ექთანმა კომოდზე რომ დატოვა, და ესინს მოეფერა, თითქოს სახეს, ყელს უწმენდდა.

ექთანი მოვიდა. მონიტორს დახედა. შემდეგ ასისტენტს რაღაც ჩასჩურჩულა. ასისტენტი ნელ-ნელა წამოდგა. თითქოს შემოვლა-ზეაო, ჯერ სხვა ავადმყოფების მონიტორებს შეავლო თვალი და ბო-ლოს ესინის მონიტორთან შეჩერდა. დააკვირდა. სედათ ბეიც მას-თან ერთად უყურებდა. სწორი ხაზი ძლივს ბუუტავდა. ტვინი უკვე ალარ მუშაობდა. გულის ელექტრონის მუშაობაც არეული და შე-სუსტებული იყო. ძალა დაეკარგა. სისხლის წნევაც ეცემოდა. მაჯის-ცემა 100-120 შორის მერყეობდა. შარდის ტომარას შეხედა. წვეთო-ვანი გაუსწორა. თავისი მაგიდისკენ ისე გასწია, სედათ ბეისთვის არაფერი უთქვამს. ესინის საქმეში ჩანაწერი გააკეთა. ექთნებს რა-ღაც უთხრა და გავიდა.

ცოტა ხანში სხვა ექიმთან ერთად დაბრუნდა. ესინის საწოლთან მივიდნენ. ექიმმაც მონიტორს დახედა, შემდეგ – საათს. მაგიდისკენ შეტრიალდა. მანაც საქმეში რაღაც ჩანერა და გავიდა.

სამი-ოთხი კაცი შემოვიდა. მათ შორის სედათ ბეის მეგობარი პროფესორი – ტრანსპლანტაციის განყოფილების გამგე – დოქტო-რი რიფათ დურანილიც იყო. მაგიდასთან მივიდნენ, რაღაცას ბჭობ-დნენ... სედათ ბეი მათ თვალს არ აშორებდა. ცალი ხელი ესინის მუ-ცელზე ედო. პროფესორი მიუახლოვდა, ხელი მხარზე დაადო.

- სედათ, შენ ექიმი ხარ და ხედავ, რაც ხდება. მშვენივრად იცი, რომ ესინი, ისევე როგორც შენი, ჩემი ქალიშვილიცაა; როგორც შე-

ნი, ასევე ჩემი „სეზამიანი სიმითიცაა“. ჩემს ხელში დაიბადა. „ძიას“ რომ მეძახდა, კანკალი მიტანდა. ქორწილში მისი ხელისმომკიდე ვიყავი. შენამდედა ჯუნეითამდე ჯერ მე მომეხვია და მაკოცა.

- ამით რისი თქმა გსურს? რას ცდილობ?
- წამოდი, ჩემს ოთახში ვისაუბროთ.
- არ წამოვალ! თუ რამის თქმა გინდა, აქ მითხარი!
- სედათ, წამოდი, ჩემთან გავიდეთ.
- არა!
- სედათ, ამ მონიტორებს ხომ უყურებ?! ძალიან მნარეა, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ!
- და რა არის სიმართლე?!
- ესინი ბიოლოგიურად ცოცხალი აღარაა. ხელოვნური სუნ-თქვის აპარატით ვაცოცხლებთ. თუ გამოვრთავთ, სუნთქვას შეწყვეტს.
- და რისი თქმა გინდა?
- სედათ, ჩემთვის ძალიან ძნელია ამის თხოვნა, მაგრამ ჩემს გარდა ვერავინ ბედავს. ჩვენ ძველი მეგობრები ვართ, ძმებივით ვართ.
- კი ბატონო, რას მთხოვ?
- სედათ, ერთი ავადმყოფი გვყავს – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით. თვეებია, დიალიზზეა. ოჯახში დონორობას ვერავინ უწევს. ტესტი გაუკეთეს. ესინის თირკმელი გამოდგება. ტრანსპლანტაციის გუნდი გუშინდელი დღიდან მზადყოფნაშია და თუ ნებას მოგვცემ, ესინის თირკმელს გადაუნერგავენ.
- სედათ ბეიმ მეგობრის ხელი მხრიდან მოიშორა.
- ესინი შენი ქალიშვილიც იყო, არა?! შენი ქალიშვილი?! მაგრამ სუედა შენი შვილიშვილი არ არის? სუედას ბიძობაზე ხელი აიღე? მეც ვიცი, რომ ესინი ბიოლოგიურად ცოცხალი აღარაა. უკვე რამდენი საათია, რაც მოკვდა. მაგრამ მის მუცელში ჯანმრთელი სუედაა. მის სხეულში ჩემი შვილიშვილია და ის ცოცხალია. ასე აშკარად როგორ მოგაკვლევინოთ?! ან უფრო რბილად გეტყვით – როგორ დავხეუჭო თვალი იმაზე, რომ სასიკვდილოდ გაწიროთ?! ის ხომ ჯერ არ მომკვდარა?! ცოცხალია. აი აქ, ჩემი ხელის ქვეშაა.
- ამას რომ ამბობდა, სედათ ბეი ხელით ესინს მუცელს უფარავდა
- თითქოს რაღაცისგან იცავდა.
- სედათ, როგორ ამბობ ასეთ რამეს? ესინის გულმა თუ არ იმუშავა, სუედა როგორლა... ნუ მაოცებ. რას მალაპარაკებ?! შევეცდები, სხვანაირად აგიხსნა. დედის გულმა თუ არ იმუშავა, ემბრიონს სისხლი საიდან მიეწოდება? როგორლა იცოცხლებს ნაყოფი დედის გული თუ გაჩერდა?
- არ ვიცი... დიახ, ამ წამს ესინი მოკვდა, მაგრამ სუედა ჯერ კიდევ ცოცხალია. რამე იღონეთ და მისი სიკვდილი არ დაუშვათ!
- ნეტავ რამე შეგვეძლოს!
- არ ვიცი. მაგრამ რამე ქენით! საკეისრო გაუკეთეთ!

– ხუთი თვის ორსულს?!

სედათ ბეიმ მონიტორს გახედა, რომელიც სწორ ხაზს აჩვენებდა. სისხლის წნევა ნულზე იყო. ხელი თანდათან ესინის მუცელს მოაშორა, ხელზე აკოცა, ფრხილად ისევ თავის ადგილზე დაუდო და ჯერ ლოყაზე, შემდეგ კი მუცელზე ნაზად მოეფერა. ადგა.

– წავიდეთო, – თქვა.

ასისტენტი და ექიმი ესინს მიუახლოვდნენ. კათეტერები, წვე-თოვანები, ელექტროდები, ტრაქეის მიღები მოხსნეს. ხელები გაუს-ნორეს და სხეულს ზენარი გადააფარეს. ექთანმა საწოლის ირგვლივ ფარდა ჩამოაფარა. ნახევრადნამომჯდარი ავადმყოფი მათ თვალს არ აცილებდა. მას ექთანი მიუახლოვდა, თმა გაუსწორა, ფარდა გა-დაუწია და ძილი ნებისა უსუსრვა. ასისტენტმა ავადმყოფის ისტო-რიაში ჩანაწერი გააკეთა.

\* \* \*

სატვირთო ავტომანქანის მძლოლის ადვოკატმა გვამის გაკვეთა მოითხოვა. მეორე დღესვე გაკვეთეს. ვრცელ და დეტალურ ოქმში პროკურორის ყურადღების მიღმა დარჩა ორი წინადაღება:

„მუცლის მარჯვენა მხარეს 12 სმ სიგრძის ახალი განაკვეთი; მარჯვენა თირკმელი ოპერაციულად (ტრანსპლანტაციისთვის) ამო-ლებულია. საშვილოსნო – დიდი, ხუთი თვის ორსული, სავარაუდოდ, მამრობითი სქესის ემბრიონით.

## **მემდუჟ შევქეთ ესენდალი, ბედის ფრინველი თარგმანი თურქულიდან ასმათ ჯაფარიძისა**

მემდუჟ შევქეთ ესენდალი (1883-1952) თურქ ჩეხოვს უწოდებენ. იგი ნოველის უანრის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მისი მოკლე მოთხრობები რიგით, უბრალო ადამიანებსა და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზეა. ამასთანავე, იგი იყო დიპლომატი, პოლიტიკოსი, თურქეთის პარლამენტის ოთხი მოწვევის დეპუტატი. მივლენილი იყო ელჩიდ თეირანში, ბაქოსა და ქაბულში. მისი ნოველები, ერთი მხრივ, სისადავით, ხოლო, მეორე მხრივ, ემოციურობით გამოიწევა. ერთ-ერთი მათგანია „ბედის ფრინველი“.

### **ბედის ფრინველი**

რა მშვენიერია ცხოვრება, როცა ხარ ახალგაზრდა კაცი, გაქვს პროფესია, მუშაობ ინჟინრად, იღებ შევებულებას, მიდიხარ მშობლებთან; დროს ატარებ მეგობრებთან, ნათესავ და მეზობელ გოგონებთან ბალჩებში, ზღვის ნაპირზე, დაბურულ ტყეებში. თანაც თუ ხარ სიმპა-თიური, შარმიანი, ყველა გილიმის და ტკბილ სიტყვებს გეუბნება. ამ დროს კაცს გამხმარი ხეებიც კი გაზაფხულის ყვავილებით მორთული ეჩვენება. სამწუხაროდ, ეს ბედნიერი დღეები უცდებ გარბის. მთავრდება შვებულება, შორდები ძვირფას ადამიანებს, ბრუნდები სამსახურში და თან მიგყვება მათი მონატრება. ახალგაზრდა ქალებს, უფრო მეტად კი მათ მშობლებს, ბიძებს, დეიდებს, გული წყდებათ, თუ თავაზიანი, ნარ-მატებული ახალგაზრდა კაცი ისე გაატარებს შევებულების დღეებს და ისე წავა, რომ არავინ შეუყვარდება და ნიშნობის ბეჭედს არავის დაუტოვებს. თუ ყმანვილი მოეწონათ, ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან. პატიუებენ სადილად, სასეირნოდ. უღიმიან. ყველა დედა თავისი მდგომარეობისა და ალზრდის შესაბამისად აკეთებს იმას, რაც შეუძლია. ახალგაზრდა კაცს თუ არავინ მოეწონება და ისე წავა, ეწყინებათ. ზურგს უკან დაძრახავენ კიდეც.

ახალგაზრდა ქალები უფრო მორცხვები, უფრო თავშეკავებულები არიან. ფრთხილობენ, უკან დასახევ გზას იტოვებენ, რომ გული არ ეტკინოთ და თავი დამცირებულად არ იგრძნონ, თუ ყმანვილ კაცს ისინი არ მოეწონება და სხვა გოგოს შეარჩევს. ასეთ შემთხვევაში ისინი ამბობენ, რომ თავად არ მოსწონდათ ეს ახალგაზრდა კაცი.

ახალგაზრდა ქალებისთვის ყველაზე საშიშნი არიან ის ყმანვილები, რომლებსაც მოსწონთ მეზობლის გოგონებისთვის იმედის მიცემა. თუ მიუხვდნენ ეს უკანასკნელნი, ასეთ ტიპებს მნარედ დასცინებენ, შეუბრალებლადაც კი. ამიტომ ფრთხილობენ კარგი ხასიათის ბიჭები, ცდი-

ლობენ ახალგაზრდა ქალებისგან თავი შორს დაიჭირონ, რათა მათ იმე-დი არ მიეცეთ და შემდეგ მათი დასაცინი არ გახდნენ.

ჰაირი სითქი ელისლის ვაჟია. სითქი ელისლი ვაჭრობით ირჩენს თავს. სოფლის მეურნეობასაც მისდევს. ჰაირის ცხრა დედმამიშვილი ჰყავს. მათ შორის ხუთი დაა. ჰაირიმ საქმეს მოჰკიდა ხელი. სურდა, ცოლი მოეყვანა. მცირე თანხა გადანახული ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა, კიდევ დაემატებინა და შემდეგ დაქორნინებულიყო, რათა მამას ტვირ-თად არ დასწოლოდა.

დედამისი და მამამისი კი იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ დაექორნინებინათ თავიანთი ვაჟი. ნათესავებმა, ნაცნობებმა, მეზობლებმა იცოდნენ, რომ მათ ჰაირის დაოჯახება სურდათ. ამიტომ როცა ჰაირი ჩამოვიდა, ახალგაზრდა ქალების მშობლები მას ისე ათვალიერებდნენ, როგორც სასიძოს. ჰაირი უკვე ალარ იყო ის სკოლის მოსწავლე ბიჭი, დაკაცდა, გასიმპათიურდა, ზუსტად საქორნინო ასაკში იყო. ეს შეუმ-ჩნეველი არავის დარჩენია.

მართალია, ჰაირი ჯერ არ აპირებდა დაქორნინებას, მაგრამ იმ გარემომ, რომელშიც მოხვდა – გოგონებმა, წვეულებებმა, მეგობრების გახუმრებამ, გულთბილმა დახვედრებმა (განსაკუთრებით ეს გულთბილი დახვედრები, თბილი სიტყვები ადამიანს მოვალედ ხდის) – მას დაქორნინებისკენ უბიძგა. შვებულების დღეები ილეოდა. ჰაირის უჭირდა აქედან ისე წასულიყო, რომ რომელიმე გოგოსთვის რამე არ ეთქვა. ისიც გაიგო, რომ ერთ-ერთ გოგოზე ჭორაობდნენ კიდეც. ერთხელ ერთმა მეგობარმა ჰკითხა მას:

- მართალია, რომ სეზას ირთავ ცოლად?
- გამომყვება?
- გამოგყვება, რატომ არ უნდა გამოგყვეს?!
- რა ვიცი! ხომ შეიძლება, არ გამომყვეს!
- შენ ნებისმიერი გამოგყვება.

სეზა ადვოკატ ფეჭმის შვილია. კარგი გოგოა. ჰაირისაც თვალში მოსდიოდა. ნეტა ხალხი როგორ მიხვდა ამას? ახალგაზრდა ქალსა და ვაჟს შორის ერთი სიტყვაც არ თქმულა, შეხედვითაც არ შეუხედავთ ერთმანეთისთვის. თუმცა ჰაირის სიამოვნებდა, მათზე რომ ჭორაობდნენ. ნეტა სეზა რას ფიქრობდა ამის შესახებ? ჰაირიმ ეს არ იცოდა. ნეტა ხალხმა რატომ დააწყვილა ისინი? როგორ უნდა მოიქცეს ახლა? უნდა დაქორნინდეს ამ გოგოზე? სეზას ოჯახი მას ხშირად მასპინძლობდა. ჰაირიმ თავის ჭორიკანა მეგობრებს არაფერი არ უნდა უთხრას, უნდა მივიდეს და თვითონ სეზას ერთხელ მაინც დაელაპარაკოს.

ვინც ბევრს ფიქრობს, ის ცოლს ვერ მოიყვანს. ან უცებ უნდა გადაწყვიტო და დაოჯახდე ან საერთოდ ვერ დაქორნინდები. თუ გოგო თანახმა იქნება, ნიშნობაც შედგება, შემდეგ კი ვნახოთ, რა მოხდება.

მშობლებსაც უნდათ, რომ ცოლი მოიყვანოს. მერედა რა ტკბილია, გყავდეს ლამაზი დანიშნული და იყო მისგან შორს.

ერთ დღესაც ჰაირი სეზას სახლისკენ გაემართა. ფიქრობდა, თუ მას მარტოს ნახავდა, გულს გადაუშლიდა, თუ არადა, ცალკე დასალაპარაკებლად დღეზე შეუთანხმდებოდა.

ბალში შევიდა. სახლის კარისკენ რომ მიდიოდა, მებალემ მიაძახა:

– ჰატარა ქალბატონი ბალშია.

ამ კაცმა საიდანლა იცოდა, რომ ჰაირის პატარა ქალბატონის ნახვა სურდა?! ესე იგი მეტ-ნაკლებად ყველას აქვს ინტუიცია... ასეა ნამდვილად. ამ სახლში მებალე, მზარეული, მოსამსახურე სხედან და მათზე ლაპარაკობენ, ფიქრობენ, რომ ისინი ერთმანეთის შესაფერისი არიან.

სეზა შეუკარიდან ბალში ჩასულიყო. ჰაირი მისკენ წავიდა. სეზა უკან ბრუნდებოდა და ერთმანეთს გზაში შეხვდნენ. ქალს ჰაირის დანახვისას გული აუფანცქალდა, გაფითრდა. იფიქრა, მალე წასვლას აპირებს და, ალბათ, დასამშვიდობებლად მოვიდაო. ძნელია განშორება. ვინ იცის, რა მოხდება, სანამ ისევ ნახავენ ერთმანეთს... თუ დასამშვიდობებლად მოვიდა, ალბათ, დედასაც ნახავს. სეზა მას სადილად მიიპატიუებს.

ჰაირის წინასწარ მოფიქრებული არ ჰქონდა, თუ რა უნდა ეთქვა, როგორ დაეწყო ლაპარაკი. დაინახა თუ არა სეზა, უთხრა:

– კარგია, რომ შეგხვდით, თქვენთან ცალკე მინდოდა დალაპარაკება.

შემდეგ კი ცოტა დაიმორცხვა.

გზის პირას ჩამოსხდნენ ძველი კარის ფიცრებისგან გაკეთებულ სკამზე. ჰაირიმ არ იცოდა, როგორ დაეწყო. ცოტა დაფიქრდა და თქვა:

– მინდოდა, მეკითხა, თუ რას ფიქრობთ იმის შესახებ...., აი...., დაოჯახებაზე.... ამბობენ, რომ თურმე ჩვენ ვქორწინდებით. გუშინ ურლაში რომ მივდიოდი, ერთულრული და მე მანქანაში მარტონი ვიყავით. მანაც მკითხა, მართალია თუ არა, რომ ქალბატონი სეზა მოგყავს ცოლადო. ეს მართალიც შეიძლება იყოს და ტყუილიც. მე პასუხი ვერ გავეცი, რადგან თქვენთან ამ საკითხზე არ მიღაპარაკია. მისთვის არაფერი მითქვამს. უბრალოდ ვკითხე, თუ ვისგან გაიგო ეს ყველაფერი. ბიცოლათქვენს უთქვამს. სხვებიც ასე ფიქრობენ. ჩვენ კი ერთმანეთთან არ გვიღაპარაკია...

ჰაირი გაჩუმდა. სეზამ დაუდევრად თქვა:

– ბოლო დროს ჩვენთან ხშირად მოდიოდით და, ალბათ, ამიტომ იფიქრეს ასე.

– ალბათ. მე მინდოდა გამეგო, თქვენ რას ფიქრობდით ამ საკითხზე.

– ჩემი აზრით, სიმართლე უნდა უთხრათ. უნდა თქვათ, რომ ეს ტყუილია.

ჰაირი შეცბა, თითქოს ისეთი რამ გაიგონა, რასაც არ ელოდა. შემ-დეგ კი უთხრა:

—დიახ, მე ვერ გადავწყვიტე, მასე მეპასუხა....

—რატომ? თქვენ სხვანაირად ფიქრობთ?

—არა, მეც ზუსტად ისე ვფიქრობ, როგორც თქვენ, მაგრამ მინდო-და, თქვენთვისაც მეტოთხა....

—ჩვენთან რაღაცების გამოგონება უყვართ. რაც არ მომხდარა, იმაზე ამბობენ, რომ მოხდაო.

—დიახ.

—იმისათვის, რომ ეს ჭორები შევაჩეროთ, სიტყვა მოკლედ უნდა მოვუჭრათ.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, სეზა ფიქრობდა: „რა მემართება, ამას რას ვლაპარაკობ?“ შემდეგ ჰკითხა:

—თქვენც ასე ფიქრობთ?

—მეც თქვენსავით ვფიქრობ. — უპასუხა ჰაირიმ.

საუბარი დამთავრდა. ვერცერთმა მათგანმა ვეღარ მოძებნა სიტყ-ვა, რომ რამე ეთქვა. ჰაირის აღარ უნდოდა სეზასთან მარტო დარჩენა. ფეხზე წამოდგა.

—თქვენის ნებართვით, წავალ. — თქვა მან.

—რატომ? სადილად არ დარჩებით? დედას არ ნახავთ? — სეზამ ისე-თი მოძრაობა გააკეთა, თითქოს მისი მიპატიუხება უნდაო.

—არა! — უთხრა ჰაირიმ. მე ამაზე სალაპარაკოდ მოვედი თქვენთან. სახლში სტუმარი გვყავს.

კარისკენ წავიდნენ. სეზამ გულის არეში ტკივილი იგრძნო. უნდო-და, ეთქვა: „შეჩერდით, ამით არ დამთავრდება ეს ყველაფერი. ხვალ კი-დევ მოდით, მე დავფიქრდები“. მაგრამ არ უთხრა. ბოლოს ესლა ჰკითხა:

—ხომ არაფერი გენწყინათ?

—არა, რა უნდა მწყენოდა?

—რა ვიცი, თქვენ, კაცები, უცნაურები ხართ. უცებ გწყინთ ყველა-ფერი...

სეზამ თვითონაც არ იცოდა, თუ რისი თქმა სურდა ამ სიტყვებით.

ჰაირის ხმა არ ამოუღია. მხოლოდ გაიღიმა, თითქოს უნდოდა ეთ-ქვა, რა უნდა მწყენოდაო. იგი მხოლოდ თავის დაკვრით აპირებდა დამ-შვიდობებას, მაგრამ ქალმა ხელი გაუწოდა. სეზამ იგრძნო, რომ ჰაირის არ ჰქონდა ხელის ჩამორთმევის სურვილი. სეზა კარის წინ იდგა. ჰაირი წავიდა. ქალი უკნიდან დიდხანს უყურებდა, სანამ ვაჟი თვალს არ მიე-ფარა.

როცა ჰაირი ქუჩაში მარტო დარჩა, გაიფიქრა: „რა სულელი ვარ. ამის სათქმელად მოვედი აქ? რა სისულელები ვიღაპარაკე. როგორ ჭკვიანურად გამაჩუმა! ალბათ, იფიქრა, რომ მამამისის ფულის გამო მინდოდა მისი ცოლად შერთვა. ამიტომ მომექცა ასე ცივად. სხვებიც

მპატიუებდნენ სახლში. ვინ მეგონა თავი მე საცოდავს? საერთოდ არ ვაპირებდი ცოლის მოყვანას. მერე საიდან გამოვაცხვე ეს დაქორწინება? რომ მდომებოდა კიდეც, უნდა დავფიქრებულიყავი. ახია ჩემზე, რაც დამემართა! რა კარგად გამომაგდო... ახლა, ვეცოდები, ალპათ. სხვებსაც ეტყვის. ერთად შემიცოდებენ... ახია ჩემზე, შემიცოდონ. ჭულის სასწავლებელი იყოს ეს ჩემთვის. იქნება ჭკუა ვისწავლო და მეორედ ასეთი სისულელე აღარ ჩავიდინო. რა სულელი ვარ, მეგონა ყველა ქალი ჩემზე იყო შეყვარებული".

როცა ჰაირი წავიდა, სეზა ბალში შევიდა, კარი მიხურა და გაჩერდა.

— ღმერთო ჩემო! — თქვა თავისთვის. — ჩემი ცოლად თხოვა ნდომებია. მე კი მეგონა, რომ ბედრიე უყვარდა. თურმე მე მოვწონდი. არადა სულ არ ეტყობოდა. ახლა რაღა გვეშველება?! მორჩა, დამთავრდა. არა-ფერიც აღარ ეშველება ამ საქმეს. როგორ მოვიქცე? გავეკიდო და მოვაბრუნო?

სეზა დაბნეული იყო. გადაწყვიტა დედისთვის მოეყოლა ყველაფერი, იქნებ ერთად ეპოვათ გამოსავალი. სახლში შევიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დედას ოთახში წასულიყო, თავის ოთახს მიაშურა და ჩაიკეტა.

დედამ გაიგო, რომ ჰაირი მოსულა მათთან, რამდენიმე წუთი სეზასთან ულაპარაკია, სეზას იგი კარამდე მიუცილებია, შემდეგ კი თავის ოთახში ჩაკეტილა. დაინტერესდა, თუ რაში იყო საქმე და სეზას ოთახში შევიდა.

სეზა საწოლზე პირალმა იწვა, თითქოს სძინავსო. ქალი საწოლს მიუახლოვდა. შვილს თმა გადაუწია, მისი სახის დანახვა სურდა. სეზამ თავი გადასწია, რათა დედას არ დაენახა, რომ ტიროდა.

დედა ფიქრობდა, რომ ჰაირის სეზა უყვარდა და არც სეზა იყო გულ-გრილი ვაჟის მიმართ. ჰაირი წასვლას აპირებდა, ახალგაზრდა ქალმა ვერ გაუძლო განშორებას და ამიტომ ტიროდა. ასეთია ახალგაზრდობა. დედამ სეზას უთხრა:

— ადეექი, პირი დაიბანე, უნდა ვისადილოთ.

სეზამ თავი ბალიშში ჩარგო და ასლუკუნდა.

— ალპათ, სეზასა და ჰაირის შორის რაიმე უსიამოვნება მოხდა. — გაიფიქრა დედამ. თმა კვლავ გადაუწია შვილს და ჰკითხა:

— მითხარი, აბა, რა მოხდა?!

შემდეგ კი იფიქრა, რომ სეზა ახლა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომც ჰერონდა მოყოლის სურვილი, მაინც ვერაფერს ეტყოდა. ამიტომ უთხრა:

— მე მივდივარ, შენ პირი დაიბანე და ჩამოდი, მამაშენიც ახლავე მოვა.

წავიდა და სეზა მარტო დატოვა.

ყმაწვილი ქალი ლოგინში იწვა. ფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ჰაირის უთხრა ის, რისი თქმაც არ უნდოდა. გაახსენდა,

რომ ერთხელ კოლეჯში მისმა მეგობარმა ხელი ღრმად გაიჭრა, როცა თავისი ძმის პალტოს არღვევდა. სეზამ მას ჰქითხა, თუ როგორ მოახერხა ხელის გაჭრა. მეგობარმა უთხრა:

- როცა ხელს ვიჭრიდი, იქ არ ვიყავი.
- რას ნიშნავს, იქ არ იყავი, სხვა რამეზე ფიქრობდი?
- არა, სხვა რამეზე არ ვფიქრობდი.
- დანა გაგექცა?
- არა, არც დანა გამქცევია. ვუყურებდი და ვამბობდი, ახლა ხელს გავიჭრი-მეთქი და გავიჭრი.
- ოოჟ, ქევსერ, ნუ დამცინი!
- ლმერთმანი, არ დაგცინი. ვუყურებდი და ასე გავიჭრი. ვერავის ვერ ვაჯერებ, შენ მაინც გამიგი.
- როცა ჰაირისთან საუბრობდა, სეზა იქ არ იყო. თითქოს ჰაირი სხვა გოგოს ხელის სათხოვად იყო მოსული. ახლა კარგად ესმოდა ქევსერის.
- ნეტა მეც თითო გამეჭრა. - გაიფიქრა სეზამ.
- მეორე დღეს ბიცოლამ ჰქითხა:
- რატომ უთხარი ასეთი რამ, შვილო?
- გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა, როცა ამ სიტყვებს ვეუბნებოდი, იქ არ ვიყავი. - უპასუხა სეზამ.

როდესაც დედამ და ბიცოლამ გაიგეს, თუ რაში იყო საქმე, ცოტა ინერვიულეს. ბიცოლა მიდგა-მოდგა, ჰაირის დედას ელაპარაკა. მაინც ვერ გაიგო, თუ რას ფიქრობდა ვაჟის მხარე. როგორც უთხრეს, ჰაირი იმ დღეს აიდინში წასულა, იქიდან ჩამოვიდოდა და შემდეგ სამსახურში აპირებდა დაბრუნებას.

ელოდნენ. გეგმებიც დასახეს. ჰაირი რომ დაბრუნდებოდა, ვახშმად დაპატიჟებდნენ. მის მშობლებსაც მიიწვევდნენ და ასე მოგვარდებოდა ეს საქმე.

სეზა უიმედოდ იყო. ეშინოდა, რომ დედა და ბიცოლა არასწორად მოიქცეოდნენ, ჰაირი კი გაჯიუტდებოდა. თუმცა სხვა რა უნდა გაეკეთებინათ, ვერ ხვდებოდა.

იცადეს ერთი დღე, ორი დღე. არც მომსვლელი ჩანდა, არც წამსვლელი. მოგვიანებით გაიგეს, რომ ჰაირი აიდინიდან პირდაპირ სამსახურში წასულა. აქედან მისი პირადი ნივთები გაუგზავნიათ.

ბიცოლამ ახალი გეგმები დასახა, მაგრამ სეზამ უთხრა:

- არ გინდა, ამ ამბავმა ჩაიარა. ტყუილუბრალოდ ნუ წვალობთ. უარესია. ამ საქმიდან ალარაფერი გამოვა. რომც გამოვიდეს, მე ალარ მინდა. ეს სიტყვები თქვა და ატირდა.

ერთ დღეს სეზამ და მისმა მეგობარმა ნერგიზმა გადაწყვიტეს, რომ ჰაირისთვის ნერილი მიეწერათ, გრძელი ნერილი, სადაც ყველაფერს აუხსნიდნენ. ორივენი მიუსხდნენ მაგიდას. რამდენიმე გვერდი დაწერეს. წაიკითხეს, მაგრამ არცერთს არ მოეწონა. სეზამ უთხრა:

— აქ უკვე ყველამ გაიგო ჩვენი ამბავი. ჰაირის ყურამდეც მიაღწევდა. ბესიმე (ჰაირის და) მაინც აუცილებლად მისწერდა, რადგან მეც ძალიან ვუყვარვარ. ჰაირი გაიგებდა ამ ყველაფერს და რომ უნდოდეს, თვითონ მომწერდა წერილს. ჩვენ რაღასთვის მივწეროთ.

ილაპარაკეს და გადაწყვიტეს, მოკლედ მიეწერათ. დაწერეს რამდენიმე სტრიქონი: „წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, კიდევ ერთხელ დაგუბრუნდეთ იმ საკითხს, რომელზეც ბოლოს ვილაპარაკეთ?“

სეზამ ეს წერილი დახია.

— არა, — თქვა მან — რამე ცუდი რომ მომწეროს, გული მეტკინება. ახლაც ვერ ვპატიობ ჩემს თავს. ბედის ფრინველი ჩვენს სახლში მოფრინდა, ჩემს თავზე აპირებდა დაჯდომას. მე კი ეს ვერ შევამჩნიე. გაფრინდა, წავიდა. ახლა კი იცადე, რომ კიდევ მოვიდეს.

ალარ მისწერეს. გავიდა ერთი წელინადი. ჰაირის დიდხანს სიცოცხლე არ ეწერა. გარზანში მაღარია შეხვდა. გარდაიცვალა სტამბოლში. სეზამ ძაძა ჩაიცვა და ბევრი იტირა.

გაიარა ექვსმა წელმა. ბედის ფრინველმა კიდევ შეიარა მათ სახლში. ერთ ქვრივ კაცს უნდოდა სეზას ცოლად თხოვა, ბატონ ენისს. ჰაირის შემდეგ ენის ბეი. საშუალო ასაკის, უწყინარი კაცია. თავდაჭერილ ადამიანს ჰეავს. ამბობენ, რომ კარგი ადამიანია. სეზას ბევრი არ უფიქრია. გადმოიღო ჰაირის ფოტო, რომელსაც კარადაში ინახავდა და დადო მაგიდაზე. ამ დაღლილ ბედის ფრინველს ამჯერად საკუთარი წებით აუქნია ხელი და გააფრინა.

ରେବେଳ୍‌ଟାଇମ୍ସ

**Review**



## **ნომადი ბართაია**

**შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი ირანში“, შემდგენლები:  
ჯემშიდ და ელენე გიუნაშვილები. თბილისი, 2016(2017), 288 გვ.**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის საზოგადოების სახელით და საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების თანადგომით, 2016(2017) წელს თბილისში სპარსულ ენაზე გამოვიდა კრებული „შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ირანში“, რომლის შემდგენლები არიან ცნობილი ირანისტები – პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი და ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ელენე გიუნაშვილი. ნიგნი ეძღვნება რუსთაველის დაბადების 850 წლისთავს.

კრებულში შესული წერილებიდან 15 ეკუთვნის ირანელ ავტორებს, 7 – ქართველებს, 1 – არაბსა და 1 – ინგლისელს. ნიგნში თავმოყრილია სამეცნიერო ლიტერატურა რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ, რომელიც 1934 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული იყო სპარსულენოვან სივრცეში.

კრებულს ქართულ ენაზე უძღვის ჯემშიდ გიუნაშვილის ვრცელი მეცნიერული შესავალი, რომელიც სწორ მეგზურობას გაუწევს რუსთაველისა და აღმოსავლური სამყაროს თემატიკით დაინტერესებულ მკითხველს.

ორას წელზე მეტია, რაც „ვეფხისტყაოსანი“ ითარგმნება მსოფლიოს ხალხთა ენეპზე, მაგრამ, ბოლო ხანებამდე არ თარგმნილა „ესე ამბავი სპარსული“ სპარსულად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1966 წელს, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, პოემის ცალკეული თავების პოეტური თარგმანის გამოქვეყნებას.

ასევე, მცირე იყო სპარსულ ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურაც პოემის შესახებ, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ირანელებს არ ჰყავდათ ქართველოლოგები (გამონაკლისია ქართულის ერთადერთი მცოდნე – ლიტერატურათმცოდნე ფარშიდ დელშადი).

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში არსებობს ირანისტიკის მსოფლიოში სახელგანთქმული საუკუნოვანი სკოლა, რომელიც ენციკლოპედიურად განათლებული მოღვაწის, სპარსულიდან მთარგმნელის, მეფე ვახტანგ მეექესის მიერ 1712 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემიდან იღებს სათავეს.

ქართულ-სპარსული მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლა არსებითად ცალმხრივი იყო: ძირითადად, ქართველები დაინტერესებულნი იყვნენ სპარსული მწერლობითა და ლიტერატურული კონტაქტებით, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა და ირან-საქართველოს შორის პირვე-

ლად დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა, იგი ორმხრივი გახდა. ამის ნათელი შედეგია „ვეფხისტყაოსნის“ ორი თარგმანის შესრულება სპარსულ ენაზე: ფარშიდ დელშადისა (1998 წ.) და მოპამად ქაზემ იუ-სეფ ფურის მიერ (2000 წ.).

წინამდებარე კრებულის შემდგენლისა და ავტორის, გამოჩენილი ირანისტის, პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროში თავიდანვე შედიოდა რუსთაველის შედევრისა და ქართული კულტურის ისტორიის შესახებ სამეცნიერო ინფორმაციის ფართოდ მინოდება ირანის საზოგადოებრიობისთვის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში ჯემშიდ გიუნაშვილის რედაქციით თბილისში მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნების ინსტიტუტის გრიფით გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტების ირანელი ემიგრანტის მორთება ფათემის მიერ შესრულებული პოეტური თარგმანი.

გამოცემას ახლდა ბატონ ჯემშიდ გიუნაშვილის ვრცელი (17 გვერდი) შესავალი, რომელშიც განხილული იყო XI-XIII საუკუნეებში საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, პოემის მოკლე შინაარსი, ძირითადი იდეები, პოეტიკის საკითხები და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ სპარსული თარგმანის ეს პირველი გამოცემა მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ საკითხით დაინტერესებული როგორც ირანული სამეცნიერო ნორებისთვის, ასევე, ირანში მცხოვრები ქართველი თანამემამულებისათვის.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩიად ყოფნისას (1994-2004 წწ.), ჯემშიდ გიუნაშვილის დიდი ხელშეწყობით თეირანის აღამე თაბათაბაის უნივერსიტეტის მაგისტრანტმა, ფარშიდ დელშადმა, შესარულა საკვალიფიკაციი ნაშრომი თემაზე: „ვეფხისტყაოსანი – შოთა რუსთაველის შედევრი“, გამოკვლევა, რომელსაც დართული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის სპარსული პროზაული თარგმანი. ნაშრომი მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა 1998 წელს საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემათა სერიის მე-7 ნომერში, თეირანში (გამოცემისთვის პასუხისმგებელი პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი იყო).

უაღესად დიდია ბატონ ჯემშიდ გიუნაშვილის, როგორც დიპლომატის წვლილი ირან-საქართველოს კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობათა განვითარებაში. ამ ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში საეტაპო მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსნის“ სისტემური კვლევისა და პოემის სრული ტექსტის სპარსული პროზაული თარგმანის პირველი გამოცემა.

დავუბრუნდეთ განსახილველ კრებულს „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ირანში“. მოგვაქს კრებულის ავტორებისა და მასალების ჩამონათვალი:

- საიდ ნაფისი, „სპარსული ლიტერატურა საქართველოში“;
- ჰამზე სარდადვარი (თალებზადე), „ვეფხისტყაოსანი“;
- როინ მეტრეველი, „საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება XI-XII საუკუნეებში“;
- ალექსანდრე ბარამიძე, „შოთა რუსთაველი“;

- დავით კობიძე, „რუსთაველი და სპარსული ლიტერატურა“;
- ჰამიდ ზარინქუბი, „ვეფხისტყაოსანი“;
- მორთეზა ფათემი, „განმარტება „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“;
- ფარშიდ დელშადი, „ვეფხისტყაოსანი“ – შოთა რუსთაველის შე-დევრი“;
- მაჟმუდ ებადიანი, „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს კულ-ტურისა და ლიტერატურის ოქროს ხანა“;
- მოჯალალედინ ქაზაზი, „ზოგი რამ შოთა რუსთაველის „ვეფ-ხისტყაოსნის“ შესახებ“;
- ვენერა ურუშაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარ-გმნელის წინასიტყვაობა“;
- დევიდ ლანგი, „ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის წინა-სიტყვაობა“;
- გურამ ჩიქოვანი და ნიზარ ხალილი, „ვეფხისტყაოსნის“ არაბუ-ლი თარგმანის წინასიტყვაობა“;
- მაგალი თოდუა, „ვეფხისტყაოსანი“ – იუსეფ ფურისეული თარ-გმანის წინასიტყვაობა“;
- მოჰამად ქაზემ იუსეფ ფური, „რამდენიმე სიტყვა მკითხველს“;
- ახთარ რასული, „რუსთაველი“;
- ბაბაქ როშნუზადე, „ვეფხისტყაოსანი“,
- სეიდ ჰოსეინ ფათემი, ფაეზე არაბი იუსეფ აბადი, „შოთა რუს-თაველის ჰოემის მორფოლოგია“;
- ფაეზე არაბი იუსეფ აბადი, სეიდ ჯავად-მორთეზაი, სეიდ ჯა-მალ ვაზირი მაჟმუბი, „ნიზამის „ხოსრო და შირინის“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შედარებითი შესწავლა“;
- მაჟვაშ ვაჟედდუსთი, „განსაცდელების დაძლევის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“;
- ჯემშიდ გიუნაშვილი, „ზოგი რამ რუსთაველის „ვეფხისტყაოს-ნის“ შესახებ“.

ჩვენ მხოლოდ ავტორთა და მათი წერილების სათაურების ნუსხით შემოვითარებულეთ, თუმცა გვინდა მკითხველის ყურადღება ერთ მათ-განს მივაპყროთ. ეს არის გამოკვლევა „ნიზამის „ხოსრო და შირინის“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შედარებითი შესწავლა“.

როგორც ცნობილია, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნემ-დე სასულიერო იყო, საერო მწერლობა კი მეთორმეტე საუკუნიდან იღებს სათავეს და მისი გვირგვინია „ვეფხისტყაოსანი“. ქართული საე-რო მწერლობის აღზევებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა (ადრე)-კლასიკურ სპარსულ ლიტერატურას.

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების შედარე-ბითი კვლევა საქართველოში საუკუნეზე მეტია, რაც მიმდინარეობს, ხოლო ირანში ახლა ისახება. ამ ფონზე ირანელი ავტორების ასეთი ნაშ-რომის გამოქვეყნება მისასალმებელია.

მიუხედავად იმისა, რომ „ესე ამბავი სპარსული“ რეალურად არ არ-სებობს, ზოგიერთისთვის მაინც არ კარგავს აქტუალობას სპარსულ სამყაროში მისი ძიების სურვილი და დღემდე არსებობს მცდარი თვალ-

საზრისი, რომ პოემა რუსთაველმა თარგმნა სპარსულიდან ქართულად. მიზეზი ამ აზრისა, უპირველეს ყოვლისა, ტერმინ „თარგმანის“ შინაარსის გაგებაში უნდა ვეძიოთ, რაფგან ეს ტერმინი რუსთაველის დროს ნიშნავდა: „განმარტებას“, „ინტერპრეტაციას“, „გაგებას“ და არა თარგმნას დღევანდელი გაგებით.

ტერმინოლოგიურმა პრობლემამ იქამდე მიიყვანა ერთი თანამედროვე მკვლევარი ფ. კურცვაილი, რომ რუსთაველი მთარგმნელად გამოაცხადა და არა პოეტად, რასაც ჩვენ არგუმენტირებულად ვუპასუხეთ (დაინტერესებულ პირს შეუძლია ფ. კურცვაილის სტატია: „რუსთაველი იყო დიდი მთარგმნელი და არა პოეტი“ და ჩვენი პასუხი: „წერილი ჟურნალ „ქარავანის“ რედაქციის“ იხილოს რუსულენოვანი ელექტრონული ჟურნალის „ქარავანის“, 2017 წ.-ის 50-ე და 51-ე ნომრებში).

ირანში რუსთაველისადმი ინტერესი მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან იწყება, რაც უკავშირდება იური მარის, ვლადიმერ ფუთურიძის, საიდ ნაფისისა და ჰამზე სარდადვარის სახელებს.

1934 წელს, ფირდოუსის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისში ჩამოსული იყო ირანელი მეცნიერი, პროფესორ ჰამზე სარდადვარი, რომელსაც შეხვდნენ ირანისტები იური მარი და ვლადიმერ ფუთურიძე. ბატონმა ვლადიმერ ფუთურიძემ პროფესორ სარდადვარს გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსის შემცველი ტექსტი, რათა მას სპარსულ ლიტერატურაში მსგავსი რამ დაეძებნა, მაგრამ ასეთი რამ იქ არ აღმოჩნდა.

დღეისათვის რუსთაველის პოემა („ესე ამბავი სპარსული“...) სპარსულად ნათარგმანები გავიდა არა მარტო ირანში, არამედ მთელ სპარსულენოვან სამყაროში.

ჯემშიდ და ელენე გიუნაშვილების მიერ შედგენილი წიგნი „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ირანში“ ხელს შეუწყობს როგორც „ვეფხისტყაოსნის“, ისე, ზოგადად, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების პრობლებატიკის სამომავლო სილრბისეულ კვლევას.\*

\* 2019 წლის მაისში მეშპედის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო ფორუმზე, „შაპ-ნამე აბრეშუმის გზაზე“, რომელშიც მონაწილეობდნენ ირანელი და ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი აღმოსავლეთ-მცოდნე-ირანისტები, მრავალმხრივ თემათა შორის წარმოდგენილი იყო მოხსენება „ვეფხისტყაოსანი ირანში“ (მომხსენებელი – ელენე გიუნაშვილი). აქვე შედგა გამოცემული კრებულის პრეზენტაცია.

## ნინო სამხონია

ოთარ გაბუნია, შუამდინარული წარლვნის მითი, თბილისი, 2019,  
გამომცემლობა „ლოგოსი“, 357 გვ.

ოთარ გაბუნიას წიგნი „შუამდინარული წარლვნის მითი“, წარლვნის მითის ბიბლიური ვერსიის შუამდინარული წყაროების კვლევას ეძღვნება.

ნაშრომის შესავალში გაანალიზებულია შუამდინარული ლიტერატურული ტრადიცია ბიბლიურ პარალელებთან მიმართებაში არსებულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით. ოთარ გაბუნია საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს, აღნიშნავს, რომ მსგავსად საბერძნეთის მიერ დაპყრობილი რომაელებისა, რომლებიც კულტურული თვალსაზრისით პოლიტიკურად დამორჩილებული ქვეყნის გავლენის ქვეშ მოექცნენ, ისევე აქადელებიც ინტელექტუალურად უფრო მაღლა მდგომი შუმერული გავლენის ქვეშ მოექცნენ. ძველი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა სწორედ შუმერულიდან გადაიღეს დამწერლობა. შესაბამისად, ლიტერატურული სისხლი ბიბლიაში სავარაუდოდ უშუალოდ პირველწყაროდან არ შეჭრილა, არამედ ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხების – აქადელების, ხურიტების, ხეთების ლიტერატურიდანაც.

ოთარ გაბუნიას წიგნში შუამდინარული წარლვნის მითი<sup>1</sup> გამოკვეთილიას შუმერული ტრადიცია, რაც ბაბილონური მწერლობის გავლით აისახა ბიბლიურ წერილობით წყაროებში. განხილულია ბიბლიის ის საკითხები, სადაც შუამდინარული გავლენები იკვეთება: სამყაროს შექმნა, ადამიანის შექმნა და შექმნის მეთოდი (ჯერ ჩანაფიქრი, შემდეგ შექმნა), სამოთხე, წარლვნა და ა.შ. შუამდინარული ტრადიციის უხუცესები, რომლის გამოძახილაც ავტორი ბიბლიურ პატრიარქებში ხედავს, ერთობ მნიშვნელოვანი ინოვაციაა სამეცნიერო მიმოქცევაში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შუმერულ ეპოსებში, რომლებიც ურუქის მეფე გილგამეშის წინაპრებს დაუნერიათ, უხუცესების მეტაფორად სწორედ წარლვნამდელი მამები ფიქსირდება.

ნაშრომის შესავალში ყურადღება გამახვილებულია „ბაბილონის გოდოლზე“, სადაც ო. გაბუნია ეთანხმება კრამერის მოსაზრებას, რომ ეს მოტივი შუმერული წარმოდგენებით უნდა იყოს ნასაზრდოები. სწორედ ძველი შუმერული ეპოსის „ერთ ენაზე საუბრის“ იდეა, რაც ენმერქარის ეპოსის ე.წ. ნუდიმუდის ლოცვაში ფიქსირდება და მშვიდობის, კოსმიური წესრიგის მეტაფორად გვევლინება.<sup>2</sup> აღსანიშნავია შუამდი-

<sup>1</sup> ო. გაბუნია, შუამდინარული წარლვნის მითი, ლოგოსი (თბილისი, 2019).

<sup>2</sup> ო. გაბუნია, შუამდინარული წარლვნის მითი, 22.

ნარულ ლიტერატურაში ბიბლიური იობის მოტივის დაფიქსირება, რა-ზეც ნაშრომის პირველ თავშია გამახვილებული ყურადღება. წიგნში დამოწმებულია 1906 წ. გამოცემული ტექსტი უურნალში „A Babylonian Parallel to the Story of Job“, ტექსტი ნაკლებად ცნობილია და 150 სტრიქონს შეიცავს, სადაც მოთხრობილია ყოველგვარი სიკეთით აღვისლი კაცის ულოგიკო დაცემა. აღსანიშნავია, რომ არსებული საკითხის სამეცნიერო კვლევა შესრულებულია ფართო სპექტრით, რასაც მოწმობს სრულიად არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ხელახალი გადამუშავება-გააზრებამე-19 საუკუნის მიწურულიდან დღემდე. ოთარ გაბუნია იმოწმებს 215 სამეცნიერო ნაშრომს სხვადასხვა ევროპულ ენებზე. წიგნში ასევე მკითველი იხილავს წარლვნის მითის ყველა შუამდინარული ტექსტის ოთარ გაბუნიასეულ თარგმანს მისივე კომენტარებით, ტექსტობრივ ანალიზს. წიგნს ერთვის შუმერულ-აქადური და აქადურ-ქართული ლექსიკონები, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი. დაბოლოს შუამდინარულ წყაროთა ამსახველი ლურსმული ფირფიტები – ავტოგრაფიები: შუმერის მეფეთა სია, ზიუსუდრას მითის ლურსმული ტესტის დედანი(ავტოგრაფია), ახალი შუმერული ფრაგმენტი 3514 შუამდინარული წარლვნამდელი დინასტიების შესახებ (ტექსტის ავტოგრაფია), ათრახასისის ეპოსის ლურსმული ტექსტის ავტოგრაფია (208 სტრიქონი) და ფრაგმენტული ტექსტი (გვ. 387-396), უთნაფიშთის ტექსტის ლურსმული ტექსტის ავტოგრაფია („გილგამეშიანი“, XI დაფა 8-204 სტრიქონი).

ლურსმული ტესტების თარგმანი ზემოთ ჩამოთვლილი დანართები-დანაა შესრულებული, რაც ოთარ გაბუნიას წიგნის უმთავრესი ღირსებაა და უფლება აძლევს ადგილი იქონოის საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიური იობის შუამდინარული პარალელი-სათვის, ოთარ გაბუნიას მოძიებული და დამუშავებული აქვს ყურადღების მიღმა დარჩენილი შუმერული ტექსტი. შუმერულ მწერლობაში, ანალოგიური მოტივი – ულოგიკო სასჯელი ასევე ქ. ურის, ნანნას ტაძრის პიმნებში ფიქსირდება, კერძოდ პიმნში IN-NIN-ŠA-GUR<sub>4</sub>-RA. რაც ქალ-ლმერთ ინანას შეუცნობელ ხასიათს მიეწერება და წუთისოფლის სიმუხთლის მეტაფორადაც შეიძლება მოვიაზროთ.

ნაშრომში მეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი შუამდინარული ლიტერატურის და არსებული ბიბლიური პარალელების ეტაპობრივი კვლევა-ძიება:

1. შუამდინარული წარლვნის მითების თარგმანი ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებით;
2. ბიბლიური წარლვნის მითის სტრუქტურა და წყაროები;
3. გამოყენებულია კომპარატივისტული მეთოდი, რის საფუძველ-ზეც მოძიებულია კავშირები შუამდინარულ და ბიბლიურ წარატივებს შორის წარლვნის მითთან მიმართებაში;

ნაშრომის II თავში წარმოდგენილია: შუმერის მეფეთა სია თარგმანითა და კომენტარებით; ზოუსუდრას მითი, თარგმანითა და კომენტარებით, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 88-ე და 89-ე სტრიქონების ოთარ გაბუნიასეული ინტერპრეტაცია:

88. მაშინ, როდესაც სამეფო გვირგვინი ციდან ჩამოვიდა

89. როდესაც დიდებული სამეფო გვირგვინი და ტახტი ციდან ჩამოვიდა<sup>1</sup>.

ტექსტის ამგვარ თარგმანს, ოთარ გაბუნია შემდეგნაირედ ხსნის:

Nam-lugal – ტექსტში დგას ნათესაობით ბრუნვაში და ამიტომაც აღ-დგება *men* – „გვირგვინი“. რაც მითოლოგიურადაც გამართლებულია და შესანიშნავად შეესაბამება სამეფო გვირგვინის, როგორც ცისა და მინის მაკავშირებლის რელიგიურ კონტექსტს.

ოთარ გაბუნია ყურადღებას ამახვილებს 207-ე სტრიქონზე, სადაც ზიუსუდრამ სარკმელი ან ფანჯარა (*ab-bur2*) კი არ გააღო, არამედ გახ-ვრიტა სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, ოთა-რი დამოუკიდებლად უახლოვდება „აფსუს მსგავსად გადახურვის“ სი-ზუსტეს, რაც გულისხმობს რომ ხომალდს ზემოდან ერთი ხვრელი უნ-და ჰქონოდა, როგორც სამყაროს მინისქვეშს ოკეანის აპსუს (ენუმა ელიშმიხედვით, იხ. იქვე III ფირფიტის 29-ე სტრიქონი).

\* \* \*

წიგნის მომდევნო თავებში ვკითხულობთ ათრახასისის მითის ოთა-რისეულ თარგმანს, შემდეგ უთანიშიშთის მითს და ბოლოს ქსისურთო-სის მითს, რომელიც ძველბერძნულმა ტრადიციამ შემოგვინახა, რო-გორც შუამდინარული ტრადიციის მერკვიდრეობა

ზემოთხსენებული, წარლვნის მითების შესწავლის საფუძველზე: ზიუსუდრასა და ათრახასის წარლვნის ვერსიები, ორივე შესაქმისა და წარლვნის მითების განუყრელი კავშირის მაჩვენებელია. შესაქმის მითი, წარლვნის მითის განუყოფელ ნაწილად ქცეულა შესავლის სახით, რა-საც მოგვიანებით ზედმინებით იზიარებს ბიბლიური ტრადიცია. ანა-ლოგიური სურათი გვაქვს ქ. ურუქის ეპიკური ჟანრის ლიტერატურულ ტექსტებშიც, სადაც ყოველი ტექსტის პროლოგს შესაქმის მითი წარ-მოადგენს<sup>2</sup>.

წიგნის შემდეგ ქვეთავში (2.4) უთნაფიშთის მითის თარგმანსა და კომენტარებს ვკითხულობთ. იქვე წარმოდგენილია ტექსტის ტრანსლი-ტერაცია, თარგმანი და ლურსმული ტექსტის დეტალური ანალიზი. კვლევის სიახლედ გვევლინება იმ მთის ადგილმდებარეობის დადგენა, სადაც წარლვნის გმირის კიდობანი უნდა შეჩერებულიყო. უთნაფიშთის

<sup>1</sup> თ. გაბუნია, შუამდინარული წარლვნის მითი, 39.

<sup>2</sup> ბ. სამსონია, შუმერული პოეზია, გამომცემლობა უნივერსალი (თბილისი, 2012).

მითის 21-186 სტრიქონებში ენობრივი დამთხვევებია დაფიქსირებულიათრახასასის მითის ტექსტთან<sup>1</sup>.

ოთარ გაბუნია ნიცირის მთის ე. ჯორჯისეულ ახლებული წაკითხვის „nim-ას“ ემხრობა, რაც წიგნში ეტაპობრივი სამეცნიერო კვლევის საფუძველზეა წარმოდგენილი.

აღსანიშნავის ოთარ გაბუნიას კვლევა საზომი ერთეულის ქარის გამოთვლაში. ლურსმული ტექსტის საფუძველზე ო. გაბულია აღადგენს, თუ რამდენ კუბურ მეტრს გულისხმობდა უთნაფიშთი.

117-ე სტრიქონში: „კიოდა იშთარი მშობიარესავით“<sup>2</sup> მიაჩნია გადამწერის შეცდომად და თვლის, რომიშთარი მოხსენიებულია ქალღვთაება ნინტუ-ს ნაცვლად, რაც მომავალი კვლევების საქმეა, თუმცა ამ ჰიპოთეზას, ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე, სამეცნიერო მიმოქცევაში არსებობის უფლება აქვა.

ქსისუთოსის მითის ბერძნულენოვანი ვარიანტში, რომელიც ელინისტური პერიოდის ბაბილონელ ქურუმს ეკუთვნის, მოცემულია ბერთოსის თხზულების ბაბილონიაკა სამტომეულიდან ამოღებული წარღვის ეპიზოდი.

ბერთოსის ნაშრომი დღეისათვის დაკარგულად ითვლება, ტექსტი აუღია IX საუკუნის ბიზანტიულ ავტორს გიორგი სინკელოსს. სინკელოსისეული წარღვის მითის ბერძნულენოვანი ტექსტი 1958 წელს გამოაქვეყნა გერმანელმა მკვლევარმა ფელიქს იაკობიმ. ოთარ გაბუნია თავის ნაშრომში წარმოგვიდგენს ტექსტის ანალიზი და ტრანსკრიფია. აქ ადამიანის თესლის გადამრჩენად ქსისუთოსი მოიხსენიება.

ბერთოსისისეული ცნობა დაცული ყოფილა ევსები კესარიელის ნაშრომში ქრონიკა, ო. გაბუნია დეტალურად განიხილავს ევსებიოსის ბერძნულენოვანი ტექსტსაც.

შუამდინარული წარღვნის მითის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია გამოკვლევები და ტექსტიკობრივიანალიზი ძეველ აღთქმასთან მიმართებაში. შუმერის მეზეთა სია განხილულია დაბადებასთან მიმართებაში. ოთარ გაბუნია ენობრივი ანალიზის საფუძველზე ახერხებს აღადგინოს არსებული ტექსტის სტრუქტურა. შუმერულ-აქდურიენების ბრწყინვალე ცოდნა, საშუალებას აძლევს გაარჩიოს ტექსტის წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი ეპიზოდების სხვადასხვა ენა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით და დაადგინოს საბოლოო ვერსიის დუფსარის-გადამწერის არაკომპეტენტურობა გრამატიკულ ფორმებში.

ავტორს შესანიშნავად აქვს გააზრებული ზოუსუდრას მითიც. წიგნში წარმოდგენილია შუამდინარეთის ისტორიულ მოვლენებზე დაფუძნებული, დიდი ასირიოლოგის, იაკობსენის მოსაზრებებიც, რასაც ოთარ გაბუნია არ იზიარებს.

<sup>1</sup> ო. გაბუნია, შუამდინარული წარღვნის მითი, 92-94.

<sup>2</sup> იქვე, 103.

დაბოლოს, წიგნის IV თავში განხილულია ბიბლიური წარლვნის მითი, დაბადების 6-8 თავი და წყაროები, რაც ნაშრომის შემაჯამებელი ნანილია, სადაც წარმოდგენილია კომპარატივისტული კვლევა კომენტარებით. ოთარ გაბუნია აზუსტებს ტერმინურარტუს სემანტიკას, ასავე გვთავაზობს მის გვიანდელ ებრაულ და ელინურ ფორმებს.

ოთარ გაბუნიას სამეცნიერო კვლევის მთავარი ინიციატივის გმირის კიდობნის ადგილმდებარეობის საკითხის გადაწყვეტაა.

წიგნში წარმოდგენილი ღრმა კვლევის საფუძველზე, ავტორს თავად მივყავართსწორ დასკვნამდე. ოთარ გაბუნიას სამეცნიერო ალონ გვიჩვენებს, რომბეროსოსის ვერსია გარკვეულ კავშირშია ბიბლიურ გადმოცემასთან. მთა, სადაც კიდობანი გაჩერდა დასახელებულია ქურთისტანის ქედია, რაც ძველი ურარტუს ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ შემთხვევაში ეყრდნობა შპაიზერის ნაშრომს, რომელიც გამოცემულია 1926 წელს, სადაც დაფიქსირებულია, რომ გილვამეშის ეპოსშეპოსში მოხსენიებული მთა უნდა იყოს პირ-ომარ-გუდრუნი, საიდანაც იშლება არაჩვეულებრივი ხედი, განსაკუთრებით სამხრეთ შუამდინარეთზე. ნიმუშის მთა მოხსენიებულია აშურბანიპალ II-ის ანალებშიც.

პირ ომარ გუდრუნი ძველი შურუფაქიდან დამორჩებულია 450 კილომეტრით. შპაიზერის კვლევა გამოქვეყნებულია 1926 წელს, როდესაც ნიმუში იკითხებოდა, როგორც ნიცირიდა შპაიზერის მოსაზრება, უთნაფიშთის ხომალდის ადგილთან დაკავშირებით არ იყო გაზიარებული.

დღესდღეობით ე. ჯორჯის უკანასკნელმა კვლევებმა, სადაც მან მარცვლის მეორე მნიშვნელობა პირველით შეცვალა, შპაიზერის მოსაზრებაც გამართლდა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვეობის დიდი ასირიოლოგის, ენდრიუ ჯორჯის აზრამდე, რომელიც დღესდღეობით გაბატონებულია სამეცნიერო მიმოქცევაში, ოთარ გაბუნია საკუთარმა კვლევამ მიიყვანა, რაც წიგნში შესანიშნავადა წარმოდგენილი.

ოთარ გაბუნია ნაშრომში წარმოგვიდგენს არსებული წყაროების – ლურსმული ტექსტების მისეულ ინტერპრეტაციებს, რაც მკვლევარს აძლევს უფლებას დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს სამეცნიერო მიმოქცევაში გაბატონებულ მოსაზრებებს.

მიზნის მიღწევა ოთარს შუმერული და აქადური ენების ბრწყინვალე ცოდნამ შეაძლებინა, როგორც თავის დროზე მიხაკო წერეთელს, რომელსაც მისი ღირსეული მემკვიდრე, ოთარ გაბუნია, ამ წიგნს უძვნის.

**შუამდინარული წარლვნის მითი** თანამედროვე ქართული მეცნიერების დიდი შენაძენია. სასურველია, რომ იგი ევროპულ ენებზე ახლო მომავალში ითარგმნოს, რათა ოთარ გაბუნიას მიერ ჩატარებულ ურთულესი კვლევა-ძებათა შედეგები ჩვენი უცხოელი კოლეგებისათვისაც გახდეს ხელმისაწვდომი.

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და

ნინო ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel: +995 (32) 2250484, # 6284; #6278

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

